

მურმან თავდიშვილი

რუსთველოლოგიური
პრიტიპა

||



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2023

**რედაქტორი რევაზ მიშველაძე,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი**

© მ. თავდიშვილი, 2023
ავტორის უფლებები დაცულია
გამომცემლობა „კნიგასალი“

თბილისი, 0186, ა. ჯოლიბაოვისა და №4, ჟ: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-554-9

ზვიად გამსახურდია როგორც მკვლევარი-რუსთველოლოგი

ნიჭიერი კაცი, მეტადრე, თუ მას ფართო განათლებაც ზურგს უმაგრებს, ვერ დარჩება ვიწრო პროფილის მკვლევრად. ოდესმე მაინც მოსინჯავს იგი კალამს მომიჯნავე დარგში. ასე და ამგვარად გვეკლინებიან ფართო პროფილის მკვლევარი-მეცნიერები და მწერლები. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც ნამდვილად ძალედვა ხელი მოეკიდა და მაღალნიჭიერად გადაეწყვიტა ქართული ლიტერატურის ისტორიის, კრიტიკის და თეორიის მრავალი საკითხი. მან, როგორც პოეტმა, მთარგმნელმა, ესეისტმა, კრიტიკოსმა, მეცნიერმა, დაბოლოს, რუსთველოლოგმა ბევრი საჭირბოროტო პრობლემა წამოჭრა და გადაწყვიტა კიდეც; ზოგან სათანადო შედეგსაც ვერ მიაღწია და ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ისეთი ქარაქტეროლოგიური ტიპისათვის, როგორც ბრძანდებოდა რამდენადმე ექსცენტრიკული და მეტად თავისებური ხასიათის პიროვნება ბატონი ზვიად გამსახურდია. ჯერ კიდევ 1972 წელს გამოსული მონოგრაფია მეოცე საუკუნის ამერიკული პოეზიის შესახებ („განათლება“) უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ ქართულ კრიტიკას შეემატა ფარ-

თო ერუდიციის, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე გე-
მოვნებიანი მკვლევარი-მოაზროვნე. აღნიშნული
წიგნი ამერიკული პოეტური სამყაროს ერთგვარ
გზამკვლევად გამოადგებოდა სამოცდაათიანი
წლების ქართველ მკითხველს. „ლიტერატურული
წერილები“ (1976) შეიცავდა ლიტერატურისმცოდ-
ნეობისა და კრიტიკის საკითხთა ფართო სპექტრს,
ესეისტური ჟანრის სტატიებს, მსჯელობას მითო-
სის შესახებ და სხვ. ამ კრებულით ავტორმა კიდევ
უკეთ გამოკვეთა თავისი, როგორც ფართო თვალ-
საწიერის მკვლევრის, პროფილი. დაკვირვებულ
მკითხველს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჩვენს
მწერლობას შეემატა ფაქიზი სტილის მქონე მოაზ-
როვნე-ესეისტი, რომელიც მაღალი გემოვნებითაც
დაეჯილდოებინა უფალს. ეს გახლდათ გერონტი
ქიქოძის, აკაკი განერელიას, ნოდარ კაკაბაძის, გას-
ტონ ბუაჩიძის ყაიდის ხელოვანი აზროვნების ტი-
პის მიხედვით, ამათი უმცროსი თანამოსაგრე. მძი-
მე და რთულ მსოფლმხედველობრივ საკითხებზე
მსუბუქი სტილით წერდა მეცნიერი „ცისკარში“
(1985, 5), როცა ეხებოდა გოეთეს მსოფლმხედვე-
ლობას ანთროპოსოფიული თვალსაზრისით. თუმ-
ცა ბევრი საგულისხმო დებულება და სააზროვნო
დაკვირვება გვხვდება, მაინც ერთგვარ სუმბუ-
რულ-ბუნდოვან გამოკვლევად გვესახება „ქებაი და

დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც ადრე (1987) „ცისკარში“ დაიბეჭდა, ხოლო სქელტანიან წიგნში „წერილები, ესსეები“ (1991) პირველ ნარკვევად მოგვევლინა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ „საქართველოს სულიერი მისია“ (1990), რომელიც სამ ვრცელ ლექციას აერთიანებს და წარმოადგენს ერთგვარ კულტურტრეგერულ ნარკვევს, სადაც ერთიანობად არის მოაზრებული ღვთისმეტყველებითი, მითოლოგიური, ეთნოლოგიური, ფილოლოგიურ-ეტიმოლოგიური ელემენტები. საერთო გარეგნული სტილის თვალსაზრისით, ამ წიგნს მე მივაკუთვნებდი ზვიად გამსახურდიასათვის ზოგჯერ დამახასიათებელ სუმბურულ-ეკლექტიკურ მანერას. ბარემ აქვე გულწრფელად ვთქვათ: მონაკვეთი, რომელიც საქართველოს სულიერ მისიას ეხება, ერთობ გაძედული და მეტისმეტად თამამია ისე პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. მიუხედავად ამისა, აქაც გვხვდება მახვილი გააზრებანი. კერძოდ, ეს ეხება წმ. გიორგის სახეს, აგრეთვე ქართულ ქრისტიანობას. „წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაბადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს. ღმერთი მას წარმოედგინა წმ. გიორგის მებრძოლ სახეში, დრაკონის დამთრგუნველ სახეში... სიმბოლურად ქრისტიანობა მოცემულია მებრძოლ, სამხედრო ას-

პექტში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა. ეს არის მოყმეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა“ (გვ. 20-21).

ამ იდეას სხვადასხვა ვარიაციით ავტორი მრავალგზის იმეორებს გამოკვლევებში „ვეფხისტყაოსანზე“. სხვათა შორის, ამ წიგნშიც გაიელვებს ალაგ-ალაგ ასოციაციები „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით, ზოგჯერ – უადგილოდაც. მაგალითად, 24-ე გვერდზე ვხვდებით ამგვარ მსჯელობას: „სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე ჩვენ ვხედავთ წმინდა გიორგის ლომთან და ვეფხვთან ერთად. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირის ბრძოლა ლომთან და ვეფხვთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წმინდა გიორგი ზოგიერთ ქართულ ბარელიეფზე, მაგალითად, მრავალძლის ბარელიეფზე, გმირავს არა დრაკონს, არამედ ვეფხს. ვეფხი არის სინონიმი დრაკონისა“.

და, თუ ყველაფერი ეს ასეა, როგორც ავტორს წარმოუდგენია, მაშინ აქ „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითის მოყვანა ვერაფრად გამოგვადგება. პირიქით, იგი მკვლევრის მოსაზრებას აბათილებს კიდეც. საქმე ის არის, რომ წმ. გიორგისეულ შემწედამხმარედ პოემაში წარმოდგენილია არა ტარიელი, არამედ ავთანდილი. შემთხვევითი როდია, რომ

ნმ. გიორგის მსგავსად თეთრ ტაიჭიე სწორედ ავ-
თანდილია ამხედრებული, ტარიელი კი – შავზე.
ამავე დროს, ავთანდილი რომ ლომ-ვეფხვებს ხო-
ცავდეს, ეს არსად არ არის აქცენტირებული. ტარი-
ელი კი ხოცავს მათ. გარდა ამისა, ვეფხის სახეში
ტარიელი სულაც არ ხედავს უწმინდურ სულს,
დრაკონისეულ არსებას, პირიქით, ვეფხი მას სატ-
რფოს აგონებს და მის კოცნასაც კი ლამობს:

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს, ტყავი მისი კაბად ჩემად მომინახავს, –

ეუბნება ამირბარი არაბ მოყმეს. ამრიგად, აქ
პირდაპირ არის ნათქვამი, ვეფხი მიყვარსო.

ნარკვევის ძირითადი აზრი კი ის არის, რომ სა-
ქართველოს მისია გახლავთ აღმოსავლეთ-დასავ-
ლეთის კულტურათა შერწყმა. საქმე ისეა წარმოდ-
გენილი, თითქოსდა კავკასიაში ამ მისიას მარტო
საქართველო აღასრულებდეს. სინამდვილეში სა-
ქართველო როდია ერთადერთი ქრისტიანული ქვე-
ყანა კავკასიაში, რომ ეს საქმე მარტოოდენ მას და-
ეკისროს. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ გვერდით არ-
სებობს ისე ძველი ქრისტიანული კულტურისა და
ისტორიის ქვეყანა, როგორიც სომხეთია. აღნიშნუ-
ლი მისიის რაღაც წილი მაინც არ აკისრია ამ ქვეყა-
ნას? სამაგიეროდ, განსაკუთრებით კომპაქტური

გამოდგა „წერილები, ესეები“ (1991), რომელშიც ზოგიერთი ძველი სტატიაც შევიდა, ენობრივ-სტილურად ჩასწორებული და აზრობრივად დაზუსტებული, და, რაკიდა აღნიშნული კრებული ავტორის საბოლოო ნებას გამოხატავს, ჩვენთვის საინტერესო სტატიებზე ამ კრებულში წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ.

დიდი ინგლისელი რომანტიკოსის პერსი ბიში შელის ლირიკის მიმოხილვისას ავტორი აქცენტს აკეთებს წერის ესეისტურ მანერაზე და ეს მას ამ შემთხვევაში კარგად გამოსდის. იგი აგვინწერს უცნაურ სამგლოვიარო რიტუალს – გვამის დაწვას. ნეშტი დაიწვა, ოღონდ, ყველას გასაოცრად, გული გადარჩენილიყო. „პერსი ბიში შელი – გულის გული“ – აი, რა აწერია რომში იმ საფლავს, სადაც მისი ურნაა დაკრძალული. ცეცხლს გადარჩენილი გული კი ინგლისს წაიღეს. ჭეშმარიტად ინგლისს ეკუთვნოდა ეს გული, ინგლისელ ხალხს... ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა“ (გვ. 229). ბოლო წინადადება მშვენიერი აფორიზმია, რომელსაც ბევრი დიდი მოაზროვნე მოაწერდა ხელს. ასე შევყავართ ესეისტს რომანტიკოსის ლამაზ სამყაროში, ასე აძლევს იგი სწორ მი-

მართულებას ჩვენს წარმოდგენებსა და განცდებს შელის შემოქმედების გამო. მკვლევარი მარჯვე მა-გალითების მოხმობით გვითვალსაჩინოებს რომან-ტიკოსის პოეზიის თავისებურებებს და ამ ნათელ ფონზე იხილავს მის ლირიკას. აქვე ზუსტად არის დახასიათებული კლასიციზმიდან რომანტიზმზე გარდამავალი ეპოქის არსი: „კლასიციზმის პარნასს თანდათან სტოვებდნენ უხვად შეპუდრული, საზეი-მო პარიკებში გამოწყობილი მუზებიო“ (232). პირ-დაპირ შესაშურია განხილვა პოეტის უსაჩინოესი ქმნილებისა „ოდა დასავლეთის ქარისადმი“ და სა-გულისხმო სწორედ ის არის, რომ ამ ნაწარმოების გახსნა გულისხმობს რომანტიკოსის სტილური არ-სის გახსნა-გაგებასაც. აქ ესეისტს საშუალება მიე-ცა, საინტერესო აზრები გამოეთქვა იმის თაობაზე, რომ ქარის პორტრეტს მუსიკოსი და პოეტი უკეთ დახატავენ, ვიდრე მხატვრებიო (233). ასევე ხელ-მარჯვედ და გულმარჯვედ იყენებს ავტორი ნოვა-ლისის მოსაზრებას („ყოველი ლანდშაფტი არის იდეალური სხეული განსაკუთრებული სახეობის სულისათვის“) ბუნების შესახებ შელის პეიზაჟების არსის გასახსნელად (243).

მკვლევრის მოვალეობაა, საკვლევ საგანში დაი-ნახოს უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი და იგი სა-განგებოდ გამოყოს. ზ. გამსახურდიამ თომას ელი-

ოტის შემოქმედებაში ამგვარ თემად ტრადიციის გაგება ივარაუდა. ელიოტის ფიქრით, – გვარნმუნებს ავტორი, – „ძველსა“ და „ახალ“ პოეზიაზე საუბარი პირობითად შეიძლება. ახალი პოეტის შეფასება ვერ იქნება ობიექტური, თუ იგი არ ჩააყენეთ გარდასულ მგოსანთა მნკრივში. მისი ჭეშმარიტი სიდიდე აქ გამოჩნდება. ამ ვითარებაში ხდება მომდევნო ლიტერატურული ფაქტის ისეთივე ზემოქმედება წინამოზე, როგორც წინასი – უკან მიღევნებულზე. თუ წინამო უკანაზე იდეურ-თემატურ და ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს, მომდევნო წინაზე სულ სხვაგვარად ზემოქმედებს – ახდენს წინა ლიტერატურული ფაქტებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების გადაფასებას. საინტერესოა ზ. გამსახურდიას დაკვირვება, რომ ელიოტს ნოვატორობის ფუნდამენტად მიაჩინია პოეტის მიერ ისეთი საკუთარი იდიომების შექმნა, რაც მომდევნო ხანის სიტყვის ოსტატებს არაფერში გამოადგებათ. იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს ღრმად ინდივიდუალური სტილის სფეროში ძევს. ასევე დიდფასია დაკვირვება, რომ, ელიოტის აზრით, თანამედროვე პოეტი მინიშნებებით უნდა წერდეს; მან ენისა და მნიშვნელობის, სემანტიკის დიქოტომია უნდა მოახდინოს, ოღონდ ეს უნდა გააკეთოსო ფაქიზად, ზომიერად. ამ მხრივ სანიშნოა ფრანგული სიმბოლიზმი, სადაც

სიტყვას დარჩა მხოლოდ მუსიკალური ფუნქცია. ამან კი საფრთხე შეუქმნა პოეზიას. იგი ლამის მუსიკად გადააქცია. რა საჭიროა სიტყვის მუსიკა, როცა გვაქვს ბგერათა მუსიკა, თუ სიტყვა პოეზიის არსას განიშორებს? რა საჭიროა ქალებისაგან პროფესორები გამოვიყვანოთ, თუ მათ თავიანთი მთავარი ფუნქცია – დედობის ფუნქცია – დავაკარგვინეთ? აქ ფაქტობრივად შეინიშნება ერთგვარი ანტივერლენური გამოსვლა. მართალია, პოეზია მჭიდროდ ეტმასვნის მუსიკას, ოღონდ პოეზია მუსიკად არ უნდა იქცეს! ტრადიციისადმი ელიოტის დამოკიდებულებას განსაზღვრავს ძველი მეტაფორის რღვევა. ახალია და ალოგიკური შედარებები და ტროპები. ესე იგი, „საღი აზრისათვის“ აქ ბევრი რამ მიუღებელი აღმოჩნდა. თუ რომანტიკოსის ნებისმიერი მეტაფორა ცალკე სახეა და ამორიდებულიც კი შეიძლება განვიხილოთ, აქ ეს შეუძლებელია. ელიოტის მეტაფორა მთლიანი ლექსის განუყოფელი ნაწილია. ეს არის ერთგვარი პოეტური მედუზა, რომელიც თავის არსს ზღვაში ავლენს, წყლიდან ამოყვანილი კი – კარგავს. გარდა ამისა, ელიოტს ახასიათებს გრძნობა-განცდათა ნიუანსების ფიქსირება, განწყობილებათა უეცარი ცვალებადობა-თამაში.

თავის ესეს ავტორი დიდებული კადენციით ამ-თავრებს: უოლტ უიტმანი ჭეშმარიტი კოლუმბია ახალი დროისა. იგი უფრო მეტია, ვიდრე კოლუმბი: მან აღმოაჩინა ამერიკაზე მეტი – ამერიკის სული.

ვფიქრობ, აქ მარჯვედ არის ნათქვამი უმთავ-რესი და უიტმანის ადგილიც – სასწაულებრივად ზუსტად განსაზღვრული.

ამერიკის პოეტ-რეალისტთა დიდი ხუთეული-დან (ედვინ არლინგტონ რობინსონი, ედგარ ლი მასტერსი, კარლ სენდბერგი, ვეიჩელ ლინდზი, რო-ბერტ ფროსტი) მკვლევარი საგანგებოდ გამოყოფს ამათ ლიდერს – სენდბერგს. ავტორი გერგილიანად ადარებს ერთურთს გალაკტიონსა და ამერიკელ პოეტს. როგორც პირველმა ზუსტად განსაზღვრა ახალი პოეტური ეპოქის დაწყება („წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“), ისე სენდბერგმაც იწინასწარმეტყველა ახალი ამერიკუ-ლი პოეზიის მომავალი ლექს „არჩევანშიო“. საკით-ხის მთავარი ძაფი მოძებნილია. ამის მერე მოდის მსჯელობა: „ორივე პოეტთან თვალსაჩინოა დაპი-რისპირება რომანტიზმის კლიშებისადმი“ (გვ. 274). სენდბერგი პოეტი – უურნალისტია, - ამბობს ერთგან და ჩვენ კარგად გვესმის ამ ეპითეტის არსი. შესანიშნავად არის განხილული „უდაბნო“. ჩემში სახლობს მგელი, - ამბობს პოეტი და აღწერს მგლის

თვისებებს: ჩემში სახლობს მელა და აღწერილია ტყის ამ ბინადრის თვისებები, ჩემში სახლობს ტახი, თევზი, ანთარი, არწივი და ა.შ. ამგვარად იხატება ურბანიზაციით გახელებული ინდივიდი, რომელსაც ატავისტური ნიშნები საბოლოოდ ვერ მოუშორებია. ამ ლექსიდან ჩანსო, - დაასკვნის ავტორი, - რომ ადამიანი ცხოველური წარმოშობისაა, ოღონდ ადამიანობა იწყება ამ წარმომავლობის დაძლევის შემდეგ. ჩიკაგოს ციკლის ლექსების მიმოხილვისას ავტორი გვარწმუნებს, რომ სენდბერგი ჭეშმარიტი სახალხო პოეტი გახლდათ.

რობერტ ფროსტის პოეტურ სამყაროში რომ იოლად შეგვიყვანოს, ესეისტი ამ ავტორის უმთავრეს თვისებებს ფაქიზად გვითვალსაჩინოებს: ბოლორითმიანი ლექსის კულტივაცია, სადა და გამჭვირვალე სტილი, პატრიარქალურ-იდილიური თემატიკა, თანამედროვე პოეტის თვალი, მედიტაციური კილო, რეალისტური ხედვა. გარდა ამისა, „მის ლექსებში იგრძნობა დაკვირვებული თვალი გამრჯე ფერმერისა, ძლიერი ფსიქოლოგიური ალლო პედაგოგისა, სტოკური სიმშვიდე და მეცნიერულობა ფილოსოფოსისა“ (გვ. 283). მისი ნოვატორობა ევოლუციური ხასიათისაა – პოეტ-რეალისტთა შორის ფროსტი ყველაზე ნაკლებ არის შეპყრობილი ნოვაციის შინით. ფროსტი ავითარებს ურბანის-

ტულ იდეებს, მაგრამ, ამასთანავე, დიდი ესთეტიკით გვხიბლავს მისეული სოფლის პეიზაჟები, იდილიური ყოფის აღნერები. აქ არის სიწყნარე, ჩქრიალებს ნაკადული, გესმის, როგორ ვარდება ხიდან ფოთოლი... ერთი სიტყვით, ზ. გამსახურდიას მიერ წარმოდგენილი ფროსტის შემოქმედებითი ბუნება რომ ქართველმა მკითხველმა უკეთ გაიგოს, საჭიროა მოვიგონოთ სტილი, რომლითაც სარგებლობს ქართველი პოეტი მურმან ჯგუბურია. აი, ვინ მოჰგავს ქართული სინამდვილიდან ყველაზე უფრო ფროსტს. ეს რომ აგრეა, სხვა რამეც გვიდასტურებს. ესეისტს მოჰყავს კრიტიკოს ბრუკსის აზრი, რომ „ფროსტი რეგიონალისტი და ტრადიციონალისტია“ (რეგიონალისტობად ნაგულისხმევია პოეტის შემოფარგვლა ნიუ ინგლანდის თემატიკითა და განწყობილებით). ეჭვი არ არის, ქართული მასშტაბების მიხედვით, სწორედ ამგვარი „რეგიონალისტი და ტრადიციონალისტია“ მ. ჯგუბურიაც.

ედვინ არლინგტონ რობინსონის პოეტურ სამყაროში რომ მსწრაფლ შეგვიყვანოს, ფროსტის მკვლევარი ამბობს: ამერიკულ კრიტიკაში დავაა გაშლილი, თუ ვინ იწყებს ახალ ერას პოეზიაში – დიკინსონი თუ რობინსონიო. უკვე ეს გარემოება ყველაფერს გვეუბნება ახალი ამერიკული პოეზიის ამ უდიდეს ფიგურაზე. რობინსონი ყველაზე „ინ-

გლისელი“ პოეტია ამერიკელთა შორის – ვფიქრობ, ამ თქმითაც დიდი ინფორმაცია მივიღეთ; თემატიკით იგი არის ინგლისურ-ევროპული, ტექნიკით – დახვეწილი; როგორც მასტერსი, ისე რობინსონიც პატარა, უბრალო ადამიანის სამყაროთია დაინტერესებული; მანვე დაგვიხატა მოარული ანაქრონიზმი – ახალი დროის დონ-კიხოტი მინივერ ჩივი. ამავე დროს, ეს პოეტი გახლდათ „ტრანსცენდენტალისტი“. ამ ტერმინით გულისხმობენ იმათ, ვინც მიღმაქვეყნიურ იდეებს წამოაყენებდა ლექსში. ემერსონის მსგავსად, რობინსონიც საზეო თვალსაზრისით უყურებს პოეტის დანიშნულებას (305). მისი ფიქრით, პოეტი ნათელმხილველია, რომელმაც „ღრმა თემებსაც“ უნდა მოჰკიდოს ხელი.

როგორცა ვხედავთ, მკვლევარი და ესეისტი არა მარტო ამა თუ იმ ოსტატზე მსჯელობს, არამედ იქვე მიმოიხილავს ამ ლირიკოსის ეპოქას, ლიტერატურულ-ესთეტიკურ ფონს, რასაც სხვა ოსტატები უქმნიან. მაშასადამე, იზოლირებულად როდი იკვლევს რომელიმე მწერალს. იგივე ითქმის ესეზე „ვილიამ მორრისი“. ახალგაზრდა პოეტები და მხატვრები როსეტი, ბერნ-ჯონსი, ჰენრეტი, მილე, მორრისი და სხვანი გამოდიოდნენ დახავსებული აკადემიზმის წინააღმდეგ ფერწერაში, - ასე იწყებს მკვლევარი ამ ესეს. ამ წრემ მაღე მიიქცია საზოგა-

დოების ყურადღება. ასე გასინჯეთ, მწერალი ოლ-დინგტონი ინტელიგენციას ყოფდა ოსკარიანელებად, მორისტებად და ჰაქსლ-დარვინისტებად (310). უკვე ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. მორისი, ერთი მხრივ, ეყრდნობოდა რესკინის ესთეტიკას, ვინც აცხადებდა – ფერწერული ტექნიკის სრულყოფას ნაწარმოები მიჰყავს იდეურ-შინაარსობრივ გაღარიბებამდე. ამიტომ რაფაელზე უკეთესი ჯოტო და სხვა პრიმიტივისტები არიანო. მეორე მხრივ, მისი საფუძველია ვალტერ პიეტერის თეორია, ვინც უარყოფდა ხელოვნების ზნეობრიობას. ამ ერთიანობამ კიდევაც განაპირობა აღნიშნული მოძრაობის არსებობა – სპირიტუალურისა და სხეულებრივის მორიგება (312). მორისის ტიპის მწერლები ცდილობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგს შორის საერთო ძაფის აღმოჩენას. ამასთანავე, მახინჯი თანადროულობისათვის ზურგის შესაქცევად მათ მიმართეს შუა საუკუნეების კულტს. მათი აზრით, პოეზია სულის დეკორაციაა. მათი გმირები იცვამენ მე-14 საუკუნის ყაიდაზე, სახლებიცა და ავეჯიც ამ ეპოქისა ფიგურირებს მორისისა და მისი მიმდევრების ქმნილებებში (314). მორისის ენა იყო იმიტაცია მე-15 საუკუნის ინგლისურისა. იგი ცდილობდა, ნაწარმოები დროისა და სივრცის გარეშე დაეყენებინა. პოეტის ხატოვანებასა და სტილზე

საუბრისას ზოგჯერ ლაკონიზმითაც გვხიბლავს მკვლევარი: „სახის ფერწერული სტატიურობა და სიმკვეთრე, რაც მორისს ახასიათებს, ყველაზე უკეთ ამ ლექსში ვლინდება: მისი წაკითხვისას არ შეიძლება არ წარმოგიდგეთ პუსენის ან ფრაგონარის სურათიდან გადმოსული ოქროსთმიანი არის-ტოკრატი ფრანგი ქალი, მთელი თავისი თვალის-მომჭრელი მოკაზმულობით, კოპნიად ჩაცმული მსახურებით გარშემორტყმული და შორიახლო მდგარი რაინდი, შორით დაგული კავალერი, რო-მელსაც არა გააჩნია რა, მკვირცხლი ტაიჭის, მაგა-რი მკლავისა და ექვსიოდე შინაგამის გარდა“ (320). ბოლოს უილიამ მორისი სოციალ-დემოკრატი გახ-და. ამის შემდეგ იგი აქტიურად წერდა პუბლიცის-ტურ სტატიებს. მალე იგი ანარქისტთა მსხვერ-პლიც შეიქნა, ოღონდ მალევე დაძლია ეგ „საყმან-ვილო სენი“; ოღონდ მისი სოციალიზმი „პოეტუ-რია“ და არა მეცნიერული; მისი ფანტასტიკური პო-ემები და ლექსები სოციალიზმზე არის თომას მო-რის უტოპიის ერთგვარი განახლება თანამედროვე დონეზე. მკვლევარი ერთობ ხატოვნად და ზუსტად მიუთითებს – მისი მემკვიდრეობა ჰგავსო ქვიშიან სანაპიროს, სადაც მრავალი ოქროა მიმობნეული (330). ასევე დიდფასი დაკვირვებებია მიმობნეული უაილდზე დაწერილ სტატიაში, სადაც ავტორი სა-

განგებოდ აღნიშნავს: ნატურალიზმის მოზღვავებას უაილდმა დაუპირისპირა მშვენიერი თეორია, რომ აისახოს მხოლოდ მხატვრის სპექტრში გამოტარებული სინამდვილე, რომ შინაარსს უნდა მივუდგეთ ფორმის კამერტონითო. სწორია კრიტიკოსი, რომ სილამაზის ძიებამ, მკაცრმა ესთეტიზებამ უაილდი ზღაპრამდე მიიყვანა. თვითონ უაილდი კი შენიშნავდა: ყოველი დიდი ხელოვანი – ჰომეროსი, ესქილე, შექსპირი, კითსი თუ სხვანი მიმართავდნენ მითებს, ლეგენდებსა და ზღაპრებსო. ამათ, ჩვენის მხრივ, უნდა მივუმატოთ რუსთველი. უაილდის ნაწერებში დეკორატიულობაც იჩენს თავს. ეს კიდევაც გამოსჭვივის მის თეზისში: „ხელოვნება მარტივი ჭეშმარიტება კი არ არის, არამედ ურთულესი სილამაზე“.

ბევრ რასმე საგულისხმოს ეუბნება მკითხველსა და თარგმანის სპეციალისტებს იმგვარი სტატიები, სადაც გამსახურდია ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად თარგმნილ ლიტერატურას ეხება. ქართულისა და ინგლისურის ცოდნა მას ამ საქმის ჯეროვნად დაძლევის გარანტიას აძლევდა. ბევრი საგულისხმო დაკვირვება გვხვდება „გულივერის მოგზაურობის“ ქართულ თარგმანზე მსჯელობაში. ამასთანავე, რა თქმა უნდა, ბევრი რამ მისაღებია, ზოგიც მიუღებელი. როცა მთარ-

გმნელს ურჩევს - „ბეჭდვის ხელოვნებას არიან გაცნობილნი“ კი არ უნდა დაგეწერა, არამედ „იცნობენო“, სავსებით სწორია (გვ. 342), ოღონდ იქვე რომ ამუნათებს: „ბუნების მოთხოვნილებებს“ აჯობებდა „ბუნებისმიერი მოთხოვნაო“, ეს კი მიუღებელია. „ბუნებრივი მოთხოვნილებანი“ ბიოლოგიური ცნებაა, „ბუნების მოთხოვნა“ კი ეკოლოგიური. ასევე საყურადღებოა ცალკეული მოსაზრებანი სხვა სტატიებიდანაც. განსაკუთრებით, როდესაც ავტორი თარგმნილ ლიტერატურაზე მსჯელობს. ამ მხრივ ზომაზე მკაცრი კი არის ვეფხისტყაოსნის რ.სტივენსონისეული თარგმანისადმი მიძღვნილი სტატიები, ოღონდ აუცილებელია ბატონმა სტივენსონმაც და სხვებმაც ამ კრიტიკის ზოგი პუნქტი გაითვალისწინონ. ასეთებია, მაგალითად, პუნქტები: 6 (390), 24 (403), 27 (404), განსაკუთრებით – 21. სწორია მკვლევარი, რომ ვ. ნოზაძემ დიდებულად დაადგინა: პოემის „მწყობრი“ არის ცნობილი ტერმინი „ორდინატორ სუპრემო“, რაც ინგლისურ თარგმანში არა ჩანს (402).

ზ. გამსახურდიას ზომაზე მეტად მკაცრ შეფასებას გამოეხმაურნენ თვით ბატონი სტივენსონი და მკვლევარი სერგო თურნავა. ეს უფრო შემფასებელი სტატიის მკაცრი ტონის რეაქცია იყო, ვიდრე საქმიანი შენიშვნების ექო. ზ.გამსახურდიას გახმა-

ურებულ სტატიაში „პოეტური მეტყველებისათვის“ ჯ.ჩარკვიანი მიჩნეულია პლაგიატად. ავტორი დაეძებს და „პოულობს“ კიდეც ისეთ მხატვრულ ფორმებს, რომლებიც სხვათაგან აუთვისებია ჯ. ჩარკვიანს (407-433). ფაქტოლოგიურად თითქოს ვერაფერს დაუპირისპირებ წერილის ავტორის არგუმენტებს, ოღონდ ზოგიერთი „პარალელი“ ისეთია, ცოდნა მათზე არაფერი ვთქვათ. ამ მხრივ საინტერესოა ორი მათგანი. ზ. გამსახურდია ამუნათებს პოეტს, რომ მას გადაუღია ო. შალამბერიძის „სადა ჰყავდა საქართველოს ცრემლის ტბაში დასახრჩობი ქალი“ ამდაგვარად: „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“ შესაძლოა, ჯ. ჩარკვიანს მართლაც ჩარჩა გონებაში თანაეპოქელი პოეტის მარჯვე თქმა, ოღონდ საქმე ის არის, რომ პოეზიაში მთავარია თქმულის ინტენსივობა. ამასთანავე, პირველი ხალხს, მასებს არ შერჩა, ხოლო მეორე მთელმა საქართველომ დაიმახსოვრა. ეტყობა, ჯ. ჩარკვიანმა მაინც იმდაგვარად თქმა მოახერხა, რაც კაცს უკეთ ამახსოვრდება. პოეზიაში კი ეს უმთავრესია. სხვათა შორის, გალაკტიონის „მე და ღამის“ ინტონაციის არქეტიპი პირველად ი.გრიშაშვილის ერთ ლექსში გაისმა, ოღონდ გრიშაშვილის ის ნაწარმოები არავის ახსოვს, გალაკტიონის ქმნილებამ კი უკვდავება დაინარჩუნა. შესაძლოა ისეც

მოხდეს ანდა, იქნებ, კიდეც მომხდარა, ჯ. ჩარკვიანის ნათქვამი რომელიმე ფრაზა თვით ო. შალამბერიძეს ან სხვა ვინმეს უკეთეს პოეტურ ხარისხში აეყვანოს. ზ. გამსახურდიას აზრით, ლ. ასათიანის „ვით იესოს ლურჯი ტანი“ არის თავწყარო ჯ. ჩარკვიანის სიტყვების „დღეები ლურჯი ქრისტეს ტანივით“ (422). ტაეპებს თუ შევადარებთ, შენიშვნა სწორია, ოღონდ, პოეტური ხარისხისა და ადამიანის განცდებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მეორე პირველს დიდად აღემატება. მეტიც, ჯ. ჩარკვიანის „ბეთანია“ თანამედროვე პოეზიის შედევრია და მითითებული სახე საერთო კონტექსტში კიდევ მეტ ესთეტიკურ ტკბობას გვანიჭებს, ხოლო პირადად მე, თუმცა კარგად ვიცნობ და დიდად მიყვარს ლ.ასათიანის პოეზია, მითითებული ტაეპი აღარც კი მახსოვდა. ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში კრიტიკოსი მართალიც არ იყოს. უფრო მნიშვნელოვანია მისი შენიშვნები, როდესაც საქმე პოეტის ენობრივ ლაფსუსებს შეეხება. დიდი სიღრმითა და მეცნიერული წვდომის უნარით გამოირჩევა პოლემიკა გ. ასათიანთან; ასევე საინტერესოა პოლემიკა ენის საკითხებზე ბატონ ალ. ჭინჭარაულთან. ამ სტატიებში, მაშინაც კი, როდესაც ზ.გამსახურდია მთლად სწორი და ზუსტი არ არის, იმხელა ცოდნა და იმგვარი მარჯვე დაკვირ-

ვებებია, აქედან მკითხველს დიდი ცოდნის მიღება შეუძლია. ამგვარი რამ კი მხოლოდ დიდ შემოქმედს ხელეწიფება. ასევე ერთობ საინტერესო წერილია „თ. ფანჯიკიძის ტრაგედია“ (518-523). აქ ჩანს, თუ რელიგიის ისტორიის სპეციალისტებსაც როგორ უსწორებს შეცდომებს, ლაფსუსებს, უნებლიერ სიმ-ცდარეს. ეს, უდავოა, ავტორის ამოურნყველ ერუ-დიციასა და კომპეტენტურობაზე მეტყველებს. დი-დი გემოვნება, არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლთა სპეციფიკის ღრმა წვდომა ჩანს თ. კიკალე-იშვილის გენიალური ქმნილების „კონსტანტინე გამსახურდიას“ გამო დაწერილ სტატიაში (524). პირდაპირ ენის ფილოსოფიის დონემდე ადის ა. თა-ყაიშვილთან გამართული პოლემიკის ზოგიერთი ადგილი, სადაც გარკვეულია ენისადმი ენათმეცნი-ერისა და მწერლის თვისებრივად ნაირი მიდგომის არსი: „არქაიზმების ვარგისიანობისა თუ უვარგი-სობის განსაზღვრა მწერლის ამოცანაა და არა ენათმეცნიერისა, ვინაიდან ენათმეცნიერება პათა-ნატომიურ ოპერაციებს ახდენს ენის გვამზე, ხოლო მწერლობა ქმნის ენის ცოცხალ რეალობას“ (545). ბევრ საღ აზრს, მისაღებ მითითებებს ვხედავთ „მკვახე შეძახილის ექოში“, სხვა წერილებშიც.

მაშასადამე, აღნიშნული სქელტანიანი წიგნის გამო მოკლედ ასე დავასკვნით:

ზვიად გამსახურდიას წერილები და ესეები ლიტერატურის კარდინალური საკითხების დაყენებითა და გადაწყვეტით იქცევს ყურადღებას. მათში თეორიული და პრაქტიკული ერთმანეთს დიალექტიკურად უკავშირდება. ავტორი ჩვენ წინაშე წარმოჩნდა როგორც უშუალო წყაროებზე დამკვირვებელი დიდად ნიჭიერი და გემოვნებიანი შემოქმედებითი ნატურა; მაგრამ ზვიად გამსახურდიას ნიჭმა და უნარმა უფრო შთამბეჭდავად გაიბრნებინა რუსთველოლოგიის ასპარეზზე. ამის თაობაზე ქვემორე მოგახსენებთ.

* * *

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების განსაკუთრებულ სფეროს ყოველთვის შეადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა. თავდაპირველად იგი შეეხო პოემის ინგლისურად შესრულებულ თარგმანებს და აქაც გვიჩვენა თავისი დაკვირვების სილრმე და საქმის საფუძვლიანი ცოდნა. ამ მხრივ საეტაპო მნიშვნელობა აქვს წიგნს „ვეფხისტყაოსნი ინგლისურ ენაზე“ („მეცნიერება“, 1984). აქ ერთობ ბევრი ძვირფასი დაკვირვება და მითითება გვაქვს როგორც თარგმანის თეორიის, ისე კონკრეტული საკითხების ირგვლივ. საგულისხმოა, რომ დედნისა და თარგმანის შედარება მკვლევარს საშუალებას

აძლევს, კარგად დაინახოს, თუ როგორ ესმით პოე-
მის ესა თუ ის ადგილი მთარგმნელებსა და მათს
ქართველ კომენტატორებს. აქ ავტორს ახსნის, გან-
მარტების, კომენტირების ფართო ასპარეზი ეძლე-
ვა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი ავლენს
ფართო ერუდიციასა და სიღრმისეული კვლევის
უნარს. შემთხვევითი როდია, რომ ეგ წიგნი დიდად
გასცდა თარგმანის შესახებ დაწერილი ნაშრო-
მის ფარგლებს და რუსთველის მსოფლმხედვე-
ლობრივი და ესთეტიკური პრობლემების დამა-
ჯერებელ ამხსნელ-განმმარტებლად იქცა არა
მარტო უცხოელთათვის, არამედ ჩვენთვის, ქარ-
თველ სპეციალისტთათვისაც. არც ის არის შემ-
თხვევითი, რომ „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველე-
ბის“ დაწერამდე ზ. გამსახურდიას წიგნებსა და წე-
რილებს შორის ეგ წიგნი ყველაზე პოპულარული და
სახელიანი გახდა მთელს საქართველოში; ისიც
გვახსოვს, ხელიდან ხელში თუ როგორ გადადიოდა
ამ გამოკვლევის პირველნაბეჭდი სასტამბო ფორ-
მების დასტები. მანამდე რამდენიმე წლით ადრე ავ-
ტორმა გამოაქვეყნა საინტერესო სტატია „რუს-
თველი და ანტონ კათალიკოსი“ (მაცნე, 1984, 1, 3,
4). ასევე ერთობ საინტერესო დებულებებია წარ-
მოდგენილი სტატიებში „ქალის კულტი „თამარიან-
სა“ და „ვეფხისტყაოსანში“ (მოამბე, 1985, 2) და

„თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ (მაცნე, 1987, 4). პირადად მე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კანონიკური ტექსტის მაძიებელ მკვლევარს, განსაკუთრებით მომწონს წერილი, რომელიც ჯერ „მაცნეში“ (1989, 4) დაიბეჭდა და შემდეგ „წერილებსა და ესე-ებშიც“ შევიდა. ეს არის „ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის“. აღნიშნული გამოკვლევა ზოგ მომენტში გზის მაჩვენებელი ნიშნულია თანამედროვე რუსთველოლოგისათვის. ამიტომაც მასზე დაწვრილებით ვიმსჯელებ. სავსებით ვეთანხმები, და ეს მეც მრავალგზის განმიცხადებია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ინტერპრეტაციაში „თავიდანვე ურთიერთს დაუპირისპირდა ორგვარი მიმართულება... მწერლური და მეცნიერული. მწერლურმა ინტუიციამ და მეცნიერულმა ანალიზმა მრავალი საკვანძო პრობლემა გადაწყვიტა, მრავალ ბუნდოვან საკითხს მოჰყონა ნათელი, მაგრამ, ამავე დროს, მწერლური დაუდევრობა და მეცნიერული პედანტიზმი ხშირად ხელისშემშლელად გვევლინებოდა ტექსტოლოგიური პრობლემების სწორად გააზრების გზაზე. იშვიათია მკვლევარი, რომელსაც მშვიდობიანად გაევლოს ამ სცილასა და ქარიბდას შორის“ (164). ჯერ ერთი, სწორია ზ. გამსახურდია, როდესაც ბრძანებს, რომ ვახტანგ მეექვსემ და „სწავლულ კაცთა“ კომისიამ ვერ მოახერხეს პოე-

მის თავდაპირველი სახის აღდგენა... „ჩვენ არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ ისინი ბევრით ვერ წავიდნენ წინ „ვეფხისტყაოსნის“ სხვა „მჩხრეკე-ლებზე“ და რომ მათი გამოცემაც ფაქტობრივად წარმოადგენს პროფანაციას „ვეფხისტყაოსნისას“ (166). მერმედ მკვლევარს საამრიგო აურაცხელი მაგალითი მოჰყავს ვახტანგისეული გამოცემიდან (167-170). უფრო უარესი საქმე დამართეს პოემას მე-19 საუკუნეში. ახლა იგი უკვე მე-19 საუკუნის პროკრუსტეს სარეცელზე გააწვინეს. ამ საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ პროფანაციამ გადააჭარბა ვახტანგის ეპოქისეულ პროფანაციას (171). ამის შემდეგ მკვლევარი გადადის თანამედროვე გამოცემების კრიტიკაზე და, როგორც ეს მეც არაერთხელ მივუთითე, ნიშანში განსაკუთრებით საიუბილეო გამოცემა აქვს ამოღებული. ეს ყველაფერი სწორია, ოღონდ აქვეა მოულოდნელი განცხადებაც: „სულ უფრო და უფრო იმარჯვებს კონიექტურული მეთოდი, რომლის გამოყენებაც, მართალია, ხშირად დიდ საფრთხესთანა დაკავშირებული, მაგრამ ეს არის ერთადერთი გამოსავალიო“ (171). ამ დებულებას კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ. პირიქით, ბოლო დროის გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ აკად. ა. შანიძის კონიექტურული მეთოდი სავსებით მცდარია, არც ერთი კონიექტურა არ მარ-

თლდება. გამტყუნდა მ. წერეთლის, მახათაძის, პ. კეკელიძის კონიექტურები. რაც დროს გადის, თანდათან ნათელი ხდება, რომ კონიექტურული მე-თოდი ყოვლად მიუღებელია. სამაგიეროდ, სავსე-ბით სწორია, როცა აღნიშნავს, რომ ე.ნ. „საიუბი-ლეო“ გამოცემაში გაიმარჯვა ენათმეცნიერულმა მიდგომამ, რამაც განაპირობა, რომ ეგ გამოცემა უკან გადადგმული ნაბიჯიაო (172). სწორია ისიც, რომ 1957 წლის გამოცემა სხვებთან შედარებით სრულყოფილი და უფრო სანდოა (172). ამ მეთოდს მან მარჯვედ უწოდა „მცოცავი ემპირიზმი“. მკვლე-ვარი მხარს უჭერს ფორმებს **დაჯედ** (და არა „და-ჯე“), მკერდამდის (და არა „ქვე მკრდამდის“), „**გეს-მას ჩემი ნაუბარი**“ (და არა „გესმის ჩემი ნაუბა-რი?!“), **მომიგონებდე** (და არა „მამიგონებდე“); ასე-ვე მართებულია მოსაზრება, რომ რუსთველი, რო-გორც ესთეტი, ყოველთვის ერთნაირად არ დაიცავ-და **ჰ და ს პრეფიქსების ხმარების წესს**, რადგან, გარდა გრამატიკულისა, ამ საშუალებას ექსპრესი-ის გადმოცემის პოეტური ფუნქციაც აკისრია. კარ-გად შენიშნავს ზ.გამსახურდია: „ზოგიერთს იმგვა-რად წარმოუდგენია საქმე, თითქოს რუსთველს „ვეფხისტყაოსნის“ წერისას წინ ედო გრამატიკის სახელმძღვანელო და გრამატიკულ კანონებს უფარდებდა თავის ლექსს. რუსთველს ძალზე თა-

ვისებური მიდგომა აქვს გრამატიკული კანონები-სადმი; გოეთესეული გაგებით ახასიათებს „მიმ-ძლავრება ენის მიმართ“, ოღონდ ამ კანონების დარღვევა ხდება არა უმეცრების, არამედ ზედმი-წევნითი ცოდნის საფუძველზე. მაგალითად, არც ერთი გრამატიკული კანონით არ არის გამართლე-ბული არსებითი სახელის ხმარება ზედსართავი-სათვის დამახასიათებელ შედარებით ხარისხში. რუსთველთან კი ვხვდებით გამოთქმას „აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი“. „დესი“ აშკა-რა დარღვევაა გრამატიკული კანონისა“ (177). ამის შემდეგ მოყვანილია საიუბილეო გამოცემის მცდა-რი ფორმები და იქვე ნაჩვენებია მართებულიც (177-189). გასაზიარებელია მსჯელობა პოეტიზმებ-ზედაც. ამ აუარება მაგალითს აქ ვერ დავატევ. ხა-ტოვნად აღვნიშნავ: ჩემი კუთვნილი წიგნის აღნიშ-ნულ გვერდებს თუ ვინმე გადახედავს, შენიშნავს სინგური მელნით გამოყვანილ პლუსებს, თითქოს-და სამოთხის მტრედებს გაევლოთ და თეთრ ქა-ლალდს წითელი ფეფების ნაკვალევი ასჩენოდეს. სავსებით მისაღები და სარწმუნოა მსჯელობა პოე-მის სტროფიკაზე: „საიუბილეო გამოცემის დიდი ნაკლია ის, რომ იგი არის ფაქტობრივად შემოკლე-ბული გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“. მასში გამო-ტოვებულია უმნიშვნელოვანესი სტროფები და აგ-

რეთვე „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რაც ყოვლად გაუმართლებელია. მაგალითისათვის გამოტოვებულია მაჯამის ხელოვნების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო სტროფი 403 (292).

კაცმან ვით ჰპოვოს, ღმრთისაგან რაც არა დანაბადია,
მით გული ჩემი სახმილმან ან ასრე დანაბა დია,
კვლა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს ბადე და ნაბადია,
ან ლხინთა ნაცვლად სოფლისა ჩალა მაქვს და ნაბადია“.

თუ ამ სტროფის ამოღებისას გამომცემელნი იშველიებდნენ იმ არგუმენტს, რომ სტროფში ნახ-სენებია სიტყვა „ნაბადი“, რომელიც უცხო უნდა ყოფილიყო ინდოეთის ყოფისათვის და მით უფრო ინდოთ მეფისათვის, ჩვენ მათ შევახსენებთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არაბეთის სპასპეტი ავთანდილი ქართულად მეტყველებს და არის „ყმა ტკბილი და ტკბილქართული“. ასე რომ, ამავე ლოგიკით უნდა ამოგვეღო ცნობილი 710-ე სტროფიც. ასეთი მიდგომა კი ძალზე შორს წაგვიყვანდა. საიუბილეო გამოცემაში ამოღებულია აგრეთვე ამის მომდევნო 305 (293) სტროფი:

„მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით სახითა ერთით მზითა
ორი მისი მოწყალება დღესცა მომცა ამა გზითა,
პირველ, შეჰყურის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,
კვლა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა
ანაგზითა“.

ეს სტროფი უმნიშვნელოვანესია რუსთველის მსოფლიმხედველობის სწორად გაგებისათვის. აქ ფიგურირებს „სახე ერთი მზე“, ანუ ძე, ლოგოსი, როგორც მზე, რაც საბოლოოდ აპათილებს ზოგი-ერთი ვაიმეცნიერის მტკიცებას, თითქოს რუსთველი იყო არა ქრისტიანი, არამედ სოლარული წარ-მართი“ (184-185).

ეს მოსაზრება დრომ გაამართლა: 1988 წლის აკადემიური ტიპის გამოცემაში სტროფი „მაგრა ღმერთმან მოწყვალემან“ შეტანილია.

ასევე დიდფასია მკვლევრის ნათელზე უნათლე-სი მოსაზრება პოემის დაბოლოებაზე. „დაუშვებე-ლია ინდო-ხატაელთა ამბის ამოღება „ვეფხისტყა-ოსნიდან“. ინდო-ხატაელთა ამბის ორგანული კავ-შირი „ვეფხისტყაოსანთან“, უწინარეს ყოვლისა, მტკიცდება იმით, რომ ეს არის **ნოსტოს** „ვეფხის-ტყაოსნისა“, ანუ გმირების დაბრუნება **სამშობლო-ში**, რაც აუცილებელი კომპოზიციური ინგრედიენ-ტია ყველა მნიშვნელოვანი ანტიკური თუ შუასაუ-კუნეობრივი პოემისა“ (185).

ამ ღირებული მიგნების დადასტურებაა ის, რომ 1988 წლის გამოცემამ უკვე შეიტანა პოემაში სადა-ვო მონაკვეთიც. უნდა ვთქვა: ეს მოხდა კ. ჭიჭინა-ძის, შ.ონიანის, ზ. გამსახურდიას ძალისხმევით. ჩემს წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტრო-

ფები“ (1991) ძველთან ერთად უამრავი ახალი არ-გუმენტი არის წარმოდგენილი „ინდო-ხატაელთა ამბის“ სასარგებლოდ, რითაც კიდევ ერთხელ და-დასტურდა: მართებული იყო ზ. გამსახურდია, რო-დესაც **ნოსტოსის** თვალსაზრისი განავითარა. აქ მას ნიჭიერებასთან ერთად შეენია ფართო განსწავ-ლულობა შეუა საუკუნეთა ლიტერატურის სფეროში. აუარებელ მსხვილმან და წვრილმან საქმიან შენიშ-ვნასთან ერთად ორიოდე მძიმე შეცდომაც მოს-ვლია მკვლევარს აღნიშნულ გამოკვლევაში და სა-ჭიროა ამის აღნიშვნაც. საიუბილეო და სხვა გამო-ცემებში გვაქვს 879-ე სტროფის ტაეპი: „უბოროტო ვის ასმია, რაცა **კარგი საეშმაკო**“. ზ. გამსახურდია წერს: უმრავლეს ხელნაწერშია „კარგი საეშმაკო“, რამდენიმეში – „საქმე საეშმაკო“. ამიტომ კომისიამ სიმრავლეს გაუწია ანგარიში და „კარგი საეშმაკო“ დატვა. როგორ შეიძლება, რუსთველს საეშმაკო კარგად შეერაცხა? (174). ამიტომ უნდა ვალიაროთ „საქმე საეშმაკოო“. სინამდვილეში ამგვარი მიდგო-მა მიუღებელია. ვ. ნოზაძემ უთუმცაოდ დაამტკი-ცა: **კარგი** რუსთველის დროს ნიშნავდა აგრეთვე წესს, რიგს, კატეგორიას. მაშასადამე, სავსებით სწორია თქმა: „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი (წესი) საეშმაკო“ – საეშმაკო რიგის, კატეგორიის რაც არის, ის უბოროტო ვის გაუგონიაო?! მე მქონ-

და შესაძლებლობა უურნალ „რელიგიის“ ფურცლებიდან გამეკრიტიკებინა ამ გამოკვლევის კიდევ ერთი დებადი. ზ. გამსახურდია ასე მსჯელობს: პოემაში ავთანდილი **ბროლ-მინა** საცნობარია. ბროლ-მინა გონების სიმბოლოა. ავთანდილი გონებას მისდევს და ამიტომაა **მინა**, ესე იგი, სარკე. ტარიელი კი გრძნობას არის აყოლილი და ამიტომაც მასზე არსად წერია **მინააო** (186-188). ამ იდეაზე შემდეგ მთელი თეორიაა აშენებული. სინამდვილეში ყველაფერი ეს გაუგებრობაზეა დაფუძნებული და ასე შორს წასვლა საჭირო როდია. საკითხი უმარტივესად წყდება: პოემაში ტარიელს, ფრიდონს არასოდეს არ უწოდებს ავტორი ბროლ-მინას, სამაგიეროდ, ბროლ-მინაა თინათინი, ნესტანი, ავთანდილი. რატომ მოქაცა ავთანდილი ქალთა მწერივში? იმიტომ, რომ ფრიდონი და ტარიელი არიან ასაკოვანნი და ამის გამო „წვერგამო“ (წვეროსანი) ვაჟკაცები. ამიტომ ისინი სახით მინა ვერ იქნებიან. სამაგიეროდ, ქალებს არა აქვთ წვერი და ისინი მინები არიან. ავთანდილიც ბროლ-მინაა, ვინაიდან „ჯერთ უწვერულია“, პირტიტველა ყმაა, ასაკით ყველაზე უმცროსია. აი, თუ რატომ არის იგი „ბროლ-მინა საცნობარი“. ეს არის ამ გამოთქმის მთელი „ფილოსოფია“. მაგრამ სწავლულის, როგორც რუსთველობოგის, მთელი ძალმოსილება და თავისებურება

სრულყოფილად გამოვლინდა საგანგებო წიგნში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, რომლის შესახებაც დაწვრილებით მომდევნო სტატიაში მოგახსენებთ.

* * *

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ვკითხულობთ სტროფს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სახეთა სამყაროს კარის ერთგვარი გასაღებია:

ოდესაც ბრძენმან როტორმან, შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,
ლექსი, რუსთვლისებრ ნათქვამი, მე სხვისა ვერ ვნახეო და.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირველი და მესამე ტაეპები, რომელთა აზრითაც, რუსთველს ალეგორიულად, იგავურად დაუწერია პოემა, რომელშიც სათქმელის შტოებია საჩინო, ხოლო ძირი კი – ღრმად დამალული; რაც მთავარია, პოემა ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა. ესე იგი, საერო კაცი მოარხევდა ამ სამოთხის ხეს თუ სასულიერო, ორივეს შესაფერის და საჭირო ნაყოფს მიაწვდიდა. ეს იდეა – რომ ვეფხისტყაოსანი ერთდროულად საერო ქმნილებაც არის და სასულიეროც, ვახტანგ მეექვსის სამეფო კარზე შემუშავდა თვით ღვთივურთხეულის მეთა-

ურობით. ამაზე მეტყველებს პოეტი-მეფის „თარ-გმანება“.

„ვეფხისტყაოსნის“ ორივე ეს მხარე („ღვთიანიც და კაციანიც“ – დ.გურამიშვილის ტერმინია) ქარ-თველ მეცნიერთა ფართო და ღრმა კვლევის საგანი იყო და არის, ოღონდ აღვნიშნავ: უფრო კარგად, მე-ტის სისავსით დამუშავებულია პოემის „კაციანი“ ნაწილი, „ღვთიანი“ კი – შედარებით ნაკლებად. ეს გასაგებიც უნდა იყოს: საბჭოთა ხელისუფლების წლებში პოემის საერო-ადამიანურ მომენტებს მეტი ყურადღება მიექცა, ხოლო ღვთაებრივ-ტრანსცენ-დენტური მიიჩქმალა. და, ამ მეორე თვალსაზრისით თუ რამ გაკეთდა (და ძალიან ბევრი რამეც მოხერ-ხდა), ეს გაკეთდა საზღვარგარეთ. მხედველობაში მაქვს ვიკტორ ნიზაძის გმირული გამოკვლევები, განსაკუთრებით კი ორი მათგანი – „ვეფხისტყაო-სანის ღმრთისმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება“.

ჩვენს სამშობლოში, საქართველოში, ცხოვრება ისე წარიმართა, რომ შემუშავდა ერთი ამგვარი კო-მუნისტურ-დიქტატორული წესი – უცხოეთში მოღ-ვანე მეცნიერთა მიღწევანი უფრო შთამბეჭდავად არამც და არამც არ უნდა გამოჩენილიყო, ვიდრე საბჭოეთში მომუშავე მკვლევართა გარჯილობა. ამიტომაც თუ იყო: ვიკტორ ნიზაძის წიგნებს არ

იყენებდნენ, კრძალავდნენ, ფიზიკურადაც ანადგურებდნენ.

რა ხდება ამ მხრივ ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“?

ამთავითვე უნდა ითქვას: ავტორი აგრძელებს ვიკტორ ნოზაძის მიერ ჩამოყალიბებულ ტრადიციას და მართებულად იქცევა, როცა წინამორბედი მკვლევრის მსგავსად თავის წიგნს „სახისმეტყველებას“ უწოდებს. რაც შეეხება კომუნისტური მეცნიერების მიერ შემუშავებულ ტრადიციას, როდესაც ავტორის დაუსახელებლად ითვისებდნენ ემიგრანტი მკვლევრის მიგნებებსა და იდეებს, იგი დარღვეულია: ვ. ნოზაძე სათანადო ადგილებში ჯეროვნად არის მითითებულიც, დაფასებულიც.

მწერლობის მთავარი საკითხი სწორედ სახის, ლიტერატურული ხატის პრობლემაა. ამ უმთავრესი პრობლემის გადაჭრა ვისაც მოუწადინებია, მას, უდავოა, ყურად უნდა ელო პოემის „ორგემაგე“ ბუნების შესახებ არსებული თვალსაზრისები. ზვიად გამსახურდია ასეც იქცევა: ვახტანგ მეექვსის, დაგურამიშვილის, კ. კეკელიძის, ვ. ნოზაძისა და სხვათა კვალდაკვალ, მათ მყარ მეცნიერულ პოსტამენტზე მდგარი, პოეტისეულ მხატვრულ სისტემას ალეგორიულ-სიმბოლური თვალსაზრისით იკვლევს და ამ ძიებისას ფართოდ იყენებს დღესდღე-

ობით მეტად აქტუალურ ტიპოლოგიური კვლევის მეთოდს: ზვიად გამსახურდიას წიგნში ქართული პოემის ცალკეული სახეობრივი ორნამენტი თუ ამბავი, ამბის ფრაგმენტი თუ ეპიზოდი შედარებულია შესაბამისი პერიოდის ევროპულ რომანებთან, სპარსულ და ინდურ პოემებთან. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს გაკეთებულია მიზნობრივად, არა ფართო ცოდნისა და განსწავლულობის სადემონსტრაციოდ. არადა, ასეც რომ ყოფილიყო, არაფერი დაშავდებოდა, ვინაიდან თვითონ დიდებული ვიკორ ნოზაძე აღიარებს ერთგან: „განვაგრძე თავიდანვე ჩემ მიერ განზრახ არჩეული გზა – ყველა საკითხის გარკვევისათვის შეძლებისამებრ დამეხვავებინა ყველა მასალა, რომლის მიხედვით რომელიმე დებულება ან ცნება უნდა გამორკვეულიყო. ასეთი მუშაობის შედეგია ის მოვლენა, რომ გარეშე მასალა ხშირად თვით ვეფხისტყაოსნის მასალას სჭარბობს, – და, თუ ამას ნაკლად დასახავენ, მისი ღირსება ის მაინც არის, რომ მკითხველს შეუძლია თავის თავად სხვა და სხვა პარალელურ საკითხსაც გაეცნოს, – ეს არც ჩემთვის იყო საზიანო და არც მკითხველისათვის უნდა ჩავთვალოთ მავნებლად“ („ღმრთისმეტყველება“, 5).

სანამ კონკრეტულ საკითხებზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთი ზოგადი სახის შენიშვნა: ვ. ნოზაძე თა-

ვის ფუნდამენტურ „ღმრთისმეტყველებაში“ პოემის საღვთისმეტყველო ცნებებს, ალუზიებს, ალეგორიულ-სიმბოლურ თქმებს, სახე-ხატებსა და ფრაზებს გამოწვლილვით იხილავს და, ვინც ამ ნაშრომს ახლოს იცნობს, აუცილებლად დაებადება კითხვა: ამ მხრივ სათქმელი რაღა უნდა დარჩენილიყო? მაგრამ, როგორცა ჩანს, „ვეფხისტყაოსანი“ ის უძირო ზღვა-ოკეანეა, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უცნაურსა და გამოუცნობს გვთავაზობს, ხოლო, ჩაძიებული ნიჭიერი მკვლევარი სწორედ ამგვარ იდუმალ და გამოუცნობ მოვლენებში მრავალ საგულისხმო რასმე მოიძიებს.

და, თუ ამ ორ წიგნს შორის პარალელს გავავლებთ, ზოგადი დასკვნა ასეთი იქნება: „ღმრთისმეტყველების“ ავტორი მყარად დგას ნიადაგზე, პოემის საღვთისმეტყველო მომენტებს ქვევიდან შესცერის და ისე იკვლევს; „სახისმეტყველების“ ავტორი კი უფრო „შეფრთინვით“ დაჰუართატებს თავს ამ სულიერ საუნჯეს და მის იდუმალ შრეებს გვაცნობს.

„ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიული პლანის გახსნისა და განმარტების მიზნით მკვლევარი იძიებს ალეგორიული მხატვრული მეთოდის ევოლუციას ანტიკასა და შუა საუკუნეებში და ამ პოსტამენტზე შემდგარი ლოგიკურად უახლოვდება პოემის ალეგო-

რიულ-სიმბოლურ სახეობრივ სისტემას. საკითხი-სადმი ამგვარი მიდგომა ლოგიკურია; ამის შემდეგ მეცნიერ-თეოლოგი მსჯელობს შუა საუკუნეებში ქა-ლის კულტსა და „ვეფხისტყაოსნის“ ქალის კულტზე; მონოგრაფიის მესამე თავში დაყენებულია საკითხი, რომ პოემაში არეკლილია წმ. გიორგის კულტი; მე-ოთხე თავში გაშლილია მსჯელობა ნაწარმოების გმირთა სახელების დაფარულ სიმბოლიკაზე; ბოლო, მეხუთე თავში, ძირითადია „რამაიანასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგიური ერთობის საკითხები.

ახლა კვლადაკვალ მივსდიოთ ავტორს და ვნა-ხოთ, თუ რა მიღწევებსა და ხარვეზებზე შეიძლება საუბარი.

ზვიად გამსახურდიას აზრით, თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობა მიიჩნევს, რომ მითოსსა და მეტაფორაში მუღავნდება ლიტერატურის და-ნიშნულება და ფუნქცია (მეტაფორა აქ ნახმარია მისი ფართო გაგებით). აქედან გამომდინარე, „ვეფ-ხისტყაოსნის სახისმეტყველების შესწავლა... გუ-ლისხმობს პოემის ფაბულისა და სიუჟეტის, მისი მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგო-რიულ ინტერპრეტაციას...“ (5).

ავტორი ფიქრობს, რომ თავად რუსთველი გვე-საუბრება ჩვენ „ალეგორიული საღვთო პოეზიის“ დანიშნულებაზე. მოყვანილია სტროფი –

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან,
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცთა პხვდებიან,
მართ მასვე ჰპაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

და ნათქვამია: „იგი გვამცნობს, რომ „მას ერთსა მიჯნურობასა“ (ე.ი. საღვთო მიჯნურობას, პირველ მიჯნურობას) „ჭკვიანნი“ (ე.ი. ამსოფლიურ ინტელექტზე დაყრდნობილი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ საზეო ხედვისა და წვდომის უნარი) ვერ მიჰხვდებიან, ვერ ეზიარებიან, ვინაიდან იგი ტრანსცენდენტურია, მათი გაგებისა და გამოცდილებისათვის მიუწვდომელია“ (6). რამდენადაც ადამიანთა უდიდესი ნაწილი ამგვარ „ჭკვიანთაგან“ შედგება, ღვთის საიდუმლოების საწვდომად რუსთველმაო მას საგანგებო ხიდი გაუდო, ადვილგასავლელი და მისაწვდომი – აირჩია ალეგორიული, იგავური მეტყველება, შეაქო „ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცთა ხვდებიან“. ესე იგი, აღწერა ამქვეყნიური, ჩვენთვის ადვილგასაგები სიშმაგე-სიყვარული, ოღონდ ისეთი კი, რომელიც სიძვა კი არ არის, არამედ ბაძავს საღვთო მიჯნურობას: „მართ მასვე (პირველსავე, ღვთაებრივ სიყვარულს) ჰპაძავენ, თუ „არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

მკვლევარი ფიქრობს: „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიის მეორე გასაღებიც „დავითიანშია“ – „ქერქი

გაფცევენ, განაგდე, შიგნით გულს კი – შტამდეო!“

ამრიგად, გურამიშვილისეული გასაღებით, რუსთველმა თავის საღვთისმეტყველო სათქმელს (გულს) გარედან ადვილგასაგები და ადვილშესამ-ჩნევი ქერქი (ამქვეყნიური სიყვარულის ამბავი) შე-მოახვია. მკითხველის ვალია, დაინახოს არა ეს ქერ-ქი, არამედ შინაგარსი – მთავარი სათქმელი; მისი ვალია, დაინახოს არა მეორეხარისხოვანი, არამედ მთავარი და პირველხარისხოვანი.

აღნიშნულ კონტექსტში ზვიად გამსახურდიამ ორივე ხელი ჩასჭიდა კ.კეკელიძის შემდეგ დებუ-ლებას: „ქრისტიანულმა ნეობლატონიზმმა და სუ-ფიზმმა რელიგია მიიყვანეს იმ ლოგიკურ დასკვნამ-დე, რომ სიყვარული და მიჯნურობა ღვთისადმი, რასაც ის მოითხოვს, არის სიყვარული და მიჯნუ-რობა ადამიანისადმი. ამ ნიადაგზე შესაძლებელი შეიქმნა სპარსულ ლიტერატურაში წარმოშობა იმ უდიდესი და უსრულესი სატრანსლატო-სამიჯნურო პოეზიისა, რომელიც ქალ-ვაჟთა თავდავიწყებულს, შმაგ სიყვარულში გულისხმობს ღვთაებისადმი სიყ-ვარულს. ასეთ რამეს ადგილი უნდა ჰქონდეს ვეფ-ხისტყაოსანშიც“ (10).

ამის შემდეგ განხილულია ბასილ დიდის, არეო-პაგელის, ანტონ პირველისა და სხვათა მოსაზრება-

ნი პოეზიის საღვთისმეტყველო დანიშნულებაზე, რასაც რუსთველიც ეთანხმებაო (17).

ამრიგად, რუსთველი ცდილობს ორივე გზით შეიმეცნოს სამყარო: სასულიერო-რელიგიურ-ღვთისმეტყველურითაც და საერო-საკაცობრიო გზითაც. აქედან წარმოდგებაო მისი პოეზიის „ორგემაგე“ ბუნება. აღნიშნული მიდგომის საფუძველს ქართველი თეოლოგოსი ხედავს პლატონის კონცეფციაში ორი სამყაროს შესახებ, „რომელთაგან ერთი სინამდვილეა, მეორე კი – მოჩვენებითობა, წარმავლობა. აქედანვე მიმართება მოდელსა (სახე-სა) და ხატს შორის, „რამეთუ წარვალს ხატი იგი ამის სოფლისაი“... ამასვე ეფუძნება გოეთეს ცნობილი სენტენცია: „ყოველივე წარმავალი სიმბოლოა მხოლოდ“. ეს დუალისტური კონცეფცია არის საფუძველი ალეგორიული თეორიისა: რამდენადაც ხილული სამყარო წარმავალი ხატია ზენა სამყაროსი, იგი მხოლოდ მიახლოებით ასახავს, ბაძავს პარადიგმატულ სამყაროს, რომლის შესაცნობად და გასაგებად მეორე სამყაროს სიმბოლოები და ალუზიებია საჭირო“ (2).

ამრიგად, აქედან ძნელი აღარაა იმის მოაზრება, რომ პოემის ამბავიც, სახეებიც, ტიპებიცა და მათი სიყვარული – ყოველივე ეს არის სიმბოლო, ხატი, რომელიც დასანახავი „შრტოა“, რომელსაც ფიზი-

კური თვალი ხედავს, ხოლო მათ მიღმა „ღრმა ძირებს“ ჭვრეტს გონების თვალი.

და აქ ჩვენს თეოლოგოსს საშუალება ეძლევა მარჯვედ და მოგებიანად გაგვიმარტოს რუსთველის ტერმინი „კაცი ვარგი“.

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი.
სალმრთო, სალმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის
დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.

ზვიად გამსახურდია ასე მსჯელობს: ვეფხისტყაოსნის ამბავს, გმირთა მოძრაობას, ამ ამბისა და მოძრაობის გარეგნულ, შრტოვან მხარეს ყველა მისწვდება, ოღონდ მის დაფარულ, სიღრმისეულ, ძირისეულ არსს მხოლოდ „კაცი ვარგი“ – რჩეული, ადეპტი ჩახვდებაო.

ამრიგად, პოეზია საღვთოდ გასაგონია (გასაგებია – თანამედროვე აზრით); მხოლოდ ღვთისმეტყველნი მისწვდებიან მისი ნამდვილ არსს, ოღონდ აქაც, საერო, საამქვეყნო ცხოვრებაშიც, არიან ზოგნი, რომლებიც მართებულად გაიგებენ მის არსს.

ალეგორიული მეთოდის ევოლუციის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ემყარება როგორც ბიბლიურ წიგნებს, ისე ღვთისმეტყველთა და მკვლე-

ვართა თვალსაზრისებს; აქ განხილულია ალეგორიათა სახეები, მათი ძირეული შინაარსების მოდიფიკაცია და ბოლოს გამოტანილია მკაცრი დასკვნა: „ალეგორიას მოკლებული პოეზია და ლიტერატურა – შიშველი ფაქტოლოგიაა, რომელსაც კერძოს განზოგადების უნარი არ გააჩნია და ამის გამო ვერ სცილდება ემპირიულ სინამდვილეს“ (32).

აღნიშნული ნარკვევის იდეა, ალბათ, ასე გამოიხატება: ძველი ალეგორიები და მითები გვიჩვენებენ სულის ისტორიას – მის ჩამოსვლას, ჩამოქვეითებას მატერიალურ სიბნელეში, ტანჯვას გამოსყიდვის მიზნით და კვლავ აღზევება-აღმაღლებას ღვთაებრივი ცხოვრების წიაღში (49). ყველაფერი ეს მკვლევარს მითოგემის უფრო სხარტი სქემით აქვს გამოხატული: „დაკარგვა – ძებნა – პოვნა“ (53). არ შეიძლება, აქ არ მოგვაგონდეს სახარების ცნობილი აფორიზმი – „ეძიებდე და ჰპოვებდეო“.

რა თქმა უნდა, ალეგორიის ასპექტით მკვლევარი ბევრ რასმე საგულისხმოს ეძიებს და კიდეც პოვებს ძველ აღთქმაში, განსაკუთრებით უხვად – ახალ აღთქმაში. აქ მეტად საჩინოა „სიძისა“ და „სძლის“, აგრეთვე „ქორწინების“ ალეგორიები.

ერთადერთი, რაიც ვიკტორ ნოზაძის „ღმრთისმეტყველებაში“ ჩემს წინააღმდეგობას იწვევდა, გახლავთ „ვეფხისტყაოსანში“ ქალის კულტის უარ-

ყოფა და რაოდენ სასიამოვნოდ დამრჩა, როდესაც ბატონი ზვიად გამსახურდია მონოგრაფიის მონაკვეთში – „შუასაუკუნეობრივი ქალის კულტი და ვეფხისტყაოსანი“ - არ იზიარებს ემიგრანტი სწავლულის საეჭვო დებადს და საკუთარ დებულებას გვთავაზობს, რომ პოემა იცნობს ქალის კულტს. ამ მხრივ, ახალი ძიებების შემდგომ, ზ. გამსახურდია იზიარებს კ. კეკელიძის, ალ.ბარამიძისა და სხვათა საამრიგო მოსაზრებებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ქალის კულტის არსი რომ მართებულად გახსნას, მკვლევარი შორს მიდის (ძალიან შორსაც კი!). იგი ჯერ მსჯელობს ქალის რელიგიური თაყვანისცემის საღვთისმეტყველო წანამდლვრებზე. მისი მსჯელობით გამოდის, რომ **სულინმინდაში** სუბლიმირებულია ქალი. სულინმინდა ღვთაების ფემინისტური ჰიპოსტასია. აქედან მოდისო შუა საუკუნეთა ქალის კულტის კავშირი ქრისტიანობასთან. ასე მივიღეთ ქრისტიან მწერლებში წმ. მარიამის („სანტა მარია“) კულტი, რაც საბოლოოდ მარადქალურობის, მიუწვდომლის, საოცნებო სიწმინდისა და მამაკაცური ლტოლვის სიმბოლო-საგნად იქცა. ამ საოცნებო, მიუწვდომელ **მარიამსა** თუ მის სახეცვლილ **მერის** კი ერთობ ეტრფოდნენ იტალიასა თუ საფრანგეთში, ინგლისსა თუ რუსეთში. ლიტერატურული მარიამ-მერიანა-

სადმი ლტოლვამ გამოძახილი პოვა გალაკტიონის პოეზიაშიც, სადაც მერის ციკლის ლექსები უნდა წარმოვიდგინოთ მსოფლიო მერიანას ქართულ ფრაგმენტად.

„ამრიგად, მედიევისტების საერთო დასკვნით, წმ. ქალწულის კულტი, რომელიც იგივე ღვთის კულტია მარადქალურობის ასპექტში, აირეკლა ტრუბადურულ პოეზიაში, რომლისთვისაც მიჯნური ალეგორიულად ღმერთს განასახიერებს“ (78).

შემდეგ მკვლევარს მოჰყავს ორი უმთავრესი დებადი:

1. „ტრუბადურულ პოეზიაში უმთავრესია შეყვარებულებს შორის ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობა. ამასთანავე, როგორც წესი, დამა სიუზერენია, მიჯნური კი – ვასალი. ვეფხისტყაოსნის ორივე მთავარი გმირი ქალი სიუზერენია თავისი მიჯნურისა“...

2. „მიჯნურის დეეფიკაცია, მისი გაღმერთება, ღვთაებად წარმოსახვა ახასიათებს როგორც ტრუბადურებს, ასევე რუსთველს“.

და აქ მკვლევარს საამისო მაგალითად მოჰყავს პოემის ადგილი, სადაც ველად გაჭრილი ავთანდილი ლოცულობს, „იაჯს“, „იაჯს“ სულიერი მზისადმი, იმ მზისადმი, რომელიც პოემის სხვა ადგილებში მისთვის მიჯნურს, თინათინს, განასახიერებს:

**მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჟფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!**

ქალის დეეფიკაციის, სატრფოს განღმრთობის ამ ტრუბადურულ წესს კიდევ უკეთეს რუსთველურ მაგალითს მოუძებნიდა მკვლევარი, მას რომ მხედველობიდან არ გამორჩენოდა „ახალგაზრდა ივერიელში“ (11.09.89) დასტამბული ერთი ჩემი სტატია, სადაც გაშლილია მსჯელობა რუსთველოლოგთაგან უსამართლოდ მიჩქმალულ სტროფზე, რომელშიც ავთანდილი პირდაპირ უწოდებს თინათინს თავის ღმერთს. აი, ეს ჩემ მიერ აღდგენილი გენიალური რუსთველური სტროფი – „ცად არი“.

იტყვის, თუ: „ჩემი ხელმქმნელი, ღმერთო, მზეა და ცად არი,
ვინ პირი მსგავსად მის მზისა შექმენ და შეა-ცა-დარი,
უმისოდ სულდგმულობასა, სულო, ვით შეეცადარი,
ვა, სიცოცხლისა სოფელმან აროდეს არ დამცა დარი“.

ზორად გამსახურდიას მიერ განვითარებულმა თეორიამ კიდევ ერთი ახალი საბუთი მომცა აღნიშნული სენსაციური სტროფის კანონიკურ ტექსტად ცნობისათვის, ხოლო, თავის მხრივ, ეს სტროფი მასაც ერთ ახალ მყარ არგუმენტსა სძენს.

ტრუბადურული სიყვარულისა და ვეფხისტყაოსნური სიყვარულის შედარებისას მკვლევარი ბრძანებს: აკად. ალ. ბარამიძემ ყურადღება მიაპ-

ყრო ერთ უაღრესად არსებით განსხვავებას ამათ შორის. კერძოდ, იმას, რომ რაინდულ რომანებში ფიგურირებენ გათხოვილი ქალები, რომელთა მიმართ მიჯნურობა ადიულტერულია, ვეფხისტყაოსანი კი უმღერის ქალწულისადმი სიყვარულსო. ეს მოხდა 1966 წელს. სინამდვილეში უფრო ადრე ამის თაობაზე მიუთითა ვ.ნოზაძემ (1965 წელს). სხვათა შორის, წიგნის 88-ე და 89-ე გვერდებზე ეს უზუსტობა გასწორებულია. იქვე (გვ. 84) ავტორი ასე აგრძელებს თავის მსჯელობას: „მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგში რუსთველი ავლენს მიჯნურობას თამარისადმი, გათხოვილი ქალისადმი“. ეს კი, რუსთველური კონცეფციით, ყოვლად შეუძლებელია, დაუშვებელია. აი, თუ რატომ: ჯერ ერთი, რუსთველის მიჯნურობის კოდექსით, მიჯნურს ერთი უნდა უჩნდეს სამიჯნურო, გული ერთსა დააჯეროს, მისგან კიდე ნურა უნდა; კუშტი მოხვდეს თუ ქუში, ბოლომდე უნდა გაიტანოს. ამ კონცეფციის ქმრიანის მიერ (ვთქვათ, ფატმანის მიერ) დარღვევა აღიქმება მრუშობად, ხოლო უცოლოს მიერ – სიძვად. სიძვამრუშობას კი მგოსანი სასტიკად კიცხავს, თათხავს: მიჯნურობა სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიო.

მეორეც, „პროლოგში რუსთველი ავლენს მიჯ-

ნურობას თამარისადმი“ – არის ინერცია, მომდინარე ქართული ლიტერატურის მკვლევართა ერთი საყოველთაო და საბედისწერო შეცდომისაგან. საქმე ის არის, რომ 1989 წლამდე ყველა ქართველ მეცნიერსა თუ უბრალო მკითხველს ეგონა: ცნობილი სტროფი –

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის პმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ,
მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი –

გამოხატავსო რუსთველის მიმართვასა და სიყვარულს თამარ მეფისადმი. ასეთ ვითარებაში მართლაც შეიძლებოდა გვესაუბრა პოეტის ინტიმურ გრძნობებზე ქმრიანი ქალის მიმართ, ესე იგი, ადიულტერულ სიყვარულზე. ოღონდ, ვთიქრობ, 1989 წლის უურნალ „სკოლა და ცხოვრების“ პირველ, მეორე და მესამე ნომრებში დასტამბული ნარკვევის „მართალი სიტყვა ვეფხისტყაოსნის პროლოგზე“ შემდეგ ნათელი გახდა, რომ საძიებელ სტროფში სულაც არ იგულისხმება თამარი. აქ საუბარია ინდოთა ჯარის პატრონ ტარიელზე.

ვისაც „პმორჩილობს ჯარი სპათა“, ანუ ინდოთა ჯარი, ეს გახლავთ არა ქალი თამარი, არამედ რაინ-

დი ტარიელი. მაშასადამე, **სტროფი ეხება ავტო-**
რის გრძნობებს საკუთარი ცენტრალური პერსო-
ნაჟისადმი. შემთხვევითი როდია, რომ სტროფი
მოსდევს სტროფს, სადაც ტარიელი სახელდებით
არის ნახსენები – „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის
ცრემლი გვდის შეუშრობილი“. ამ ფრაზის შემდეგ
უკვე ტარიელზეა საუბარი. თამარზე საუბარი კი
ავტორმა დაასრულა III, IV, V სტროფებში (იქაც,
სხვათა შორის, არა „ინტიმური“, არამედ პატრონ-
ყმური სიყვარული გამოუცხადა მას). ამის შემდეგ
კი თამარს იგი პროლოგში არსად აღარ გულის-
ხმობს. მკვლევარებს მანამდე არც იმისათვის მიუქ-
ცევიათ ყურადღება, საკამათო სტროფის III ტაეპში
რა წერია: „დავუძლურდი, **მიჯნურთათვის** კვლა
წამალი არსით არი“. მე, ავტორი, რუსთველი, იმან
დამაუძლურა, რომ **მიჯნურებისათვის წამალი**
არსით ჩანსო. სიტყვაში „მიჯნურთათვის“ მეცნიე-
რები ჯიუტად ხედავენ ცნებას „მიჯნურობა“. სი-
ნამდვილები კი – არაფერი მსგავსიც! რუსთველი
მკაფიოდ განარჩევს „მიჯნურობა“ და „მიჯნურთა“
ცნებებს. ერთი სხვაა, მეორე – სხვა, შუა უზის დი-
დი ზღვარი. ვინც ამ ზღვარს არ დაინახავს, საბე-
დისწერო შეცდომა მოუვა.

მაშ, ვის გულისხმობს სიტყვა „მიჯნურთათ-
ვის“? რაღა თქმა უნდა, ტარიელსა და ნესტანს. მათ

ერთმანეთი ვერ უნახავთ, ვერ მოუძებნიათ და ეს მწუხარება ავტორსაც მსჭვალავს, გულს უკლავს, აუძლურებს.

აღნიშნული თვალსაზრისით, 1989 წლის დამდეგს გამოქვეყნებული „მართალი სიტყვა ვეფხისტყაოსნის პროლოგზე“ შემობრუნებაა რუსთველოლოგიაში. როგორცა ჩანს, „სახისმეტყველების“ ავტორს აღნიშნული ნარკვევიც მხედველობიდან გამოჰკიცარვია.

ამრიგად, სავსებით სწორი და უნივერსალურია ვ. ნოზაძის, ხოლო შემდეგ აღ. ბარამიძისა და სხვათა დაკვირვება, რომ „ვეფხისტყაოსანს“ მსჭვალავს არა ადიულტერული, არამედ ამაღლებული წმინდა სიყვარული ქალწულისადმი და, თუ სადმე სხვაგვარი სიყვარულია ნახსენები, უნდა ვიცოდეთ: იგი გახლავთ ან პატრონულური, ან მეგობრული, ან კი-დევ – დედობრივ-მამობრივი...

ასე რომ, თუმცა სრულიად ვეთანხმები მკვლევარს, როცა აცხადებს: „რუსთველისათვის ხორციელი სიყვარული იყო ანარეკლი, მიბაძვა საღვთო სიყვარულისა“, ვერაფრით გავიზიარებ აზრს, რომ ამგვარი ხორციელ-ინტიმური ვნება ჰქონდეს ანდა გასჩენდეს თამარის მიმართ (სხვათა შორის, ამაზე სიტყვის გაგონებაც კი არ ეწადა ვაუა-ფშაველას, იხ. მისი სათანადო სტატია).

მეცნიერი მეცნიერად არ ვარგა, თუ გამბედაობა აკლია. ამგვარ შემართებას ეხედავ, როდესაც წიგნის 87-ე გვერდზე ვკითხულობ: რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველია არეოპაგიტული თეოლოგიისა და სუფიზმის ორგანული სინთეზიო.

მართლაც, რუსთველი ორივე ნაკადს ზედმინევნით იცნობდა და არც შეიძლებოდა, ისინი არ შეერწყა თავის პოეზიაში. ამას უტყუარი მაგალითებით ადასტურებს „სახისმეტყველების“ მთელი წიგნი.

მრავალი საგულისხმო დაკვირვება და ზოგჯერ უდავო მიგნებაც დასტურდება ნარკვევში „სუფისტური მიჯნურობა და ვეფხისტყაოსანი“. ადგილის სიმცირის გამო შემოვიფარგლები მათი მხოლოდ აღნუსხვით. სუფისტური ლიტერატურისა და ვეფხისტყაოსნის ტიპოლოგიური ელემენტების დადგენით ზოგჯერ უფრო ნათდება ქართული პოემის ესათუ ის „ძნელი“ ან „ბუნდოვანი“ საკითხი, ვიდრე ტრადიციული კვლევის გზით. ამიტომაც ერთობ მნიშვნელოვანია ქართველი თეოლოგის მიერ იბნ არაბის „მიჯნურთა საუნჯის“ ანალიზი. ზვიად გამსახურდია გახაზავს ამ პოეტის შემდეგ მსჯელობას: „ამ ლექსებში მე მუდამ მივანიშნებდი მკითხველს სულიერ მისტერიებზე და ეთიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებზე. მაგრამ ამ ამაღლებული

აზრების გადმოსაცემად მე გამოვიყენე მიჯნუ-
რობის ენა, ვინაიდან კაცთა გონება უფრო მეტად
არის მიღრეკილი ამგვარი სამიჯნურო ამბების
სმენისაკენ და მათ უფრო მეტად მიიზიდავდა ჩე-
მი სიმღერების საგანი“.

ამ შემთხვევაში მეცნიერს აღარ გახსენებია მის
მიერვე სხვა დროს დროულად მოხმობილი „დავი-
თიანი“. მე ვაცხადებ: ზუსტად ამავე აზრებს თით-
ქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით დავით გუ-
რამიშვილის ლექსებშიც (ადგილის სიმცირის გამო
აქ მათ ვერ მოვიყვან).

წიგნში ალაგ-ალაგ მენტორულ ლაიტმოტივად
გაისმის იდეა: სუფისტი პოეტების მიერ აღწერილმა
სენსორულმა გრძნობებმა არ უნდა გვაფიქრები-
ნოს, რომ აქ მართლა ხორციელ და ფიზიკურ მოვ-
ლენებზე იყოს საუბარიო და ამის კლასიკურ მაგა-
ლითად მკვლევარს მოჰყავს ომარ ხაიამი: „მსოფ-
ლიოში დღემდე შემორჩა ლეგენდა, თითქოს ხაიამი
ლოთი იყო, ქალების მოყვარული, თითქოს იგი
„ლვინოში ჩაიხრჩი“ და სხვა. ამგვარი ვერსიების
გამავრცელებლებმა არ უწყოდნენ, რომ „ლვინო“
ხაიამთან, ისევე როგორც სხვა სუფისტებთან, მე-
ტაფორაა ეზოთერული საიდუმლო მოძღვრებისა,
ხოლო ყურძენი – გარეგანი, ყველასათვის მისაწ-
ვდომი ეგზოთერული მოძღვრებისა; რომ მისი მე-

ტაფორული „სიმთვრალე“ აღნიშნავს სუფისტის ექსტატურ მდგომარეობას მისტიური წვდომის გზაზე, ხოლო ქალი, მიჯნური შერთვის ობიექტის, ღვთაების, სიმბოლოა და ა.შ. ამგვარმა მკითხველებმა არც ის უწყიან, რომ ხაიამი ცხოვრებაში იყო უკიდურესი ასკეტი, რომ მას არასოდეს დაულევია ღვინო, რომ იგი იყო... მკაცრი სუფისტი“ (108).

შემდეგ მკვლევარი ასე მსჯელობს: „ამრიგად, დღევანდელ მსოფლიოში არსებობს ორი ხაიამი. თვითეულ მათგანს ჰყავს თავისი მკითხველთა წრე, თავისი მრევლი. ერთი, ნამდვილი ხაიამი არსებობს სპარსული ენისა და სუფიზმის მცოდნეთათვის, განათლებული სპეციალისტებისათვის, რომელთაც ხელეწიფებათ მისი ტროპული მეტყველების გაშიფრვა, მისი პოეზიის ჭეშმარიტი საზრისის ამოცნობა, ხოლო მეორე ხაიამი, ფიცჟერალდისა და სხვა მთარგმნელთა მიერ შექმნილი, ღვინისა და ქალების მოტრფიალე, არსებობს ხაიამის კლუბებისათვის, ჰედონისტი სტუდენტებისათვის, რომელთაც არც კი სურთ ნამდვილი ხაიამის შესახებ რაიმეს ცოდნა, ვინაიდან იგი მათთვის ბოჰემისა და ჰედონიზმის კერპად ქცეულა“ (109).

თუ რაოდენ მართალია ზემომოყვანილი მსჯელობა, ამას ქართული ლიტერატურის ერთი ნიმუშის ორგვარი გაგების მაგალითზე ცხადვყოფ.

ყველას ახსოვს დ. გურამიშვილის გენიალური ლექსი „ზუბოვეა“. კომუნისტურ-მატერიალისტური იდეებით შეიარაღებულ მკვლევრებს ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო წიგნში დღესაც უწერიათ, რომ ავტორის მიერ აღნერილი ქალი („ზუბოვკიდან მომავალმა ვნახე ერთი ქალი...“) არისო რეალური დიაცი, უკრაინელი ქალი და გურამიშვილი პირველი ქართველი პოეტი, ვინც ქართულ ლიტერატურაში უკრაინელი ქალი შემოიყვანაო. და ეს მაშინ, როცა, თუ ზვიად გამსახურდიას გამოთქმას მოვიმარჯვებთ, „ქალი, მიჯნური, შერთვის ობიექტია, ღვთაების სიმბოლოა“.

ახლა ვნახოთ, ლექსის ბოლოს თუ რანაირად მიმართავს გურამიშვილი ამ „უკრაინელ ქალს“:

ან, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;
გეაჯები, ნუ გამწირავ, ნამიყვანე მანდა!

კიდევ მეტი, ეს „ქალი“ რომ ღვთაების სიმბოლოა, პირდაპირ გახლავთ მითითებული სხვა სტროფში:

ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით
გაბასრულსა.

ახლა ერთი ეს მიბრძანეთ, რომელ „უკრაინელ ქალს“ ხელენიფება ჭაობიდან, ამქვეყნიურობის ტლაპოდან ღვთის სასუფეველში ჩვენი აყვანა?

როგორცა ვხედავთ, ზვიად გამსახურდიას წიგნის ეს დებულება არა ოდენ „ბნელ“ კონკრეტულ პრობლემებს გვირკვევს, არამედ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელო დებულებადაც გამოგვადგება.

ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია „სახისმეტყველების“ ავტორის დებადი (გვ. 109): ზოგს ვეფხისტყაოსანი ხორციელი, სქესობრივი, მიწიერი სიყვარულის ჰიმნი ეგონა და ამიტომაც იძახდა: არ ჩახედოთ მაგ წიგნს, თორემ, თუ მღვდელი ხარ, გაპარსული დარჩებიო. მხოლოდ ზიგიერთს ესმოდა მისი არსი ზუსტადო (ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი, მ. ბროსე...).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „თამარ მეფის კულტი „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“. სავსებით დამარწმუნებელია მსჯელობა ქალის კულტის საფუძვლებზე საქართველოში. შემდეგ ნაჩვენებია თამარის კულტი „აბდულმესიანსა“ და ჩახრუხაძის ქმნილებებში, მახვილგონივრულია დაკვირვება: „შავთელი გვაძლევს კატაფატიკისათვის დამახასიათებელ პოზიტიურ ატრიბუტებს ღვთისას, ხოლო ჩახრუხაძე, რუსთველის მსგავსად, აპოფატიკურ ატრიბუტებს... შავთელთან აპოფა-

ტიკის ნატამალსაც არ ვხვდებით მაშინ, როდესაც თამარიანი უმეტესწილად აპოფატიკის პრინციპებზეა აგებული, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანი, რაც განამტკიცებს ვარაუდს ამ ორი პოემის ერთი და იმავე ავტორისადმი მიკუთვნებისას“ (140). (ამ დებულების წამოყენებისას ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული, რომ „აბდულმესიანის“ ის ტექსტი, რომელზეც მსჯელობს ზ. გამსახურდია, გახლავთ ი. შემოქმედელის „ქება მეფისა არჩილისა“ – მ. თავდიშვილის შენიშვნა).

ამრიგად, ზვიად გამსახურდიამ კვლავ განაახლა ოდესლაც ნიკო მარისა და სხვების მიერ წამოყენებული დებულება, რომ „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის ერთი კაცი – რუსთველი. ვჩეარობ მკითხველს ვაუწყო: მკვლევრის ის არგუმენტები, რომლებიც ჩახრუხაძე-რუსთველის იდენტურობას ამტკიცებს, განეკუთვნება თეოლოგოსის სფეროს და დამარწმუნებელია. აღნიშნული მტკიცება პირადად მე სასიამოვნოდ დამირჩა, ვინაიდან ჩემს „დაფანტულ სტროფებში“ ჩახრუხაძე-რუსთველის იდენტურობაზე ვსაუბრობ, ოღონდ ჩემი საბუთები მოხმობილია პოეტიკა-სტილისტიკის სფეროდან.

„სახისმეტყველების“ ავტორი საუბრობს „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ფარულ კავშირზე.

ამ ფარულ კავშირს იგი ხედავს „თამარიანის“ ჩარ-თულ ელეგიასა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. აქვე ვიტყვი: „თამარიანსა“ და პოემას შორის ფარულ, საიდუმლო კავშირზე მეც ვმსჯელობ, ოღონდ ეს ფარული ერთობა მე დავინახე ორი ქმნილების სტროფიკაში. ზ.გამსახურდიას აზრით, ელეგიაში მოცემულია პოემის მთელი ზოგადი სიუჟეტი. „ელეგია, როგორც ჩანს, შექმნილია იმ პერიოდში, როდესაც ვეფხისტყაოსანი ჯერაც არ იყო დაწერილი, როდესაც პოეტს მხოლოდ ჩანაფიქრი ჰქონდა მისი ერთგვარი ესკიზების, ფრაგმენტების სახით. შესაძლოა, მას მოფიქრებული ჰქონდა მხოლოდ ჩონჩხი სიუჟეტისა... ჩართულ ელეგიას... შეიძლება ენოდოს ერთგვარი პრელუდია ან უვერტიურა ვეფხისტყაოსნისა“ (146).

წიგნის ავტორმა, შემიძლია ვთქვა, სათქმელი წარმტაცა, როდესაც შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში „თამარიანის“ მოუხსენებლობის საკითხს. ამ პრობლემაზე იგი ჩემთვის სასურველ და ახლობელ პასუხს იძლევა: „თამარიანი არის იგივე „ქებანი“, რომელსაც რუსთველი თვითონ ახსენებს პროლოგში: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“; ხოლო ეპილოგის ინტერპოლატორული ბოლო სტროფის ავტორისათვის, ეტყობა, კარგად იყო ცნობილი, რომ „ქებანი“ რუსთველისაა და,

რაკილა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ უფრო მნიშვნელოვან ნაშრომად მიაჩნდა, რუსთველისადეს მთავარი ნაშრომი მოიხსენია, მით უფრო, რომ ჩამოთვლის პრინციპი ამგვარია: დასახელდეს თითო ავტორის თითო ნაშრომი.

ნარკვევში „ვეფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის კულტი“ თუნდაც ყველაფერი არ იყოს მისაღები და ყველა დებულება უდავოდ დამტკიცებულად არ გვეჩერებოდეს, ერთს მაინც ვერ ავუვლით გვერდს: მასში ბევრი მნიშვნელოვანი დაკვირვება გვხიბლავს. ეს ის დაკვირვებებია, რომელთა არსებობა ძველი ქართული ლიტერატურის კვლევას მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს. ასეთია, მაგალითად, ჰაგიოგრაფიული მოთხოვნის გმირის მიერ ბავშვობაშივე გამოვლენილი სიკეთენი, რაც სარაინდო რომანებშიც გადავიდა. ავტორის აზრით, წმინდა გიორგის კულტი სასულიერო ფეოდალთა წრეში ჩაისახა და გაძლიერდა, ხოლო ჭაბუკთა, ანუ მოყმეთა, კულტი – საერო ფეოდალურ წრეში. მკვლევარს წმინდა გიორგის კულტი მიაჩნია რაინდობის კულტის წინაპირობად და საფუძვლად. ესეც საგულისხმო დებადია! კარგია დაკვირვება, რომ წმინდა გიორგის კულტმა ჩვენში დიდი რეზონანსი იმიტომ შეიძინა, რომ იგი გამოხატავდა მებრძოლებრისტიანიზმს, ხოლო მებრძოლი ქრისტიანიზმი

ქართველი კაცისათვის ერთობ ახლობელი გამოდგაო. და აქ უნებლიერ გვაგონდება აკაკის პერსონაჟი კათალიკოსი, რომელიც თორნიკე ერისთავს ასე ამუნათებს:

ნუთუ შენ მართლა რამე გვონია
ცარიელ სიტყვით ლვთისა დიდება?..
გასავრცელებლად ქრისტიანობის
საკმაო არის, დიახაც, ჯვარი,
მაგრამ მის მტრების მოსაგერებლად
ხშირად გვჭირდება ხმალი და ფარი.

მკვლევარი დაასკვნის: „ქრისტიანული მორჩილება და სათნოება მათთვის (ქართველთათვის) განუყოფელი იყო გიორგისეული შემართებისაგან ბოროტების ძალთა წინააღმდეგ. ქართულ ქრისტიანობასაც ამიტომ ეწოდა გეორგიანობა“ (174).

შემდეგ წიგნის ავტორი იკვლევს საკითხს – წმ. გიორგი ქართულ მითოლოგიაში და ასე იმზადებს ნიადაგს, რათა დააყენოს პრობლემა – წმ. გიორგის კულტის გამოძახილი „ვეფხისტყაოსანში“.

შეიძლება მავანს ნაკლებად დამაჯერებელი ეჩვენოს, მაგრამ, ვთიქრობ, მაინც საინტერესოა სამი გმირის – ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის წმ. გიორგის ჰიპოსტასებად წარმოსახვა. წიგნში მოყვანილია ტაეპები:

**მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმა არს მისცეს სულთა
ლხენა?**

სამთა ფერთა საქებელთა ჰლამის, ლექსთა უნდა ვლენა.

„ვინ არიან ეს „სამნი ფერნი“? ეს არის სამება, უწინარეს ყოვლისა, სამი „ფერი“ ანუ „პირი, ჰიპოსტასი, სახე... და სამების ანარეკლი, სამსახოვანი წმ. გიორგი, რომელიც პოემის სამ გმირშია განპიროვნებული... ვაუთა სამეულიც (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი)... გამოხატავენ კონკრეტულად მთავარანგელოზთა სამეულს (მიქაელი, რაფაელი, გაბრიელი) და აგრეთვე სამსახოვან წმ. გიორგის. ამიტომ უწოდებს მათ რუსთველი „სამთა ფერთა საქებელთა“ (186).

წიგნის ამ ნაწილში გვხვდება ორი უზუსტობა. 211-ე გვერდზე ტარიელის შესახებ ნათქვამია, რომ ის „უცხოა“, „უცხოელია“. არა, ტარიელი რუსთველს უცხოელად კი არ გამოჰყავს, არამედ „უცხოდ“, ესე იგი, საკვირველ, საოცარ მოყმედ. „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე“ იმას როდი ნიშნავს, რომ უცხოელმა, უცნობმა კაცმა გააკვირვა როსტევანი, არამედ იმას, რომ **უცნაურმა, საკვირველმა** რაინდმა გააოცა. სხვათა შორის, „უცხო“ რომ უცნაურსა და საკვირველს ნიშნავს, ამას თვითონ როსტევანი განმარტავს, როდესაც მოგვიანებით თავის ქალიშვილს ეუბნება: „უცხოსა და საკვირველსა ყმა-

სა რასმე გარდვეკიდე“ . რუსთველისათვის ჩვეულებრივია სინონიმური სიტყვების ერთდროული მოხმობა. აქაც იგივე ვითარებაა. „უცხო“ და „საკვირველი“ იდენტური ცნებებია.

ნაშრომის 215-ე გვერდზე საუბარია პოემაში ნახსენებ „მოლზე“ . ავტორს „მოლი“ ჯადოსნური ბალახი ჰგონია, აღნიშნული სიტყვის მცდარი გაგებისათვის ვიკეტორ ნოზაძემ სასტიკად გააკრიტიკა აკად. კ. კეკელიძე, რომელსაც „მოლი“ იგივე „მოლიდი“ (მულიდი), ანუ ასასენი (განდგომილი მაჰმადიანი ტერორისტი), ეგონა. ემიგრანტმა მკვლევარმა საგანგებოდ გამოიძია ეს სიტყვა და იგი შესანიშნავად განმარტა, როგორც თელილი – ნაბადი, ბენვიანი მოსასხამი. ჩემი მხრივ დავუმატებ: თვით პოემაშივეა ახსნილი, რომ ეს „მოლი“ ბენვიანი ნაბადია. ფატმანმა ნესტანისათვის მისართმევად თავის გრძნეულ მონას წერილი გაატანა.

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა.

ეგ მონა-ზანგი ნესტანთან შევიდა. აქ კი ვკითხულობთ შემდეგს:

**შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი,
ტან-ნაბდიანი.**

აი, თურმე, რა წამოუსხამს მას ტანზე.

მკვლევარი ბრძანებს: მოლი უძველესი სიტყვა უნდა იყოსო. ალბათ, ასეა, ოღონდ უძველეს დროში და რუსთველის ხანაშიც მას ჰქონდა ბეწვიანის, თელილის, ნაბდის მნიშვნელობა, ხოლო მომდევნო ხანებში მიენიჭა მეორე მნიშვნელობაც – ბალახის გაგება.

ჩვენს მეცნიერებაში დავით სოსლანის ღვაწლი და მნიშვნელობა, ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებებში შემორჩენილი მისი სახე მიჩუმათებული და დამცრობილია. ამის თაობაზე არაერთხელ განმიცხადებია ჩემს სტატიებში. საგულისხმოა, რომ „სახისმეტყველების“ ავტორი არღვევს ჩვენი მკვლევრების ამ უნესო წესს და აკად. კ. კეკელიძიდან დაწყებული ყველა იმ მეცნიერს აკრიტიკებს, რომლებიც ამცრობენ და აკნინებენ დავით სოსლანს (219-224).

„ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების სიმბოლიკაში“ ავტორი საინტერესოდ მსჯელობს სახელთა სიმბოლოსა და ტაბუირების წესებზე. აქ მოხმობილი ყველა მაგალითი სარწმუნოა. კარგი იქნებოდა და სურათიც უფრო დასრულებული გამოვიდო-

და, მკვლევარს ვ. ნოზაძის ერთი დაკვირვება რომ დაეკავშირებინა აღძრულ საკითხთან. ემიგრანტმა მეცნიერმა შენიშნა, რომ პოემაში გმირები ერთმანეთს სახელებით არასოდეს მიმართავენ. მიმართვის სახე ამგვარია: მზეო, ლომო... ეს მაგალითი პოემის რელიგიური სარჩულის დასამტკიცებლად კიდევ მეტად გამოადგებოდა ავტორს, რომელსაც შესანიშნავად მიუგნია და გამოუყენებია მოსეს ათი მცნებიდან ერთ-ერთი: „არა მოიხსენო სახელი ღვთისა ამაოსა ზედა“ (239).

სახელთა პირველადი მნიშვნელობის ძიებისას ზოგჯერ ნაკლებად სარწმუნო დაკავშირებებიც ხდება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მაინცდამაინც ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი და თინათინია დაკავშირებული მაღალსა და ღვთაებრივთან, რადგან ყველა სახელი რაღაც კარგსა და ღვთაებრივს ნიშნავდა ძველად. ეს სრულიად ბუნებრივიც არის. როდესაც ადამიანს ძე ან ასული უჩნდებოდა, ცდილობდა მისთვის ღვთაებასა და კარგთან, დადებითთან დაკავშირებული სახელი შეერჩია. ასე რომ, ალბათ სახელთა 95 პროცენტი მხოლოდ კარგსა და კეთილთან არის დაკავშირებული. წიგნის ამ ნაწილში მახვილგონივრულად არის გამოძიებული ვაჭრისა და **მარგალიტის** ურთიერთობის პრობლემა პოემასთან დაკავშირებით (288).

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა თამაზ ჭილაძის „ვარდის ფურცლობის ნიშანი“, რომელშიც რუსთველს ბევრი რამ ისეთი მიენერება, რაიც მას არც კი უფიქრია. ამიტომაც არის: ამ ნაშრომში როსტევანი გამოყვანილია ბოროტების სიმბოლოდ, ფატმანი კი – უწმინდეს ანგელოზად. არ შეიძლება ქვეტექსტის გადამეტებული ძიება იქ, სადაც ამგვარი რამ სრულიად არ იგულისხმება. ამის მსგავსად ჩემს შენიშვნას იმსახურებს „სახისმეტყველების“ 334-ე გვერდი, სადაც საუბარია წესტანის მამიდა დავარზე: „საკითხავია, დავარი, ინდოეთის მეფის და, რად იყო ტარიელის მოსისხლე მტერი?“ – ასე აყენებს საკითხს ავტორი და პასუხსაც იძლევა: „იმისა გამო, რომ იგი იყო ქაჯეთის ფარული აგენტი ინდოეთის კარზე და, სარგებლობდა რა თავისი ძმის, ფარსადან მეფის, ახლომხედველობით, აპამდა შეთქმულების ქსელს მისი მეფობის წინააღმდეგ“.

ამგვარი მსჯელობა მკრეხელობაა. ასე ხომ იქამდე მივალთ, ერთხელაც იქნება და დავარი კრემლის აგენტად წარმოგვიდგება, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის სავარძლის ამაო მაძიებლები – „დავარ ქაჯის“ შვილიშვილებად და ტერორისტებად!

დიახ, ამ გზით ნამეტანი შორს წავალთ და არ

ივარგებს. მით უმეტეს, რომ ეგ მსჯელობა ზოგი-ერთ უზუსტობაზეა დამყარებული. ვერ გავიზია-რებ მოსაზრებას, რომ დავარი ქაჯია. არამც და არამც! ის გახლავთ ფარსადან ინდოთ მეფის მკვიდრი დაი, რომელიც ოდესლაც ქაჯეთში ყოფი-ლა გათხოვილი, შემდეგ დაქვრივებულა და ძმის სახლში დაბრუნებულა. როგორც დიდად განათლე-ბულსა და ასტროლოგს (ვინ გრძნებითა ცაცა იცის) ძმამ ასულის განათლებისა და აღზრდის საქმე მი-ანდო. მასაც ეს მისია ბრწყინვალედ შეუსრულებია. პოემის შემდგომი მსვლელობიდან ირკვევა: მას აღუზრდია სათნო, სიკეთით აღსავსე, ულამაზესი, გონიერი, ბრძენზე ბრძენი უსპეტაკესი ასული. ეს ერთი; მეორეც: კითხვას, რატომ იყო ტარიელის მო-სისხლე მტერიო, ასეთ პასუხს გავცემ: საქმე ის არის, რომ დავარსაც ისე, როგორც სამეფო კარის ყველა წარმომადგენელს, მართებულად მიაჩნდა მეფის, იმავე მიწიერი ღმერთის, ბრძანება და ნება-სურვილი, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო იგი. მათი აზრით, „ღმრთისა სწორი“ არსების ბრძანება გადა-უბრუნებლად უნდა შესრულდეს. დავარი არის პატ-რონის ნების უსიტყვო აღმსრულებელი და სავსე-ბით მართალია, როდესაც თავის პატრონს ერთგუ-ლად ემსახურება. იგი იმდენად ერთგულია მეფისა, რომ სასტიკად დასაჯა თავისი აღზრდილი ხელმწი-

ფის უნებური საქმის ჩადენისათვის. დასჯის მომენტში იგი იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში და ვეღარ მოზომა, ხოლო, როდესაც გონის მოეგო, მიხვდა, რა საშინელი საქმეც ჩაიდინა (ნესტანის გადაკარგვა) და შეინანია – „დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“.

ასეთია ჩემი მოსაზრებები ჩვენი ეროვნული საუნჯის სახისმეტყველების საკითხებზე შექმნილი დიდად საგულისხმო მონოგრაფიული გამოკვლევის ირგვლივ. ზვიად გამსახურდია ურთულესი პოემის ურთულეს საკითხებს შესჭიდებია; შებმია საკითხებს, რომელთაც მანამდე გაკვრითა და ირიბად თუ შეჰქედავდნენ ხოლმე მეცნიერები. ცუდად განხორციელებული თამამი მიზანი სიბრიყეა, კარგად ხორცებსხმული – სახელოვანი გამარჯვება. „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების“ ავტორის მიერ დასახული მიზნები ჯეროვნად არის რეალიზებული. ეს იმის ნიშანია, რომ ქართული მეცნიერების ისე პრესტიულ დარგს, როგორიცაა რუსთველოლოგია, გამოეღვიძა.

ზვიად გამსახურდიას მონოგრაფიულ გამოკვლევას რუსთველის სახეობრივ სისტემაზე ერთბაშად რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის წონა აქვს. ამიტომაც მე გახლდით პირველი, პრესაში რომ განვაცხადე: სათანადო სამეცნიერო საბჭომ

ავტორს, რომელიც ქართულ ფილოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის უკვე დიდი ხანია იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს, დაუცველად უნდა მიანიჭოს ეს საპატიო წოდება-მეთქი (იხ. გაზეთი „ლიტერატურა და სხვა“, 1991, აგვისტო). ამ მოწოდებას უკვალოდ არ ჩაუვლია – ხუთი თვის შემდეგ ზ. გამსახურდიას „ჰონორის კაუზას“ წესით მართლაც მიანიჭეს დოქტორის ხარისხი.

1991 წ.

ერთი საგულისხმო არგუმენტი

„ვეფხისტყაოსნის“ 1515-1516-1517 სტროფები (კ. ჭიჭინაძის გამოცემის მიხედვით) ბოლო აკადე-მიურ და სხვა გამოცემებში უგულებელყოფილია, ჩათვლილია ინტერპოლაციად, რადგან, რუსთვე-ლოლოგთა ფიქრით, ეს სამი პოეტური მონაკვეთი მოიპოვება ოთხი ძირითადი რედაქციიდან მხოლოდ ერთში (ხელნაწერი მე-17 საუკუნისა 4499) და უფ-რო გვიანდელ ხელნაწერ 461-ში. ჩვეულებრივ რუს-თველოლოგები ფრთხილობენ – ისინი არ სწყალო-ბენ იმგვარ სტროფებს, რომლებიც ოთხივე ძირი-თად რედაქციაში არა ჩანს. არადა ჯერ კ.ჭიჭინაძემ მიიჩნია მითითებული პასაუი პოემის ორგანულ ნა-ნილად. ამიტომაც თავის გამოცემაში კიდევაც შეი-ტანა; შემდეგ კი, 1981 წელს, მათი კანონიკურობა ცნო გურამ პეტრიაშვილმა: „ფატმანის და ავთან-დილის ურთიერთობას საკმაო ადგილი აქვს დათ-მობილი პოემაში, მაგრამ, როდესაც გამარჯვებუ-ლი გმირები დაბრუნდნენ ზღვათა მეფის სახელმწი-ფოში, ერთი სიტყვაც აღარაა ნათქვამი ფატმანისა და ავთანდილის ურთიერთობაზე. რატომაა ასე?“

„ვეფხისტყაოსანში“ იყო საჭირო სტროფი, რო-მელიც იმ კომისიამ ამოიღო და ტექსტში აღარც შემდეგ შეუტანიათ.

ფატმან ავთანდილს თვალითა ტკბილითა შემხედველია, ავთანდილ უთხრა: „მუხთალი სოფელი ეგრე მქნელია, აღარვისად მცალს უმისოდ, გული ვისთვისცა მწველია, ბრძენთა თქმულია, მოყვარე არ გაიშვების ძველია“.

სტროფის ჩანართობის არგუმენტად ალექსან-დრე ბარამიძემ მოიტანა ავთანდილის სიტყვები: „მუხთალი სოფელი ეგრე მქნელია“. მეცნიერის აზ-რით, ეს სიტყვები არ შეეფერება ავთანდილის მსოფლმხედველობას. მართლაც, ავთანდილის მოქმედება მთელი პოემის მანძილზე გვიხასიათებს კაცს, რომელიც „სოფლის სიმუხთლეზე“ წუნუნს არავითარ შემთხვევაში არ მოჰყვება.

მაგრამ განა სადმე ითქვა, რომ ავთანდილი წუნუნებს? ცხადზე ცხადია, რომ იგი მხოლოდ „თამა-შობს“ წუნუნს.

ავთანდილი ხომ თავიდანვე ატყუებდა ფატმანს და სავსებით გაცნობიერებულად. ეს ქალი მისთვის იყო მხოლოდ საშუალება საკუთარი მიზნის მისაღ-ნევად. ამიტომაც არ შეიძლება მას სინდისი არ ქენ-ჯნიდეს. ახლა ფატმანის წინაშე თავს იმართლებს და ამას აკეთებს ისე ბრძნულ-ეშმაკურად, როგორც ეს მხოლოდ მას შეუძლია. ჯერ იწყებს სოფლის გმობით - „მუხთალი სოფელი ესე მქნელია“. ესე იგი, მე კი არა ვარ დამნაშავე, ქვეყანაა ეგრე მოწყობილიო. მაინც როგორაა მოწყობილი ქვეყანაო?

როგორ და ისე, რომ, რადგან ერთი მიყვარს, სხვას ვეღარავის შევიყვარებო...

ამის შემდეგ ფატმანი და ავთანდილი აღარ ხვდებიან ერთმანეთს და ამ სტროფში მშვენივრა-დაა დასმული მათი ურთიერთობების ბოლო წერ-ტილი. სტროფი აუცილებლად უნდა აღდგეს ტექ-სტიში” (გურამ პეტრიაშვილი, როცა თქმა სჯობს არათქმასა, თბ., 1990, გვ. 329-330). და აი, სულ ახ-ლახან პროფ. ნ.ჭოლოკავამ ლიტერატურის თეორე-ტიკოსის თვალსაზრისი მიუყენა სადაც ადგილს. მკვლევარი გვიჩვენებს, რომ სიუჟეტის ლოგიკის ძალით ამ სტროფების აღდგენა აუცილებელია.

წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტრო-ფები“ (1991), რომლის ტენდენციაა უსაბუთოდ უარყოფილი სტროფების ავთენტურობის დასაბუ-თება და პოემაში შეტანა, აღნიშნული სამი სტრო-ფის თაობაზე არაფერია თქმული. რატომ? მკვლე-ვარ გ. პეტრიაშვილის მოსაზრებას მაშინაც ვიც-ნობდი, ის კიდეც მეტაშინიკებოდა, ოღონდ საკმაო საბუთად არ მეჩვენებოდა. ახლა კი, როდესაც პროფ. ნ. ჭოლოკავამ სიუჟეტური სტრუქტურის ას-პექტითაც აუცილებლად მიიჩნია სადაც ტაეპები, კიდევ ერთხელ ჩავეძიე მითითებულ პასაჟს და, ჩემდა გასაოცრად, ახლალა შევნიშნე ერთი უაღ-რესად მნიშვნელოვანი ხელჩასაჭიდი ფაქტი.

ზღვათა სამეფოში მოსულ გმირებსა და ნესტანს მელიქ-სურხავმა დიდი პატივი სცა, ტარიელ-ნესტანს ქორწილიც კი გადაუხადა, ყველა გულუხვად დაასაჩუქრა. დადგა მასპინძელთან გამომშვიდობების უამიც. აქ უკვე უნდა თქმულიყო საბოლოო შემაჯამებელი სიტყვა და იგი ეთქვა გმირთა შორის აღმატებულსა და უდიდესი სახელმწიფოს პატრონს, მეფეთ-მეფე ტარიელს. ასეც არის, მომყავს ეგ მონაკვეთი კ. ჭიჭინაძის გამოცემის ნუმერაციით:

1510. ტარიელ ფატმანს უბრძანა:

„მე თავი შენი მიდია;
დავ, გული შენი ჩემზედა
გარდაუხდელი დიდია.
ან რაცა ქაჯთა საჭურჭლე
ქაჯეთით ამიკიდია,
მომიცემია, წაიღე,
არ კიდე მომიყიდია“.

1511. ფატმან-ხათუნ თაყვანი სცა,

ჰკადრებს მადლსა მეტის-მეტსა:
„მე, მეფეო, შენი გაყრა
მიდებს ცეცხლსა დაუშრეტსა,
რა მოგშორდე, რა ვიქმნები,
მე დამაგდებ ვითა რეტსა,
ას, ნეტარძი მოახლეთა,
ვაგლას თქვენსა ვერამჭვრეტსა!“

1512. ზღვათა მეფესა ეტყვიან

ორნივე შუქთა მაფენი,
კბილნი ბროლნი და ბაგენი
სადაფთა მოსადაფენი:
უთქვენოდ მყოფთა არ გვინდა
ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი,
მაგრა გაგვიშვენ, უამია,
ნავიდეთ, ვართ მოსწრაფენი.

1513. შენ იყავ მამა მშობელი
და ჩვენი საესავიო,
მაგრა ამასცა ვიაჯით,
გვიბოძე ერთი ნავიო.
მეფემან ბრძანა: „არა მშურს
სამიწოდ თქვენად თავიო,
რათგან ისწრაფი, რა გკადრო,
ნა, გინინამძლვრდეს მკლავიო!“

როგორცა ვხედავთ, ყველაფერი დასრულდა. ტარიელმა ფატმანს ანგარიში (საქმიანიცა და სიტ-ყვიანიც) გაუსწორა და ამის შემდეგ ფატმანის ხსენებაც აღარ უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუკი რუსთველს ამ დიაცზე მეტი აღარაფერი აქვს სათქმე-ლი. ეს ლოგიკურია. თითქოსდა ასეც არის:

1514. მეფემან ნავი-ხომალდი
მოკაზმა ზღვისა კიდესა.
გამოემართა ტარიელ,
გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა,
თავსა იცემდეს, იგლეჯდეს
თმა-წვერსა, გაიყრიდესა;

მაგრამ აი, ბოლო სტროფის მეოთხე ტაქტში ავტორმა მოულოდნელად ისევ ამოატივტივა ფატმანის სახელი, კვლავ ჩამოაგდო სიტყვა უსენის მეუღლეზე –

**ფ ა ტ მ ა ნ ი ს ც რ ე მ ლ ი თ ა შ ე დ ე ნ ი თ
თ ვ ი თ ზ ლ ვ ა ც ა გ ა დ ი დ ე ს ა .**

ისმის კანონიერი კითხვა:

რაღა საჭირო იყო?

ზემორე ხომ თითქოსდა ყველაფერი ითქვა და დასრულდა?! ტარიელმა ქალს მადლობა გადაუხადა, საჩუქრით ყელამდე აავსო! ფატმანმაც მადლობა მოახსენა და თაყვანი სცა.

ვამტკიცებ: რუსთველს რომ კიდევ რაიმე სათქმელი აღარ ჰქონიდა ფატმანზე, 1514-ე სტროფის მეოთხე, ბოლო, ტაქტში მას აღარ ახსენებდა. რაკილა ახსენა, მაშასადამე, რაღაც სათქმელი კვლავ დარჩენია. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს: ავტორს ზემორე, თურმე, მთლიანად არ დაუმთავრებია დიდვაჭრის ცოლთან დაკავშირებით თავისი სათქმელი და სწორედ ეგ სათქმელია მოცემული საკამათო სამ სტროფში:

**1515. ფ ა ტ მ ა ნ ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს თ ვ ა ლ ი თ ა
ტ კ ბ ი ლ ი თ ა შ ე მ ხ ე დ ვ ე ლ ი ა ;
ა ვ თ ა ნ დ ი ლ უ თ ხ რ ა : „ მ უ ხ თ ა ლ ი**

სოფელი ეგრე მქმნელია;
აღარვისად მცალს უმისოდ,
გული ვისთვისცა მწველია.
ბრძენთა თქმულია: მოყვარე
არ გაიწირვის ძველია“.

1516. კვლა ფატმან ჰეკადრა სამთავე
სიტყვები დასათხოველი;
„ავთანდილისგან გამოვა
ქმნად საქმე კარგი ყოველი;
ნუ მოიშორვებთ, გიყვარდეს,
გაფიცო ღმერთი ცხოველი.
რათგან გმსახურეთ, რაც ვქმენით,
ცოდვად აღარას მოველი“.

1517. ტარიელ ბრძანა: „ჰე, ფატმან,
ჩემთვის ხარ კარგის გულითა;
შენ გაგვინათლე სიბნელე,
ვსხედით შუქ-დაკარგულითა;
ხარ ნიადაგმცა ყოვლითა
საქმითა საკარგულითა;
ვართ ჩვენის გულით შენისა
გულთანა დანერგულითა“.

მაშასადამე, ამ სამი სტროფის სიგნალი ავტორ-მა ჯერ კიდევ 1514-ე სტროფის მეოთხე ტაეპში მოგვცა: „ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა“.

შევამოწმე 1514-ე სტროფის მე-4 ტაეპის მარ-თლწერა სხვადასხვა ხელნაწერ ვარიანტში. სიტყვა „ფატმანის“ ყველგან შეუცვლელად გვხვდება (იხ.

აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის ვეფხისტყაოსანი,
ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966, გვ. 477).

დასკვნა: სადავო სამი სტროფი პოემაში აუცი-
ლებლად უნდა აღდგეს. ისინი ბოლომდე ასრულე-
ბენ ფატმანის პორტრეტს და ლოგიკურ წერტილს
უსვამენ მასთან ავთანდილ-ტარიელისა და ნესტა-
ნის რთულსა და მრავალწახნაგოვან ურთიერთო-
ბას.

1995 წ.

პედაგოგიური პოემა

1. „ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუს“

არც ერთი წიგნი საქართველოში ისე პოპულარული არ ყოფილა, როგორც „ვეფხისტყაოსანი“. ეს პოპულარულობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფეპოეტ არჩილ ბაგრატიონს, როცა თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ჩვენს საამაყო პოეტს ასე ათქმევინა:

„საქართველო სავსე არის,
ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუს“.

„ვეფხისტყაოსანში“ ქართველი ერი არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას ხედავდა, არამედ, უნინარეს ყოვლისა, ადამიანის ცხოვრების საზრისს, სულის, ზნეობისა და სხეულის წრთობის საშუალებას, უდიდეს პედაგოგიურ პოემას, ზნეთ-სწავლულობის თვალსაჩინო ნიმუშს. იგი საუკუნეთა განმავლობაში იყო საზომი ადამიანის კულტურისა, ოჯახის განათლებულობისა და განვითარებულობისა. ეს იყო ერთგვარი „საჯილდაო ქვა“, ლაკმუსის ქალალდი, რითაც პიროვნებისა თუ მთელი კოლექტივის კულტურის, სწავლა-განათლებისა და აღზრდილობის დონე იზომებოდა. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს ერთი ხალხური ისტორიული

ლექსი, რომელშიც შუშხუნა იუმორი სწორედ ისეთ ჩინჩლებსა ყრის, როგორც ჭურიდან ახალამოლებული შუშპარა ატენური ღვინო.

ქალი მყვანდა მშვენიერი,
თავმორთული, კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.
წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ,
თურმე, იყვნენ ვიროსანი,
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი“.

ყურადღება უნდა მიექცეს დადასტურებულ ფაქტს: შემორჩენილია რამდენიმე პატარძლის სამზითვო ნივთების ნუსხები, რომლებშიც პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წინა რიგშია დასახელებული, ვითარცა ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ნივთი. საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში ნორჩი თაობის აღზრდა ძირითადად დედაზე იყო მინდობილი და ეს უკვე ნათელსა ჰყენს, თუ რად იყო ესოდენ სასურველი სამზითვო ნივთი „ვეფხისტყაოსანი“. დედას ამ პოემის იდეებზე უნდა აღეზარდა შვილი, შთაეგონებინა მისთვის სიყვარული, მეგობრობა, სიმამაცე, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი... არა მარტო იდეურ-ესთეტიკური, არამედ აღმზრდელობით-პე-

დაგოგიური საჭიროებაც განაპირობებდა იმას, რომ ქმნილება ბევრმა ზეპირად იცოდა და დღესაც იცის. ცნობილია, რომ ეს ვეებერთელა, 1700 სტრო-ფიანი (16 მარცვლიანი ტაეპებით გაწყობილი) ნა-ნარმოები ზეპირად იცოდა მწერალმა ქალმა ბარბა-რე ჯორჯაძემ (გაზეთი „ივერია“, 1895, 77). ასევე ქართლიდან იმერეთში გათხოვილმა დიასახლისმა ვინმე შატბერაშვილის ქალმა (გაზეთი „დროება“, 1909 153). ამავე გაზეთის ცნობით, იგი ზეპირად იცოდა წერა-კითხვის უცოდინარმა ქრისტიანმა გომპარ კობიაშვილმა და წერა-კითხვის უცოდი-ნარმა მაჰმადიანმა ქართველმა უსეინბეგ ბეჟან ოღლიმ. არის გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ზოგიერთი ყმა-გლეხის ოჯახს საბატონო ბეგარად გაწერილი ჰქონია არა ნატურის გადახდა, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნა და მემამულის სურვილისამებრ ამა თუ იმ მონაკვეთის ზეპირად წაკითხვა. პოემის ზეპირმცოდნეობის ტრადიცია შეუნიშნავს მ. ვლადკინსაც: „ვეფხისტყაოსანი“ სა-მაგიდო წიგნი იყო და მას ზეპირად სწავლობდნენ“ (М. Владкин, путеводитель и собеседник в путешествии по кавказу. М. 1874 год. стр. 429). სა-ქართველოს მთავარმართებელი მიხეილ ვორონ-ცოვი გაოცებული იყო ფაქტით, რომ პოემა ბევრმა ზეპირად იცოდა (Акты собранные кавказской

археографической комиссии. 1885, г. X. стр. 881). аკაკი ნერეთელი მიუთითებდა: „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანას! საუკუნეების განმავლობაში დიდი და პატარა – ყველა იმას ეწაფებოდა: კაცები ტარიელ-ავთანდილობდნენ, ჰბაძავდნენ. ქალები ნესტან-თინათინობას ცდილობდნენ. მეფე და კარისკაცები როსტევან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს“ (მოთხოვიდან „ბაში-აჩუკი“).

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ნაწარმოების აქტუალობას მნიშვნელოვანნილად ის განსაზღვრავდა, რომ მას ჰქონდა აღმზრდელობითი მნიშვნელობა, იყო აღმზრდილობის, კაცური კაცობისა და ქალური ქალობის ნიმუში, მისაბაძი ღირებულებების შემცველი წიგნი. შემთხვევითი როდია, რომ მისმა პირველმა გამომცემელმა, ჰუმანური პედაგოგიური პოეზიის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა მეფე-პოეტმა ვახტანგ მეექვსემ თავის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში 1712 წელს სტამბურად პირველად დაბეჭდა პოემა, ხოლო სტამბის საჭიროებას ასე განმარტავდა: „ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“. ვახტანგ მეფე მის მიერ გამოცემულ პოემის ტექსტს ურთავს კომენტარებს, სადაც არაერთხელ მიუთითებს ნაწარმოების პედაგოგიურ მნიშვნელობაზე. ერთ-ერთ

კომენტარში კი აღნიშნავს: „რუსთველისა წიგნი სულ სასწავლებელი არის“ (შ. რუსთველი, „ვეფხის-ტყაოსანი“, ვახტანგ მეექვსის გამოცემა, 1712, აღ-დგენილი აკაკი შანიძის მიერ 1937 წელს. გვ. ტკ.). იქვე მეფე-კომენტატორი მეთოდურ მითითებას იძ-ლევა: „რაც ამას დაუწერია, თუ კაის გზით ისწავ-ლით, ერთს ოსტატად გეყოფათ“ (იქვე, გვ. ტმდ).

მაშასადამე, თუ წესიერად წაიკითხავთ და სწო-რად გაიგებთ, ერთ მასწავლებლობას გასწევს ეგ ნაწარმოებიო.

აღნიშნული ბევრად განსაზღვრავს იმას, რომ ტრადიცია გრძელდება – დღესაც გვხვდებიან (და საკმაოდ ბლომადაც) პოემის მოზეპირენი: ქ. რუს-თავში ცხოვრობს ტაქსის მძღოლი, რომელმაც ზე-პირად იცის იგი, ხოლო თბილისში მოღვაწეობს პო-ეტი შოთა ხოდაშნელი, პოემის სრული ტექსტის უზადო მცოდნე. სხვათა შორის, პოეტმა თავის ორ მცირენლოვან ვაჟს ზეპირად დასწავლა მთელი პოემა. მისივე ხელმძღვანელობით მუშაობს წრე, რომელშიც გაერთიანებული არიან პოემის მოზეპი-რენი. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ეძებენ და პო-ულობენ სხვა მოზეპირეებსაც, ანყობენ პოემის ზე-პირმცოდნეთა შეჯიბრება-კონკურსებს.

ეს ბუნებრივია, ვინაიდან ქართველების ეს უმ-თავრესი ძლვენი საკაცობრიო საგანძურში „ცხოვ-

რების მასწავლებელია, აღმზრდელია, თავისებური „ადამიანთმცოდნეობაა“ (გრიგოლ ბარამიძე, შოთა რუსთველი – მოზარდი თაობის აღზრდის სამსახურში, თბ., 1966, გვ. 10).

როგორცა ვხედავთ, პოემის როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, ისე პედაგოგიური იდეები არ მოძველებულა და ეს ხდება იმ მიზეზით, რომ, როგორც ალექსანდრე პუშკინი აღნიშნავდა, ძველი ასტრონომიის, ფიზიკის, მედიცინისა და ფილოსოფიის დიდ წარმომადგენელთა აღმოჩენებიც ბერდებიან, ახლით იცვლებიან; სამაგიეროდ სულ სხვა ბუნებისაა ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება – იგი მუდამ რჩება უჭკნობი და ახალგაზრდაო, და, თუ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებზე ითქმის ეს, ითქმის „ვეფხისტყაოსანზე“.

2. ადამიანი-პიროვნება „ვეფხისტყაოსანში“

საქართველოში სწავლა-აღზრდისა და განათლების კერები IV საუკუნიდან არსებობდა. ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის, ეპიკურის მიმდევრის თემისტიოსის (317-388) მოწმობით, მამამისსა და მას განათლება მიუღიათ კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლასა და კონსტანტინოპოლში. მოგვიანებით ამოქმედდა იყალთოსა და გელათის აკადემიები. XI საუკუნეში, დავით აღმაშე-

ნებლის მეფობისას, გელათში სამოღვაწეოდ მიიწვიეს იოანე პეტრინი. ასევე ფუნქციონირებდნენ გრემისა და თბილისის აკადემიები. ქართული სკოლები და საგანმანათლებლო წრეები მოქმედებდნენ უცხოეთში (საბერძნეთი, ბულგარეთი, რუსეთი...).

ბუნებრივია, რომ არსებული ტრადიციები თავისებურ ბიძგს აძლევდა რუსთველის წარმოდგენებს პედაგოგიკის საკითხებზე, ადამიანის, როგორც პიროვნების, აღზრდის პრობლემებზე.

პოემაში გადაჭრით არის დაყენებული პრობლემა: ვინ არის კაცი, ადამიანი, რას წარმოადგენს იგი? კერძოდ, ავთანდილი გამოქვაბულში მცხოვრებ ასმათს საკუთარ თავზე ეუბნება: კაცი ვარ, ადამიანიო! აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, XIX საუკუნეში, ილია ჭავჭავაძეც დააყენებს ადამიანობის, კაცობის საზრისის პრობლემას. ამ დროს ქართველი კაცის ბუნება შეცვლილია. იგი ადამიანობის ავთანდილისეულ სტანდარტებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებს. სწორედ კაცის (ავთანდილის) ანტიპოდია, მისი კარიკატურაა ლუარსაბ თათქარიძე. ამიტომაც ი.ჭავჭავაძე თავისი მოთხრობის სათაურადიყენებს ჭაბუკის სიტყვებს, ოღონდ კითხვის ნიშნის დასმით: „კაცია-ადამიანი?!“ ავთანდილის კაცობის ფონზე ლუარსაბის კაცობა ეჭვსა ბადებს და იგი

ველარ აღიქმება ჭეშმარიტ ადამიანად (პროფესორები ალ. ბარამიძე, შ. ძიძიგური).

მაშასადამე, რა არის, რუსთველის აზრით, ადამიანის დანიშნულება? აი, ამის დადგენის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ აღზრდა-განათლების ავტორისეულ კონცეფციასა და მისი გამოხატვის თავისებურებებზე.

რუსთველამდელი ლიტერატურა („სიმღერა ნიბელუნგებზე“, „სიმღერა როლანდზე“, „ტრისტან და იზოლდა“, „ლანსელოტი“, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“) – ესაა ჰიმნი და ხოტბა თავშეუკავებელი, წრეშეუწერელი ვნებებისა. ამ ქმნილებებში სულის „გონიერი“ ნაწილი სრულ მონობაშია ე.წ. „არაგონივრული“ ნაწილისა. ესაა ერთი მხარე, ანუ საერო ლიტერატურაში არსებული ვითარება. მეორე მხრივ, არსებობდა ადამიანის საზრისის საეკლესიო გაგება: პიროვნების იდეალად მიჩნეული იყო ორთოდოქსი ქრისტიანი – ასკეტი (მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი და ძმანი მისნი. იხ. გ. მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, დაწერილი 951 წელს). მაშასადამე, „იმ ეპოქაში, როცა რუსთველი ცხოვრობდა, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოშიც ... ადამიანის იდეალის გაგებაში აზრთა სხვადასხვაობა

სუფევდა“ (ვლადიმერ ნორაკიძე, ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1966, გვ. 9).

ასე რომ, ადამიანის იდეალი ორ უკიდურეს მასასიათებელს შორის იყო დანაწევრებული. რუსთველმა აღადგინა ადამიანურ საწყისთა ერთიანობის პრინციპი. ადამიანის გრძნობებსაც და გონება-საც საკუთარი ჯეროვანი ადგილი მიაკუთვნა, თუმცა უპირატესობა გონებას მიანიჭა, ოღონდ ოდნავადაც არ დაუმცირებია გრძნობიერების მნიშვნელობა. აქ გონი აკონტროლებს მდიდარ ვნებებსა და განცდებს, ანესრიგებს მათ. ისინი ერთურთს არა-სოდეს არა სწყდებიან. ეს პრინციპი გაცხადებულია ავთანდილის თეზისით: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“ ხოლო გული, ცნობა (ცნობიერება) და გონება ერთმანეთზე გადაჯაჭვულად და ერთმანეთით გაპირობებულ ფაქტორებად არის წარმოსახული:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან;
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა იდეალი, მათი ჰუმანიზმი სრულიად მოიცავს და გულისხმობს ქრისტიანულ რელიგიურ რწმენას. მათი ეთიკის მიხედვით, აღტრუისტული მორალი, სხვა ადამიანის ბედნიერებაზე ზრუნვა, რაც თავისთავად კეთილშობი-

ლური საქციელია, საწინდარია იმ ქვეყანაში ადამიანის სულის მარადიული ნათლით შემოსვისა (ვლ. ნორაკიძე, გვ. 27).

რუსთველის იდეით, სული და ხორცი შეადგენს ადამიანს. მათ შორის სულაც არაა ის დაპირისპირება, რაც მანამდე იგულისხმებოდა. ხორციც ლვთაების შექმნილია და, თუ იგი სულს არ უპირისპირდება, ისიც სიკეთის წყაროა.

3. ადამიანი და მსოფლიო ჰარმონია

რუსთველის იდეით, ადამიანი როდია სამყაროს ცენტრი. იგი ლვთაებრივად მოწყობილი წესრიგის, მსოფლიო ჰარმონიის ერთ-ერთი საფეხურია (და საკმაოდ მაღალიც). ამიტომ მან უნდა იზრუნოს მასზე დაბალთა ჰარმონიულ თანაარსებობაზე. ხოლო, მეორე მხრივ, ყური მიუგდოს და მზერა მიაპყროს მასზე მაღალთა ჰარმონიის საიდუმლოს, კოსმიურ ჰარმონიას, ფეხი აუწყოს და ცხოვრება შეუფარდოს მასზე მაღლა მდგომ არსებათა კანონებს. აი, მაშინ მოხერხდება უნინაალმდევონ შერწყმა „ზესთ მწყობრთა მწყობთან“. ანუ, როგორც ვიკტორ ნოზაძე მიუთითებს, „ორდინადორ სუპრემოსთან“ – პირველ, უზენაეს მომწყობთან, ღმერთთან (იხ. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 371). ამისათვის კი

ადამიანი იძულებულია იაქტიუროს, იმოქმედოს. ამას აიძულებს მას თავისი მდგომარეობა. ამ აზრით, პიროვნება თავის საშუალო დონეზე როდი უნდა შედგეს და გაიყინოს. თუ სადმე ჰარმონიის დარღვევა ნახა, უნდა გამოასწოროს, ხოლო თვითონ, ცხადია, არ უნდა დაუშვას ამ წესრიგის დარღვევა. ამაზე მითითება პოემაში უხვადაა. მაგალითად, თავისი ასულის გამეფებასთან დაკავშირებით გამართულ ნადიმზე როსტევანმა მოულოდნელად მოიწყინა, „დაიღრიჯა“. არსებული საყოველთაო მოლხენა და ჰარმონია დაირღვა. სოგრატ ვეზირი და ავთანდილი ლამობენ ხელმწიფის პირვანდელი გუნება-განწყობილების აღდგენას. ისინი ხუმრობით ენაწყლიანობენ: - მეფეო, თავი ჭირში რად ჩაიგდე, თინათინი რად გაამეფე. ხომ ხედავ, მთელი შენი ქონება გაასაჩუქრა, ეტყობა, ამან დაგანალვლიანაო.

მეფემ გაიცინა, დროებით აღდგა პირვანდელი განწყობა, ოღონდ ხელმწიფის გასაჭირი გათვალსაჩინოვდა: მისი სადარდებელი ის გამხდარა, რომ სამეფოში მისი მსგავსი მონადირე და მეომარი არავინაა. ვინ დაიცავს, როსტევანის სიკვდილის შემდეგ მამულს?

ამ სადარდებელმა ისევ ჩაშალა ერთი შეხედვით არსებული ჰარმონია. ახლა საჭიროა, ეს ჰარმონია

ავთანდილის ძალისხმევით აღდგეს. ასეც ხდება. მეორე დღეს რაინდი პატრონს, რომელიც უებრო მოისარია, ასპარეზობაში დაამარცხებს. ხელმწიფე ხარობს, რადგან აღმოჩნდა კაცი, ვინც მტერს კუ-დით ქვას ასროლინებს. ავთანდილიც ხარობს, რამ-დენადაც სანაძლეო მოიგო და პატრონი გაახარა, მაგრამ ნადირობის ბოლოს კვლავ დაირღვა საყო-ველთაო ჰარმონია. მოულოდნელად გამოჩენილმა უცნობმა რაინდმა როსტევანის მეომრები დახოცა და მიიმალა. ხელმწიფე კვლავ დანაღვლიანდა. არა-ბეთის ცა კვლავ შეიმღვრა. რა უჭირდა იმ მტირალ მოყმეს? საჭიროა მისი ამბის გაგება. ამ მარცხით ღმერთი ხომ არ მიანიშნებს როსტევანს, შენს მფარველობაზე ამიერიდან ხელი ამიღიაო? საჭი-როა ყოველივე ამის გარკვევა და დადგენა, და აი, ავთანდილი მიემართება უცხო რაინდის საძებრად. სამი წლის ძიების შემდეგ იპოვის იმას და მჭმუნვა-რე რაინდის ამბავს გაიგებს. როსტევანსა და თინა-თინს ამ ამბის მოსმენით გაახარებს. მაგრამ ყველამ დაინახა, რომ მსოფლიო ჰარმონია კვლავ დარღვე-ულია, რადგან ტარიელის სატრფო დაკარგულა. სა-ჭიროა, ავთანდილის ძმობილს დაეხმარონ. სპასპე-ტი მიემართება ტარიელის დასახმარებლად, მისი სატრფოს საძიებლად. ის დაადგენს ნესტანის ად-გილსამყოფელს – ესაა ქაჯეთის ციხე. მეგობრები

სიმაგრეს აიღებენ და ტურფა ასულს დაიხსნიან. 10 წლის განმავლობაში ტანჯული წყვილი ქორწინდება და საყოველთაო ჰარმონია ისევ ზეიმობს.

როგორცა ვხედავთ, საყოველთაო ჰარმონიის მისაღწევად ადამიანი ირჯება, შრომობს. მას სჭირდება აქტიური მოქმედება, თავისი ქმედების თეორიული ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. ამიტომაც ამბობს ავთანდილის პირით ავტორი:

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა
ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა
მწყობისა.

მაშასადამე, ჯერ საჭიროა ფილოსოფოსთა სიბრძნის ათვისება, შესწავლა, ცოდნა, ოღონდ ესეც არაა საკმარისი. საჭიროა ამ ცოდნის პრაქტიკული მოხმარება, საქმით შემოწმება, აქტიურად მომარჯვება. ამ აზრით, „რუსთველმა დიდი ნაბიჯი გადადგა კოსმოსში ადამიანის ემანსიპაციის მიმართულებით, მაგრამ ეს ნაბიჯი, ისე, როგორც ევროპის რენესანსი, არ იყო ცის კანონების მთლიანად უარყოფა, ადამიანისა და მისი კულტურის კოსმოსში ყველაზე მაღალ ღირებულებად მიჩნევა და ღვთის, როგორც ქვეყნის შემქმნელის, ფიქციად გა-

მოცხადება“ (ვლ. ნორაკიძე). მართლაცდა, რუს-თველის ლტოლვა ღვთაების მიჯნების გადალახვას კი არ მოასწავებს, არამედ ეს არის „ორდინადორ სუპრემოსთან“ შერთვის, შეზიარების სურვილი, მისი საქმეების გასაგებად ამაღლების წადილი. რუსთველი აძლევს ადამიანს მოქმედების სრულ თავისუფლებას, მაგრამ ეს სამოქმედო ასპარეზი ისე დიდია, ისე ღვთაებრივია, საჭირო აღარაა ღვთაებრივ მიჯნებზე იერიშის მიტანა. ამიტომაც არის, რომ პოემაში გაცხადებულია აღნიშნული მი-მართების (ადამიანის მოქმედება – ღმერთი) კვინ-ტესენცია: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნ-დეს, მოცა-გვხვდების“.

ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს: ადამიანმა თავისი საცდელი უნდა სცადოს, გაისარჯოს, იმოქ-მედოს, ყველაფერს ეცადოს, უამისოდ არაფერი გა-მოვა, ხოლო წარმატება ღმერთზეა დამოკიდებუ-ლი. თუ საჭიროდ ჩათვლის, მოგვაგებს, თუ არადა – მაშინ ტყუილი, ამაო გარჯა შეგვრჩება ხელთ. ამ კონცეფციით, პიროვნებამ ორივე შემთხვევაში უნ-და იაქტიუროს. სხვათა შორის, რუსთველის ქვეყა-ნაში უხსოვარი დროიდან არსებობს პოემის ამ აფორიზმის შესატყვისი ანდაზაც - „ცდა ბედის მო-ნახევრეაო“.

უკვე ნათელია, თუ როგორ ესმის რუსთველს ადამიანის იდეალი. იგი არის არსთა იერარქიის სადღაც საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი არსება, რომლის მოვალეობაა აქტიური გარჯა. გამარჯვება კი ღვთის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ადამიანმა უნდა იზრუნოს როგორც მასზე დაბალ არსებათა პარმონიულ ყოფაზე, ისე იმაზეც, თუ ცოდნის პრაქტიკული გამოყენებით როგორ შეერწყას უზენაეს წესრიგს, რათა საყოველთაო პარმონია არ შეაფერხოს. მაშასადამე, ადამიანი პასუხისმგებელია როგორც მასზე ქვევით, ისე ზემოთ მიმდინარე პროცესებზე. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი შემთხვევა:

ავთანდილი ძმობილის სატრფოს დაეძებს. ზღვის პირას დაყოვნებულ ქარავანს შენიშნავს, იკითხავს მათი შეფერხების ამბავს. ეტყვიან: ზღვაში მეკობრეები თარეშობენ და შიშით ვერ შევდივართო. მე რაინდი ვარ, დაგეხმარებითო, - დაამშვიდა ისინი ჭაბუკმა. ზღვაში შეცურებულთ თავს დაესხნენ ავაზაკნი. რაინდმა ისინი დახოცა, ზოგი დაჭრა, ბევრი ტყვედ აიყვანა. ვაჭრებმა ქება-დიდება შეასხეს გამარჯვებულს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ავთანდილი ღმერთი ყოფილიყოს და თავისი შესაძლებლობის ფარგლები ღვთისაგან დაწესებული მიჯნის მიღმა გაეტანოს. აქ მოულოდ-

ნელად უცებ უკან დაიხია რუსთველმა და, ჩაერთო
რა თხრობაში, განაცხადა:

კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი,
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი;
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა,
თუნდა ხრმალი!

მაშასადამე, ავთანდილი ზრუნავს მის ქვემორე
მდგომ არსებებზე. ამჯერად ვაჭრებზე (პოემით,
ვაჭარი რაინდზე დაბლა დგას), ხოლო გამარჯვე-
ბით მოგვრილ სიამაყესა და სიამოვნებაში შეცურე-
ბულს მოულოდნელად აგონდება, რომ მასზე ზემო
მდგომთან (ზენაართან) ურთიერთობაში მეტი
ქრისტიანული მოკრძალება მართებს.

ვფიქრობთ, ადამიანის იდეალის რუსთველისე-
ული გააზრების შემდეგ უფრო ნათელი გახდება
იმაზე საუბარი, თუ რა პედაგოგიურ ამოცანებს სა-
ხავს ავტორი.

უწინარეს ყოვლისა, როგორცა ვხედავთ, საჭი-
როა ღვთაებრივი ჩანაფიქრის წვდომა. სწორედ ის
არის აღზრდის ერთ-ერთი მიზანი. „ვეფხისტყაო-
სანში“ ღვთაებრივი ჩანაფიქრის გამომხატველი
ალუზია გახლავთ სიტყვა „დაფარული“. ამ „დაფა-
რულის“ გასაგებად ადამიანის გონების აქტივობაა

გადამწყვეტი ფაქტორი. „გონება აღნიშნავს გარკვეული პრობლემის გადასაწყვეტად აზრის მუშაობას, დამალულის, დაფარულის გასაცხადებლად ინტელექტუალურ აქტივობას“ (ვ. ნორაკიძე, გონების ცნების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „მნათობი“, 1964, 8, გვ. 128).

როგორც ითქვა, ადამიანის დანიშნულება არის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩარევა, არა განდგომა და „ველად გაჭრა“, არამედ პრაქტიკული მოქმედება დარღვეული ჰარმონიის აღსადგენად. აღმოსავლურ რომანებში (მაგალითად, ნიზამის „ლეილსა და მაჯნუნში“) „ველად გაჭრა“, ტყედ გასვლა ჩვეულებრივი ამბავია შეყვარებულისა. იქ ამ გაჭრას არავითარი სერიოზული მოტივირება არა აქვს. კაცს ქალი უყვარს და საჭიროდ მიაჩნია ტყედ გაიჭრეს. სრულიად სხვა ვითარებაა „ვეფხისტყაოსანში“. ტარიელი ველად იჭრება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკარგული სატრფო ეძება, ცა და ხმელი შეაჯერა, შვიდი თუ რვა წელი მის ძებნაში დაჰყო. კიდევ მეტი, გაჭრილობის პერიოდშიც, იმედგადანურულსა და პესიმისტს, მთლად მაინც არ შეუწყვეტია ნესტანის ძებნა. კიდევ უფრო მეტი მოტივირება აქვს ავთანდილის „გაჭრას“. თავდაპირველად შეყვარებული ვაჟი თინათინის წაქეზებით გავიდა ველად, რათა მტირალი უცხო მოყმე ეძებნა; მეო-

რედ კი ძმობილის (ტარიელის) სატრფოს საძებნელად „გაიჭრება“. ორივე შემთხვევაში იგი ადამიანური ჰარმონიის დასამყარებლად იღვწის.

მსოფლიო ჰარმონიისათვის საჭიროა კიდევ რამდენიმე რამ:

გაიგებს რა, რომ ინდოელი ჭაბუკის ტარიელისა და ინდოეთის მეფის ასულის ნესტანის სიყვარულის ჰარმონია დაირღვა, რასაც მთელი სამეფოს მშვიდი და გაწონასწორებული ცხოვრების რიტმის დარღვევაც თან მოჰყვა, ავთანდილი გადაწყვეტს, დაეხმაროს ძმობილს და გაწყვეტილი ჰარმონიის აღდგენაში შეეწიოს. ამ საქმიანობაში მას სჭირდება ცოდნა-ჩვევები (იგულისხმება ყოველგვარი ცოდნა – ფილოსოფიურიდან დაწყებული სამხედრო ხელოვნებით გათავებული), მაგრამ საქმე ისაა, რომ თავისთავად ცოდნა, რუსთველის აზრით, არა-ფერსა ნიშნავს, საჭიროა მისი პრაქტიკულად გამოყენება. ამიტომაცაა, თავის ანდერძში ავთანდილი წერს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“. ხოლო სხვაგან ეგ იდეა სხვაგვარი ფორმით ასეა გამოხატული: „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა“.

აქ მოცემულია ავტორის იდეათა გასაღები: ცოდნა თავისთავად ვერაფერი ბედენაა. მას სჭირ-

დება პრაქტიკული გამოყენება. პრაქტიკული საქ-
მიანობა კი აუცილებლად მოითხოვს საქმისადმი
თავდადებას, რასაც ავტომატურად მოჰყვება შრო-
მითი და სამხედრო გმირობა. აქედან აფორიზმი: -
„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელ-
სა“; აგრეთვე: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკ-
ვდილი სახელოვანი“. სახელიანობას ადამიანის
ერთ-ერთ მოვალეობად შერაცხავს ავტორი,
ოღონდ იგი, როგორც ცენტრალიზებული მონარქი-
ის აპოლოგეტიც, მკაფიოდ შენიშნავს, რომ, რაც არ
უნდა სახელი მოიხვეჭოს კაცმა, პატრონის წინააღ-
მდეგ არ უნდა გამოვიდეს: „ვით მოიხმაროს მონა-
მან პატრონსა ზედა ხრმალია?“ ცხადია, ესეც პარ-
მონიულობის იდეის დაცვა-შენარჩუნებითაა ნა-
კარნახევი.

4. ყრმათა წვრთნისათვის

ზნეობრივი ადამიანის ეტალონად რუსთველი
გვიხატავს „მიჯნურს“. მოგვიანებით (მე-19 საუკუ-
ნეში) ამ საკითხს შეეხო ვაჟა-ფშაველა, რომელმაც
მთელი კოდექსი ჩამოაყალიბა ჭეშმარიტი მოქალა-
ქის რაობისა ლექსში „კაი ყმა“. რუსთველის გაგე-
ბით კი, მიჯნურს – ამ უმაღლესი კატეგორიის ადა-
მიანს – უნდა ახასიათებდეს ათი გამოკვეთილი
თვისება. ჯერ მოვიყვანოთ საილუსტრაციო სტრო-

ფი და მერე გამოვაცალკევოთ ეს კეთილშობილური
თვისებანი:

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს,
მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიუხვე,
სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

მაშასადამე, გამოიყოფა 10 თვისება: 1. სიტურ-
ფე; სილამაზე; 2. სიბრძნე; 3. სიუხვე; 4. სიმდიდრე;
5. სიყმე, ახალგაზრდობა; 6. მოცალეობა (შესატ-
ყვისობა, გულისსწორთა შესაბამისობა, იგულის-
ხმება როგორც ასაკობრივი, ისე სოციალურ-სული-
ერი); 7. ენამჭევრობა; 8. გონიერება; 9. დამთმენო-
ბა, ჭირმედეგობა, ამტანობა; 10. მეამბოხეთა, ავა-
ზაკთა, არსებული პარმონიის ამრევ-დამშლელთა
დასჯის შემძლებლობა.

როგორცა ვხედავთ, იდეალური მოქალაქის
ათივე თვისება მის ზნეკეთილობაზე მეტყველებს.
აი, როგორ პიროვნულ თვისებებს აქვს და დაეძებს
რუსთველი ადამიანში. იქვე მგოსანი მკაფიოდ გან-
მარტავს, რომ, თუმცა ეს იდეალური ადამიანის
თვისებებია და ფრიად სასურველი თვისებებიც,
ოღონდ ცხოვრებაში ყოველთვის როდი გვხვდებიან
ამგვარი პირნი. სასურველი და რეალური ზოგჯერ

წინააღმდეგობაში მოდის. ამიტომაც არის, რომ ხშირად ერთი ადამიანი მეორეს არა ჰგავს, მათ შორის არის სხვადასხვაობა. „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

რუსთველმა იცის, რომ მონინავე ადამიანური თვისებები თავისთავად როდი ყალიბდება. მათ სჭირდება აღზრდა, გამომუშავება, საგანგებო წვრთნის გზით ჩამოყალიბება. ათივე ის თვისება, რომელთაც პოეტი აკონკრეტებს, პედაგოგიური თვალსაზრისით, შეიძლება, ოთხ კატეგორიად გაერთიანდეს. ეს გახლავთ – გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა. ვფიქრობთ, სწორია, რომ „დანარჩენი ზემოაღნიშნული თვისებანი ადამიანისა ამ ძირითად თვისებათაგან გამომდინარეობენ ისე, როგორც აღზრდის სხვა საგულისხმო მიზნები ამ ძირითად მიზნებში შედიან და მათთან ერთად აღზრდის პროცესს შეადგენენ“ (გ. თავზიშვილი, ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1937, გვ. 13).

სანამ აღზრდის ამ ოთხ მიმართულებაზე ვიმსჯელებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ სად, როდის, რა ასაკიდან იწყება, პოემის მიხედვით, ყრმათა საგანგებო წვრთნა.

შუა საუკუნეებში აღზრდა, ძირითადად, შინაურ წრეში მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, ტარიელს

პატარაობიდანვე (5 წლამდეც კი) შინაობაში წვრთნიდნენ. „საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად, ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“. აქ ყველაფერი ნათელია: იმთავითვე ხელმწიფედ ზრდიდნენ, ზრდიდნენ ისე, რათა შეძლებოდა ქვეყნისა და ლაშქრის პატრონობა, სცოდნოდა ხელმწიფური მოქცევა და მოქმედება. აღმზრდელებად ბრძენი, ესე იგი, ფილოსოფოსნი, მიუწვევიათ.

ქალებიც ასე იზრდებოდნენ. ისინიც შინაურ წვრთნას გადიოდნენ, ვიდრე 7 წლისა არ შეიქმნებოდნენ. როცა ნესტანი 7 წლისა გახდა, დაიწყო წვრთნის ახალი ეტაპი. ამ ხნიდან აღსაზრდელს დაენიშნა ბრძენი მასწავლებელი დავარი. ისინი მსახურებთან ერთად ცალკე, საგანგებოდ აშენებულ სახლში, ცხოვრობდნენ, რათა მშობლების უადგილო ჩარევას პედაგოგიური პროცესი არ ჩაეშალა. საამისოდ „მეფემან კოშკი ააგო შიგან საყოფი ქალისა“. ეს იყო ყოველმხრივ კეთილად მოწყობილი სასახლე. აქ გათვალისწინებული იყო გარემოს ესთეტიკური ეფექტიანობაც, რადგან უფლისწულ ქალს ესთეტიკური აღზრდაც უნდა მიეღო და ფაქიზი გემოვნებაც გამოემუშავებინა. ამიტომ სასახლე-კოშკის მასალად ფაზარის ქვა გამოიყენეს, ხოლო ტახტრევანი იაგუნდისა და ლალისა იყო. ბაღში ვარდის

წყლის შადრევნები იფრქვეოდა. სახლს ოთხივ მხრივ აკრავდა ბალჩა. „ბალჩა“ ორი სიტყვისაგან შედგება – „ბალ“ და „ჩარ“. ესე იგი, ჩარ-ბალი, ოთხი-ბალი. სახლს ბალი ოთხივ კუთხიდან ფარავდა. გალავანი ძვირფასი ქვით იყო მოპირკეთებული, გზა-ბილიკები – ლამაზი, ფერად-ფერადი ქვით მოკირნყლული. გალავანს ალვის ხეები (კვიპაროსები) მიჰყვებოდნენ ჩარიგებით, ბალში ხეთა ვარჯები ცასა სწვდებოდა. ფრინველების ჭიკჭიკი სირინოზის ხმაზე უამესად ისმოდა; კარებზე კი ოქროქსოვილი ფარდაგები ჩამოეფარებინათ.

ქალს მხევალი ასმათი ემსახურებოდა. ორი მონა-ზანგი შავ საქმეებს ასრულებდა, ხოლო მეფის და, მამიდა დავარი, ფილოსოფოსი და ასტროლოგი („ვინ გრძნებითა ცაცა იცის“), ქალიშვილს ასწავლიდა.

სხვათა შორის, უფლისწულის სამეფო სახლიდან ცალკე გაყვანა აღსაზრდელად მოგვიანებითაც წესად ყოფილა. ამას ამტკიცებს სულხან-საბა ორბელიანის (XVIII ს.) „სიბრძნე სიცრუისა“. აქაც უფლისწულ ჯუმბერს აღმზრდელი ლეონი ცალკე სახლში წვრთნის და ცდილობს, მეფე-მამა მის პედაგოგიურ საქმიანობაში არ ჩარიოს. ამგვარი ჩარევა მას ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნია და არცთუ უსაფუძვლოდ. ფინეზ მეფე ერთხელ მართლაც

უხეშად და ანტიპედაგოგიურად ჩაერია მწვრთნელის საქმეში, თუმცა ბოლოს მიხვდა თავის შეცდომას და ბოდიშიც მოიხადა. ამრიგად, მწვრთნელი საქართველოში იმთავითვე განსაკუთრებული ფუნქციითა და უფლებებით იყო აღჭურვილი.

5. გული თუ გონება?

ცხოვრების სწორად მოწყობა, მიზანმიმართული საქმიანობა არის ბედნიერების საწინდარი. ამას რომ მივაღწიოთ, რუსთველის მიხედვით, საჭიროა სიბრძნის დაუფლება, ანუ გონებრივი განათლება. მაშასადამე, აღზრდის მთავარი მიზანია სიბრძნის, საერთოდ, ნებისმიერი ცოდნის დაუფლება. ეს კი სახუმარო რამ არ არის – რთული და შრომატევადი საქმეა. გონიერი იტვირთავს ამ საქმეს, უგუნური კი აირიდებს. ეს სწამს რუსთველს და ამიტომაც აცხადებს: „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

გონიერი კაცი ვნებათა ღელვას არ აჰყვება. ის მტკიცედ აკონტროლებს საკუთარ გრძნობებს. ასეთია ავთანდილი, რომელიც აცხადებს, უკეთ, ასე წვრთნის ტარიელს: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“ რუსთველმა იცის, რომ ზოგჯერ ავი ბედი ადამიანს ძირს დასცემს, გულს გაუფუჭებს და, რაკი მგრძნობელობის ორგანო გუ-

ლი, გონი და ცნობიერება ერთმანეთზეა გადაბმული, შეიძლება მავანმა კაცმა გონიერება მოიძულოს, მოიძაგოს. სწორედ ასეთ დეპრესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ტარიელი. მას საწუთროზე გული გასტყდომია და, რაკი „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰქიდიან, რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“, ტარიელმა ავთანდილის საწინააღმდეგო პოსტულატი წამოაყენა: „ჰქითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“. ესე იგი, ასს დაეკითხე, ოღონდ ბოლოს მაინც გულის კარნახით იმოქმედეო. ამ შემთხვევაში ავტორი გვეუბნება, რომ ტარიელის ცხოვრებაში დაცემის პერიოდი დგას და ეს ფრაზაც ამ განწყობილების ანარეკლია. ჩვეულებრივ ვითარებაში კი ვხედავთ, რომ ტარიელიც ავთანდილისამებრ იქცევა და ირჯება. ვნებებსა და გრძნობებს თოვავს, ცდილობს მათს დაურვებას. ვნებათა დაურვება გონიერს შეუძლია. ამას გამოხატავს ცნობილი აფორიზმი: „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელი ეურჩებიან“ (გრძნობებსო).

ფილოსოფოსი, ბრძენვაცი ძნელ საქმეს გონივრულად გადაწყვეტს, იოლად შეასრულებს: „ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს“. გონიერი ყოველთვის დინჯია, აუჩქარებელი: „მიბრძანა, თუ გონიერი, ხამს, აროდეს არ აჩქარდეს!“

ფილოსოფიურად აღზრდილ-განსწავლულმა იცის, რომ წუთისოფელი მბრუნავია, ხან კეთილია, ხან – ავი. წუთისოფლის შეფასების თვალსაზრისით, ცენტრალურია ეგ ტაეპები:

საწუთო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.

რაკი სოფელი ასე მბრუნავი და არამყარია, გონიერი არსება უნდა ეცადოს, გაუმკლავდეს მის კაპ-რიზებს, დრომდე თავი შეინახოს, ჭირი დაძლიოს:

თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან,
ჭირნიცა შევიწყნაროთა.

აქედანვე გამომდინარეობს დებულება: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. რაკი წუთისოფელი მბრუნავი ჩარხია, დღეს ავია, ხვალ – კარგი, ამიტომ დროზე ადრე სულსწრაფად გონიერი კაცი თავს არ მოიკლავს, რაც უნდა გასაჭირი დაადგეს, ხვალის იმედი მაინც აქვს, რადგან, მიწყივ მედინ წუთისოფელში თუ ყველაფერი ცვალებადია, მაშინ ავიც კეთილად შეიცვლება. ამიტომ სავსებით ბუნებრივია აფორიზმის დანასკვნი: „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“, ოღონდ ადამიანი, გონიერი არსება, ფრთხილად უნდა იყოს. მთლად ოპტიმიზმსაც არ უნდა მიეყ-

რდნოს, რაკიღა წუთისოფელი მყარი არაა: „იგი მი-ენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“.

ავთანდილის აზრით, ტარიელი არის „ბრძნად სწავლული“. იგი ძმობილს ერთგან ეუბნება: „შენვე სთქვი ეგე სიტყვაო კაცისა ბრძნად სწავლულისა“. იგივე პერსონაჟი უწვრთნელ კაცს ვირს ადარებს: „რასცა მიწვრთიხარ, იწვართე; გკადრო უწვრთელი ვირია“.

გონებრივი განათლება არ შეიძლება მოსწყდეს გრძნობათა განვითარებას. ეს ერთიანი პროცესია. სწორედ ამას ათვალსაჩინოებს აფორიზმი: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან“. გრძნობისა და გონების გათიშვის ეპოქაში მსგავსი აზრის გამოთქმა დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. რუსთველმა იცის, რომ მგრძნობელობის ცენტრი და ძრავა – გული – ხშირად ეურჩება გონებას, გაურბის მის მითითებებს. ამიტომაც თუა, მგოსანი ხშირად ილაშქრებს დაუდგრომელი გულის წინააღმდეგ.

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,
გული – უამ-უამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა
მდომელი,
გული – ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ
გამზომელი,
ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი
რომელი!

გულისთქმას აყოლილი კაცი უბედურია. ის ხელობს, გიუს ემსგავსება. დროებით სწორედ ასეთ ვითარებაშია სატრფოდაკარგული ტარიელი. ის, როგორც გონიერი კაცი, ამას თვითონვე გრძნობს და კიდევაც აღიარებს, რომ ძალა აღარ შესწევს, გონიების ხმას უგდოს ყური. საინტერესოა ეს აღსარება:

**ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა ვიქმ
ბრძნობასა!**

ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცალა ვიყო ცნობასა.

გონიერი ადამიანის, ფილოსოფიურად მოაზროვნე ინდივიდის დამოკიდებულება ღვთაებისადმი „ვეფხისტყაოსანში“ გ. თავზიშვილს არასწორად წარმოუდგენია. 1937 წელს გამოცემულ წიგნში XII საუკუნის ქრისტიან ავტორს ანტითეისტურ იდეებს მიაწერს, როცა ამბობს: რუსთველის გმირები ღვთის განგებას არღვევენ, ბედის საზღვარს გადადიან და ისე გამოგლეჯენ ბუნებას ბედნიერებასო. ეს ასე არაა! რუსთველი თავისუფლად ატევს თავის შეხედულებას ქრისტიანული აზროვნების სამყაროში, რამდენადაც ეს სამყარო – ერთობ ვრცელი და უსასრულოა. ბედს, რა თქმა უნდა, ღმერთი განაგებს, ოღონდ ადამიანსაც უტოვებს სამოქმედო არეალს, სადაც ამ უკანასკნელს შეუძლია ფართო

ასპარეზზე – ბოროტიდან-კეთილამდე – უამრავი ქცევა განახორციელოს. აქ კი მთავარია მისი მიღ-რეკილება: ღვთაებისაკენ იხრება თუ სატანისაკენ. მართალია, „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქ-ნელი არ იქნების“, „არვის ძალუძს ხორციელსა გან-გებისა გარდავლენა“, „რაცა ღმერთსა არა სწად-დეს, არა საქმე არ იქნების“ და სხვ., მაგრამ იქვეა მეტად მნიშვნელოვანი მითითება: „ბედი ცდაა, გა-მარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გვხვდების“. აქედან კი გამომდინარეობს დებადი: „კაცსა ღმერ-თი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა!“ მაშასა-დამე, რუსთველი არ მოითხოვს ადამიანის აზრისა და შემოქმედების სრულ თავისუფლებას“ (გ. თავ-ზიშვილი), არამედ მოითხოვოს ადამიანის აზრისა და შემოქმედების თავისუფლებას ღვთისაგან განსაზ-ღვრულ ჩარჩოებში და იგი მართებულად ფიქრობს, რომ ეს სივრცე სრულიად საკმარისია ადამიანური სიკეთისა და ადამიანური ბოროტების ჩასადენად.

6. ზნეობა, უპირველეს ყოვლისა!

ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით, „ვეფ-ხისტყაოსანი“ უამრავ მაგალითსა და აფორიზმს, შეგონებას, იდიომს, სენტენციას გვთავაზობს. ის ზნეობრივი კატეგორიები, რომლებზეც საუბარია პოემაში, შეიძლება ასე დავაჯგუფოთ: სიკეთე,

სათნოება, სიმართლე, ერთგულება, დიდსულოვნება, სინდისი, პატიოსნება, თავდადება, პატივისცემა, მადლიერება, დარიგების, რჩევის მიცემა. ამ კატეგორიებს უპირისპირდება ბოროტება, სიცრუე, ღალატი, ორპირობა, ორგულობა, სიძვა, სიხარბე, მომხვეჭელობა.

აღზრდის საშუალებებად ნაჩვენებია მაგალითი, მიმბაძველობა, დარწმუნება, შთაგონება, იძულება, სიკეთე, ბოროტების სიკეთით გადახდა.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ადამიანის აღზრდაში მთავარია სამი პირობა: სწავლა, გონიერება და ცნობიერება. აღმზრდელის რჩევა აღსაზრდელმა უნდა შეისმინოს. ამ აუცილებლობას ასე ქადაგებს პოეტი: „თუ რა გესმის, გაიგონე – ესე კმარის სწავლა სწავლად“ (932, 1).

კარგი აღმზრდელია როსტევან მეფე, ოღონდ არაფერი გამოუვიდოდა, ასულიც რომ კეთილგონიერი და სწავლისმოყვარული არ ჰყოლოდა:

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა.
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ
მოიწყინებდა (51, 1-2).

სწავლა-დარიგების შესმენა ერთი უმთავრესი ფაქტორია. ამგვარ წვრთნას არ გაურბის არც ტარიელი. ხატაეთის ომში ვაზირებმა მას კეთილგონივ-

რული რჩევა მიაწოდეს. ახალგაზრდა ბრძენი ხარ და ამიტომ მოკრძალებით უნდა მოგახსენოთ ჩვენი აზ-რიო. ამაყმა და ძლიერმა ჭაბუკმა რაინდმა მათ ყუ-რადღებით მოუსმინა და ნააზრევი შეისმინა, ჯე-როვნად გაითვალისწინა, სიჯიუტე არ გამოუჩენია.

გაზრდილ-გამზრდელს შორის იდეალური ურ-თიერთგაგება და სიყვარული მყარდება, იმდენად იდეალური, რომ, მაგალითად, მეგობრები თავიანთ გაყრას ადარებენ გამზრდელ-გაზრდილის გაყრის სიძნელეს. ტარიელი ფრიდონთან მისი გამოთხოვე-ბის სცენას ასე აღნერს: „გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავი დავადარენით“.

ესე იგი, არა დედ-მამასთან განშორებას, არა და-ძმებთან განშორებას, არამედ გამზრდელთან გაყრასა ჰგავდა ჩვენი განშორებაო. რაკი რუსთვე-ლის კონცეფციით, „ბოროტიმცა რად შეექმნა კე-თილისა შემოქმედსა“, ამიტომ ადამიანი ზენაარს უნდა მიემსგავსოს, მას უნდა ჰბაძავდეს და კე-თილს თესავდეს. ასეც ხდება: ტარიელი ფრიდონს ეხმარება სამართლიან ომში ვერაგი მეზობლების წინააღმდეგ და ამით სიკეთეს სჩადის; ავთანდილი ეხმარება უმწეო ვაჭრებს ზღვის ყაჩალთა წინააღ-მდეგ ბრძოლაში და ამით სიკეთეს სჩადის. იგი ფატ-მან ხათუნს მოძალადე საყვარელ ჭაშნაგირსაც ჩა-მოაშორებს, რითაც დიაცის ოჯახს განადგურები-

საგან იხსნის. ყველაფერი ეს, პოემით, კეთდება უანგაროდ. ამიტომაც არის, რომ ბოლოს ავტორი აცხადებს: „ვსცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი!“ და „ბოროტსა სძლია კეთილმან, არ-სება მისი გრძელია!“

პოემა გვასწავლის სამადლო საქმეთა აღსრულებას, მადლიერების გრძნობის გამომუშავებას. კიდევ მეტი: მადლიერების გრძნობა ერთგვარად პატრიოტიზმზე მაღლაც კი დგას. ასე, მაგალითად, ხატაეთის ომში ამირბარს ერთი ხატაელი ეახლა, განუცხადა: „მე მამისა შენისაგან ვარ ცოტაი განაზარდი“ და ამიტომ ვერ გიღალატებ. ხატაელი შენს ვერაგულად მიტყუებას ლამობენ და არ მოტყუვდეო!

ამით რუსთველი ისეთ უნივერსალურ კატეგორიას, როგორიც სიკეთეა, უფრო მაღლა აყენებს ლოკალურ პატრიოტიზმთან შედარებით. მკვლევარმა რეზი თვარაძემ თავის წიგნში „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (1985 წ.) შენიშნა: პლატონის მსგავსად არეოპაგელიც ფართოდ მსჯელობს ორ საკითხზე: 1. ღვთის ბაძვისა და 2. ჭეშმარიტებაზე მაღლა სიკეთის დაყენების შესახებ. მან ღვთის ბაძვის არაერთი მაგალითი დაძებნა „ვეფხისტყაოსანში“. რაც შეეხება მეორე საკითხს, პოემიდან ამის მაგალითი არ მოუყვანია. ხატაეთის ომის ზემორე შემოთავაზებული მაგალითი, ალბათ,

სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ რუსთველი პატ-რიოტიზმზე, ამ საყოველთაო ჭეშმარიტებაზე, მაღლა სიკეთეს აყენებს.

პოეტი აქებ-ადიდებს მეგობრობა-სოლიდარობას. ამ მხრივ აღსაზრდელს ნიმუშად უხდის სპასპერტის მოქმედებას. შეიტყო რა ტარიელის გასაჭირი, ავთანდილმა უთხრა: დღეიდან შენს სამსახურში ვდგები, ვივიწყებ ჩემს სატრფოსა და მამულსო.

ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!

აქ საინტერესოა მესამე ტაეპი - „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“. პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით ნიშნავს: იაგუნდი მაინცა სჯობს, ათასჯერაც რომ მინა მინობდესო. მეტაფორული აზრი გასაგებია – იაგუნდი (მეგობრობა) სჯობს მინასო (სიყვარულსო). იაგუნდი ძვირფასი ქვაა, მინა კი – უბრალო მყიფე სხეული. მაგრამ ამ გამოთქმას, თურმე, ჰქონია ქვეტექსტი. მ. ამინჯაროვა და ე. შეიკო წიგნში „კერამიკა, მინა და ფაიფური შუა აზიაში“ (ტაშქენტი, 1968, გვ. 89) წერენ: XI-XIII საუკუნეების შუა აზიაში მინის წარმოება ძლიერ დაწინაურდა. ტექნოლოგიაში მოხდა რევოლუცია. ეს იყო

ხანა „მინის წარმოების აყვავებისა“. მონღოლთა შე-
მოსევებმა XIII-XIV საუკუნეებში ძირს დასცა მისი
წარმოება. ამის შემდეგ მას წელი აღარ გაუმართავს.
XI-XII საუკუნეებში კი ისე დაწინაურდა მინის წარმო-
ების საქმე, ისე გაუმჯობესდა მისი დამზადების ტექ-
ნოლოგია, რომ დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ მინა
უმჯობესია ყველა ძვირფას ქვაზე. ამისი გვიანდე-
ლი გამოძახილია მიხეილ ლომონოსოვის ლექსი.

ვიმღერ შენ წინაშე
აღტაცებულ ქებას
არა ძვირფასი ქვებისა,
არც ოქროსი, არამედ მინისა.

აღნიშნულის ფონზე გამოთქმა: „იაგუნდი ეგ-
რეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“ სრულიად
ახლებურ გააზრებას იძენს. რუსთველის ფიქრით,
მართალია, XIII საუკუნის ნაირფერადი, მოწინავე
ტექნოლოგიით დამზადებული მაღალხარისხოვანი
მინა შესანიშნავია, საუცხოოა, მაგრამ იაგუნდი მა-
ინც იაგუნდია. ათასჯერაც რომ მინა მინობდეს, მა-
ინც იაგუნდის ქვა სჯობსო.

მეგობრობა-სოლიდარობას გვასწავლის პოემა-
ში მიმობნეული დამრიგებლური აფორიზმები და
თქმები: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა
არ დამრიდად“; „ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნ-

და ძმა და თვისი“; „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ადამიანის ერთ-ერთ ძვირფას თვისებად შე-რაცხულია დიდსულოვნება. ამ მხრივ წინ წამოწეულია ტარიელის პირადი მაგალითი. ხატაელთა მეფე რამაზი ვერაგულად აპირებდა მის მოკვლას. ამირბარმა გონივრული ქმედებებით საფრთხე თავიდან აირიდა, რამაზ ხანი შეიპყრო. ტყვე ინდოეთში რომ მიიყვანა, ფარსადან მეფე შეეკითხა ჭაბუკ სარდალს: „შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?“ (464,4). ტარიელმა უპასუხა: ვინადან ღმერთიც შეუნდობს შეცოდებულს, თქვენც შეუნდეთო. ჩემდა თავად მიპატიებია ჩემ მიმართ ჩადენილი ბოროტებაო. ამის შემდეგ ხატაელმა პირობა დადო: ორგულობა ღმერთმა შემანანა, თუ ოდესმე კიდევ შეგცოდოთ, მაშინ მომკალითო! მერე, ტარიელი და ნესტანი რომ ინდოეთიდან გადაიკარგნენ და ინდოეთი უსარდლოდ დარჩა, რამაზმა დრო იხელთა, მოხუც ფარსადანს შემოუტია და ტერიტორიები წაართვა. ფარსადანს დარდით გული გაუსკდა. დედოფალი ერთ ციხეში შეიხიზნა. ამასობაში ტარიელმა იპოვა ნესტანი, გამოიხსნა იგი ქაჯე-თის ციხიდან და მეგობრებთან ერთად არაბული არმიის თანხლებით მიადგა დაპყრობილ ინდოეთს. რაინდმა ისევ შეიპყრო რამაზი. მეორედ შეცოდე-

ბულმა თვითონვე ითხოვა სიკვდილი. ტარიელმა წრეშემოუვლებელი ჰუმანიზმი და დიდსულოვნება გამოიჩინა – კიდევ ერთხელ აპატია შერცხვენილს, სიტყვისა და ფიცის გამტეხს. პოემის ცენტრალური გმირის ამგვარ ჰუმანიზმს გაუოცებია დიონისე არეოპაგელის თხზულებათა რუსულად მთარგმნელი იღუმენი გენადი. იგი წერს: „ნავიკითხე ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“... რამაც მე განსაკუთრებით განმაცვითა – ეს არის ქრისტიანული სული... ჩვეულებრივ ხალხური ეპოსი განსაკუთრებით აღნიშნავს სისასტიკესა და სისხლისმღვრელობას: გაულიტა ამდენი და ამდენი; დამარცხებულ მეფეს ან ბელადს გამარჯვებული ფეხქვეშ თელავს, ზეიმით მიჰყავს კისერზე საბელგამობმული მოწინააღმდეგე... ამ პოემაში კი გმირი ჰუმანის მოწინააღმდეგეს, მასში ხედავს უბედურ ძმას და აგზავნის უკან... სიყვარულით. ეს ხომ წმინდა სულია ქრისტესი! მე განმაცვითა ამ სცენამ“ (ვ.ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1951, გვ. 194).

აღვნიშნავ: მამა გენადის წაუკითხავს პოემის ის ტექსტი, რომელშიც არაა შეტანილი ტარიელის მიერ რამაზის მეორედ შენდობის ამბავი. რაღას იტყოდა წმინდა მამა, რაინდის მეორე დიდსულოვნების ამბავიც რომ სცოდნოდა?

თავისი დიდაქტიკურ-დამრიგებლური ხასიათით გამოირჩევა ავთანდილის ანდერძი, რომელიც პოემის უმაღლესი იდეურ-მხატვრული მწვერვალია. აქ განსაკუთრებით გაკიცხულია სიცრუე და ორპირობა. არაბი მოყმე იყენებს ფილოსოფოს პლატონის ავტორიტეტსაც:

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ,
პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა
ავნებს ხორცსა, მერმე – სულსა“.

აღნიშნულ დამოძლვრას მხარს უბამს სხვა აფორიზმებიც. ერთი მათგანი ასეთია: „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“, ხოლო მეორე ასე უღერს: „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“.

2001 – 2002 წ.

წმინდანის სისხლზე წმინდა

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მა-
მაცისაგან!“ – დიდებული აფორიზმია; დიახ, ისე
დიდმშვენიერია, მთელ ქვეყანას რუსთველისა ეგო-
ნა, მის ავტორად სხვა ვინმე ვერც კი წარმოედგინა.
თვით ფრთხილი ილია ჭავჭავაძეც კი მოტყუვდა და
სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ მისსავე მი-
ერ ათიოდეჯერ მომარჯვებული ეგ საანდაზო თქმა
„ვეფხისტყაოსანს“ ამკობდა. განაღა მარტო ილიას,
მრავალ ინტელექტუალს მიაჩნდა, რომ ეს ფრთიანი
ფიგურა ჩვენი ეროვნული ეპოსიდან იყო ამორიდე-
ბული.

ამ გაუგებრობას წერტილი დაუსვა ცნობილმა
მეცნიერმა ბორის დარჩიამ. მან მისთვის დამახასი-
ათებელი მუყაითობით ძირისძირობამდე შეისწავ-
ლა საკითხი და დამაჯერებლად დაასაბუთა: „გან-
თქმული აფორიზმი... არ განეკუთვნება „ვეფხის-
ტყაოსანს“ და მის ავტორს, მომდინარეობს შოთა
რუსთველზე შექმნილი ერთ-ერთი ხალხური თქმუ-
ლებიდან და ამდენად... ხალხურია“.

ამ დასკვნას წაიკითხავთ შესანიშნავად გაფორ-
მებულ და კოხტად გამოცემულ წიგნში, რომელსაც
ჰქვია „რუსთველოლოგიური გამოკვლევები“ (!, 20).

მკვლევარმა მიაგნო ამ თქმულების ბოლო ვა-
რიანტსაც (18).

ასევე საბუთიანი და სანდოა სხვა გამოკვლევე-
ბი. მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელ წარმოდ-
გნას იძლევა განეულ დიდ სამუშაოსა და ავტორის
გმირულ შემართებაზე. ეს პრობლემებია: პოემის
ტექსტის დადგენა და გაგება; ქრისტიანული თეო-
ლოგიისადმი ავტორის მიმართება; ხელნაწერთა
კლასიფიკაცია; სხვადასხვა სადაც საკითხის გარ-
კვევა; თანამედროვე რუსთველოლოგიის შუქ-
ჩრდილები.

აქ წარმოდგენილ ნარკვევთა უმრავლესობა ად-
რე სტატიებად ქვეყნდებოდა.

მკითხველს რომ უფრო მკაფიო შთაბეჭდილება
შეექმნეს კრებულის შინაარსზე, ჩამოვთვლი გა-
მოკვლევების სათაურებს: „ზმა“ სიტყვის მნიშვნე-
ლობისათვის; ფისტიკაური სტროფი; თანიანი
მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა; მარგალიტის
ერთი სიმბოლური მნიშვნელობა; ნება-სურვილისა
და მისი შესრულების საკითხი; მზეხათუნისეული
და ბებურიშვილისეული ხელნაწერები; მეცნიერები
– დიდი ტუსაღები.

ამ ბოლოს მოძლიერდა ფსევდორუსთველოლო-
გიური ლიტერატურა. ცონცორიკა ავტორები
ყველან და ყველაფერში მიღმაქვეყნიურს, ტრან-

სცენდენტურსა დაეძებენ; როგორც მაგალი თო-
დუა მიუთითებს, ეს სენი, თურმე, საერთოდ შეიმ-
ჩნევა მთელ მსოფლიოში და ქართველი ფრენოლო-
გები ამ პროცესს, აბა, რად უნდა გამოჰკლებოდ-
ნენ?

ამ მავნე ტენდენციის წინააღმდეგ არის მიმარ-
თული მეცნიერული საბუთიანობითა და ირონია-
იუმორით გაჯერებული მასალები: „ოჟ, ეს სიმბო-
ლო-ალეგორიები!“ „ოთარ ჩხეიძის „ლვინია გადაი-
ჩიხას“ გაგრძელება; „უვიცობა, პლაგიატობა და გა-
ნუკითხაობა რუსთველოლოგიაში“; მორიგი „რუს-
თველოლოგიური ხილვები“; „გამოგონილი რუს-
თველოლოგი“; „მეცნიერული“ ოინბაზობანი“ და
მრავალი სხვა.

ყველაფერი ეს შესრულებულია საქმის უზომო
სიყვარულით, ღრმა გულისტყივილით, მშვენიერი
სტილით და აქ უნებლიერ მაგონდება ოგარიოვის
ნათქვამი: კალამი მაშინ წერს კარგი სტილით, რო-
ცა სამელნეში გულის სისხლის წვეთები ურევიაო,
ხოლო მაჰმადის ნასიბრძნი კი გვამცნევს: ჭეშმარი-
ტი მეცნიერის მელანი უფრო წმინდაა, ვიდრე წმინ-
დანის სისხლი.

ეს ნასიბრძნი დასტურ შეესატყვისება ამ ექ-
ვსასგვერდიან მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომ-
ლითაც ავტორმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა:

მხურვალე გული ეროვნული კრიზისის, ეკონომიკური შეჭირვების, ხმელი სიცივისა და წუნკალი მტრების შემოტევის ვითარებაშიც კი იძლევა ჭეშმარიტი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომების შექმნის შესაძლებლობას.

2011 წ.

ფოლიანტის ღირსება და ნაკლი

ერთობ მსხვილტანიანი გამოვიდა პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო“ (2009). ამ უზარმაზარი ფოლიანტის ხელში აწევაც კი სამძიმო საქმეა, მით უფრო რთულია მისი სრულმხრივი კრიტიკული ანალიზი. მაინც რუსთველოლოგიური პატრიოტიზმი და იმის შეშიც, რომ, შესაძლოა, ამ მნიშვნელოვანი მოვლენის სათანადო და ჯეროვანი შეფასება ვერ მოხდეს, მაიძულებს, კალამი ვიშიშვლო და საქმეს შევუდგე. ამით მომავლის პასუხისმგებლობის წინაშეც პირნათლად წარვდგები, რაკიდა თავი არ ამირიდებია რუსთველოლოგიური პასუხისმგებლობისათვის, რამდენადაც ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობა მისგან თავის არიდებაა.

მკვლევარს ყურადღებით შეუსწავლია „ხვარაზმელთა ამბავი“, დაკვირვებით შეუდარებია პოემის ტექსტისათვის და გამოუტანია, ჩემი აზრით, მართებული დასკვნა: „ხვარაზმელთა ამბავში“ პირობითობა, რაიც ესოდენ ჩვეულებრივია შიგნიტექსტისათვის, არ შეინიშნებაო (10); მაგრამ ვერ დავეთანხმები, როცა აცხადებს: „ვერც ამ პირობითობას ხედავს პოემის გაგრძელებათა, ამ შემთხვევაში „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორი. იგი ასმათს

საქმროს გამოუძებნის და თავის მეუღლესთან ერთად ინდოეთის ერთ მეშვიდედში გაამეფებს“ (11).

ამ შემთხვევაში პროფესორი მეტისმეტად, ჭარბად, აფასებს პირობითობის როლს. ის, შესაძლოა, ერთ ეპიზოდში მეტად ვლინდებოდეს, მეორეში – ნაკლებად.

საერთოდ კი მიკვირს და გამკვირვებია: ისე გონიერი პიროვნება, ფართოდ მოაზროვნე მკვლევარი, რომელსაც, ჩემი ფიქრით, საკმაო ენობრივი და პოეტური ალლო აქვს, რანაირად სვამს ტოლობის ნიშანს გენიალურ „ინდო-ხატაელთა ამბავსა“ და სრულიად მდარე „ხვარაზმელთა ამბავს“ შორის? მეორე ტექსტი პირველს მოცულობით სჭარბობს, მაგრამ მე შემიძლია მოვიყვანო პირველი ტექსტის ერთი აფორიზმი და ერთი მეტაფორა და ვამტკიცო: ეგ აფორიზმი და ეგ მეტაფორა ათჯერ იყიდის და გაყიდის მთელ „ხვარაზმელთა ამბავს“. აი, მაგალითად, მთელ საქართველოში ერთობ პოპულარული აფორიზმი: „შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დალრეჯანია“. შეიძლება თამამად განვაცხადოთ: პოპულარობისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით ამ აფორიზმს შიგნიტექსტის ვერც ერთი ბრძნული ნათქვამი ვერ შეედრება; ახლა კი ერთ მეტაფორასაც გავუსინჯოთ კბილი: „გიშრისა ტევრსა მოჰყოცხდა ბროლისა საფოცხელია“. მსგავსი მე-

ტაფორა-გამოცანებით სავსეა შიგნიტექსტი, ოლონდ ამ მხატვრულ სიმაღლეს ვერც ერთი ვერ აღწევს. ბატონი ელგუჯა კი, როგორც მე შემიტყვია, ამ ტექსტებს თანაბარვალენტოვან მონაკვე-თებად განიხილავს და სერიოზულად მსჯელობს მათს ავ-კარგზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ:

ბატონი ელგუჯა უფრო უკეთ გამოიყურება მა-შინ, როდესაც თეორიულ დებულებებს იძლევა. ამ დროს მას წუნს იშვიათად თუ ვინმე დასდებს, ოლონდ, როცა საქმე კონკრეტულ ტექსტსა და ტექ-სტოლოგიურ პრობლემებს ეხება, მაშინ ბევრი მისი დებულება და დასკვნა საეჭვო და მერყევი ხდება.

ამას ქვემორელე მკაფიოდ დავინახავთ.

სავსებით მართებულია თეორიული დებადი:

„დეტალურადაა შესასწავლი ამ პერიოდის საქარ-თველოს და მისი მეზობელი ქვეყნების, აგრეთვე მთელი დაწინაურებული მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოების ინტერესები და მისწრაფებები“ (16).

ეგ მსჯელობა დიახაც მოსაწონია, აუცილებ-ლად გასათვალისწინებელია, ოლონდ ამ ვეებერთე-ლა კრებულში, რომელიც მგოსნის იდეურ-მსოფ-ლმხედველობრივ პრობლემებს ეხება, სწორედ ეს იდეა არაა რეალიზებული, უკეთ, სანახევროდაა

გათვალისწინებული. მაგალითად, აღნიშნული თვალსაზრისით სულ არაა გააზრებული ფირდოუსისა და ნიზამის შემოქმედება. ამ მხრივ ნიშანდობლივია შემდეგი გარემოება: გურამიშვილის „დავითიანის“ წყაროთა ჩამონათვალში სრულიად იგნორირებულია სპარსული პოეზია. აქ ნახსენებიც კი არაა ნიზამი (49-50). სინამდვილეში „დავითიანის“ ერთი უმძლავრესი წყაროა განჯევის ტექსტები (იხ. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 205-216).

სავსებით სანდოა მომდევნო დებადი:

„ყოველი მხატვრული სახის ჭეშმარიტი ამოხ-სნა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ საერთო მხატვრული სტრუქტურის გააზრებით შეიძლება მოხერ-ხდეს“ (16).

ვფიქრობ, სწორედ ამას გულისხმობდა ვუკოლ ბერიძე, როცა ბრძანა: ზოგჯერ პოემის ერთი სიტყვის ახსნა მთელი ტექსტის განჩხრეკასა და სრულ-მასშტაბიანი გამოკვლევის დაწერას მოითხოვსო.

კარგია, როცა ავტორი ასერიგად მსჯელობს:

„შუა საუკუნეების მოაზროვნის მიერ ქრისტია-ნობის ინდივიდუალური გაგება, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა იგი ორთოდოქსულ დოგმატი-კას, ინდივიდის თვალსაზრისით, ქრისტიანობის ფარგლებში რჩება. უფრო მეტიც: ინდივიდის

თვალსაზრისით, იგი ქრისტიანობის ერთადერთი ჭეშმარიტი გააზრებაა” (24).

ასევე ეჭვშეუვალ დებულებად მიმაჩნია შემდეგი:

მკვლევრები ხშირად „გაურბიან პოეტის აზ-როვნებაში ორი ან მეტი განსხვავებული ფილოსოფიური ნაკადის არსებობის აღიარებას. ამგვარი მიდგომა არამცთუ პოეტის, თვით ფილოსოფოსის შემოქმედებისადმიც კი არ იქნებოდა გამართლებული“ (25).

რა თქმა უნდა, აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს! თვით ფილოსოფოსებიც კი ხშირად იცვლიან პოზიციას, ავითარებენ ეკლექტიკურ და წინააღმდეგობრივ იდეებს; მწერალი კი ფილოსოფოსი (მკაცრი გაგებით) როდია, რათა მწყობრი და ერთიანი კონცეფცია შეიმუშაოს. მაგალითად ავიღოთ გალაკტიონი. რომელ ფილოსოფიურ და თანამიმდევრულ პოზიციაზე შეიძლება აქ ვიღაპარაკოთ? არც ერთზე! ეს არის ეკლექტიკურ მოსაზრებათა გენიალური მხატვრული ფორმით გამომხატველი უცნაური ფენომენი. იგი არც ერთ ფილოსოფიურ პლატფორმაზე არა დგას; ლიტერატურულ მიმართულებათა თვალსაზრისითაც კი ეკლექტიკურია მისი ნაწერები, რადგან შეუთხზავს როგორც რეალისტური, ისე რომანტიკული და სიმბოლისტური ლექსები.

სიამოვნებით ეცნობა მკითხველი ამგვარ პოზიცია-შეფასებასაც:

თვით ეროვნული ქართული ქრისტიანობაც კი ეპოქების მანძილზე არ იყო ერთნაირი. მას ახასიათებდა ქრისტიანულ სივრცეში ფლექსია და დერივაცია. ამიტომაც შეუძლებელია რუსთველისა და მისი პოემის მსოფლმხედველობა კონკრეტულ, დროში გაყინულ, გაქვავებულ, რომელიმე ერთი ეპოქის მსოფლხედვას დავუკავშიროთ და მთლიანად მასზე დავაფუძნოთ. მაშასადამე, „რუსთველის აზროვნება უნდა დაუკავშირდეს არა ზოგადად ორთოდოქსალურ დოგმატიკაზე დაყვანილ ქართულ ქრისტიანობას, არამედ ქართული ქრისტიანული აზროვნების განვითარების კონკრეტულ გამოვლინებას, რომელიც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო XII საუკუნის საქართველოს ... გარემოში“ (28).

სავსებით სწორია მეცნიერი, როდესაც ფაქიზად ეკიდება ახლა გავრცელებულ თეორიას (დაკარგვა – ძიება – პოვნა), რადგან „სტრუქტურის მსგავსება არ ნიშნავს ამ სტრუქტურაში ჩადებული იდეურ-მსოფლმხედველობითი დატვირთვის იგივეობას“ (33).

მართლაც, ორ ერთნაირ ჭიქაში შეიძლება სრულიად სხვადასხვა სითხე ესხას: ერთში ხოხბის სისხლივით წითელი ღვინო კამკამებდეს, ხოლო მეო-

რეში – ლაინისფერდადებული ძმარი.

ზემოაღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს მომდევნო დებულება:

პოეტი, შეიძლება, ფილოსოფიურად ეკლექტიკურიც იყოს (36). ამიტომაც მისი ცალკეული ნათქვამი ან აფორიზმი კიდევ უფრო თავისუფალი და ეკლექტიკურია (37).

მართალია, ეგ აგრეა, ოღონდ აქაც გარკვეული საზღვრები არსებობს. ნიჭიერი მწერალი ამ ეკლექტიკას ერთგვარად ზღუდავს და ყოვლისმომცველ მეთოდად არ აქცევს. ამიტომაც ცალკეული „გამონათქვამის, აფორიზმის, მხატვრული სახის თუ ტერმინის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს არა ტექსტისაგან მოწყვეტით... არამედ პოემის შესაბამის კონტექსტში, ხოლო თვით კონტექსტის სწორი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ნანარმოების ერთიან მხატვრულ სისტემაში“ (37).

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნში ბევრი ავტორისეული მოსაზრება არაერთხელ მეორდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფაქტობრივად ხელთა გვაქვს სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიებისა და შენიშვნების კრებული და არა საგანგებო მონოგრაფიული გამოკვლევა. ეს, რა თქმა უნდა, ფოლიანტის მოცულობას უკიდურესად ზრდის.

პროფესორი ჯეროვნად იცნობს პლატონის,

არისტოტელეს, სხვა ბერძენ მოაზროვნეთა სისტემებს. ამ ცოდნას იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი თუ ცალკეული იდეებისა და ტერმინების ასახ-სნელად, გამოსარკვევად. ამიტომ სანიაზოდ მიმაჩნია მომდევნო მსჯელობა:

რუსთველის ნააზრევში „პლატონურ-ნეოპლა-ტონურისა და არისტოტელიანურის მკვეთრი დაპირისპირება არაა მოსალოდნელი, პირიქით“ (40).

მე ფილოსოფოსი არ გახლავართ და ამ ლაპირინთში ასე შორს ვერ შევტოპავ, ოღონდ ერთს მაინც მოგახსენებთ: რუსთველის უშუალო წინამორბედი ნიზამი განჯევი თავის ნაწერებში ერთობ ფაქიზად უხამებს ერთმანეთს პლატონურსა და არისტოტელურს და, რაკიდა რუსთველი ძალიან კარგად იცნობდა განჯელი გენიოსის ქმნილებებს, სავსებით მოსალოდნელია, მასაც იგივე პოზიცია დაეკავებინა ხსენებული ფილოსოფოსებისა და მათი ნააზრევის მიმართ. ასე, რომ არ ჩანს ელგუჯა ხინთიბიძის ზემორელე გამოკვეთილი დებადის ნგრევის საშიშროება. სამუქფოდ, ყოვლად მიუღებელია (დღეს მაინც) ამგვარი თვალსაზრისი:

არისტოტელე უპირველეს ავტორიტეტად არისო აღიარებული „ქართველ მეხოტბეთა (ჩახრუხაძე და შავთელი) მიერ“ (43).

ასე თამამი საუბარი შეიძლებოდა 2000 წლამდე,

ვიდრე გამოქვეყნდებოდა ბორის დარჩიას მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელის“ (2009) შემადგენელი ცალკეული სტატიები და მათი შეფასებები სხვადასხვა ავტორის (მათ შორის მეცა ვარ) მიერ. აღნიშნული დროიდან მაინც ჩვენი მკვლევარი ფრთხილად უნდა მოჰკიდებოდა შავთელის ტექსტისა და „იდეების“ ხსენებას. დღეს უკვე უთუმცაოდ დადგენილია (ბორის დარჩია, იაკობ შემოქმედელი, 2009; მურმან თავდიშვილი, დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, 2010), რომ არ არსებობს არავითარი ტექსტი, რომელსაც ეწოდება იოანე შავთელის „აბდულმესია“. ის ტექსტი კი, რომელსაც 1822 წლიდან ქართული მეცნიერება იოანე შავთელის სახოტბო პოემად მიიჩნევდა, გახლავთ იაკობ დუმბაძის (მიტროპოლიტის) ქმნილება და ეწოდება ასე – „ქება მეფისა არჩილისა“.

მაშასადამე, განცხადება, ვითომცდა შავთელი არისტოტელეს დიდ ავტორიტეტად აღიარებდეს, ლიტონი სიტყვაა. ჩვენ არ ვიცით, ამ ფილოსოფოსს იგი აქებდა თუ აძაგებდა; ის კი კარგად ვიცით, რომ იაკობ მიტროპოლიტს ძველი ბერძენი მოაზროვნე ცამდე აჰყავს!

მიკვირს და გამკვირვებია: ისე ფრთხილ მეცნიერს, როგორიც ელგუჯა ხინთიბიძეა, ასეთი „იაღლიში“ ვით მოუვიდა?! ნუთუ ის მაინც არ შეუტყვია,

რომ მისი ლვიძლი ძმა ბატონი აკაკი ხინთიბიძეც კი ბორის დარჩიას ამ აღმოჩენის მხურვალე მომხრე იყო?! აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ, ეტყობა, მას მხედველობიდან გამოეპარა ალექსი ჭინჭარაული-სა და მურმან თავდიშვილის დადებითი გამოხმაუ-რებები ამ სენსაციურ აღმოჩენაზე.

მაშ, ასე:

დასაშვებია ნეიტრალური გამოთქმა, ვთქვათ, ასეთი: რუსთველს წინ უსწრებდნენ სიტყვის ოსტა-ტები, მეხოტბე მგოსნები ჩახრუხაძე და „აბდულმე-სიას“ ავტორი შავთელი, ოლონდ ყოვლად მიუღებე-ლია შავთელის ტექსტის უქონლობის ვითარება-ში იმ ტექსტის იდეური არსის რაობაზე ლაპარა-კი, მით უფრო, რომელიმე ფილოსოფოსისადმი შავ-თელის მიერ გამოვლენილ სიმპათია-ანტიპათიაზე მსჯელობა.

ბარემ აქვე დავსძენ: ჩემი გამოთვლით, კრე-ბულში შავთელი ნახსენებია შვიდჯერ. აქედან ოთ-ხჯერ – ფრიად უხერხულ კონტექსტში.

როგორც ითქვა, ჩვენი მკვლევარი კარგად იც-ნობს არისტოტელეს, მის შესახებ არსებულ ლიტე-რატურას. ამიტომაც კარგ შთაბეჭდილებას ტო-ვებს რუსთველის მოსაზრებებისა და იდეალების არისტოტელიანობის მტკიცება (46-49).

ადრეც შემინიშნავს და ახლაც ვიტყვი: ბატონ ელგუჯას კარგად მოუხდა, რომ არსად ცდილობს, რუსთველი უშუალოდ გამოაცხადოს რენესანსის მწვერვალად. ამიტომაც ხმარობს ერთობ მოზომილ, აფთიაქის სასწორზე აწონილ, ფრთხილ და გაუკრიტიკებელ გამოთქმას – „რენესანსული ვეფხისტყაოსანში“.

როგორც ითქვა, კონკრეტულ ტექსტოლოგიურ საკითხებზე მსჯელობა ვერ არის ისე მყარი, როგორც საჭიროა. „ინდო-ხატაელთა ამბის“ მოწინააღმდეგე პროფესორის აზრით, ასმათის დაქორწინება და მისთვის ინდოეთის ერთი მეშვიდედის მირგუნება არღვევს სიყვარულისა და ცენტრალიზებული მონარქიის შიგნიტექსტისეულ იდეასა და კონცეფციას.

ამ მცდარ თვალსაზრისს არაერთხელ გავეცი პასუხი. აქ მოკლედ დავსძენ:

მკვლევარს მოჰყავს სტროფი: „მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია“. მას შერთეს ასმათი და მეშვიდე სამეფოს ხელმწიფედ გაუშვეს. აქ პროფესორი ხედავს თავისუფალი სიყვარულის პოემისეული კონცეფციის ხელყოფას (78).

ჯერ ერთი, აქ მეცნიერი უშვებს ტექსტოლოგიურ შეცდომას. ეგ სტროფი „ინდო-ხატაელთა ამბის“ ორგანულ ნაწილად არაა ცნობილი; მეორეც,

ეგ პოეტური აბზაცი ტექსტოლოგებმა კიდევაც რომ შეიტანონ პოემაში, მაინც ვერ დაარღვევდა თავისუფალი სიყვარულის შიგნიტექსტისეულ იდეას. აი, თუ რატომ:

ცნობილია, რომ პოემაში გამოყვანილი სასიყვარულო წყვილები უმაღლეს კასტას – მეფე-დიდებულთა წრეს – განეკუთვნებიან. რუსთველი ამ დონეზე უმღერის თავისუფალ სიყვარულს, ხოლო, ზოგჯერ, პოლიტიკური სიტუაციისდა კვალობაზე, უშვებს გამონაკლისსაც. მონას, მსახურს, პატრონი ზოგჯერ ამა თუ იმ სასურველ პირზე, პოლიტიკურ ფიგურაზე, აქორნინებს და ამით სახელმწიფო საქმეებს აგვარებს. კიდევ მეტი, ზოგჯერ ეს აუცილებელი ხდება თვით უმაღლეს დონეზეც კი. ამ მხრივ მრავლისმეტყველ მაგალითს იძლევა ნიზამის „ისკანდერ-ნამე“, სადაც ალექსანდრე მაკედონელი პოლიტიკური მიზნით აზერბაიჯანის დედოფალ ნუშაბეს აქორნინებს ქართველთა მეფე დუვალზე (დვალზე) და ეგ პოემა რუსთველს ხელისგულზე ედო. კიდევ მეტი. ამგვარი კონკრეტული მაგალითი რუსთველისწინა და რუსთველის ეპოქაშიც მრავლად იყო: დემეტრე მეფის, დავით აღმაშენებლის, გიორგი მეფისა და სხვათა ღვიძლი ნათესავები (დები, შვილები...) დაქორნინებული იყვნენ მაპმა-დიანური ქვეყნების ძლიერ ხელმწიფებზე. უფრო

მეტიც, თვით თამარ მეფე სწორედ პოლიტიკური მიზნის გათვალისწინებით გაათხოვეს ორივეჯერ.

და აქ ორი აზრი არ შეიძლება, არსებობდეს!

ასე რომ, ის სტროფი, ფსევდორუსთველურიც რომ აღმოჩნდეს, ამ მხრივ რეალობას არ ღალა-ტობს და შიგნიტექსტის იდეას სრულიადაც არ ეწი-ნააღმდეგება.

ახლა ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის საკითხს მივხედოთ.

ინდოეთის შვიდი სამეფოს გაერთიანებას ე. ხინთიბიძე სავსებით მართებულად პროგრესულ ისტორიულ პროცესად მიიჩნევს. მას არ მოჰყავს, მაგრამ მე შევიხსენებ აღნიშნული პროცესის კარლ მარქსისეულ შეფასებას: იმ დროს, როდესაც ყოვე-ლი წვრილი ფეოდალი განცალკევების წადილითაა შეპყრობილი, მეფის ცენტრალიზებული ხელისუფ-ლება ერთადერთი ნათელი სხივია ბნელეთის სამყა-როში.

პროფესორი მართალია: მთელი შიგნიტექსტი „ხუტაბას“ აღუვლენს ამ ფაქტსა და მსგავს პროცე-სებს; მაგრამ ეს რა ხდება „ინდო-ხატაელთა ამბავ-ში“? აქ ტარიელი ასმათს ან უკვე გაერთიანებული სახელმწიფოს ერთ მეშვიდედ ტერიტორიას აძ-ლევს, ამ ნაწილის ხელმწიფედ აკურთხებს და ამ მხარის პატრონ-განმგებლად ამწესებს.

ამ ფაქტს ე. ხინთიბიძე შიგნიტექსტის ლალა-
ტად მიიჩნევს (78-79).

სინამდვილეში მსგავსიც არაფერი მომხდარა.

ეს გახლავთ ნამდვილი, უდავო, ავთენტიკური,
დღემდე უარუთქმელი სტროფის შინაარსის გაუ-
გებრობა.

ტარიელმა დიახაც დააჯილდოვა ასმათი. მან
ყველა თავისი კეთილისმყოფელი საჩუქრებით აავ-
სო. პოემაში ეს პროცესი წარიმართა აღმავალი ხა-
ზით. სულ ბოლოს ხდება ყველაზე დიდად გარჯილ-
დამაშვრალის დაჯილდოება (ამის შესახებ იხ. მ.
თავდიშვილი, ნაცვალგების კანონზომიერება და
„ინდო-ხატაელთა ამბავი“, წიგნში „ვეფხისტყაოს-
ნის ტექსტის საიდუმლოებანი“, 2000, გვ. 195-200).

მაშასადამე, რაკი ყველა კეთილისმყოფელი და-
აჯილოვა, აუცილებლად პატივი უნდა მიეგო ასმა-
თისათვისაც, ყველაზე ჭირნახადი ადამიანისათვის,
დაზე უდესისათვის. ეგ პატივგება კი სწორედ „ინ-
დო-ხატაელთა ამბავში“ ხდება, სხვაგან – არსად.
მარტო ეს არგუმენტიც კმარა ამ მონაკვეთის რუს-
თველურობის დასადასტურებლად, ოღონდ ახლა
კი ისა ვნახოთ, მართლა ირღვევა თუ არა ცენტრა-
ლიზებული სახელმწიფოს შიგნიტექსტისეული
იდეა ქმნილების ამ ბოლო მონაკვეთში?

არა, არამც და არამც არ ირღვევა!

ეს „რღვევა“ ტექსტის გაუგებრობის შედეგია.

ტარიელმა ასმათს მეშვიდე სამეფო კი მისცა, სამეფო ინვესტიტურაც სრულად მიუბოძა, ოლონდ იგი დამოუკიდებელ ხელმწიფედ არ გაუშვია. არა, ასმათი გახდა პროვინციის პატრონი, ერთი მხარის, სომხურად – გავარის, მმართველი, მეფეთ მეფის, ანუ კეისრის, ყმა, მონა და ბანდაყული.

მთელი ეს დამოუკიდებლობა სრულიად ცხა-დად გახლავთ გამოხატული „ინდო-ხატაელთა ამ-ბის“ ავთენტიკურ სტროფში:

ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს, მისსა

შეკდომილსა:

„რაცა შენ ჰქმენ, არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა;

ან ინდოეთს სამეფოსა მეშვიდედსა, ერთსა ნილსა, ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა!“

ბატონმა ელგუჯამ ამ პოეტურ აპზაცში ყუ-რადღება მიაქცია ყველაფერს, გარდა ერთი მომენ-ტისა და ის მომენტი აქ კარდინალურად ცვლის საქ-მის არსა, იგი გადამწყვეტი ფაქტორია! დიახ, მან ყურადღება აღარ დაუთმო ტარიელის უმნიშვნე-ლოვანეს მითითებას, მოთხოვნას: „**გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა!**“

მაშასადამე, ასმათს გადაეცა საკარგავი, სწორედ ისე, როგორც ოდესლაც ტარიელის მამა სარიდანს მას შემდეგ, რაც იგი დამოუკიდებელი ხელმწიფე აღარ იყო და „კეისარის“ (ანუ მეფის, ფარსადანის) ერთ-ერთი რიგითი მეფე, ანუ პროვინციის პატრონი, გახდა. კიდევ მეტი. მომდევნო სტროფში ლომგმირი კიდევ ერთხელ უცხადებს ასმათს: „**მუნიდალმა გვმსახურებდი, თავი შენი დაგვამონე!**“

ამრიგად, ტარიელის სიტყვები გულისხმობს შემდეგს: გიშვებ პროვინციის მეფედ, ყოველმხრივ ხელმწიფე იქნები, ოღონდ არ გექნებაო „კეისარობა“. შეადარეთ ამას სარიდანის ამბავი ფარსადან-თან შეერთების შემდგომ: სხვად ხელმწიფეა, ოღონდაც არა აქვს კეისარობაო. ასმათის აწინდელი მდგომარეობა ზედმიწევნითა ჰქონდა ფარსადან-ზე დამოკიდებული სარიდანის მდგომარეობას:

ერთი სამეფო საკარგვად, უბოძა ამირბარობა,
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა;
მეფედ რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმწვდარობა,
სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა.

აქაც იგივეა: სარიდანსაც ასმათისდარად „ერთი სამეფო საკარგვად“ აქვს ბოძებული; ისიც ასმათსავით „მეფედ დაჯდა“; ისიც „სხვად პატრო-

ნია“, ოღონდაც „არა აქვს კეისარობა“, ანუ მეფეთ მეფობა, ანუ შაჰინშაჰობა.

მაში, სარიდანის ძეს ასმათი დამოუკიდებელ ხელმწიფედ, „კეისარად“, არ გაუშვია.

ახლა ისა ვნახოთ, როგორ გაიგო ეს ბრძანება ასმათმა: სწორად თუ ისე მრუდედ, როგორც პატივცემულმა მკვლევარმა? არა, ასმათმა ზედმინევნით ზუსტად გაიგო ლომგმირის სიტყვები. ეს ძალიან მკაფიოდ, ისე, რომ რეტუშირება არა სჭირდება, ჩანს მისივე სიტყვებიდან:

**ასმათ ფერხნი გარდუკოცნა: „შენგანაო ჩემი ლონე,
მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?“**

აქ ყურადსალებია მეორე ტაეპი, სადაც ყოველივე ნათელი ხდება: ასმათი მიდის პროვინციის მეფე-მონად, ყმადნაფიც ხელმწიფედ. ამიტომაც აცხადებს: **მონებისა უკეთესი რამც ვიშოვეო?!** ესე იგი, შენი სამუდამო მონა და ბანდაყული ვარ და ვიქნებიო.

ამრიგად, თვით „ვეფხისტყაოსნის“, კერძოდ კი „ინდო-ხატაელთა ამბის“, ანუ პოემის ბოლო დასკვნითი ნაწილის, იდეითაც, ასმათი და მისი მეშვიდე სამეფო გაერთიანებული ინდოეთის სახელმწიფოში რჩებიან და შიგნიტექსტისეული იდეა აქ სრულად და წარმატებით გვირგვინდება; ქვეყნის დანაწევ-

რება-დაქუცმაცებაზე აქ კრინტიც არ არის დაძრული.

ბატონი ელგუჯა თეორიულად, როგორც ეს ზემორელე ვნახეთ, მოითხოვს, რომ გავითვალისწინონთ მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური ვითარებები და ურთიერთობები, რათა სწორად ავხსნათ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი რთული საკითხი.

მეც მანდა ვარ, და კიდევაც ვითვალისწინებ ამ გარემოებას, ოღონდ ბატონი ელგუჯა „მანდ არ არის“. ის თეორიული მსჯელობების იქით არ მიდის. მას არ მოჰყავს ზემორე ჩემ მიერ თქმულის პარადიგმული მაგალითები „შაპ-ნამედან“, ნიზამის პოემებიდან. მე კი აქ მივუთითებ მსგავს მაგალითებზე ფირდოუსისა და ნიზამისთან (იხ. ჩემი „ფირდოუსი და რუსთველი“, 2009, გვ. 23-29; აგრეთვე ჩემივე „ნიზამი და რუსთველი“, 1011, გვ. 48-49). აქ მე განხილული მაქვს ასმათის დაჯილდოების მსგავსი არაერთი საგულისხმო ნიმუში, სადაც არც ერთ შემთხვევაში არ იგულისხმება ქვეყნის დეცენტრალიზაცია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ არადსაღირალი ხდება პროფესორის ამდაგვარი მსჯელობა: ზოგი გმირი ერთი ასპექტით იხატება. მას სრული დახატვა და სრული ბიოგრაფია არა სჭირდება. აღნიშნულით კი, ასმათის გამეფებით, ამ პერსონას

ახალი ბიოგრაფიული ელემენტები ემატებაო (79-80).

სინამდვილეში ასმათი ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟია. მისი ბიოგრაფიაც ისევე უნდა დასრულდეს და ლოგიკურ ბოლომდე მივიდეს, როგორც „მათ სამთა გმირთა მნათობთა“, რამეთუ **რეალურად ისინი სამნი კი არა, ოთხნი არიან და ეგ მეოთხე ასმათია!**

პოემის ბოლო სამი თავის წინააღმდეგ ამხედრებული ბატონი ელგუჯა ბრძანებს:

რუსთველის სტილი ასეთია – ომებში დიდ ძალას ებრძვის პატარა ძალა. გმირები ყოველთვის მცირე რაზმებით დიდ რაზმებს უტევენ და იმარჯვებენ; ამით მათი გმირობა უფრო შთამბეჭდავი ხდება. „ინდო-ხატაელთა ამბავში“ კი საწინააღმდეგოსა ვხედავთ. ინდოეთში შეჭრილი რამაზ ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად 80000 რჩეული მხედარი დაძრესო!

ეგ მოსაზრება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ეს იდეა ისე განწირული ჩანს, როგორც გვიანი შემოდგომის დღე საღამოს 5 საათისათვის.

დავიწყოთ იმით, სადაც პროფესორი მართალია.

პოემაში სწორედ ასეა: ტარიელი, ფრიდონი, ავ-
თანდილი მცირე ასაბით მეტოქის უზარმაზარ
ლაშქარს ამარცხებენ. ამით მათი ვაჟკაცობა მკა-
ფიოვდება, ოღონდ ეგ იმას როდი ნიშნავს, რომ გმი-
რებს საომარ ველზე მცირერიცხოვანი სპაი გამოჰ-
ყავდეთ! ბატონი ელგუჯა ბრძანებს: ინდოეთში
შეჭრილი რამაზის წინააღმდეგობის დასაძლევად
80000 არაბული ცხენოსანი კორპუსი რომ წაიყვა-
ნეს, ეგ რა ამბავიაო?!

მკვლევარს აღარ აგონდება ტექსტის სხვა მო-
ნაცემები: ტარიელმა ხატაეთში | სამხედრო ექსპე-
დიციის მოწყობა რომ განიზრახა, მთელი ინდოე-
თის მობილიზაცია გამოაცხადა, ქვეყნის ყველა
კუთხე-კუნჭულში მარზპანები დაგზავნა და შეკრი-
ბა ლაშქარი, რომელიც 80000 მეომარს აშკარად
ბევრად აღემატებოდა. აი, როგორ არის აღწერილი
ამ ლაშქრის სიდიდე და გრანდიოზულობა:

ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია.
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია.
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია.

(სტროფი 405)

სხვაგან ტარიელი ასე ტრაბახობს:

**დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა.
(სტროფი 407)**

მესამე ადგილას ხატაეთში წასული ინდოთა
ლაშქრის სიდიდე ასეა წარმოჩენილი: ხატაელი და-
რაჯი გაიძახის – „ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს
უთვალავმან, ბევრმან სპამან“ (სტროფი 452).

თვითონ ტარიელი ასე აღწერს საკუთარი ლაშ-
ქრის სიდიდეს:

ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა.

მაშასადამე, ამ მხრივ შიგნიტექსტი და „ამბავი“
ერთსა პირსა ზედა „სდგანან“.

ახლა ფრიდონის ვერაგი ბიძაშვილების წინააღ-
მდეგ გაჩაღებული ომის პერიპეტიები განვსაჯოთ.
აქაც უზარმაზარი ფლოტი შეიკრიბა და ეგ არმადა
პირცეცხლოვანი დრაკონივით გაემართა მეტოქის
მოსასპობად და დასათრგუნავად: „**დავკაზმეთ ნა-
ვი, კატარლა და რიცხვი სპათა ჯარისა**“.

მაშასადამე, არც აქ ყოფილა ჯართა სიმცირე.
თუ მეტი არა, მეტოქეზე ნაკლები მეომარი გმირთა
მხარეს ნამდვილად არ იბრძოდა.

ამრიგად, ამ მხრივ შიგნიტექსტი და პოემის ფი-
ნალური ნაწილი „ერთსა პირსა ზედა სდგანან“. გმი-
რებს, რაც შეიძლება, მეტი მეომარი მიჰყავთ

მტრის დასამარცხებლად. რაც შეეხება ქაჯეთის ომს, აქ დიდძალი ლაშქარი შენიღბვის მიზნით არ წაიყვანეს – ქაჯებს „უგრძნობლად“ უნდა მიჰპარვოდნენ. ეს ვითარება რომ არა, ფრიდონს მზადა პყავდა დიდი ლაშქარი. ამას თვითონვე გვიმუდავნებს:

„დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგნი გვინდან და ცოტანი“.

საქმეს ახლა სხვა მხრივაც შევხედოთ.

მართალია, „ომად“ დიდძალი ლაშქრით მიემართებიან, ოღონდ გმირები ცალკეულ ბრძოლებს მცირე ასაბიის თანხლებით მართავენ და პიროვნულ სიმამაცეს გვიჩვენებენ. ამ მხრივაც შიგნიტექსტი და ფინალური ნაწილი ერთიანია, ერთმანეთს ეთანხმება. როგორც ხატაეთის სამხედრო ექსპედიციაში, როგორც ფრიდონის ვერაგი ბიძაშვილების წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლაში, ისე ინდოეთში შემოჭრილი რამაზ ხანის დასამხობად ატეხილ ომში ნაჩვენებია არა მთელი (დიდი) ლაშქრის კვეთება, არამედ გმირთა და მათი მცირე ამალის შემართება. დიდი ჯარი კი ზურგის მობმის, ზურგის გამაგრებისა და დაზღვევის ფუნქციას ასრულებს.

ამ მხრივაც ყველა ეს შეტაკება ერთნაირია და აქ განსხვავებას ვერ ვპოულობთ. ასეა ბოლო ორ-

თაბრძოლაშიც. აქაც მთელი 80 ათასიანი ცხენოსანი კორპუსი არ ჩაბმულა შეტაკებაში. აქ ასახულია სამი გოლიათისა და არაბული არმიის მენინავე რაზმების სამხედრო სიქველე. საკვირველი სწორედ ისაა, რომ აქ მკაფიოდ არის ნახსენები სწორედ მოწინავე რაზმები:

ნინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს,
ტარიასთა გააქცივნეს, მიეწივნეს, ჩამოჰყურიდეს.
(სოლ. ყუბანეიშვილი, სტროფი 1805)

პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის აზრით, პოემა არაბეთში გმირთა მისვლით უნდა დამთავრდეს. სიყვარულის პრობლემა სრულად არაბეთში გადაწყდა. ამის შემდეგ ამბის გაგრძელება აღარაა საჭირო (83).

თუ ეს ასეა, მაშინ იბადება აურაცხელი ლოგიკური კითხვა, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს.

მთელი ეს ორომტრიალი, რაიც ინდოეთის სამეფო კარზე დატრიალდა, სიყვარულს მოჰყვა თუ ტახტის პრობლემას?

ეჭვი არაა, აქ სიყვარულის პრობლემა კი არა დგას, არამედ უფრო მნიშვნელოვანი რამ – **ტახტისა და ხელისუფლების პრობლემა**. ეს მკაფიოდ გამოიკვეთა ჯერ კიდევ ნესტან-ტარიელის თათბირზე, როცა დათქვეს, რომ აქ სიყვარული კი არ უნდა

ჩაეთვალათ გადამწყვეტ ფაქტორად, არამედ ქვეყნის პატრონობა. უფრო მკაცრად ეს გაცხადდა განრისხებული ლომგმირის ფარსადან მეფისადმი მიმართული სიტყვებით: **შენი ქალი გამარიდე, გაათხოვე, ვისზედაც გინდა, ოღონდ ტახტი მე მეკუთვნის და უცხოელს ინდოეთში არ ვაბოგინებო.** ამიტომაც ეს პრობლემა უნდა გადაწყვდეს. ამ საკითხის გადაწყვეტა კი ხდება სწორედ ფინალურ სამ თავში, ანუ „**ინდო-ხატაელთა ამბავში**“; შემდეგ: ჯერ კიდევ ქაჯეთის ტუსალი ნესტანი სატრაფოსა სწერდა: წადი, ინდოეთს მიმართე, რამაზ ხატაელი-საგან შეჭირვებულ მამაჩემს მიეხმარე, მე მაინც ვერ მიშველი და სამშობლოს მაინც შეეწიეო! ნუთუ ეს თხოვნა როყიო თხოვნაა და არ უნდა შესრულდეს? ნუთუ გმირები მხოლოდ ვიწრო მერკანტილური მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ? მაშასადამე, ეგ თხოვნაც უნდა შესრულდეს! ეს კი სწორედ ფინალურ ნაწილში ხდება; გარდა ამისა, თუ ფრიდონის მიზანი ინდოეთის გასათავისუფლებლად ბრძოლა და ძმობილის დახმარება არ არის, მაშინ რად მოსდევს ძმობილებს მულდაზანზარიდან არაბეთში?! ნუთუ მხოლოდ იმად, რათა თინათინ-ავთანდილის ქორწილს დაესწროს? მერედა რა იცის, რომ ეს ქორწილი შედგება, რომ როსტევანი ამ ქორწინებაზე დასთანხმდება? შემდეგ, როგორც

„ილიადაშია“ კონსპექტურად მოცემული „ოდისე-ას“ ქარგა, ისეა „ვეფხისტყაოსანშიც“. ფრიდონისას ავთანდილი ამირბარს განუცხადებს თავისი მომა-ვალი საქმიანობის მთელ გეგმას. ეს გეგმა ასე გა-მოიყურება:

ესეა ჩემი სანადი და ჩემი მოსანდომარე:
ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედა
მჯდომარე,
გვერდსავე გიჯდეს მნათობი, ჰირი ელვათა
მკრთომარე,
მეპრძოლნი თქვენი მოგესრნენ, არვინ ჩნდეს მუნ
მეომარე.

მაშ, ავთანდილის გეგმა ასეთია: ის ტარიელს უნდა გაჲყვეს ინდოეთში, შეამუსვრინოს მტერი, დასვას ტახტზე, დააქორწინოს ნესტანზე, დაამყაროს ინდოეთში მშვიდობა და ამის შემდეგ დაბრუნდეს არაბეთში.

სწორედ ამ გეგმის მიხედვით ხდება ყველაფერი „ინდო-ხატაელთა ამბავში“.

მაშ, შიგნიტექსტი აქ რკინის კავებით გადაება „ამბავს“.

კიდევ ერთი არგუმენტი:

სამივე რაინდმა იცის, რომ ფარსადანი და მისი ცოლი გასაჭირდია, ინდოეთს დაპყრობა, გაჩანაგება და იავარქმნა ემუქრება; საფრთხეშია მხცოვანი

მეფე-დედოფლის თვით სიცოცხლეც კი. ახლა როგორ წარმოგიდგენიათ: ტარიელის განა რა მეგობრები იქნებოდნენ ფრიდონი და ავთანდილი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, როსტევანი, რომ ინდოეთისათვის ამ საბედისწერო ჟამს დახმარება არ გაენიათ? ყოვლად წარმოუდგენელია რუსთველს თავისი ზნეობრივი გმირები ამ უზნეო საქციელისა და დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის გაეწირა! რა ზრდილობა და ეტიკეტი იქნებოდა, მეგობრებს შუა გზაზე მიეტოვებინათ ნესტანი და ტარიელი და მათი შემდგომი ბედით არ დაინტერესებულიყვნენ?

ვფიქრობ, ამგვარ იდეურ-მხატვრულ და ფსიქოლოგიურ კრახს არც ერთი მდარე მწერალი არ დაუშვებდა, არათუ გენიალური მესიტყვე!

და, ბოლოს, როსტევან მეფემ რომ უპრძანა და ავთანდილმა 80000 მხედარი შეკრიბა ინდოეთს გასამგზავრებლად, ეგ ამბავიც ხომ ნამდვილ, ავთენტიკურ შიგნიტექსტშია? რა ვუყოთ ამდენ სტროფს? თუ ამბავი არაბეთში უნდა შეწყდეს, მაშინ შიგნიტექსტიდან უნდა ამოვყაროთ **ათობით**, ვიმეორებ, **ათობით** დღემდე შეურყევლად მდგარი სტროფი.

ვინ გაბედავს ამას?

ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე?

არა მგონია!

ჩვენი მკვლევარი ამას არ ადასტურებს, ოღონდ
მე კი კატეგორიულად ვაცხადებ:

თუ ამბავი არაბეთში შეწყდება, მაშინ ბატონმა
მკვლევარმა საკუთარი ხელით უნდა გააძეოს პოე-
მის ათობით დღემდე ეჭვშეუტანელი რუსთველური
სტროფი. ამას კი იგი ნამდვილად ვერ გაბედავს. მა-
შინ რაღა გამოდის? გამოდის, რომ მისი ზემორელე
ნათქვამი სიტყვები ლიტონი სიტყვებია.

ახლა კი ვნახავთ, თუ როგორ გაიხლართა მეც-
ნიერი დაუძლეველ წინააღმდეგობაში.

ზემორელე ხომ განაცხადა, პოემა არაბეთში
უნდა შეწყდესო, იქვე ბრძანებს: სტროფი „ტარი-
ელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“ რუს-
თველისააო (85).

ყველა, ვინც ამას წაიკითხავს, გაცბუნდება,
გასახტავდება, რადგან გამოკვლევამ აქ ისე შავი
ბოლი ამოუშვა, გეგონება, რომის პაპი ვერ აურ-
ჩევიათ და ყომრალი კვამლიც ამას მოასწავებსო.

ისმის კითხვა: კი, მაგრამ, ეს ხომ „ინდო-ხატა-
ელთა ამბის“ სტროფია? ეგ ხომ ინდოეთში გადახ-
დილი ტარიელ-ნესტანის ქორწილის ამსახველი მო-
ნაკვეთის (თავის) შემადგენელი ნაწილია, ხოლო იმ
ქორწილს ხომ ავთანდილიცა და ფრიდონიც ესწრე-
ბოდნენ?! რა მეცნიერული ფარდა უნდა ჩამოაფა-
რო ამ ამბავს, რომ ეს პერსონაჟები გადამალო?!

ასეთი გაუმჯვირვალე ფარდა არ არსებობს.

მაშასადამე, ან „ამბის“ მიღება, ანდა ასეთი მიკიბვა-მოკიბვა!

ამგვარი მეთოდოლოგიურ-სტრატეგიული შეც-დომა ბატონ ელგუჯას სხვაგანაც მოსდის. მართა-ლია, „ინდო-ხატალეთა ამბავი“ არა ჰერონია რუს-თველის ქმნილება, ოღონდ, როცა საკუთარი თეო-რიის დასასაბუთებლად დასჭირდა, სწორედ ამ და-წუნებული მონაკვეთიდან ამოღებული ტაეპი კეპ-ლუცად მოიმარჯვა: „ცნა ამირბარმან, წავიდა ლო-მი მის მზისა მძებნელად“ (გვ. 132 გამოკვლევისა, სტროფი 1586 პოემისა).

არაერთხელ მითქვამს და დამიბეჭდავს კიდეც:

ბატონ ელგუჯა ხინთიბიძეს რომ „ვეფხისტყა-ოსნის“ ტექსტის გამოცემა დავავალოთ, ვერაფერს შეძლებს.

საქმე ისაა, რომ მან ამ შემთხვევაში პოემის ამ-ბავი ბოლომდე უნდა მიიყვანოს, ანუ უარყოს თავი-სი თეორია პოემის კომპოზიციისა და სიუჟეტის თაობაზე, რაც მისი არაერთი ვრცელი სტატიის უარყოფას გულისხმობს და ეგ დია გაუჭირდება, ანდა პოემის შიგნიტექსტიდან ათობით ავთენტური სტროფი უნდა ამოგლიჯოს, რასაც ქართველი ერი არ დაანებებს და ვერც თვითონ გაბედავს.

მაგრამ არის ნარკვევის სხვა (არატექსტოლო-გიური) სფერო, სადაც მეცნიერი ძლიერია.

გამოკვლევის ავტორის ნიჭიერება უმთავრე-სად ვლინდება ე.წ. „ღრმა“ ცნებებისა და ტერმინე-ბის ფილოსოფიურ-ლოგიკური არსის დადგენისას. მაგალითად, ერთობ საბუთიანია დასკვნები მთვა-რის მოვანებასთან დაკავშირებით (135); დიდი ინ-ტერესით იყითხება მსჯელობა, სადაც გარკვეულია ზეცისა ძალი (157). განსაკუთრებით მომწონს და მესულგულება ის დასკვნები, რაც ვარსკვლავთა ბუნებას ეხება: „ამქვეყნიურ ამბებს, მართალია, მნათობები განაგებენ, მაგრამ ისინი ღმერთებს არ წარმოადგენენ... მნათობები მხოლოდ შუამავლები არიან ღმერთსა და ამქვეყნიურ ამბებს შორის... მათ მოქმედებას უფალი განაგებს“ (172) და აქ მკვლევარს დროულად და მარჯვედ მოჰყავს პლო-ტინის სიტყვები: „ვარსკვლავთა სრბოლა მიგვანიშ-ნებს, რაც უნდა მოხდეს, ოღონდ თვითონ არ ქმნიან მას“ (174).

ეს სწორედ ის მეცნიერული ჭეშმარიტებაა ამ საკითხში, რაც არასოდეს ესმოდა და ამჟამადაც არ ესმის პროფესორ გრივერ ფარულავას (ამასთან დაკავშირებით იხ. ჩემი „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 143-144).

საქმეში ჩახედული მკითხველის მოწონებას იმ-

სახურებს ნარკვევი კრონოსის (182-195), ცხრა და შვიდი ცის შესახებ (196-208); პირადად მე მუდამ იმას ვფიქრობდი, რასაც თავისი დაკვირვებების შემდეგ გვამცნევს მკვლევარი სტატიაში „მზე მაბრუნვებს“ (209): „პოეტის წარმოდგენები ზეციურ სამყაროზე უპირატესად თავსდება იმდროინდელ საქართველოში და საზოგადოდ მსოფლიოში აღიარებული გეოცენტრული შეხედულებების ფარგლებში“ (217).

საქმე ისაა, რომ ზოგი ავტორი აღარ სჯერდება იმას, რომ რუსთველი მხატვრული სიტყვის დიდოსტატია და მისი გენიოსობის დასტურს დაეძებს იმ სფეროებშიც, სადაც ის პირველადმომჩენი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი სფეროა ასტრონომია და ასტროლოგია. განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინის „მაბრუნვებს“ ანალიზი. გაირკვა, ეს ყოფილა არა ზოგადად ბრუნვა, არამედ უკან დაბრუნება (221). ასევე კარგია ავთანდილის მარშრუტის შედარება მერკურის მარშრუტთან. ამით ბევრი რამ ითქვა (224) და აქ არ ყოფილა ნაგულისხმევი არავითარი წრიული მოძრაობა; აქ სრულიად უჯეროა თვით ტიპო-ბრაჟეს ხსენებაც კი!

„მზიანი ლამის“ ანალიზისას მკვლევარი ბევრ მეცნიერს შეიწევს, განსაკუთრებით ვიკტორ ნოზა-

ძეს და ამ უკანასკნელის მიერ მოშველიებულ მამა გენადისაც (259); ასევე ღრმად და საინტერესოდ გვესაუბრება ავტორი „უჟამო უამის“ არსის გასარ-კვევად. დადგენილია: კატაფატიკა=აპოფატიკის წესით აქ იგულისხმება ღმერთი (269); ასევე ღმერ-თია და არა ქრისტე „ერთარსება ერთი“ (271-288); ასევე ქრისტეს არ გულისხმობს „ბუნება-ზიარი“ (293).

ერთი შეხედვით, საგულისხმო ჩანს ვარაუდი, რომ რუსთველი გაურბის **სამი მზის** ხსენებას, რა-თა ქრისტე არ გამოესახაო (304) და მოყვანილია სა-თანადო ტაეპი:

შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე.

აღნიშნული ვარაუდი მიგნებად გადაიქცეოდა, მას ხელს რომ არ უშლიდეს სხვა ტაეპი, რომელიც მკვლევარს მხედველობიდან გამოჰქმარვია. ქაჯთა ტყვე ნესტანი სატრფოსა სწერს: ცოლად არავის გავყვები, თუნდაცო „მო-ცა-ვიდნენ სამნი მზენი“ (სტროფი 1303).

ასე რომ, რუსთველს მაინც აქვს ნახმარი ცნება „სამნი მზენი“, თუმცა კი არავითარ ქრისტეს იქ არ გულისხმობს (ამის თაობაზე დაწვრილებით იხი-ლეთ „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 105).

პირადად მე ყოველთვის მომწონდა ე. ხინთიბიძის გამოკვლევა „სახე ყოვლისა ტანისა“. სტატია ამ კრებულშიცაა წარმოდგენილი. დასკვნა საგულისხმოა. **სახე** უდრის **ფორმას**, **ფორმა** – **სულს**. ასე რომ, „სახე ყოვლისა ტანისა“ გამოდისო „ყოველი სული“. სამწუხაროდ, აღნიშნულ ნარკვევში მკვლევარს არ გამოუყენებია ნიზამის მონაცემები (იხ. „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 78-80).

საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ წერილს „დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“ (338). აქ ბევრი რამ არასწორია, ზოგი რამ – მართებული.

ჯერ მართებულ მოსაზრებებს მივხედოთ.

სწორია მსჯელობა, რომ აქ კონიექტურა საჭირო არაა; უნდა დარჩესო „დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“ (338) და მიუღებლად არის გამოცხადებული კორნელი კეკელიძისეული ჩასწორება – „დღე ჰგვანდა, **არს** აღვსებისა“; ისიც ნამდვილია, რომ აქ „სიძე“ არ უდრის ქრისტეს, ოღონდ ფრაზის ზოგადი გააზრება გამოვიდა უსწორო.

ავტორის აზრით, ტარიელისათვის ეს დღე არ იყო აღდგომის დღესასწაული, თუმცა კი ყველა აღდგომასავით ზეიმობდაო (343). ამის პარადიგმულ მაგალითად მოჰყავს გალაკტიონის „მერი“, აქცენტირებულია ტაეპი: „დღესასწაულს კი ეს დღე არ ჰგავდა“ (343). მკვლევრის ფიქრით, ხვარაზმელის

მოსვლასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები ტარიელში მხოლოდ უარყოფით და მტანჯველ ემოციებს აღძრავენ (343).

თუმცა კი ლამაზი პარალელია გავლებული, ოღონდ უჯეროდ. ტექსტი და კონტექსტი სულ სხვა რასმე გვეუბნება; თუმცა კი ტარიელი ჰყვება ამბავს, აქ მაინც იმდენად მისი შინაგანი განცდები არაა გადმოცემული, რამდენადაც გარეობიერებური ვითარება. არა, ამირბარის ემოციებზე აქ კრინტიც არ არის დაძრული. კონტექსტი სიტყვასიტყვით ასე უნდა „ითარგმნოს“ (ეგ არაერთხელ გამიკეთებია არაერთ დაბეჭდილ წერილში): დიდი დღესასწაული იდგა; უკლებლივ ყველა ზეიმობდა; ბეჭნიერებისაგან ადამიანები მთვრალებსა ჰგავდნენ და ჰქონდათ კიდეც მიზეზი: უფლისწული საუკეთესო სასიძოს ცოლად მიჰყვებოდა და ამიტომაც – ის დღე არ ჰგავდა აღდგომის დღესასწაულს, რადგან აღდგომაზე უფრო სასიხარულო იყო.

„დღე ჰგავდა არ აღვსებისა“ (დღესა) რომ მართებულად გავიგოთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ფრაზის თითქოსდა უცნაური, სინამდვილეში ერთობ საცნაური აღნაგობა, რომელსაც პარადიგმები ეძებნება როგორც თვით პოემაში, ისე ხალხურ სიტყვიერებაში.

ქართველ ხალხს შეუქმნია ე.ნ. „უარყოფითი შედარების“ ნიმუშები. მაგალითად, „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად“. ეს იმას კი არ ნიშნავს, რაც აქ წერია, არამედ, პირიქით, ოღონდ პლუსით. ამ ფრაზის წარმომთქმელი ვიღაცაზე ასე მსჯელობს: იმ თავხედს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნადაო. ესე იგი, სწორედაც რომ ცა ქუდად მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად, ოღონდ ესეც არ აკმაყოფილებს, თავი უფრო მეტადაც კი წარმოუდგენიაო.

ამგვარი „უარყოფითი შედარებები“ თვით პოემაშიც იძებნება. ერთხელ ტარიელი დაეცა, დაბნდა, გული წაუვიდა. ავტორი წერს: არა ჰგავს არცა სამარის წინაშე მდებარე მკვდარსაო. ესე იგი, სამარის წინ მდებარე მკვდარზე უფრო მკვდარიაო. მაშ, ჰგავს მკვდარს, ოღონდ პლუსით. მოგვყავს თვით ეგ ფრაზა:

ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი
სამარის კარისა.

ასე წერია 501 სტროფში, ოღონდ წინა პოეტურ აბზაცში პირდაპირ არის მითითებული, რომ მკვდარსა ჰგავდა:

პირსა დაიდვა, და-ცა-ბნდა, ქვე მკვდართა დაედასების.

მაშასადამე, ჯერ დადებითი შედარების წესით არის ნათქვამი, რომ ლომგმირი მკვდარსა დაედასა, დაემსგავსა; მომდევნო სტროფში იგივე მხატვრული ფორმა აღარ გაიმეორა ავტორმა და მოგვცა უარყოფითი შედარების ნიმუში: ტარიელი ისე გამოიყურებოდა, რომ მას არც სამარის პირას მდებარე მკვდარი ჰყავდაო, რაკილა მკვდარზე უფრო მკვდარი იყო.

მაშასადამე, სიტუაცია სავსებით გასაგებია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „უარყოფითი შედარების“ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ვიცნობთ და ეგ გრამატიკული მოვლენა გამორკვეული გვაქვს.

აქამდე ღრმად და კარგად როდი იყო გამოძიებული ფრაზა – „შიში შეიქმს სიყვარულსა“ (347). მკვლევარმა ძირისძირობამდე გამოიძია იგი და ბიბლიიდან საგულისხმო მაგალითები მოიყვანა (351). საზოგადოდ, ელგუჯა ხინთიბიძე ამგვარ ცალკეულ გამოთქმებს ოსტატურად უკავშირებს ხოლმე ქართულ მწერლობას (358).

მკვლევარი თავიდანვე იყო დაინტერესებული ეთიკის ძირითადი პრობლემებით. მისი საამრიგო

მსჯელობა საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი რამ მეორდება, რამაც კრებულის მოცულობა უსაშველოდ გაზარდა (361-370). ვხედავთ, რომ პოემა მთავრდება „ბედნიერი ფინალით“. თუ რატომ ხდება ეს, ამის ირიბ განმარტებას მკვლევარი იძლევა მაშინ, როცა გვიხსნის, რომ ეს გამომდინარეობს არისტოტელეს კონცეფციიდან, რომ, მისი აზრით, ადამიანის ამქვეყნიური არსებობის მიზანია ბედნიერება. ეს კი რენესანსული აზრიაო (388-389); ასევე მე ყოველთვის მომწონდა მკვლევრისეული კვლევა არისტოტელეს „საშუალისა“. „ოქროს შუათანას“ პრობლემა ნარკვევში სხვადასხვა კუთხით არის წამოჭრილი და გადაჭრილიც; ლოგიკური და ნათელია მსჯელობა ე.ნ. „საშუალო“ სიყვარულის თაობაზეც, ოღონდ აქ სრულებით არაა გათვალისწინებული რუსთველის წინამორბედი ნიზამის შემოქმედება. ეს კი ამ შემთხვევაში ყოვლად წარმოუდგენელია. საქმე ისაა, რომ განჯევი ფართოდ იყენებს არისტოტელეს ამ თეორიას. ეს აუცილებელიც იყო. აი, თუ რატომ: „ისკანდერ-ნამეში“ არისტოტელე მოქმედ პერსონაჟად არის გამოყვანილი, როგორც ალექსანდრე მაკედონელის მზრდელი და მრჩეველი. ამიტომაც ხშირად უწევს ამ ფილოსოფოსის „შუათანა“ დარიგებებზე საუბარი. ნიზამის მონაცემების გამოუყენებლობის ბრალია, რომ ისევ

და ისევ გაუგებარი და ბუნდოვანი დარჩა ფრაზა – „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“ (ამის თაობაზე იხ. „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 81, ქვეთავი „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“, ხოლო – შმაგნი?)

საზოგადოდ ბატონი ელგუჯა კარგად იცნობს დასავლურ ლიტერატურას, ხოლო აღმოსავლური, შეიძლება ითქვას, მისი „აქილევსის ქუსლია“.

მაშ, „საშუალის“ ასპექტით აქ ყველაფერი დამშია მოყვანილი და მკითხველიც ინტერესით მიჰყვება მეცნიერის აზრთა მდინარებას, როცა იგი იხილავს სასიძოს მოკვლის სცენას (409), ნესტანის იდეას, თუ ვით ჩამოიშორონ სასიძო (410), ქაჯეთზე შეტევის ტარიელისეულ გეგმას (412).

მკითხველს ნუ გააოცებს, თუ მე დადებით მომენტებს კონსპექტურად ჩამოვთვლი, რადგან ცხადია: ქება შეიძლება ერთი ეპითეტითაც, ხოლო კრიტიკას დიდი სიფრთხილე და ძლიერი დასაბუთება სჭირდება.

ერთგან მკვლევარს მოსვლია ტექსტის გაუგებრობიდან გამომდინარე ფაქტობრივი შეცდომა. ეს შეცდომა ჩამურივით რახუნებს.

თინათინის სატრაფომ ზღვის ყაჩალები შემუსრა, მოქარავნენი დაღუპვისაგან დაიხსნა, მათი ავლა-დიდება გადაარჩინა. თვით მეკობრეებს დიდალი ნაალაფარი ნადავლი წაართვა. ბატონი ელგუჯა

ზოგიერთ ჩიტირეკია რუსთველოლოგს აჰყოლია და გულუბრყვილობის მთელი სითამამით აცხადებს: „ავთანდილი უდიდეს სიმდიდრეს უბოძებს ვაჭრებს“ (414).

სინამდვილეში ავთანდილი სულელი არაა და ვაჭრებს არაფერს აძლევს ან კი რად უნდა მიეცა?!

ახლა პროზაული ენით აღვწეროთ, იქ რაცა მოხდა:

მოძალადეთა ნავიდან სპასპეტმა მსახურებს დიდძალი ნაძარცვი ქონება გადმოაზიდვინა სავაჭრო ხომალდზე; უნმინდური გემი დაწვეს, შეშადაც არ გაყიდეს. ვაჭრებმა ხოტბა შეასხეს რაინდს. მერმედ უსამ ვაჭართუფროსი მიუგზავნეს, ჰკადრეს **ტკბილი სიტყვა** (გურულად, „მოთანი უთხრეს“): ჩვენი გადარჩენილი ქონება ჩვენ აღარ გვეკუთვნის. ის, სამართლით, შენია. ამ ჩვენი ქონებიდან თუ რაიმეს გვიბოძებ, გვიბოძეო; ტკბილი სიტყვა, ანუ **მოთანი, შეუფერებლად კეთილი სიტყვით მოფერება**, სწორედ ეგაა, თორემ, წესით, ასე უნდა ეთქვათ: ჩვენი გადარჩენილი ქონების რა პროცენტიც გეკუთვნის, ის აიღეო!

არა, ვაჭრებმა უფრო მომთაფლავი ენა გამოიყენეს, დიპლომატიური სვლა განახორციელეს, უფრო მეტად შეაფასეს რაინდის სისხლი, ვიდრე ღირდა. ამან გაამართლა და გამოიწვია არაპი ჭაბუკის

საპასუხო სვლა, შექმნილი ვითარების შესაფერისი სიტყვები: თქვენი საერთოდ არაფერი მინდა, საერთოდ არ ავიღებ ჩემს კუთვნილ სისხლის ფასსო და კიდევ მეტი – ამ კატეგორიულ ნათქვამს ტკბილი სიტყვის მასალად დაუსართა: თუ თქვენი ქონება გეპატარავებათ ან ვინმეს ზედმეტი ხარჯი მოგივიდათ, მე რომ დღეს ღმერთმა მოძალადე „მებრძოლთა“ განძი მარგუნა საჩუქრად, იქიდან, რაცა გწადიათ, აიღეთო!

ეს იყო, როგორც მოგახსენეთ, „კეთილი სიტყვის მასალა“, სხვაგვარად და მკაცრად რომა ვთქვათ, ლიტონი სიტყვა, სიტყვა, დაშინებულ-დარჩაგრულთა გულის მოსაგებად წარმოთქმული.

რა თქმა უნდა, ვაჭართაგან არც ერთს იმ დღის „ნადავლზე“ ხელი არ წასცდენია. ეს ვით ეკადრებოდათ! აკი თვითონვე აცხადებდნენ, ზრდილობა ჩვენცა გვაქვსო! სამუქფოდ, შემდგომი მგზავრობის დროს ყოველმა მათგანმა მაინც გადაიხადა თავისი გადასახადი წესისამებრ: ვისაც ხილი მიჰქონდა გასაყიდად, იმან – ხილით; ვისაც ქსოვილთა თოფები მიჰქონდა – დიბით, ფარჩითა და ატლასით; ვისაც ჯამ-ჭურჭელი წამოელო, იმან – ჭურჭლეულით. მაშასადამე, ახალგამომცხვარ ვაჭართუხუცეს ავთანდილს ზღვათა სამეფოში შესვლი-

სას საკმაო სავაჭრო საქონელი შეუქუჩის. ისე, რომ
ვერავინ იტყოდა, ლარიბი ვაჭარიაო!

ახლა კი დროა, მოვახსენო ბატონ ელგუჯასა და
ჩიტირეკია რუსთველოლოგთა რაზმს, თუ რა დაე-
მართა მეკობრეთათვის წართმეულ ქონებას.

ეს ქონება, არც მეტი, არც ნაკლები, სპასპეტმა
მოგვიანებით ფრიდონისაგან გატანებულ ოთხ მო-
ნა-მსახურს უფეშქაშა კარგი და კეთილი სამსახუ-
რის სამუქფოდ. ეს მომენტი პოემაში მკაფიოდ და
არაორაზროვნად არის დაფიქსირებული:

თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნაალაფევი
(სტროფი 1315).

მომდევნო სტროფში კი ასე არწმუნებს ფრიდო-
ნის მონებს:

ჩემსა ზედა დიდი არის ვალი, თქვენგან დანადები;
მადლსა სხვაებრ გარდავიხდი, თულა ფრიდონს
შევეყრები;
ან წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანალები,
ამის მეტსა ვერას მოგცემ, ვიცი, ამად გეძუნნები
(სტროფი 1316).

ამ საკითხს ავტორი არც მომდევნო სტროფში
ეშვება და გვიწიგნავს, რომ ფრიდონის მონებს
„მისცა მართ სავსე ხვამალდი“ (სტროფი 1317).

მაშასადამე, რა არის საჭირო იმისათვის, რათა ასეთი შინაარსობრივი კრახი არ მოგვივიდეს?

სწორედ ის, რასაც ბატონი ელგუჯა თეორიულად გვასწავლიდა: არ შეიძლება რომელიმე შინაარსობრივი საკითხის გარკვევა ისე, თუ არ ვიცით მთელი ტექსტი, მთლიანი სისტემა; მაგრამ რად გინდა, რამეთუ: „არ მოიხმარ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?!“

ამ შემთხვევაში ეპიზოდის წინა ნაწილს ხსნის და განმარტავს ბოლო ნაწილი! ასეთი რამ კი პოემაში ხშირად ხდება.

სამწუხაროდ, წიგნის სხვა ადგილას ეგ შეცდომა კიდევ უფრო დაკონკრეტებულია: „მეკობრების მთელი სიმდიდრე უძღვნა ვაჭრებს: „ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძლვენი“ (422).

ამ შემთხვევაში პოეტური ტაეპიც უკუღმართად არის გაგებული. მკვლევარი ფიქრობს, აქ ასეთი აზრია დაუნჯებული: მეკობრეთა საქონლით გატენილი ნავი თქვენთვის ძლვენივით მიბოძებია.

სინამდვილეში აქ სულ სხვა რამ უნდა ამოკითხულიყო: **დღეს მე, ავთანდილმა, საქონლით გაძეძგილი მეკობრეთა ნავი ღვთისაგან ძლვნად მივიღე.**

426-428 გვერდები იმით არის აღსანიშნავი, რომ აქ მეორდება ის, რაც წინ არის ნათქვამი.

მე ყოველთვის მწამდა (ვიკტორ ნოზაძის კვალ-ზე და კვალად), რომ ევროპული გაგების **ქართული რენესანსი** ბლეფია. ეგ ვერ დამტკიცდება. ამიტო-მაც მუდამ მომწონდა და ამის გამო ერთ გამოქვეყ-ნებულ სტატიაში კიდევაც შევაქე ბატონი ელგუჯა, როცა იგი იყენებს არა ცნებას **რენესანსი**, არამედ უფრო მოკრძალებულ ტერმინს **რენესანსული**. იგი ჭკვიანურად იქცევა, როცა ქართული რენესანსუ-ლი იდეების ფუძედ ბერძნულ ფილოსოფიას აცხა-დებს (რადგან საკუთარი საამრიგო საძირკველი რუსთველს არ აქვს), ხოლო ქართულ ალორძინებას რენესანსულად წარმოსახავს.

აქ კიდევ ერთხელ დასჭირდა მეცნიერს ეძია, თუ რა გზებით მივიდა ქართველი პოეტი არისტო-ტელესთან და დადგენილია სამი გზა (436), ოღონდ მეოთხე, ყველაზე სავარაუდო გზა – ნიზამი და სპარსული ლიტერატურა – არც აქ არის ნახსენები.

პროფესორი ხინთიბიძე ძირისძირობამდე იკ-ვლევს და იძიებს ცნება „მართალ სამართალს“ (439); მართებულად აკრიტიკებს აბაშმაძის იდეას (441-442); მარჯვედ მოჰყავს არისტოტელეს მო-საზრება, რომ – „უტყუარი სიმართლე სამართლის დაზუსტებას ან ზოგჯერ შესწორებას წარმოად-გენს“ და რომ იგი უფრო მაღალი სამართლიანობაა (448-449); განსაკუთრებით მოსაწონია, რომ საამი-

სოდ დაძებნილია მეტად ეფექტიანი მაგალითები (456).

ძიება სწორი დასკვნით დაგვირგვინდა: „მართალი სამართალი ნიშნავს განსაკუთრებულ... სიტუაციაში არა ფორმალური კანონით, არამედ სიტუაციისდა მიხედვით გამოტანილ სწორ სამართლებრივ განაჩენს“ (458).

მართალია, ზემორელე მკვლევარმა უხეში შეცდომა დაუშვა, როცა დაწერა: „შავთელი თავისი ქების ობიექტს, თამარს, არისტოტელეს ადარებს“ (432).

ამ ვითარებაში ჩვენ ვკითხულობთ: კი, მაგრამ, სად აქვს ეგ ტექსტი ავტორს? ხოლო ის, რომელზე-დაც იგი ოპერირებს, იაკობ შემოქმედელის „არჩილ მეფის ქებაა“ და მიტროპოლიტი ბრძენკაც არჩილს, მამაკაცს, ასევე მამაკაც არისტოტელეს უდარებს.

და აი, ახლა, როცა „მართალ სამართალზე“ მსჯელობს, მკვლევარს მაინც წასცდა სიმართლე. ის პატარძლის სიმორცხვით დასძენს:

„რუსთველის“ ქმნა მართლისა სამართლისა“... არაა შთაგონებული მეხოტბის (იგულისხმება ე.წ. „აბდულმესიანის“ ავტორი) ამ სტროფით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირიქითაა: ე.წ. „აბდულმესიანის“ სტრიქონი შეიძლება იყოს დამოკიდებული რუსთველის აფორიზმზე“ (469).

მეცა და ბორის დარჩიაც, უკეთ, ბორის დარჩიაცა და მეც მანდა ვართ! სწორედ ბორის დარჩიას წიგნშია დასაბუთებული, რომ ე.ნ. „აბდულმესიანი“ პირნმინდად იმეორებს რუსთველურ აფორიზმებს, თქმებს, ცნებებს და რომ იაკობ მიტროპოლიტი სარგებლობს „ვეფხისტყაოსნით“ და არა პირიქით, როგორც მანამდე ეგონათ, და ეგ იმიტომ, რომ, ე.ნ. „აბდულმესიანი“, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“, დაწერილია XVII საუკუნეში. ეგ საკითხი ბევრად უფრო ვრცლად მე განვიხილე და ვუჩვენე ის მექანიზმი, რომელსაც იყენებს იაკობ შემოქმედელი, როცა რუსთველის ფრაზებს თავისებურად გარდაქმნის. მეტიც, დავადგინე ის შეცდომები, რაც იაკობს მოსდის, როდესაც რუსთველის ამა თუ იმ ფრაზას გაცილებით დაბალი მხატვრული ძალით გარდათქვამს (იხ. „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“, 2010, ქვეთავი „ვეფხისტყაოსნის სახეები „არჩილ მეფის ქებაში“, გვ. 39).

მაშასადამე, პროფესორმა ფარდა ნახევრად გადაწია. ბოლომდე რომ გადაეწია, მაშინ უნდა დაესახელებინა ერთი ავტორი მაინც – დოქტორი ბორის დარჩია, ოღონდ რატომლაც ამისი გაკეთება გაუჭირდა.

„პლატონისგან სწავლა-თქმული“ (474-496) იმ საჭირო და ღრმა სტატიების რიგში უნდა ჩავაყე-

ნოთ, რომელთა შესახებაც ზემორელე მოგახსენეთ. აქ მარჯვედ არის გამოყენებული თხზულება „სახელმწიფო“ (487), ისიც ნათლად არის გარკვეული, რომ მითითებულ იდეას პლატონის მასწავლებელიც იზიარებდა (495).

ყოველივე ეს ფრიად და ფრიად საინტერესოა.

ცამდე მართალია პროფესორი, როცა ამტკიცებს: სიმდიდრე, პოემის მიხედვით, დადებითი ღირებულებაა და მისი შეცვლა **სიმდაბლით**, როგორც ამას სჩადიოდა იუსტინე აბულაძე წინათ და ამჟამად ნოდარ ნათაძე, არ შეიძლება (497).

სადავო ცნებად არის ქცეული „მოცალეობა“. ბატონი ელგუჯა ისევ თავის ძველ აზრზე დგას და ფიქრობს, რომ იგი ნიშნავს მოცლილობას (498). მე მუდამ გაიოზ იმედაშვილის მოსაზრებისაკენ ვიხრებოდი და ტერმინში უფრო მეტად ვხედავდი ტოლს, ჯუფთს, სწორს.

ჯუფთის, ტოლ-სწორის სასარგებლოდ მეტყველებს ის მასალები, რომლებიც დასტურდება ონსორის შემოქმედებაში (იხ. „ნიზამი და რუსთველი“, გვ. 180-181). ონსორი აცხადებს: „როცა აშიკი მოცალეა (თანაფარდია) მაშიკისა – ეს სასიამოვნოა, რადგან მოცალე მიიღტვის მოცალისაკენ“ (იქვე).

სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს მგოსანი აკეთებს ერთგვარ საბოლოო დასკვნას, რომე-

ლიც ბატონ ელგუჯას მხედველობიდან გამოჰქმარვია: აჟა, ერთურთის შესატყვისი ქალი და ვაჟი (ნესტანი და ტარიელი) ერთმანეთს შეუერთდნენო:

ტახტსა ზედან ერთგან მსხდომნი ტარიელ და
ცოლი მისი,
ერთმანერთსა შეჰქერობდეს, ქალი ყმისა
შესატყვისი (სტროფი 1841).

როგორცა ვხედავთ, აქ მომარჯვებულია „მოცალის“ შესატყვისი ორი ტერმინი: „შეჰქერობდეს“ და „შესატყვისი“.

ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

ელგუჯა ხინთიბიძემ პირველმა დააყენა გამოთქმის – „ლხინი, ნივთი და ვალი“ – პრობლემა და ეს საკითხი სიღრმისეულად შეისწავლა. მან დამაჯერებლად დაადგინა, რომ ავთანდილია ლხინი სოფლისა, ის არის ქვეყნის ნეტარება, ის არის არსებობის მიზეზი – მატერიალურიცა და მიზნობრივიც (533). როგორც ირკვევა, სამივე ტერმინი სქოლასტიკური ლექსიკონიდანაა ამოღებული (534).

მკვლევარი ასევე ბეჯითად იკვლევს გამოთქმას „მედგრად პირნი მოუქუშნა“ (535). აქ „მედგრად“ გამოჰყავს, როგორც „მზაკვარი“, „მზაკვრული“ (544). ეგ სწორია, ოღონდ ვერც აქ მოვუწონებ, რომ ისევ იხლართება წინააღმდეგობაში, როცა

მოჰყავს ე.ნ. „აბდულმესიანის“ ფრაზა – „**მედგრადიბოლოს გამწყაზრებითა**“ (538) და ჰგონია, რომ ხელთა აქვს შავთელის „აბდულმესია“.

მაში, აქ უკვე ჩვენი მკვლევარი წელან მორიდებით აღებული სიმაღლიდან ძირს ეშვება, უკან იხევს.

ფრიად საინტერესოა მონაკვეთი „შემომხედა, მოვეწონე“ (550). რუსთველის იდეა – „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა“ – მკვლევარს დამაჯერებლად მიჰყავს არისტოტელეს მოძღვრებამდე (574-576), მაგრამ აქ ავტორი გვერდს უვლის „ჩუქების“ მეორე რუსთველურ კატეგორიას, რაკიდა მას არისტოტელესთან ვერ ნახულობს (577). ამიტომაც უწევს, შექმნას ახალი, არარუსთველური, ტრიადა: „ერთად ყოფნა, ერთმანეთით გახარება და ერთმანეთისათვის სიკეთის ქმნა“ (578).

რატომდაც მგონია, რომ „ჩუქების“ კატეგორიაც ექნება ფილოსოფოსს, ოლონდ, როგორცა ჩანს, ქართველმა მკვლევარმა იგი ვერ აღმოაჩინა, ვერ შენიშნა. არადა მგოსანი მკაფიოდ საუბრობს მეორე კატეგორიაზე: „**ჩუქება** და არ მოწყენა“.

თუმცა ყოველთვის როდია სარწმუნო და დასაჯერებელი რუსთველური მეგობრობის ძირების ძიება ფილოსოფიასა და სხვადასხვა ერის წარმოდგენებში, მაგრამ ეს მსჯელობა მაინც საჭიროა, რაკი-

და წინ ეწევა მეცნიერებას, აყენებს საკითხს, აჰყავს იგი უფრო მაღალ დონეზე.

ბევრი საგულისხმო იდეაა შემოთავაზებული წერილში „ავთანდილი და ლანსელოტი“ (582). მართალია, აქ უკვე მესამედ თუ მეხუთედ იმეორებს ავტორი ნამდვილად აუცილებელ პირობას, არ შეიძლება შუასაუკუნეობრივი ტექსტი დღევანდელი პოლიტიკურ-მორალურ-ეთიკური პოზიციებიდან განვიხილოთ, მაგრამ საკითხი ამას მოითხოვს; სწორია, როდესაც რუსთველის თამარისადმი სიყვარულს ვაჟა-ფშაველას მსგავსად პატრონულურ სიყვარულად აღიარებს, ოღონდ კატეგორიულად არასწორია, როცა ამ პატრონულური სიყვარულის გამომამჟღავნებელ ტექსტად ეს სტროფი მოჰყავს (587):

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის პმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ,
მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი
არსით არი –
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

არა!

პროლოგის მეცხრე სტროფში თამარის ხსენებაც არაა. აქ საუბარია ავტორის სიყვარულსა და თავდადებაზე თავისი ცენტრალური გმირის მი-

მართ, ვისაც ემორჩილება ინდოეთის სპა-ჯარი (იხ. მ. თავდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, 1991, გვ. 8-18); სამუქფოდ მართალია, როდესაც სათოფეზედაც არ იკარებს ზოგი უცხოელი მკვლევრის ე.წ. „ადიულტერის“ თეორიას. პოემაში ის ნამდვილად არ შეინიშნება (588-589).

ერთგან მეტისმეტი სითამამით არის ნათქვამი: „ძველმა ქართულმა მწერლობამ არ იცის სიყვარულის სამკუთხედური მოდელი“ (593). ეს ასე როდია. ლიტერატურული ფაქტები სხვას ამბობენ. პირველად ეგ მოდელი ერთობ მკაფიოდ გამოჩნდა „შუშანიკის წამებაში“, ოღონდ მეტისმეტად მკვეთრად – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (დაწერილია 951 წელს). უფრო მეტიც, აქ „სიყვარულის სამკუთხედის“ ორი შემთხვევაც კია დაფიქსირებული. სხვათა შორის, გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ სწორედ ამ თხზულებიდან გადაიტანა და „გადარგო“ ეგ მოდელი. შემდგომ ეს სამკუთხედი ცხადდება „ვისრამიანში“, ბოლოს – „ვეფხისტყაოსანში“. აქ კლასიკურ „სიყვარულის სამკუთხედს“ ქმნის ტრიადა: უსენი, ფატმანი, ჭამნაგირი.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რომ ტერმინ „ბუნებაზიარზე“ მეორედაც არ გამართულიყო მსჯელობა, თუმცა კი საკითხი გადაწყვეტილია მართებულად და საინტერესოდ; ასევე გერგილიანად

არის ნაჩვენები ავთანდილ-ფატმანის რთული ურ-თიერთობის ალგებრა (602); ბევრ რასმე საგულის-ხმოს იგებს მკითხველი რუსთველისა და დანტეს სიყვარულის კონცეფციაზე მსჯელობისას (604). მართალია, ეს ერთობ ზოგადი პარალელებია, ოღონდ მაინც საგულისხმო და მათ აქვთ არსებობის უფლება (600-613). იგივე ითქმის ზოგადთეო-რიულ მასალაზე, რომელიც ეხება რუსთველს, დან-ტეს, პეტრარკას (614). აქ ნათლად არის გააზრებული სიყვარულის კონცეფცია (517-518), სწორად არის შენიშნული, რომ „ალეგორია ვეფხისტყაოსან-შიც პოეტური სამკაულია“ და არა სისტემა (627); ასევე მითითებულია: პოემაში ქალი ღმერთთან არის შედარებული (ღმერთივით ქალია), ოღონდ ქალში ღვთაება არ იგულისხმება (628), შეხსენებულია, რომ, საზოგადოდ, XII საუკუნე ქალის ემანსი-პაციის ეპოქაა (631); ალბათ, საკმაო საფუძველი არსებობს ამგვარი განცხადებისათვისაც: „რუს-თველი არ რჩება აღმოსავლური, სუფისტური მიჯ-ნურობის ჩარჩოში... იგი გამოდის სპარსული ეპიკის მაჯნუნის მოდელიდან“ (635). ამ დებადს ეთანხმება და ლოგიკურად მისდევს მომდევნო მსჯელობა: რუსთველი სიყვარულის ამქვეყნიური განუხორცი-ელებლობის სუფისტური წინაღობის გადალახვას ცდილობს და ახერხებს კიდეც“ (635).

საყურადღებოა ზოგადი მსჯელობა შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის ჰარმონიის თაობაზე (657-660), აგრეთვე „ვეფხისტყაოსნისა“ და შუასაუკუნეობრივი ლიტერატურული აზროვნების პროცესის ურთიერთობაზე. აქ ყურადღებას იპყრობს ცალკეული დებულებები, ვთქვათ, ასეთი: „მხატვარი შეიძლება არ იყოს რენესანსის ეპოქის წარმომადგენელი, მაგრამ მის ნაწარმოებში იყოს რენესანსული ტიპის მოვლენები, ელემენტები“ (673).

მკითხველს უსათუოდ დააინტერესებს ასევე ზოგადი მსჯელობები VII საუკუნის რელიგიურ პროცესებზე, საქართველოს მოწყვეტა აღმოსავლეთისაგან და დიოფიზიტურ ბიზანტიასთან მიერთება (683), VIII-X საუკუნეთა მოვლენები და პოლემიკა ბიზანტიურ „შოვინიზმთან“ (684), ტაო-კლარჯეთისა და ათონელ მამათა დასავლეთისაკენ ლტოლვა (685); „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო (761).

ერთი სიტყვით, წარმოჩინებულია ქართული აზროვნების ხასიათი რუსთველის ეპოქამდე, ხოლო ქვეთავში „ასტროლოგია – შუასაუკუნეთა მეცნიერება“ – მეტისმეტად ბევრია გამეორება. ეს რომ არ ყოფილიყო, ვფიქრობ, ეს 800 გვერდიანი წიგნი 400 გვერდზე მეტი არ გამოვიდოდა. განვმარტავ: ეს

იმად მოხდა, რომ ფოლიანტს არ აქვს ერთიანი ლერძი, შედგენილია სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიებისაგან და, რომც დია მოენდომებინა ავტორს, ვერ შეკუმშავდა. ამიტომაც მოხდა, რომ, ჩემი მარტივი გამოთვლით, მხოლოდ რენესანსი განმარტებულია სულ ცოტა ათჯერ მაინც! სწორედ ამან მისცა კრებულს ეკლექტიკური ხასიათი.

ელგუჯა ხინთიბიძე, საზოგადოდ, საკმაოდ კარგი მოქართულეა, ოღონდ კრებული მაინც მძიმედ იკითხება. ამას აქვს თავისი მიზეზი. ბატონი ელგუჯა დასაწყისშივე გამოტეხილად გვიცხადებს: პუნქტუაციური ნიშნების გამოყენებას თავი ავარიდე, რათა ტექსტი არ დამემძიმებინაო. სინამდვილეში კი სწორედ ეგ ამძიმებს საკითხავ მასალას. სასვენი ნიშნები სწორედ იმიტომ არის გამოგონებული, რომ მასალის აღქმა გაგვიადვილოს, საქმე სამარჩიელოდ არ გაგვიხადოს და აქ ძალა ეძლევა ჩემს აფორიზმს: პუნქტუაციური ნიშნებიდან მხოლოდ წერტილია უსიტყვო და უშინაარსო. სხვას ყველას საკუთარი აზრი და სიტყვა აქვს. მაშასადამე, წიგნს აკლია ნორმალური რედაქტორის მკაცრი ხელი. სწორედ ამან გამოიწვია გაუმართლებელი პუნქტუაციური ექსპერიმენტები ამ სერიოზულ წიგნში; გარდა ამისა, უხვად არის სხვა ტიპის ხარვეზი. მაგალითად: იმაში ჩანს (11), სწორედ რომ გა-

იაზრო (23), გურამიშვილის მიმართება რუსთველ-თან (49), უდაოდ (50), ფიგურალური (52), პირველ რიგში (52 და სხვაგან), აბსოლუტიზირებული (90), ამაში მდგომარეობს (90); ალარაფერს ვამბობ სხვა-ზე, მხოლოდ 101-ე გვერდზე ერთბაშად ათი კორექ-ტურული შეცდომა დავთვალე; ფრიად მოიკოჭ-ლებს პაულ კრისტელერის ნაშრომის თარგმანი (101-114); ბევრია ცუდმოქართულეთა ტიპური შეცდომა: ადგილი აქვს (129 და ბევრგან), ტიპიური (173), მრავალ საკითხთა შორის (209), პირველ რიგ-ში (370 და თითქმის ყველგან), ცოდვას ჩადიან (375), იმაში მდგომარეობს (424), პასუხობენ (424), იმ ქვეყნად (608); წვდება (551), გაიდიალებული (579), უთანაგრძნო (600), კარტოტეკა (502), ცადაო (514), ინსტიქტური (638), გამოიხატება იმაში (640), ანალიზს აკეთებს (748), დასძლიეს (750).

გასაგებია, რომ თითო ნიმუში მომყავს და არა ყველა.

პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის „ვეფხის-ტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყა-რო“ (2009) ეხება რუსთველოლოგის კარდინა-ლურ პრობლემებს, წვრილმან და მსხვილმან სა-კითხებს; ბევრი პრობლემა და საკითხი პირვე-ლად არის წამოყენებული, ზოგიც ახლებურად გაშუქებული; ავტორი ფართო თვალსაწიერით

განიხილავს მათ, ღრმად სწვდება მოვლენათა არსში, იყენებს უცხოურ (უმთავრესად დასავ-ლურ) ლიტერატურას. ეს კი ხელს უწყობს, უფრო ზუსტად დაგვიხასიათოს ესა თუ ის გლობალური მოვლენა, რომელთაც უფარდებს და უსატყვი-სებს ქართულ მასალას; პრობლემათა და საკით-ხოთა ერთი ნაწილი მკვლევარმა საბოლოოდ გა-დაწყვიტა, მეორე კვლევის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, ხოლო მესამე ნაწილის სრუ-ლად და მკაფიოდ გარკვევა ჯერჯერობით ვერ მოახერხა. მაინც ეს ვრცელი რუსთველოლოგიუ-რი კრებული ეროვნული მეცნიერების მნიშვნე-ლოვანი მოვლენაა.

2013 წ.

კონიეპტურის კატეგორიული მტრის კომენტარი

გახლავართ „ვეფხისტყაოსნის“ ჩასწორების დაუცხრომელი მოწინააღმდეგე. მიუხედავად ამისა, ტექსტში გვხვდება სამიოდე ადგილი, როცა „უსაფუძვლო“ (ხელნაწერთა მიერ დაუმოწმებელი) ჩასწორება აუცილებელია. ამ ვითარებაში საკითხი იმდენად ნათელია, მკვლევრები უსიტყვოდ თანხმდებიან.

შემთხვევა პირველი: ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებულ თათბირზე ტარიელიც მიიწვიეს. საუკეთესოდ აღიარებულ ყველა ხელნაწერში წერია: მეფე და დედოფალი „ვნახე“, ორნივე ერთგან სხდეს **სახითა** ოდენ სამითა“. სინამდვილეში ეს იყო გადამწერთა აშკარა შეცდომა და აქ სამართლიანად აღადგინეს მართებული ფორმა – **ხასითა**. მეფე-დედოფალი სამ დიდებულთან (ხასთან) ერთად დახვდა ლოგმირს.

შემთხვევა მეორე: ავთანდილი გულანშაროში ფატმანის შემწეობით თავის საქმეს გააკეთებს და ტარიელისაკენ წამოვა. ფატმანის ქმარი უსენი მას სავაჭროდ წასული დახვდა და მისი იქ ყოფნისას შინ არ დაბრუნებულა. არადა რაინდს გულანშარო-

ელნი ასე აცილებენ: „ფატმან, **უსენ** და მონანი ტი-რან ცრემლითა ცხელითა“.

რა უნდა აქ უსენს, საიდან აღმოჩნდა?!?

მოხდა სრულიად უბრალო რამ: მართალია, უსენი შინ არ გახლდათ, მაგრამ გულანშაროს ამბავში ის ხშირად იხსენიება და სპასპეტის გაცილებისას ხელნაწერში რომ **უსამი** ეწერა (ეს გახლავთ ავთანდილის გულანშაროში ჩამომყვანი სხვა დიდვაჭარი), გადამწერს (იქნებ თვით რუსთველსაც კი) მოუვიდა „კალმის ლაფსუსი“ და ინერციით ჩაწერა **უსენი**. მით უფრო, რომ სახელების პირველი ორი ასო ერთნაირია – **უს – ამი** და **უს – ენი**.

ეს კურიოზი გურამ კარტოზიამ 1965 წელს შენიშნა და, როცა ზოგმა გამომცემელმა ეს ხარვეზი ვერ გამოასწორა, მე გავაკრიტიკე სტატიით, რომელსაც ჰქონდა ირონიული სათაური: „აქა ამბავი იმისა, თუ როგორ ტიროდა უსენი თავისი ცოლის საყვარლის წასვლისა გამო“.

მაგალითი მესამე: ეს გახლავთ „მინის“ მითი, რომელიც ერთობ იოლად იმსხვრევა. მართალია, არც ერთ ხელნაწერში არ წერია „მე ნა“ და ყველგანაა „მინა“, მაგრამ აშკარაა: უნდა ყოფილიყო „მე ნა“, რადგან საწერ კალმად არასოდეს არსად გამოუყენებიათ **მინა**, ხოლო **ნა** (ნაი) ცნობილი საწერი ნივთია.

ხელნაწერებში შეცდომა ასე გაიპარა: ენერა „კალმად ვიხმარე მე ნა რხეულიო“. ქართველმა გადამწერმა ვერ გაიგო მნიშვნელობა სპარსული სიტყვისა ნაი და „მე ნა“ კომპლექსიდან გასაგები სიტყვა გამოადნო: **მე ნა → მინა.**

ეს საკითხი ჯერ კიდევ 1975 წელს იყო ნათლად გარკვეული. ამიტომაც წერდა ასე თამამად იუსტინე აბულაძე: „ნა რხეული“ მეტაფორაა; აქ თამარის წერწეტი ტანია წარმოდგენილიო.

მაშასადამე, ყველა მკვლევარი ვალდებულია, საკითხის ისტორია იცოდეს!

ვიტყვი დამატებით: ჩემს წიგნებში „ფირდოუსი და რუსთველი“ (გვ. 6,98), „ნიზამი და რუსთველი“ (გვ. 4) ფართოდ არის ნაჩვენები, რომ სპარსეთშიც **ნაი** გახლდათ სალამურისა და კალმის მასალა. კიდევ მეტი, ნიზამი განჯევი შენიშნავს, რომ ეგ საწერი კალიამი **ნაი** (ლერწამი) თურმე ხშირად ორად გახლეჩილიც კი ყოფილა (გვ. 158).

2013 წ.

ქართული რუსთველოლოგიის ფიასკო

როცა ერთხელ ერთი ქალი საკუთარი საქმის დასაცავად სიტყვით გამოვიდა ფორუმზე, რომის სენატმა კაცი აფრინა მისანთან, რათა მას ღმერთებისათვის ეკითხა, თუ რა საშინელებას მოასწავებდა ეს გაუგონარი შემთხვევა (პლუტარქე, 377).

როცა ქიმიკოს პარმენ მარგველაშვილის მიერ დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ძალუმად შეკრეჭილი (1543 სტროფი) ტექსტი გამოქვეყნდა (2013), მეც ვაფრინე კაცი რუსთველოლოგიის ნაფიც დოჟთან – პროფესორ ბორის დარჩიასთან – რათა განემარტა, თუ რას მოასწავებდა ეს უცნაური ამბავი.

და მან მიპასუხა: ეს გახლავთ ყოველივე იმის შედეგი, რასაც ჯერ კიდევ 2008 წელს გამოსულ წიგნში ავსახავდიო. იმ მონოგრაფიას კი ასე ეწოდება: „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“.

მე მას იოლად ვერწმუნე.

დასტურ ასეა:

უვიცობისა და განუკითხაობის მაცნეა ეგ საშინელი გამოცემაც.

ჯერ თვალი მივაპყროთ პოემის შექმნის წინაისტორიას!

სხვებს რომ თავი დავანებოთ, რუსთველს წინ ედო მისთვის საინტერესო ნიმუშები – ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ (120 000 ტაეპი), ნიზამი განჯევის „ხამ-სე“ (დაახლოებით 32-34 000 ტაეპი).

ეს პოეტები უარყოფდნენ წმინდა ლირიკულ მოღვაწეობას და „ლექსთა გრძელთა (ანუ ეპიკურ პოემათა) თქმა და ხევა“ მიაჩნდათ ჭეშმარიტი მწერლის საქმედ.

მათ იდეას სრულიად იზიარებდა რუსთველი, რომლის პოემა სინამდვილეში შედგება 1700-ზე მეტი სტროფისაგან. მისი ნაღვანი დაახლოებით შეადგენს 6800 ტაეპს.

ვხედავთ: რუსთველი ცნობილ ეპიკოსებს მოცულობით დიდად ჩამორჩება, ხოლო პარმენ მარგველაშვილმა ავტორს არც ეს სტროფები შეარჩინა. ამ მიზნით „მუშაობა“ და ეშმაკობა მან პროლოგიდანვე დაიწყო. სწორედ აღნიშნულს გვიდასტურებს ის, რომ 32 აღიარებული სტროფიდან დატოვა პირველი 24 და ბასტა! სხვები პროლოგს ყასბის მექანიკური გილიოტინით ჩამოასხიპა.

რომელი სტროფებია ყასბის მსხვერპლი?

ეს არის პოემის არსის გასაგებად აუცილებელი და უზარმაზარი ინფორმაციის შემცველი ტექსტი.

25-ე სტროფში მითითებულია: მიჯნური არაა ის, ვინც მეძავია, ბილნია, მრუშია; მან გული ერთს უნდა

დააჯეროს და აქვეა გენიალური აფორიზმი, ავტო-
რის სიბრძნისა და ოსტატობის მაცნე: „მძულს უგუ-
ლო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშამტლუში“.

გონიერი მკითხველი მყისვე მიხვდა: ყოველივე
ეს ხატოვნად, მხატვრული სურათების მეშვეობით
ნაჩვენებია პოემაში; ალბათ, იმასაც იგუმანებდა
ძვირფასი მკითხველი, რომ პროლოგი დაწერილია
პოემის შეთხზვის შემდეგ და აქ ერთგვარად განზო-
გადებულია ის მხატვრული შედეგი, რაც საკუთრივ
შიგნიტექსტშია მიღწეული;

26-ე სტროფში ნათქვამია: პირველი სიყვარული
ჭეშმარიტია და მას ცოცხალი კაცი არ უნდა შეელი-
ოს; სატრფოსათვის ადამიანმა ყველაფერი უნდა
დათმოს, მინდვრადაც უნდა გაიჭრეს (რასაც კიდე-
ვაც აკეთებენ ავთანდილი და ტარიელი); არცა
ლხინმა და არცა ჭირმა არ უნდა წალეკოს ადამიან-
ში კაცური არსიო (რასაც კიდევაც ცდილობენ ავ-
თანდილი, ტარიელი, ნესტანი);

27-ე სტროფი: აქ გაკრიტიკებულია ყმაწვილური
სიყვარულობია: „დღეს ერთი უნდეს, ხვალე – სხვა“.
ამგვარი ტრფიალი ყმაწვილთა „გლახა“, ცუდ, ბე-
დით თამაშსა ჰგავსო. სწორედ ამგვარ „გლახაობას“
ერიდებიან პოემის შეყვარებული წყვილები;

28-ე სტროფი: მეტრფე სატრფოს მუდამ უნდა
იგონებდეს, ბილნად არ შეეხოს, შორიდან უნდა უტ-

რიალოსო (ასეც იქცევიან ავთანდილი და ტარიელი – ტარიელი მხოლოდ ქაჯეთში ჰქოცნის ნესტანს, მანამდე ვერ შეჰქედა; ავთანდილი, როგორცა ჩანს, მხოლოდ საქორწინო სარეცელში აკეთებდა ამას);

29-ე პოეტური აბზაცი: სიყვარული უნდა დაიმალოს, მეტრფემ სატრფო არ უნდა „მოაყივნოს“, ანუ თავი არ მოსჭრას (რასაც არაერთგზის ვხედავთ ტარიელის, ავთანდილის ქცევაში);

30-ე სტროფი: ვინც სატრფოს მოაყივნებს, ის შმაგია, ნორმალური არაა; სხვა ამას არ ჩაიდენს. ჭეშმარიტმა მოყვარემ მოყვარეს გული არ უნდა ატკინოს ამგვარი „მოყივნებით“ (ასე იქცევა პოემის ყველა დადებითი პერსონაჟი, გარდა უსენისა. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ეგ ერთადერთი კაცია პოემის უარყოფითი ტიპი).

31-ე პოეტური აბზაცი: მოყვანილია ცუდი, ავი მეტრფის მაგალითი, რომელიც სატრფოს არცხვენს და გამოტანილია გენიალური დასკვნა: ზოგჯერ ეს იმად ხდება, რომ „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

ბატონმა პარმენმა აი, ეს მსოფლიო მნიშვნელობის აფორიზმიც დაგვიკარგა!

რა ენაღვლება?

მისი მოგონილია თუ რა?

32-ე სტროფი: მეტრფე სატრფოსათვის თუ ტი-

რის, ეგ ტირილი გამართლებულია, ოლონდ გრძნობებს თავი იქ უნდა მისცეს, სადაც საზოგადოება არაა. ესე იგი, მარტო ყოფნის უამს. კარგ მიჯნურს საზოგადოებამ ვერ უნდა შეატყოს, რომ შეყვარებულია, ამ გრძნობით არის გახელებული.

ვიმეორებ:

ყველა ეს პოეტური ფრაზა ქმნის პოემის მხატვრული სამყაროს ზოგად თეზისებს ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველას „კაი ყმა“ არის განზოგადება იმ კონკრეტული კაი ყმებისა, რომლებიც მანამდე დაიხატა (ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ზვიადაური, ჯოყოლას ცოლი, „ბახტრიონის“ გმირები...). ამიტომაც თუა, ლექსი პოემებზე გვიან შეითხზა.

ინდუქციური მეთოდი სწორედ ამას გულისხმობს: ჯერ – მაგალითები, მერე – წესი, ზოგადი ფორმულირება!

აი, ასე „გაამდიდრა“ ქიმიკოსმა ჩვენი ეროვნული შედევრი.

მას, ტექნიკური დარგის წარმომადგენელს, პირდაპირ, პრიმიტიულად და ერთობ გულუბრყვილოდ გაუგია და რუსთველოლოგიაში უგერგილოდ გადმოუტანია სამთამადნო ტერმინი „გამდიდრება“, რაც ნიშნავს 10 ტონა მადნიდან 100 კილოგრამი მარგი (სავარგო) ნედლეულის დატოვებას.

თუ აქამდე ზოგი მკვლევარი ინტერპოლატორთა ნარეცხს გადაასხამდა და თან ბავშვსა გადააყოლებდა ხოლმე, ამჟამად პარმენს უფრო მეტი მონდომება გამოუჩენია, პოემის პატრონად ვერვინ უცნია და ნაბანი წყლისათვის არა მარტო ბავშვი, მისი მშობლებიცა და პატრონებიც გაუყოლებია.

ასეთია პარმენ მარგველაშვილის მიმართულება, „გამდიდრების“ თვალთახედვით.

ჩემი მიმართულება კი ნათლად არის გამოხატული ექვსასგვერდიანი წიგნის თვით დასათაურებითაც კი - „გეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“.

ასე რომ, პოემას პატრონი ჰყავს, ბატონო პარმენ!

ახლა კი მოისმინეთ და შეისმინეთ პატრონის შენიშვნები, რომლებიცა „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

ერთგან ვკითხულობთ:

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად
მინა რხეული (4,3).

აქ რედაქტორის უცოდინარობა სამსხვერპლო თიკანივით პეტელებს.

თითქმის 40-50 წელიწადია, რაც ეს საკითხი ნათლად, მკაფიოდ და უარუთქმელად არის გადაწყვეტილი. ბატონმა პარმენმა საკითხის ისტორია საერთოდ არ იცის. ამიტომ 50 წლით უკან იხევს.

„მინა“ გახლავთ გადამწერთა აშკარა შეცდომა, რადგან ვერ გაუგიათ სპარსული სიტყვა (ირანული სამეტყველო ერთეულები პოემაში უხვადაა მიმობნეული) **ნა** გინდა **ნაი.** ნაი გახლავთ ლერნმის ლერო, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება ფირდოუსის, ნიზამის, ონსორისა და სხვათა შემოქმედებაში. იგი, კონტექსტისდა მიხედვით, ნიშნავს: სალამურს, ფლეიტას, საყვირს, კალამს; უფრო მეტად – კალამს. რუსთველს ეწერა: კალმად ვიხმარე მე ნა რხეულიო; რხეული სწორედ ლერნამია, მისი ლეროა. გავიხსენოთ „აბოს წამება“: „ირხევიან ვითარცა ლერნამნი ქართაგან ძლიერთა“; ლერნმის ლერო გამოიყენებოდა „კალიამად“ (ამის შესახებ ბევრს უწერია და, მათ შორის, მეც. იხ. „ფირდოუსი და რუსთველი“).

დღეს ყველა მკვლევარი იზიარებს სავსებით სწორ წაკითხვას:

„რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!“

ამ ნათელ ტაეპს ახალი რედაქტორი ასე ხლართავს და აბუნდოვანებს:

„რალაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია?“
(29,3).

პირველ შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია: როსტანი ჩივის – სიცოცხლე სინათლეა, ოღონდ სი-

ბერეა სიბნელე და, რაღაა იგი სიცოცხლე, როცა
ადამიანს უძლური მოხუცობა აწუხებსო?

პარმენ რედაქტორი სტროფებს შორის იმხელა
ღრიფოსაც კი ვერ ხედავს, რომელშიც რუსული
ტანკი გაეტევა. მე-60 სტროფი ასეთია:

მიწაცა ოქვენი ავთანდილ ოქვენს წინა

მშვილდოსანია;

ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად ოქვენივე ყმანია,
მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნილა უკუთქმანია.

გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!

ეს არის ავთანდილის სიტყვები.

ამის შემდეგ მოდის ასეთი „გაუგებარი“ ტაეპები:

„მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა;
ბრძანე, ვისროლოთ, ნულა იქმ შედრეკილობა-კლებასა!
კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“

პარმენის რედაქციის მიხედვით, კაცი ვერ გაი-
გებს, ეს ავთანდილის სიტყვებია თუ როსტანის პა-
სუხი. ეგ კი იმად ხდება, რომ გამოტოვებულია მთე-
ლი სტროფი, საიდანაც ჩანს, თუ ვინ ამეტყველდა
ამჟამად და ვის ეკუთვნის ეგ ნათქვამი.

მაშასადამე, ავთანდილის ზემორე წარმოთ-
ქმულ სიტყვებს, სადაც მან მეფე საასპარეზოდ გა-
მოიწვია, მოსდევს მხცოვანი პატრონის პასუხი, სა-

დაც მისი სახელი ნახსენებია. ამით უნდა მიხვდეს
მკითხველი, თუ ახლა ვინ ამეტყველდა:

მეფე ლალი და წყლიანი გამხიარულდა მეტად რე,
სიცილით უთხრა ავთანდილს: „შვილად გზრდი,
მით შე-ვე-მკადრე;
იცი, არ გიწყენ, გაზრდილო, მით შემომიხე
ბედად-რე;
თუ არ გასწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის
ზედად-რე.

და ამას მოსდევს მომდევნო სტროფში გაშლი-
ლი მსჯელობა: „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა
დაცილებასა“...

მაგრამ, ეს რომ შეამჩნიო, ტექსტოლოგი უნდა
იყო. ბატონი პარმენი კი ოდენ „გამამდიდრებელი“
ქიმიკოსია!

რედაქტორი სტროფებს შორის არსებულ ღრი-
ჭოს ვერ ხედავს კიდევ ბევრ ადგილას. ყველას ვერ
გამოვეკიდები. ერთი ჩავარდნილი კლავიში მაინც
გავსინჯოთ. 77-ე სტროფში ნათქვამია, რომ როს-
ტანმა უცხო მოყმე შენიშნა. იგი ასე მთავრდება:

ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა
(77, IV).

ბატონი რედაქტორი ამას უშუალოდ მიადევ-
ნებს ასეთ რასმე:

„წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად“ და ა.შ.

რედაქტორს თავში არ მოსდის კითხვა: უბრძანებოდ როგორ წავიდა მონა? მეორეც, იქ ათობით და ასობით ყმა ირეოდა. რომელი მათგანი წავიდა და რატომ სახელდობრ იგი? და რალა მაინცდამა-ინც ერთი წავიდა და არა ორი ან სამი?!

გამომცემელი არ იცნობს ხელნაწერებს, არც ნათაძის გამოცემას, არც თავდიშვილის ზემონახ-სენებ წიგნს, თორემ დარწმუნდებოდა: აქ აკლია ბრძანების გამომხატველი სტროფი, სადაც კონკრეტულად ერთ მხლებელს უბრძანებს, წასულიყო და უცხო მოეწვია. აღნიშნული პოეტური აბზაცი დაცულია ბევრ მნიშვნელოვან ხელნაწერში, ოღონდ საჭიროა ტექსტის ჯეროვანი გააზრება.

მაშასადამე, რედაქტორი ტექსტის დინამიკას სრულიად ვერ გრძნობს. ამის გამო ათობით სტროფია გამოტოვებული. ამიტომაცაა: თინათინმა რომ საოცრად ბრძნული რჩევა მისცა მამას, გამოტოვებულია ამაზე მშობლის მხურვალე რეაქცია – როგორ გადაკოცნა შვილი და გონიერება შეუქო.

მაშ, ღრიფო გამოუქოლავია 107-108 სტროფებს შორისაც.

პარმენის წიგნითაც, ტარიელი და ფარსადანი

გასათხოვარ ქალწულს აბანოში ნახავენ. ამის თაობაზე იხილეთ ჩემი სტატია „აბანოში რა გინდოდათ?!” რომელსაც, ვფიქრობ, ირონია არ აკლია.

1524-ე სტროფში ნაჩვენებია, თუ როგორ შეჯდა ფრიდონი ცხენზე და გაემართა კარავში მდგომი ავთანდილის მოსაყვანად როსტევან-ტარიელის წინაშე, ოღონდ ამის წინ არსად ჩანს „ბრძანების კანონზომიერება“, ანუ ამ შემთხვევაში ტარიელის მოთხოვნა, მიდი, ავთანდილი აქ მომგვარეო! არადა ასეთი სტროფი არის ხელნაწერებში. ეს რომ იცოდე, უნდა გესმოდეს ე.წ. „ბრძანების კანონზომიერების“ როლი და ადგილი პოემაში.

მაშასადამე, სტროფი აქაც აკლია!

ერთი სიტყვით, რედაქტორს თვალიც არ გადაუვლია „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფებისათვის“, ეტყობა, სათოფეზედაც არ გაჰკარებია ამ წიგნს.

ტექსტოლოგ-რუსთველოლოგია რაღა!

ბატონი პარმენის ტექსტი თავდება არაბეთში თინათინ-ავთანდილის ქორწილით.

მაშასადამე, დავიწყებულია ზვიად გამსახურდიას ცამდე მართალი ე.წ. „ნოსტოსის“ თეორია, რომ მთავარი გმირი **შინ უნდა დაბრუნდეს!** ტარიელი კი რედაქტორს შინ არ მიჰყავს.

ეგ ხომ უზარმაზარი კაზუსია, ოღონდ ბავშვსაც

კი არ მოუვა ისეთი „იაღლიში“, როგორიც ამ კაცს მოსდის: მთელი „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ჩამოა-შორა პოემას, ოღონდ ამ მონაკვეთიდან მაინც ვე-ლარ შეელია ფინალურ სტროფებს: „მათ სამთავე ხელმწიფეთა“ და „ყოვლთა სწორად წყალობასა“.

ისმის ლოგიკური კითხვა:

თუ ბოლო სამი თავი არაა მგოსნის, ამავე ტექ-სტის ორი დამაგვირგვინებელი პოეტური აბზაცი რანაირადღა გამოდის რუსთველისა?!

წალმა-უკულმა ასე ბოდიალს ვინმე გაპატიებს და ისიც რუსთველოლოგიაში?!?

მაგრამ აქ ბატონი პარმენი მარტო არაა. ამგვა-რი წაჯექ-უკუჯექი მოსდით სხვათაც და, ვიტყვი პირდაპირ, მანამდე მოუვათ, ვიდრე პოემას თავის კუთვნილ ბოლო დამაგვირგვინებელ სამ თავს არ მიაბამენ.

ტექსტში დაშვებულია (ან გაპარულია) ასობით პუნქტუაციური და ორთოგრაფიული შეცდომა (რაც საერთოდ დამახასიათებელია არაფილოლოგ პარ-მენ მარგველაშვილისათვის). მხოლოდ ერთი საჩინო მაგალითი. წერია: „ძილია, თუ ღვიძილობა?“ (94,3).

„თუ“ აქ იგივეა, რაც „და“. ამიტომ მძიმე არად-სალირალია.

ერთგან ვკითხულობთ:

„მითხვეს, თუ: „ხარო ყმანვილი, ბერნი მით გკადრებთ,
გლახ, ენით“ (416).

რედაქტორი არ იცნობს როლანდ ბერიძის ბრნყინვალე გამოკვლევას ამ ფრაზის შესახებ. იქ დადგენილია: უნდა იყოს - „ხარო ყმანვილი ბრძენი, მით გკადრებთ გლახენით“.

ჯერ ერთი, ომში „ბერებს“ რა ესაქმებოდათ? ტარიელის სარდლები ახალგაზრდები და ვაჟკაცები იყვნენ; მეორეც, ძველად სწორედ „ყმანვილის სიბრძნე“ იყო საძიებელი და ეგ ითვლებოდა დიდ საქმედ, თორემ მოხუცი ცხოვრებას ისედაც უნდა დაებრძენებინა.

მოგვიანებით მე მოვიპოვე მსგავსი მაგალითები „შაჰ-ნამეში“, სადაც სწორედ „ახალგაზრდის სიბრძნეზეა“ ყურადღება გამახვილებული („ფირდოუსი და რუსთველი“); აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდის სიბრძნეს“ საგანგებოდ აფასებს უფრო ადრინდელი მწერალიც. ეს გახლავთ ვერგილიუსი. „ენეიდაში“ ჭაბუკი ასკანია, ენეასის ძე, სწორედ რომ „ყმანვილი ბრძენია“ და ამით როგორც მამამისი, ისე მეგობრებიც ამაყობენ.

ვიმეორებ, აქაც ხაზგასმულია „ყმანვილის სიბრძნე“.

ამრიგად, ამ საკითხში რუსთველი ორიგინალობას ვერ დაიჩინებს, ხოლო პარმენ მარგველაშვილი – ნამდვილ რედაქტორობას.

წიგნს ახლავს ბოლოთქმა.

ნეტამც არ წამეკითხა!

ეს არის უსაგნო და ყოვლად გაუგებარი, ყოველგვარ ლოგიკასა და სამეცნიერო არგუმენტაციას მოკლებული ჩიქორთულად „გამართული“ სიტყვების გროვა.

ჩამოსახრჩობი კაცი იყოს და თოკს ყოველთვის იშოვის ადამიანი.

ამ შემთხვევაში ჩამოსახრჩობი კაცის როლში გამოდის ბატონი პარმენ მარგველაშვილი, მე კი თოკის მომპოვებლის როლი მარგუნა უფალმა, მაგრამ მთლად სახოხმარიკო ეს არის: თოკი თვითონ ჩამოსახრჩობმა მომიტანა.

ჩემი ბოლო დარიგება კი კატეგორიულია და მარტო პარმენს როდი შეეხება:

არ გიშლით, იცხოვრეთ რუსთველით, ოლონდ რუსთველოლოგიას თავი დაანებეთ!

2013 წ.

უჩემოდ რად იმღერეთა?!

ბევრს მიაჩნია: რუსთველის პოემის პროზად გადმოლება დიდი ესთეტიკური მკრეხელობაა, რადგან ამ დროს იკარგება ის პოეტურ-ენობრივი და სახეობრივი ხატები, რაც ამ შემოქმედებითი დარგის დვრიტაა. აქვე შეგვიძლია შევიხსენოთ რუსთველის ეპოქის ლიტერატურული პრინციპი – იმ დროს პროზაულ ტექსტს ისე დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც პოეტურს, „წყობილ მარგალიტს“. ამიტომაც აცხადებს მგოსანი: რომანის პროზაული ტექსტი ჩამივარდა ხელში და, ეპოქის მოთხოვნისდა კვალობაზე, გავლექსე, რიტმის ჩარჩოში მოვაქციეო. მაშე, პროზის პოეზიად ქცევა – ეს შემოქმედებითი აღმავლობაა; პოეზიის გაპროზაულება – დაღმავლობა!

ამრიგად, საზოგადოდ „წყობილი მარგალიტის“ განმარგალიტება სადავო საკითხია, მაგრამ მე ამ საკითხის გადაწყვეტა არ განმიზრახავს. არიან კალმოსნები, რომელთაც „წყობილი მარგალიტის“ განმარგალიტება სცადეს (მამია ეპრალიძემ შედარებით უკეთესი ტექსტი შემოგვთავაზა, თამარ ბარბაქაძემ – საკმაოდ ხარვეზიანი და შეცდომებიანი). კეთილი, სადავო პრობლემა გვერდზე გადავდოთ და ესლა ვიკითხოთ: რა მოეთხოვება პოემის პროზაულ ტექსტს?

ჩემი ფიქრით, ორი აუცილებელი პირობა: ა) უნდა იყოს ენობრივად უაღრესად დახვეწილი და ხატოვანი; ბ) შინაარსი ზუსტად მისდევდეს დედანს და არ შეიცავდეს შეცდომებს.

ახლა კი ეს ვიკითხოთ, როგორია სულ ახლახან გამოსული წიგნი „მოგითხრობთ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს“? იგი ბატონ ლევან გველესიანს გადმოუღია თანამედროვე ენაზე, ამავე დროს, შეუმდიდრებია კომენტარებითა და შენიშვნებით.

ა) ენობრივი მხარე გაშინაარსებული ტექსტისა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ბატონ მთხობელს ქართული არ ემორჩილება. წარმოდგენილი ტექსტი ახლოსაც ვერ მოვა ებრალიძისეულთან. კიდევ მეტი, - ვერც ბარბაქაძის საკმაოდ ღვლარჭნილ მონათხრობთან.

ენობრივმა უმწეობამ პირველივე, სატიტულო, გვერდიდანვე შემოგვანათა. წერია: „ვეფხისტყაოსანი მოთხრობილი ლევან გველესიანის მიერ თანამედროვე ენით კომენტარებითა და შენიშვნებით“. პოემის სახელწოდების შემდეგ საჭიროა მძიმე; სიტყვის „ენით“ შემდეგაც საჭიროა ყოვნის ნიშანი; „მოთხრობილი ლევან გველესიანის მიერ თანამედროვე ენით“ სწორია, ოღონდ „მოთხრობილი... კომენტარებითა და შენიშვნებით“ არაფრად ვარგა.

უნდა ყოფილიყო: „რომელსაც ახლავს მთხრობლის კომენტარები და შენიშვნები“.

კომენტატორს არ სცოდნია რედუქციის (კუმ-შვა-კვეცის) წესები. ის წერს: „მთხრობელის“, „ბოკ-ვერებს“, „ჭურჭელის“ და სხვ. გაპარულია უცხოურ ენათა კალკები: „პირველ რიგში“, „სოციოლოგიურ ასპექტში გვთავაზობს“ (9,10); „ვეფხისტყაოსნის ძებნის ისტორია“ (34), „ტარიელის ისტორია“ (37), „არმიის გარეშე“ (46), „რაშიც იყო საქმე“ (49), „მის გარეშე“ (54), „რაშია საქმე“ (58), „ეს ისტორია კარგად იცოდე“ (71), „არსებული ისტორია“ (165); ზმნებში ირიბობიერებური პირის ნიშანი, სადაც საჭიროა, არ ჩანს, სადაც არ უნდა, იქ არის: „შეჰკრებს“, „დათანხმდებიან“ (14); „გაჰქუსლეს“ (19), „ჭირდება“, „ჯობდა“, „შეფარებოდა“, „შესძლებს“ (20); „თხოვდა“ (27); „დარაჯობდა“ (31), „დაპირდა“ (33), „ყვება“ (50) და ა.შ. ასევე ბევრია უაზრო ანთუ უხერხულ-უგერგილო შესიტყვება: „ჩვენს მოგონებებთან ერთად“, „ურიცხვ მორევში გადავეშვი“, „ჩაუჟინდება ვეფხისტყაოსანს“ (7), „ასეთი კარგი“, „პერიფრაზირებას გავაკეთებ“, „მას არსად აკლია მარცვალი, და თუ აკლია, ან ცარიელ ადგილს ისე ავსებს, რომ ვერავინ ვერაფერს იგრძნობს“, „აქ უკვე გალაკტიონიც ვერ მივა“ (9); „მთლიანობაში განცვიფრებას ვერ ვმალავ“, „მიწიერ ფენომენთან არ

გვაქვს საქმე“, „ქვას ქვაზე არ ტოვებს მომხვეჭლური და თავკერძა იდეოლოგისაგან“ (10); „შიგა და შიგ გიუურად წამოვხტებოდი“, „იმ წამსვე მივარდნენ“, „დავიწყნოდა“ (41); „იგივე აზრს“ (75); „საიდანაც ავტორი გვეუბნება“ (83) და ა.შ. სრული ქაოსია პუნქტუაციური ნიშნების გამოყენებისას.

ბ) პოემის შინაარსს არ შეესატყვისება მთხრობლის ტექსტი. მთხრობელი პათოსით აცხადებს: „ვეფხისტყაოსანი“ სრულყოფილი ქმნილებაა და, თუ ასე არ ფიქრობთ, ფსიქიატრს ეჩვენეთო (6), მაგრამ ეს ლიტონი განცხადება გამოდის. თურმე, პოემა არც ისე დახვეწილი და ბოლომდე სრულყოფილი ყოფილა და აი, მთხრობელი „ეხმარება“ რუსთველს, ცალკეულ ამბებსა და ფაქტებს უმატებს, თხზავს. ბევრი სცენა მცდარად გაუგია (ან სულაც ვერ გაუგია).

მივყვეთ ტექსტს თანამიმდევრულად.

ჯერ ერთი, პოეტის ფსევდონიმია **რუსთველი** და არა **რუსთაველი**. პოემაში ეგ სახელი სამჯერ მოიხსენიება და ყოველთვის ასეა – **რუსთველი**. მთხრობელი რატომღაც მცდარ ფორმას გვთავაზობს; ასევე ნოზაძის სახელიც მცდარად მოუწოდებია. არა „ვიქტორი“, არამედ „ვიკტორი“ (8); მსჯელობა გაშლილია რუსთველური შაირის ორ ქვესახეობაზე, ორგვარ რიტმზე, და მისთვის რატომღაც „რითმი“ უწოდებია (9). არდა რიტმი სხვაა,

რითმი – სხვა, შუა უზის დიდი ზღვარი! გაცხადებულია, რომ რითმას ქმნისო ბოლო სამი მარცვალი (9). ავტორს არა სცოდნია, რომ გვხვდება ორ და ოთხმარცვლიანი რითმებიც.

ერთგან ჰიპერბოლა და გაიდეალება ერთ ქვაბშია ჩაყრილი: „რუსთაველი არ აიდეალებს თავის გმირებს, არ ქმნის ჰიპერბოლურ ხასიათებს“ (9). ჯერ ერთი, გაიდეალება სხვაა, ჰიპერბოლიზება – სხვა, ოღონდ აქ ისიცა ვთქვათ, რომ რუსთველი სწორედ რომ უკიდურესი ჰიპერბოლისტია. ამავე დროს, სწორედ რომ იდეალურ, მისაბაძ, ამაღლებულ პერსონაჟებს ხატავს. ამიტომაც შეესატყვისება მის პოემას ს. ქობულაძის ნახატები, ხატვის ქობულაძისეული ამაღლებული მანერა; არაერთგზის მეორდება, თითქოსდა პოემაში გამოყვანილი არიან ჩინელები (9). არა! პოეტს არსად უხსენებია ჩინელები. ისინი ქმნილებაში არსად გვხვდებიან. მთხოობელს ხატაელები ჩინელები ჰქონია. კარგა ხანია დამტკიცებულია (ს.ცაიშვილი, მ. თავდიშვილი), რომ ხატაელი იგივე თურქია, თურქმენი. ამაზე თვით პოემაშია მითითებული, ერთგან გაცხადებულია: „რუსთაველის გმირები, ხანდახან ზედმეტად რომ არ ტიროდნენ და ცრემლს არ ლვრიდნენ, შეგვეძლო ჩვენს თანამედროვეებად მიგვეჩნია“ (10). მცდარად თამამი მოსაზრებაა. გმირები სიტუაციის შესაბამისად ტირიან.

ზუსტად იმდენს ტირიან, რაც საჭიროა ტრაგიკული ტიპის შესაქმნელად. თინათინი ტახტზე ავიდა. ქონება უხვად გასცა. ყველა ზეიმობდა. აქ დისონანსი შემოაქვს მთხრობლის საკუთარ შემოქმედებას: „დიდებულები ალმაცერად იცქირებოდნენ“ (17). ეს არსად წერია, მათ შორის არც ერთ ხელნაწერში! როსტევან-ავთანდილი ერთმანეთს ნადირობაში ეჯიბრება. სისხამ დილით კი წამოდგნენ და მინდვრისაკენ გაემართნენ, ოღონდ არსად წერია, რომ ეს მოხდა მაინცდამაინც „დილის ექვს საათზე“ (17). მე აქ არაფერ შუაში ვარ, ოღონდ, ზოგი მეცნიერის გამოთვლით, ეს მოხდა ექვს საათსა და 15 წუთზე (!); კიდევ მეტი ფანტაზიის უფლება მიუცია მთხრობელს საკუთარი თავისათვის, როცა სანადიროდ გასულთა ამალას აღნერს. თურმე, ავთანდილს უკან „შერმადინის ასეული მიჰყვებოდა, ყოველი მათგანი ბრძოლაში გამობრძმედილი და მეფისა და სახელმწიფოს ერთგული მეომარი. ამათ მოსდევდა სამეფო გვარდიის ასეული. კიდევ უფრო უკან მოდიოდა აღალი ათიოდე დატვირთული აქლემითა და სახედრით“ (19). ნუთუ ეს პოემაში ჩართული ერთი მშვენიერი მინიმოთხრობა არ არის?! კიდევ უფრო შორს მიდის მთხრობლის ფანტაზია, როცა მეფე და მისი ხალხი ტყის პირას ბანაკს დასცემენ. არადა ორსაათიან ნადირობას „ტყის პირას ბანაკის დაცემა“ რად უნდოდა?! იქვე, თურმე,

როსტევანის სამეფო კარავიც გაშალეს (19). კიდევ მეტი, „ოთხი საგუშაგო კარავი მიუდგეს“. აღმოჩნდა, რომ, თურმე, იმ დღეს არ აპირებდნენ ნადირობას. ამიტომაც „ცხენები დაანაყრეს, დაარწყულეს და თავლაში დააპინავეს“ (19).

ახლა დაისმის კითხვა: კი, მაგრამ, ყოველივე ეს რუსთველმა რად დაგვიმალა? ნუთუ პატიოსანმა მწერალმა ასე საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბები მკითხველს უნდა დაუმალოს და მხოლოდ ბ-ნ ლ. გველესიანს აუნიოს?!

და აქ პოემაში ისევ ერთვის ბ-ნ გველესიანის მინიმოთხრობა: „იმ საღამოს ამით დაამთავრეს. დამით როსტევანს ქურციკები და ირმები ესიზმრებოდა, ავთანდილს – თავისი შეყვარებული, შერმადინს – ათასისთავობა, ჯარისკაცებს კი ომი და გამარჯვება“ (19).

აქედან მარტო ის არ მომწონს, რომ „შერმადინს ათასისთავობა ესიზმრებოდა“. ეს კიდევ იმიტომ, რომ აქ მთხრობელმა ნამეტნავად იძუნნა. აბა, რადღა სჭირდებოდა შერმადინს ათასისთავობა, როდესაც იგი არაერთ ათასს პატრონობდა და ხელმძღვანელობდა. ის გახლდათ ავთანდილის საგანმგებლოს მოურავი და სარდალი.

თუ, პოემის მიხედვით, დილით როსტანს სანადიროდ ავთანდილი გამოიწვევს, მთხრობლის

მტკიცებით, მხცოვანმა ხელმწიფემ გამოიწვია ყმანვილკაცი (19).

ბ-6 ლ. გველესიანს არა სცოდნია იმდროინდელი ნადირობის წესი. მას ჰგონებია, რომ ნადირზე ტყეში ნადირობდნენ. ამიტომაც წერს: „ტყისკენ გააჭენეს ბედაურები“, „ხან როსტევანი შეაჭენებდა ტყეში ცხენს და ხან ავთანდილი“ (19). სინამდვილეში ტყეში კი არ ნადირობდნენ, არამედ ორ ტყეს შორის მოქცეულ მინდორ-ველზე. მარეკები ერთი ტყიდან გამორეკავდნენ ნადირს. ტყის ბინადართ სირბილით უნდა გადაეკვეთათ მინდორი და იქით, მეორე ტყეში, უნდა შეეფარებინათ თავი. სწორედ ამ დროს, მათი მინდორზე გადარბენისას, უნდა ეხოცათ პატრონსა და ყმას ისინი. როცა პირუტყვი მინდვრის ბოლოს მოდგმულ ტყეში შეასწრებდა, ნადირობას წყვეტდნენ, რადგან იქ ცხენი ვერ ირბენდა. პოემაში მითითებულია: „ნადირნი ტყესა შეესწრეს, სადა ვერა რბის ცხენია“. ასევე ტყუილია, თითქოს მოისართ ორი ათასი ცხოველი გაენადგურებინოთ. ისე მცირე დროში ამას ტყვიამფრქვევითაც ვერ მოახერხებდნენ. სინამდვილეში ორივემ ორასი ნადირი მოინადირა.

რუსთველის აზრით, უცხო მოყმე როსტევან მეფემ შენიშნა, ხოლო, მთხრობლის აზრით, - ამალის წევრებმა. კიდევ უფრო საინტერესოდ არის

აღწერილი ტარიელის პირველი მოქმედება. რუსთველსა სწადია, იგი არ წარმოგვიდგეს სისხლის-მღვრელ პიროვნებად. ამიტომაც საგანგებოდ მიუ-თითებს: მის შესაპყრობად მომავალი 12 ცხენოსანი რომ შენიშნა, ტარიელი ამხედრდა და სხვა მხარეს გასწია, შეხლა-შემოხლასა და ჩხუბს აერიდაო. მთხრობელი საიდეალო გმირს ამ მთავარ ნიშანს უკარგავს და ამირანდარეჯანიანივით სისხლის-მღვრელ დეგენერატად გვიხატავს: „მტირალი ახალგაზრდა წამოხტა, თავის შავ ცხენს მოახტა, მიგზავნილი მსახურები მიფანტ-მოფანტა, ზოგს მათრახი გადააწნა“ (22). კიდევ მეტი, მთხრობელს მოსწადინებია, ტარიელისაგან ყარაჩოხელიც გამოეყვანა და მუშტი-კრივიც გააჩალებინა („აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!“). ამიტომაც ასე აგრძელებს: „ზოგს მუშტი ჩაჰკრა და გააბრუა“ (22).

უკუღმაა დანახული სცენა მეფის კარზე.

გაბრაზებულ როსტევანთან ქალიშვილი გა-მოცხადდა. მოლარემ უთხრა, მარტო არ არის, ავ-თანდილი წინ უზისო. ქალიშვილს მოერიდა უცხო კაცთან შესვლისა და მოლარეს დააბარა: თუ მიკითხოს, უთხარი, აქ იყოო! ჩვენი მთხრობელი ყველაფერს თავდაყირა აყენებს. აქ ქალწულს მოლარე ეუბნება, ნუ შეხვალ, თვითონ დაგიძახებსო (22). უცხო მოყმის ძებნად მიმავალ ავთანდილს არ შე-

უთვლია როსტანისათვის, „თინათინის დავალებით მივდივარ მივლინებაში“ (26). ასევე გამგზავრების წინ დაწერილი წერილი მსახურს კი არ გაატანა შერმადინთან (27), არამედ საკუთარი ხელით გადასცა თავის ყმას; „საღარიბოდ შეეკაზმა“ მთხრობელს ვერ გაუგია. ამიტომ გვიწერს: „მერე ღარიბულად შეიმოსა“ (27). სინამდვილეში ღარიბულად კი არა, მდიდრულად ჩაიცვა, ოქროს ქამარი შემოირტყა, არაბულ ბედაურზე ამხედრდა და ა.შ. მაშ, რასა ნიშნავს „საღარიბოდ“? იმას, რასაც „საყარიბოდ“, „საპილიგრიმოდ“, ანუ მარტოდმარტო, ეულად სამოგზაუროდ შემზადებას; სამი ხატაელი ძმის ეპიზოდში წერია: ავთანდილმა დაჭრილ ხატაელს იარა შეუხვიაო (29). სად ეცალა იარის შესახვევად, როცა ტარიელი ჰორიზონტზე წერტილივით მოჩანდა და მალე თვალთაგან მიეფარებოდა. ხატაელთ თავისი საჩრდილობელი სადგომი და მწვადები გადაულოცა და უცხო მოყმეს ფიცხლავ გაეკიდა; ტარიელის გამოქვაბულთან ავთანდილი ხეებს კი არ მიეფარა (31), ერთ ხეზე აძვრა და იქიდან უთვალთვალებდა ასმათსა და ვეფხისტყავიანს; არც ასმათია შუახნის დიაცი (31). ასე რომ ყოფილიყო, ტარიელს სატრფიალო ბარათს არ გაუგზავნიდა და არც სარიდანის ძე მისწერდა საპასუხოს; ერთგან ვხედავთ: ტარიელი ღამღამობით რაღაც საინტერე-

სო წიგნს კითხულობს (43). სინამდვილეში არავითარი საკითხავი არა სჭერია ხელთ. მთხრობელს არ სცოდნია, რომ „წიგნი“ ძველად წერილს, ბარათსა ნიშნავდა. და ტარიელსაც წინა დღით ნესტანისაგან მისული საიმედო ბარათი (წიგნი) ეჭირა ხელში; ხატაელებმა რაინდს წერილი მისწერეს. ერთ სტროფში რითმის საჭიროებისათვის რუსთველი ხმარობს ფორმას „ტარიერსა“ (მონაწერსა, ერსა, შენმიერსა). სახელის ამგვარი ცვლა ჩვეულებრივია „შაპნა-მეში“, „ვეფხისტყაოსანში“. მაგალითად, ნახსენებია „ტარია“, „როსტანი“, „ნესტანჯარი“ და ა.შ. ახლა ვნახოთ, რა შორს გაუტევია ჩვენს მთხრობელს: „მეორედ არ მოიწერო ასეთი რამო. ეგ კი არა და, ჩემი სახელიც დამახინჯებულად დაეწერა, - ტარიერიო, ტარიელის მაგივრად. მე კი ვიცოდი, რომ ხატაელები „ლ“-ს და „რ“-ს ერთმანეთში ურევენ, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო“ (45).

კიდევ უფრო დიდი „ხომა“ ისაა, რომ მთხრობის სიტყვიერ არსენალში გაჩნდა დღეს პოპულარული ტერმინი „რეზერვისტი“. „ვაფრინე ქუდზე კაცი და შევკრიბე ინდოეთის მთელი ლაშქარი. რეზერვისტები და მოხალისეებიც მოვიხმე“ (45). აქ უხეში ენობრივი შეცდომაც გაპარულა. „ქუდზე კაცი ვაფრინე“ იმას ნიშნავს, რომ ლაშქრის მოსაწვევად მთელი ინდოეთი, ანუ ყველა ქუდოსანი, გაუგზავნია. მაშ,

უნდა იყოს: „კაცი ვაფრინე და ქუდზე კაცს ვუხმე“. „ქუდზე კაცი“ ნიშნავს ყველა ქუდოსანს, ანუ მამრს.

აქ გამოვტოვოთ რამდენიმე წვრილმან-მსხვილ-მანი შეცდომა და ყველაზე საინტერესოს მივ-სწოდეთ. მთხოვობელს კვამლის ამბავიც ვერ გაუგია. ძველად საომარი მოქმედების დაწყების ნიშანი იყო კვამლის აშვება. გასაგებია, რომ მაშინ არც რადიო-გადამცემები ჰქონდათ და არც მობილური ტელე-ფონები. პოემაში ამგვარ კვამლს იყენებს ხატაელი ხანი რამაზი. ჩვენი მთხოვობელი კი სხვაგვარად ფიქრობს: „უნდა მოგკლან და არ ენდო. ჯარი ჰყავთ იქ შეფარებული, კვამლს გაუშვებენ, შენ რომ ვერ დაინახო, და მუხანათურად დაგესხმიან თავს“ (46). რაკილა ასეა, ახლა ნახეთ, რა ამბებს დაატრიალებს ეგ კვამლი: „მტვრის ქარბორბალას მოვკარ თვალი, მივხვდი, რომ ეს ის „კვამლი“ იყო, მსტოვარმა რომ მითხრა“ (49). მთხოვობლის მიხედვით, გამარჯვე-ბულმა სარდალმა ფარსადანს მოამბე გაუგზავნა (52). სინამდვილეში წერილი გააგზავნა; მთხოვებელი გამარჯვებულ სარდალსა და ხელმწიფეს დედა-ქალაქში ახვედრებს ერთმანეთს (54), რუსთველი – ქალაქგარეთ გამართულ კარვებში; ასევე ხვარაზ-მელი სასიძოსათვის კარვები ქალაქგარეთ გაშა-ლეს. ამ საქმის ჩამდენად რუსთველი ტარიელს, ამირბარს, მიიჩნევს, მთხოვებელი – მეფეს (59);

ფრიდონმა მიმავალ სტუმარს, ტარიელს, უცნაური ცხენი – მერანი აჩუქა. ეს მთავარი საკითხია. მთხოვნელს ეს ავიწყდება, სამაგიეროდ თხრობაში შემოაქვს თანამედროვე ტერმინი – პასპორტი და სამგზავრო საბუთი: „ვთხოვე, დამხმარებოდა, სამგზავრო საბუთები გაემზადებინა, გზაზე რომ არვის შევეყოვნებინე“ (71). აბა, უპასპორტოდ და უსაბუთოდ ტარიელს საზღვრებზე ვინ გაატარებდა?! ავთანდილი სოგრატ ვეზირს ესტუმრება, მეფესთან შუამავლობასა სთხოვს. ვაზირი შუამავლობას გასწევს. უკან გამოლანდული ბრუნდება. ავთანდილი შინ მიდის და იქიდან უგზავნის შეპირებულ ოქროსა და სხვა საჩუქრებს. მთხოვნელი კი იქვე, ვაზირისას, ასაჩუქრებინებს მასპინძელს: „იმ ასი ათასს კიდევ სხვა საჩუქრებიც მიაყოლა და ვაზირს დაემშვიდობა“ (80). აბა, იქ, სტუმრად მყოფს, ამდენი ქონება საიდან ექნებოდა?! არა, ამ საჩუქრებს ავთანდილი შინიდან უგზავნის ვაზირს, თანაც მსახურკაცის ხელით; ერთგან მოყვანილია გენიალური სტროფი (ოთხი სტრიქონი). მთხოვნელი მას ტაეპს ეძახის (83). სინამდვილეში ტაეპი ერთი სტრიქონია, ერთი ბწყარია! ერთ ადგილას ტარიელი „შავ ტევრს“, ანუ თმას, იგლეჯს. პროზაული ტექსტით, „თავი გადახლეჩილი ჰქონდა“ (85); ლომ-ვეფხის დახოცვის შემდეგ ტარიელი და ავთანდილი გამოქ-

ვაბულისაკენ ცხენებს კი არ მიაჭენებენ, არამედ ნაღვლიანად ბაასობენ და ნელა მიემართებიან. ახალი ვარიანტი ასეთია: „დინჯად მიაჭენებენ“ (89). ეს შესიტყვება ენობრივადაც საინტერესოა: „მიაჭენებენ“ და „დინჯად“ ერთმანეთს ვერ ეგუება; ტარიელმა ლომი ხმლით განგმირა, ოლონდ ვეფხის წინააღმდეგ იგი არ გამოუყენებია (89). ვეფხი მიწაზე დაანარცხა; აქვე ბარემ მხატვრის ორ უხეშ შეცდომაზეც მივუთითებ. სადაც კი ვეფხია დახატული, ყველგან ზოლებიანი ცხოველი ჩანს (90, 91). ეს არასწორია. რუსთველი გვიხატავს ვეფხს, რომელიც ხალიანია, და არა ვეფხს, რომელიც ზოლიანია. პოემაში არაერთგან პირდაპირ არის მითითებული – ეს არისო ვეფხი-ავაზა ანდა ვეფხი-ჯიქი; მეორე უხეში შეცდომა შემდეგია: ქაჯთა მეფე დავარს გარდაეცვალა დაი და არა დეიდა. ნახატს კი აწერია: „ქაჯეთის მეფის გარდაცვლილი დეიდა“ (130); რუსთველს არ დასჭირვებია და არსად უხსენებია კოლო. მთხობელი ამ მწერს ვერ შელევია და შენიშნავს, მულდაზანზარში იცისო (88); პირველი შეცდომა მთხობელსაც მოსვლია: „დუღარდუხტის დეიდას თავი მოეკლა უცხოობაში“ (120). აქ ორი ტყუილია გაცხადებული: არც თავი მოუკლავს და არც დეიდა იყო; ფრიდონმა ნესტანის მძებნელ ავთანდილს „ექვსი ათასი ლარი“ გაატანაო (99). სი-

ნამდვილეში „სამოცი ლიტრა“ ოქრო გაატანა. ლიტრა დაახლოებით 400 გრამს უდრიდა; სხვა უზუსტობა ასეთია: ფრიდონი და ავთანდილი „ასაკითაც დაახლოებით ტოლები იყვნენ“ (99). სინამდვილეში მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ფრიდონი წვეროსანია, უხუცესია; ავთანდილი „ჯერთ უწვერულია“, ყმაწვილია. სპასპეტი თვითონვე სწერს მულლანზანზარის პატრონს: „გწერს შენი უმცროსი ძმა ავთანდილი“ (131); ავთანდილმა მეკობრები გაანადგურა, მექარავნეთ ქონება შეუნარჩუნა. ზღვის ყაჩალთა ნავიდან ნაძარცვი ქონება ვაჭართა ხომალდზე გადმოაზიდვინა და ეგ განძეული თავისთვის გადაინახა, ვაჭრებს კი სისხლის ფასი აღარ გამოართვა. მთხრობელს ტექსტი ვერ გაუგია და წერს: „მთელი მეკობრეთა ნაალაფევი, რაც კი ნავზე აღმოაჩინა, ვაჭრებს გადასცა“ (102). ეს კი ეწინააღმდეგება ცოტა მოგვიანებით ნათქვამს: „ფრიდონის მსახურებს გაატანა მთელი ნაალაფევი, რაც მეკობრეებისათვის ჰქონდა წართმეული“ (131). მაშასადამე, მეკობრეთა ნაალაფევი თავისთვის დაუტოვებია და ბოლოს იგი აჩუქა ფრიდონის არა ორ (131), როგორც მთხრობელი გვეუბნება, არამედ ოთხ მონას; ბ-ნ ლ. გველესიანს მეტისმეტად თანამედროვე წარმოდგენა შეუმუშავებია ზღვათა ქალაქ გულანშაროზე. იგი, თურმე, ყოფი-

ლა „რაღაც საშუალო ლას-ვეგასსა და როტერდამს შორის“. აქ ყოფილა ბევრი სამორინე, საროსკიპო, რესტორანი, გასართობი დაწესებულებები. აქვე შეგეძლო, თურმე, ვალუტის კურსი და საკრედიტო პროცენტი გაგერკვია. არ წერია, ოლონდ იგულის-ხმება სავალუტო ჯიხურები, რომელთა თავზეც ელვარებდა ნიშანი \$. ოლონდ სავალალო ეგაა, რომ XII საუკუნეში ამერიკა ჯერ კიდევ არ ყოფილა აღ-მოჩენილი! მთხრობელი გვარნმუნებს: ფატმანმა ტყვე ქალ ნესტანს ცოტა ოქროს ფული გაატანაო (117). ფატმანი სხვა რასმე გვეუბნება: ქამარი შემო-ვარტყი. ქამრის ჯიბეებში ისე მსხვილ-მსხვილი მარგალიტები ეწყო, თითო თითო ქალაქს იყიდდაო, „მელიქი“ ნიშნავს მეფეს. ეს არ სცოდნია მთხრო-ბელს და გვიწერს: „მელიქ მეფემ უცნობი გვერდით მოისვა“ (117); ფრაზის ავტორს გამოუვიდა უაზრო ტავტოლოგია - „მეფე მეფემ“. უნდა ეთქვა: „მეფე სურხავმა“ ანდა „მელიქ სურხავმა“; ავთანდილმა გაარკვია ნესტანის ამბავი და გულანშაროდან მი-დის. მთხრობლის აზრით, მას აცილებენ და ემშვი-დობებიან ფატმანი და მისი ქმარი უსენი (134). არა! უსენი ვერ გააცილებდა, ვინაიდან იმ დროს სავაჭ-როდ იყო გადავარდნილი. ეგ სოვდაგარი ავთან-დილს საერთოდ არ იცნობს. სინამდვილეში სპას-პეტს აცილებენ ფატმანი და ბალდადელი სოვდაგა-

რი უსამი, რომელსაც ზღვაზე უშველა და მეკობრე-თაგან დაიცვა; მთხობელს არა სცოდნია, რომ ტერმინი „აბჯარი“ გულისხმობს შემტევ და დამცავ შეიარაღებას. მასში შედის როგორც ხმალ-შუბი, ისე ჯაჭვ-მუზარადი. ამიტომაც არ შეიძლება ასეთი თამამი სიის შედგენა – გმირებმა იპოვესო „აბჯარი – 3 კომპლექტი; ჯაჭვ-მუზარადი – 3 კომპლექტი; ხმალი, ძალიან ბასრი, გალესილი – 3 კომპლექტი“ (137). როგორც ითქვა, 3 კომპლექტ აბჯარში ყოველივე ეს იგულისხმება! მეხუთე საუკუნის მოღვაწე ფილოსოფოსი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი რატომდაც მოხსენიებულია მეექვსე საუკუნის მოაზროვნედ (148); ინდოეთიდან მომავალი მგლოვიარე ქარავანი ტარიელმა შეაჩერა, სარბანი მოიწვია და ვინაობა ჰკითხა. მთხობლის აზრით, მათ ინდოეთში გაბატონებულ ხატაელებს თავი ეგვიპტელებად მოაჩვენეს (156). ჩვენ არ ვიცით, რა ჰქონდათ მოსაჩვენებელი, როცა დასტურ „მეგვიპტელნი“ იყვნენ! სხვაგან გაცხადდა: ტარიელმა ავთანდილსა და ფრიდონს თვალმარგალიტით დასაპალნებული თითო ჯორი აჩუქაო (164). სინამდვილეში ეს საჩუქარი არგუნეს ყოველ არაბ მხედარს, ვინც კი ავთანდილის დროშის ქვეშ იდგა.

არ შემიძლია, კეთილად არ მოვიხსენიო ბ-ნ ლევან გველესიანის გენიალური პოემით აღტაცება

და რუსთველის უანგარო სიყვარული. ამ ნიჭს დღეს
ბევრი ვერ დაიკვეხნის. ასევე მისასალმებელია
უდავოდ თავისებური სტილის მქონე მხატვრის მა-
მუკა ცეცხლაძის რუდუნება. მისი ნახატებიდან
ზოგიერთი (უფრორე პეიზაჟური სურათები) მარ-
თლაც შთამბეჭდავია.

აქვე უნდა ვთქვათ: ყურისმომჭრელია წიგნში
მიმობნეული პათეტიკური შეძახილები: გენიალუ-
რია! თუ ორიგინალმა ვერ აღგაფრთოვანათ, ვიზია-
რებ თქვენს მწუხარებას! თუ პოემის ღირსებებს
ვერ ცნობთ, ეჩვენეთ ფსიქიატრს! და მსგავსნი.

რა ითქმის ასეთ აღტაცებულ, აკუნტრუშებულ
ფონზე?

ალბათ, ის, რაც ერთხელ ცნობილმა მწერალ-
მა და უებრო ესთეტმა აკაკი გაწერელიამ ბრძანა.
ერთმა „ახალგამოჩეკილმა“ რუსთველოლოგმა
ბრწყინვალე აუდიტორია შეკრიბა და თავისი „აღ-
მოჩენები“ წაუკითხა. მავანმა დამსწრებ ჰკითხა: -
ჰა, როგორი იყო, ბატონო აკაკი?

- გენიალური, განსაცვიფრებელი, გასაგიშებე-
ლი - უპასუხა აკაკიმ. მერმედ ყოვნი გააკეთა და
მრავალმნიშვნელოვნად დასძინა: - ჰო, ასე იცის,
როცა „ვეფხისტყაოსანს“ პირველად წაიკითხავ!

2013 წ.

კონიექტურას არ საჭიროებს

ცნობილი პროფესორი შოთა მალაზონია ფიქ-
რობს: გენიალური „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“
უნდა ჩასწორდეს; კერძოდ, ტაეპი - „არც ვეფხვი
იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი“ – შე-
სასწორებელია, „ჭკვიანი“ **უჭკუოს** ნიშნავს და კონ-
ტექსტს არაფრით შეესატყვისებაო („ლიტერატუ-
რული საქართველო“, 2015, 3 აპრილი, გვ. 3); სიტ-
ყვა „ჭკვიანი“ უნდა შეიცვალოსო ცნებით „ჭიანი“.

ყოვლად მიუღებელი მოთხოვნაა!

ამისი არგუმენტებია:

1. ჯერ ერთი, „ჭკვიანი“ არასოდეს ნიშნავდა და
არც ამჟამად ნიშნავს „უჭკუოს“. ამიტომაცაა, რომ
მკვლევარს ბეჯითად უძებნია, ოღონდ ვერც ერთ
გამოცემაში ვერ უნახავს „ჭიანი“, ყველგან დახ-
ვედრია „ჭკვიანი“.

2. მეორეც, თუ არც ერთ ხელნაწერსა და ნა-
ბეჭდ ტექსტში არ გვხვდება „ჭიანი“, მარტივი ტექ-
სტოლოგიური ამბავია – აღნიშნულზე მსჯელობა
საკითხის დასმის წესითაც შეუძლებელია.

3. უმთავრესი კი მაინც ცნება „ჭკვიანის“ შინაარ-
სის ცოდნაა. ამ ცოდნას გვაძლევს გორის რაიონის
მეტყველებაზე დაკვირვება და მითითებული განსაზ-
ღვრების „ვეფხისტყაოსნისეული“ კონტექსტი.

მკვლევარს ორივე ეს მომენტი მხედველობიდან გამორჩენია.

აღნიშნულის თაობაზე მომყავს ჩემი წიგნის ერთი ამონარიდი. იქ ნიზამისა და რუსთველის სუფიურ იდეებთან დაკავშირებით ნათქვამია:

„მისი სახე კიდევ უფრო მკაფიოვდება მომდევნო სტროფში. აქ წერია: „იმ პირველ, უმაღლეს, მიჯნურობას ჭკვიანნი ვერ მისწვდებიან“.

პოეტურად ეს აზრი ასეა ჩამოყალიბებული:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“.

აქ ხაზგასასმელია ცენტრალური შესიტყვება, სააზროვნო კარედის პირველი ნახევარი: „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“.

რას ვერ მიხვდებიან (მისწვდებიან, ასწვდებიან, ეზიარებიან) ჭკვიანნი?

ჭეშმარიტ, ნამდვილ ღვთაებრივ, სუფიურ შეერთებას ღმერთთან.

რასა ნიშნავს ჭკვიანნი?

არა იმას, რასაც – დღეს.

ჭკვიანი ძველად ნიშნავდა ნორმალურს, ჩვეულებრივს, მშვიდს, მორჩილს. ეგ ტერმინი ნახმარია „ვეფხვისა და მოყმის ლექსში“. დედა ამბობს: ჩემს შვილს ვეფხვი შემოეყარა, კლანჭები აძგერა,

ოღონდ „არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანიო“ ეჭვი არაა, „ჭკვიანი“ მორიდებულ, წესიერ, ნორმალურ, მშვიდ ადამიანს გულისხმობს. სიტყვის ამგვარ გა-გებას ვაწყდებით სოფ. ბერშუეთის მიდამოებში.

სიტყვა ვაუა-ფშაველასაც გამოუყენებია. „სტუ-მარ-მასპინძელშია“: „უჩვენა ჯიხვი რქიანი, მკვდა-რი, რქებგადაგდებული, დადუმებული, ჭკვიანი“.

მაშასადამე, ნორმალურნი, ჩუმნი, მოკრძალე-ბულნი, მორჩილად მყოფნი „მას ერთსა მიჯნურო-ბასა“ ვერ ეზიარებიან, ვერ შესწვდებიან.

პირველი კარედი - „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“ – გულისხმობს მეორე კარედსაც. მაშ, „მას ერთსა მიჯნურობასა“ რომელნი მისწვდებიან?

რა თქმა უნდა, არაჭკვიანნი, ანუ **შმაგნი**.

„შმაგი“ კი მიჯნურსა გვიქვიან ქართულითა ენითა! და, პირიქით: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“ (მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 81-83).

ვხედავთ: „ჭკვიანი“ მოუმარჯვებიათ რუს-თველს, ხალხურ მთქმელს, ვაუა-ფშაველას; დღე-საც აქტიურად იყენებენ ქართლის სოფლებში.

მაშასადამე, ხალხურ ბალადაში ყველაფერი რიგზეა და იგი არავითარ კონიექტურას არ საჭი-როებს!

2015 6.

ჩავარდილი კლავიში

სამი ლომგმირი ხატაელი ძმა სანადიროდ გამოვიდა; ერთმანეთს გაეჯიბრნენ, ოღონდაც ვერაფრით დაადგინეს, რომელი უმჯობესობდა. ამიტომ გადაწყვიტეს, პირობები გაერთულებინათ. ხელშემწყობნი შინ დააბრუნეს, თითო აბჯარმტვირთველი იახლეს და შეჯიბრება განაახლეს – მიწაზე ნადირი და ცაში ფრინველი არ გაუშვიათ დაუხოცავი; ამასობაში საკვირველი მოყმე შენიშნეს, დია მოეწონათ. უფროსმა უცხო კაცის დაყმევება განიზრახა; შუათანამ მისი ცხენი მოიწონა; უმცროსს სხვა რაღა დარჩენოდა და ვაჟკაცობის გამოჩენა მოიწადინა. ამისი ღირსი მაინც გამხადეთო, - სთხოვა უფროსებს. იმითაც დიდსულოვნად დაუთმეს ასპარეზი: ყველაზე სასახელო ნადავლი – რაინდობის გამოჩენა – შენ დაგრჩა და ალალიც იყოსო!

ამის შემდეგ კი ჩვენზე უკეთეს მთხრობელს, რუსთველს, მივცეთ სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში უფროსი ძმის ენით გვემეტყველება:

უმცროსსა ძმასა მივეცით, უფროსნი დავეზიდენით;
ხელი მოჰკიდა, „დადეგო“, ესეცა ჰკადრა კიდ ენით;
მან ხრმალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამად
დავერიდენით.

თავსა გადაპკრა მათრახი, ვნახეთ სისხლისა კი დენით
(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკაკი შანიძე-ალექსანდრ
ბარამიძის რედაქცია, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 66).

ამის შემდეგ ყველა აკადემიურ და კრიტიკულ
გამოცემაში მოდის სტროფი:

მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაპფრინა,
ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოაწიწა,
თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წა -.

ზემორე მოყვანილ და ამ პოეტურ აბზაცებში
ყველაფერი შთამბეჭდავად არის ასახული, ოღონდ
რჩება ერთი ლოგიკური და ყოვლად აუხსნელი კით-
ხვა: მკითხველს ფრიად აინტერესებს იმისი განმარ-
ტება, თუ რატომ არ გამოიღეს ხელი უფროსმა
ძმებმა, სწორუპოვარმა მონადირე-მებრძოლებმა,
და ნათესავის სისხლი არ აიღეს?!

დღევანდელი აკადემიური და სხვა ტექსტებით
ამისი პასუხი არსადა ჩანს.

არადა, ვიმეორებ: ორმა უფროსმა სწორუპო-
ვარმა მებრძოლ-მონადირემ როგორ ან კიდევ რად
შეარჩინა ძმის ასე დამცირება ვიღაც გადამთი-
ელს?!

შეუძლებელია ავტორს, რუსთველს, მკითხვე-
ლის ეს ბუნებრივი და სამართლიანი ინტერესი აგ-

რე ხელალებით და ულოგიკოდ მიეგდო, მიეტოვებინა, მიეფუჩიერებინა, ორი უფროსი ძმის საქციელის მოტივირება არ წარმოედგინა.

არადა, ხელნაწერებში არის პოეტური აბზაცი, რომელიც ამ ბუნებრივ ინტერესს უპასუხებს, თანაც უპასუხებს დამაჯერებლად, ლოგიკურად, ისე, რომ უფროსი ძმების პასიურობის მიზეზს ნათლად და მკაფიოდ განმარტავს.

აი, ეგ ტექსტიც:

ჩვენი ძმა, გლახ, დაკოდილი მასვე წამსა ჩამოვარდა;
მისმა შიშმან დაგვაწყნარა, იგი ყოლა არ აჩქარდა;
მასმცა მიღმა რაღა ვჰკადრეთ, ვისგან ყოფა
გაგვიმნარდა;
ვთქვით, თუ: „უხრმლოდ მოგვერია, ხრმლითა გაგ-
ვყრის ფარდა-ფარდა!“

სტროფი დაცულია არაერთ მნიშვნელოვან ხელნაწერში: A-363, H-54, S-4499, K-5, S-2829, H-2074, Q-1082, Q-930, H-412, H-757, C-10768, P-10, L-1055, H-3061, H-2610, H-740, Q-799 და სხვებში (ხელნაწერთა ეროვნული ფონდის ხელნაწერები).

ვხედავთ:

ტექსტის ამ მონაკვეთის „ჩავარდნილი კლავი-ში“ აღდგა, შინაარსობრივ-ლოგიკური მუსიკა წელ-ში გაიმართა; ძმების უმოქმედობას მოეძებნა დამა-

ჯერებელი ახსნა: а) ტარიელის შიშმა დაგვაწყნარა, დაგვაშოშმინა, საომარი იშტა გაგვინელაო, გარდა ამისა, ყურადღება მიგვაქცევინეს უმთავრესზე, რამაც ისინი განაიარალა: ბ) იქით რაღა უნდა გვეკადრებინა მისთვის, რადგან, თუ უხმლოდ ასე გაუსწორდა ჩვენს უებრო მეომარ ძმას, ხმლისათვის რომ ხელი წაევლო, ხომ ფარდა-ფარდა გაგვყრიდა, დაგვანაწილებდა, დაგვანაქუცებდაო!

ეგ ახსნა-განმარტება სრულიად საკმარისია იმის გასაგებად, თუ რად დარჩნენ უფროსი ძმები აგრე ყურჩამოყრილნი.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ „ჩავარდნილ კლავიშს“.

პოეტიკური თვალსაზრისით, აქ ყველაფერი რიგზეა. ლოგიკურად გამართულ ტექსტს არსად ატყვია ინტერპოლატორთათვის დამახასიათებელი აზრობრივ-მხატვრული უმწეობა, რაც ზოგ მომენტში მაინც იჩენს ხოლმე თავს; მეორეც, რიტმი სრულიად რუსთველურია, მაღალშაირულია; ორმარცვლიანი ერთობ ჟღერადი რითმა ოთხივე ტაეპს ამკობს: **არდა – არდა – არდა – არდა;** სამაგალითოდ ჟღერადია ბგერწერული შესიტყვებები: მასვე წამსა; მისმან შიშმან; მასმცა მიღმა; უხრმლოდ ხრმლითა; ფარდა – ფარდა.

ერთი სიტყვით, სტროფს ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვით ვერცა მხატვრულ-ესთეტიკური მხრით.

თუმცა კი ეგ სტროფი ერთობ მომწონდა და მენიაზებოდა, ირგვლივ ფრთხილად ვუვლიდი და ჩემს წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ მისი ავთენტიკურობის დასაბუთება საკმაოდ ფერმკრთალი გამოვიდა (მურმან თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, თბ., 1991, გვ. 47).

ამას ჰქონდა თავისი მიზეზი.

მე მაშინებდა ერთი გარემოება.

აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ ყურადღება მიაქცია მეოთხე ტაეპის გამოთქმას: „ხრმლითა გაგვყრის ფარდა-ფარდა“.

სპარსულის მცოდნე პროფესორმა აღნიშნა: „ხრმლითა გაგვყრის ფარდა-ფარდა“ ანალოგიას პოვებს სპარსულ გამოთქმასთან „ფარე-ფარე“ (= ნაჭერ-ნაჭერ)“ (ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, 1, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და „რუსთაველის კომიტეტი“, თბ., 2011, გვ. 36).

პროფესორის ეს მითითება ერთგვარად მაშინებდა და ამ პოეტური აბზაცის რუსთველურობა რამდენადმე მაინც მეტვებოდა. საქმე ისაა, რომ

სრულიად უცხო, არაქართული, წმინდა სპარსული სიტყვების მომარჯვება ქართულ ტექსტში, თუ იგი მართლა თარგმანი არაა, წარმოუდგენლად მიმაჩნდა.

მაშასადამე, აქ მე მაბრკოლებდა „წმინდა“ სპარსული ლექსემის ასე უცერემონიოდ გამოყენება. სულ სხვა საქმე იქნებოდა, ეს „ფარ“, „ფარე“ ანდა „ფარე-ფარე“ ამა თუ იმ ფორმით ქართულში რომ ყოფილიყო დაფიქსირებული. მართლაც, რამდენი სპარსულ-არაბულ-თურქული სიტყვა გვაქვს, რომელთაც ერთგვარი გამოცდა დაიჭირეს ჩვენს მეტყველებაში და მათი ხმარება არ გვეჩოთირება არათუ ეპიკურ, თვით ლირიკულ ქმნილებებშიც კი! ეგ სიტყვა კი ჩვენს მეტყველებაში არსად ჭაჭანებდა. და მეც სწორედ ეგ გარემოება მტეხდა წელში. არადა მხატვრულად შესანიშნავი და აზრობრივად აუცილებელი პოეტური ტექსტი ფრიად და ფრიად მენანებოდა.

სულ ახლახან აღმოვაჩინე:

თურმე, სპარსული სიტყვა „ფარე-ფარე“ ქართულ ენაში მაინც არსებულა და, ყველაფრიდანა ჩანს, ეს სიტყვა-გამოთქმა ჩვენს ხალხურ მეტყველებაში პოემიდან კი არ არის გადასული, არამედ რუსთველამდელ სასაუბრო ენაში ყოფილა დაუნ-

ჯებული; და მისი უძველესი ფორმა გახლავთ ფ ა რ ჩ ა და ფ ა რ ჩ ე ბ ი.

„ფ ა რ ჩ ა ინგილოურში ნიშნავს ნ ა ჭ ე რ ს“. ამიტომაც დანაწევრებულ, ნაკვეთ-ნაკვეთებად და-ყოფილ სახნავ სავარგულებს საინგილოში ეძახიან ფ ა რ ჩ ე ბ ს (ასრათ ასრათოვი (ომარაშვილი), ჰე-რეთის სოფელი მოსული, თბ., 2015, ლექსიკონის სიტყვა „ფარჩები“, გვ. 98).

მაშასადამე, პროფესორ ბარამიძეს კარგად შე-უნიშნავს, რომ რუსთველის გამოთქმა „ფარდა-ფარდა“ შინაარსობრივად იგივეა, რაიც სპარსული „ფარე-ფარე“ (ნაჭერ-ნაჭერ), ოღონდ მან არ იცოდა, თუ სადმე ქართულ მეტყველებაში მიფარებული იყო არა დღევანდელი ფ ა რ დ ი ს გაგების ერთეული, არამედ თავდაპირველი სემანტიკის მქონე ერთეული. ასე რომ, ინგილოურში ჩარჩენილია სპარსული ლექსემის თავდაპირველი მნიშვნელობა (ნაჭერი). ახლა გასაგები ხდება: ძველქართული, რუსთველის დროინდელი, ფ ა რ დ ა იმავე შინაარსისა უნდა ყოფილიყო, როგორიცაა დღევანდელი ინგილოური ფ ა რ ჩ ა (ნაჭერი). შეიძლება ვივარაუდოთ: შესაძლოა, სპარსულშიცა და ქართულშიც ფ ა რ დ ა ს მოგვიანებით მიეღოს ფანჯარაზე ჩამოსაკიდებელი ქ ს ო ვ ი ლ ი ს, ნ ა ჭ რ ი ს, მნიშვნელობა და თავდაპირველად მხოლოდ ნ ა ჭ რ ი ს მნიშ-

ვნელობა ჰქონოდა. ასეა თუ ისე, რუსთველის ტაეპ-ში მოქცეული „ფარდა-ფარდა“ ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, ნაჭერ-ნაჭერს. მაშასადამე, „ფარდა-ფარდა“ სრულიად გაქართულებული ფორმაა გა-მოთქმისა „ფარე-ფარე“. ამიტომაც საძიებელი პო-ეტური აბზაცის სახე-ხატი უნდა მიჩნეულ იქნეს არა სპარსულ, არამედ ქართულ სემანტიკურ ერთე-ულად, მაგრამ ქვემორელე დავინახავთ, რომ ქარ-თულში სხვა სპარსული სიტყვაცა გვქონია იმავე „ნაჭრის“ მნიშვნელობით.

ორიოდე სიტყვა ინგილოურ ტერმინზე:

„ფარ-ჩა“ კომპლექსში გამოიყოფა ორი ერთეუ-ლი – ფ ა რ ე (ნაჭერი) და ჩ ა (კნინობითობის სპარ-სულ-თურქული მანარმოებელი).

ასე რომ, ფ ა რ ჩ ა ნიშნავს ნაჭერ-პატარას, ნა-ქუცა ნაჭერს, ნაფლეთს, ნაკუნს. სხვათა შორის, ქართულში დაცულია სპარსული სიტყვა ფ ა რ ა ტ ი ნ ა. ესეც გულისხმობს ნაგლეჯს, ნაფლეთს, ნაკუნს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერ-თტომეული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986, გვ.442).

ამრიგად, როგორცა ჩანს, ქართულ ენას მაინცა სცოდნია ფ ა რ ე სიტყვის არსი, მნიშვნელობა. ვინ იცის, ეგების თავდაპირველად ფ ა რ ა ტ ი ნ ა კი არა

გვქონდა, არამედ ფ ა რ ე – ტ ი ნ ა; ამ ცნების ცოდნა შემოუნახავს ინგილოურ დიალექტსაც. საგულისხმოა, რომ ამ დიალექტში სიტყვის მრავლობითი ფორმაც აქტიურად გამოიყენება – ფარჩები.

ახლა ისა ვნახოთ, რა ვითარებაა ხელნაწერებში.

Q-930: გვაქვს „ფარა-ფარა“: „ხლმითა გაგხვდის „ფარა-ფარა“;

S-4499: „ხლმითა გაგვხდის ფარდა ფარდა“;

A-363: „ხლმითა გაგვყრის ფარდა ფარდა“;

C-10768: „ხლმით გაგვხდიდა ფარა ფარად“;

P-10: „ხლმითა გაგხდის ფარდა-ფარდა“;

H-3061: „ხლმითა დაგვჭრის ფარდა ფარდა“;

A-1055: „ხლმითა დაგვჭრის ფარა ფარდა“;

H-2610: „ხლმითა გაგვხდის ფარა ფარდა“;

H-740: „ხლმითა გაგუყრის ფარდა ფარდა“;

Q-799: „ხლმით გაგვხდიდა ფარა ფარდა“;

H-412: „ხლმითა გაგვხდის ფარ და ფარ და“.

ვხედავთ: სარითმო კლაუზულა უნდა იყოს **არდა**. ამიტომაც Q-930-ის მონაცემები (ფარა – ფარა) მიუღებელია; ასევე მიუღებელია C-10768: „ფარა ფარად“; სხვები მისაღებია, ოღონდ იმათ შორის ყურადღებას იქცევს H-412, სადაც ძალიან საინტერესო ფორმით არის მოწოდებული სარითმო სიტყვა: „ფარ და ფარ და“.

შესაძლებელია, აქ წმინდად იყოს დაცული სპარსული ფორმა „ფარე-ფარე“ (ნაჭერ-ნაჭერ). საქმე ისაა, რომ დეფიზის (მოკლე ხაზის) როლს ქართულში ხშირად ასრულებს კავშირი „და“. „და“ იგივეა, რაც დეფისი. ის ტოლადშერწყმულ სახე-ლებს აკავშირებს. მაგალითად: „კარ-კარ“, მაგრამ გვაქვს აგრეთვე „კარდაკარ“.

H-412-ის „ფარ და ფარ და“, შესაძლოა, უფრო ძველ ვითარებას გვიჩვენებდეს და მიგვითითებდეს შემდეგზე: „ფარე-ფარე“ იგივეა ქართულად, რაც „ფარ და ფარ“. მეორე „და“ კი გამოხატავდეს ალიტერაციულ-მუსიკალურ განმეორებას პირველი „და“ კავშირისა. ასეთი ალიტერაციული განმეორება რუსთველისათვის ჩვეულებრივია. მაგალითად: „დაეფანჩა მარეკი, და-“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკაკი შანიძე-ალექსანდრე ბარამიძის რედაქცია, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 270); „ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და-“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკაკი შანიძე-ალექსანდრე ბარამიძის რედაქცია, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 582); „დაიხოცნენ იგი მუნ, და – „ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკაკი შანიძე-ალექსანდრე ბარამიძის რედაქცია, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 609); „რათგან დაგაგდე, მზეო, და – „ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკაკი შანიძე-ალექსანდრე ბარამიძის რედაქცია, „მეცნიერება“,

თბ., 1966, გვ. 954); თუმცა კი აქ ყველგან ზმნისწინის განმეორება ხდება, მაგრამ ზოგჯერ ავტორი უფუნქციო „და“ უღერად ერთეულსაც იყენებს, რათა ალიტერაციული მუსიკა შექმნას: „ვა, შენი ბრალი, თვარა და სიკვდილი ჩემი ლხინია“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკაკი შანიძე-ალექსანდრე ბარამიძის რედაქცია, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 918). აქ ამ მხრივ საგულისხმოა ფორმა თვარა – და, სადაც „და“ უფუნქციოა.

შესაძლოა, სწორედ ამგვარად გამოიყენა ავტორმა მეორე, უფუნქციო, და: „ხლმითა გაგვხდის ფარ და ფარ, და“. ამ შემთხვევაში პირველი „და“ იქნება კავშირი, იგივე დეფისი, ხოლო მეორე – ამ საკავშირებელი საშუალების ფონეტიკური დუბლიკატი, ესთეტიკურ-აკუსტიკური ეფექტის შემქმნელი ფენომენი. ყოველივე ამის შემდგომ ჩემი დასკვნა ნათელია:

„ფარდა“ სპარსული სიტყვაა. ის უძველეს დროში, რუსთველამდე დიდი ხნით ადრე, შემოსულაქართულში და იმდენად გაქართულებულა, პოეტი მას თამამად ხმარობს. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანი“ კიდევ ერთი მხატვრულად დიდმშვენიერი და შინაარსობრივად საჭირო სტროფით უნდა გამდიდრდეს!

2015 6.

როგორ გაძარცვეს „ვეფხისტყაოსანი“

ეგ სტატია ეძღვნება პოემის ტექსტის №2 მცოდნებს,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს,
აკადემიკოს გურამ ხანდამიშვილს

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!“ – გვმოძღვრავს ბრძენენკაცი.

ეტყობა, ზენაარს არა სწადია, რომ თანამედროვე მკითხველმა რუსთველის შემოქმედება სრულად იხილოს.

1712 წლიდან დაწყებული ვიკვლევთ, ვადგენთ ჩვენი ეროვნული პოემის კანონიკურ ტექსტს და დღემდე ვერ დაგვიდგენია!

ცალკეულ მკვლევრებს რომ თავი დავანებოთ (ალ. სარაჯიშვილით დაწყებული პ. ინგოროვათი დამთავრებული), მარტო ის რადა ლირს, პროფესორაკადემიკოსთაგან შემდგარი ტექსტის დამდგენი თაბუნი რომ „წელში გაწყდა“ მუშაობით და მხოლოდ ეგ შეძლო: მართლაც რომ „წელში გამწყდარი“ და მახინჯი ტექსტი შემოგვთავაზა. 1966 წლის აკადემიური და კრიტიკული გამოცემები იხილეთ, ბატონებო!

ამ გამოცემების თაობაზე ქვემორელე ვისაუბრებთ, აქ კი უნდა დავსძინო: ჩვენმა მეცნიერებმა ჭეშმარიტი „ვეფხისტყაოსანი“ ხალხს დაუმალეს,

რუსთველის ხელისხელსაგოგმანები სრული ტექ-
სტი დღემდე არაა გამოცემული და, ყველაფრიდანა
ჩანს, არცა გამოვა.

მაშასადამე, ქართველი ხალხი კიდევ დიდხანს
ვერ წაიკითხავს სრულ „ვეფხისტყაოსანს“.

ჩემი გამოთვლით, თანამედროვე გამოცემები,
რომლებიც ეფუძნება აკადემიურ და კრიტიკულ
ტექსტებს, დაახლოებით 60 სტროფს აუჩინარებს.
ეს კი მოცულობით დაახლოებით იგივეა, რაც აკა-
კის სრულმასშტაბიანი პოემა „გამზრდელი“.

მაშასადამე, მკითხველს ვუმალავთ ერთ სრულ
პოემას.

მაში, ასე:

დავურიალოთ 1966 წლის კრიტიკულ, საიუბი-
ლეო და აკადემიურ გამოცემებს.

არაერთხელ მითქვამს, დამიბეჭდავს, რადიოთი
გამომიცხადებია და ტორეადორის წითელი ქსოვი-
ლივით მაღლა ამითრიალებია: ყველა ამ უბედურე-
ბის თავწყარო ისაა, რომ ჩვენმა ნაფიცმა რუსთვე-
ლოლოგებმა პოემის ტექსტი არ იციან. ხელნაწე-
რული მემკვიდრეობა რომ არ იციან, ეს იმთავითვე
ცნობილია, ოღონდ ამათ არცა დასტამბული ტექ-
სტი წაუკითხავთ გულისყურით. ამიტომაც მოსდით
სავალალო შეცდომები, ტექსტოლოგიური ფიასკო,
ყმანვილჯანური გადაცდომები.

ვუნოდოთ ყოველივე ამას ქართული რუსთველოლოგის „საყმანვილო სენი“ (ანუ ტრანი) და გადავიდეთ საქმეზე.

სანიმუშოდ ავიღოთ აკადემიური კომისიის მიერ ხელდასხმული საიუბილეო გამოცემა (1966).

I მომაკვდინებელი „იალლიში“, რომელიც წიგნის მესვეურებს მოსვლიათ, ჩემი აზრით, არ უნდა მოუვიდეს ლოგიკურად მოაზროვნე მეხუთეკლასელ პავშვაც კი! პოემის ბოლო მონაკვეთი (სამი თავი, ე.წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“), სადაც ცენტრალურ გმირთა ინდოეთში დაბრუნებაზეა საუბარი, წიგნიდან გაძევებულია. იგი მიჩნეულია არა-რუსთველურ მონაკვეთად.

კეთილი და პატიოსანი!

ერთი წუთით დავიჯეროთ ეს ლახუდრული მოსაზრება, მაგრამ მაშინ გონიერ კაცს უჩინდება კანონიერი შეკითხვა: თუ ეს ბოლო, დამამთავრებელი, მონაკვეთი ავტორისეული არაა, მაშინ ამავე არაავტორისეული მონაკვეთიდან რატომ ვძეჭდავთ მის შემადგენელ და დამაგვირგვინებელ თავს „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“?

განა გონიერი მკითხველი ასეთ წაჯექუკუჯექობას მოითმენს და გაპატიებს?

მაშ, ასე:

თუ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ არ არის პოემის

კუთვნილება, მაშინ კეთილი ინებეთ და შეემვით
მის ბოლო ნაწილსაც!

განა აქ ორი აზრი შეიძლება არსებობდეს?

მაგრამ ჩვენი „სწავლული“ რუსთველოლოგები
იმდენად უსუსური არიან კომპოზიციის სფეროში,
ამ დამანგრეველ წინააღმდეგობას ვერ ხედავენ.

II მომაკვდინებელი „იალლიში“ პირველზე უფ-
რო სახოხმარიკოა და მკითხველსა ვთხოვ, ქამარი
მაგრად შემოიჭიროს. ეს გადაცდომა, წესითა და რი-
გით, მესამეკლასელ ბავშვსაც არ უნდა მოუვიდეს.

ამ აკადემიური ტექსტის მიხედვით, ვხედავთ
უცნაურ რასმე:

ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა
მათი საწადელი –
შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი
(გვ. 354).

დააკვირდით! ტარიელი მეფედ დასვეს ინდოე-
თის ტახტზე, გვერდით ნესტანი მიუსვეს.

ეს ვითარება უთუმცაოდ დასტურდება მომდევ-
ნო პოეტურ აბზაცში:

თვით ორნივე ერთგან მსხდომნი ნახნეთ, მზეცა
ვერა სჯობდეს,
ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს, ქოსნი ხმასა
დაატკბობდეს;

მისცა კლიტე საჭურჭლეთა, თავთა მათთა
მიანდობდეს,
„ესეაო მეფე ჩვენი“, – იძახდეს და ამას ხმობდეს.

მაშასადამე, ყველაფერი ისე ხდება, როგორც
ჩვეულებრივი კორონაციის დროს – ყველა წესი და
რიტუალი დაცულია!

ამრიგად, ამ აკადემიური გამოცემის მიხედვით,
ტარიელი ინდოეთის ტახტზე ადის, მასზე მორჭმუ-
ლი ჯდება და იქვე უზის დედოფალი ნესტანი.

კარგიმც დაგემართოსთ!

მაგრამ აქ მაღვალაკურად უნდა დავიყვირო:
„მეფე შიშველია!“

კი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, აკადემიკოსებო (გი-
ორგი წერეთელო, აკაკი შანიძევ, ალექსანდრე ბა-
რამიძევ და კიდევ სხვანო და სხვანო), რომ ინდოე-
თის კანონიერი მეფე ფარსადანი ცოცხალია და
ტახტზე მორჭმითა ზის?!

ამ ფაქტს რაღას უშვებით?

ნუთუ ტარიელი ფარსადანს მუხლზე უჯდება?

განალა თქვენი ამ ტექსტით ფარსადანი ცოცხა-
ლი არაა? თქვენი ტექსტის მიხედვით ხომ ის არ
მომკვდარა? მაშ, ცოცხალი და საღ-სალამათი კაცი
ისე როგორ გააქრეთ, რომ მის კუთვნილ ტახტზე
ტარიელსა სვამთ?

ეს კურიოზი კი იმად მოგივიდათ, რომ ვერ გა-ითვალისწინეთ რუსთველური ტექსტის რკინის ლოგიკა: ავტორსა სწადია, ტარიელი და ნესტანი ინდოეთში დაბრუნდნენ, დაამარცხონ შემოსეული მტერი (რამაზ ხაჭაელი), გამართონ დიდი ქორწილი და ტახტზე ავიდნენ, მაგრამ საამისოდ საჭიროა თავიდან მოიშოროს ფარსადან მეფე, რათა შინმი-სულ ტარიელს ტახტი თავისუფალი დახვდეს და ძველ მეფეს მუხლებზე არ დაუჯდეს.

ყველაფერი ეს კი უნდა მოხდეს სწორედ იმ გა-ძევებულ თავებში.

ასეც ხდება.

სწორედ იმ, თქვენ მიერ გაძევებულ, თავებშია გადმოცემული და ნაჩვენები ის ვითარება, თუ რო-გორ აღესრულა ფარსადანი და როგორ დარჩა ინ-დოეთის ტახტი თავისუფალი. კომპოზიციის ჯადო-ქარი რუსთველი სწორედ ამ ეპიზოდში გვიჩვენებს, რომ ტახტი ცარიელია და ის თავის მომდევნო მპყრობელს (ტარიელს) ელოდება.

უამეპიზოდოდ გამოდის ის, რაც თქვენ გამოგი-ვიდათ: დიდი შეცდომა, სამარცხვინო ფიასკო, სა-დაც დადასტურდა ტექსტის არცოდნა და ავტორი-სეული კომპოზიციური შთანაფიქრის სრული გაუ-გებრობა!

მაშასადამე, აკადემიური თაბუნის „შრომის“ სავალალო შედეგი აშკარაა: აკადემიური ტექსტის მიხედვით, ფარსადანი არ მომკვდარა, ის ცოცხალია და ტარიელი მის კუთვნილ ტახტზე ისე ჯდება, ვითომც არაფერი!

დიახ, ჩვენმა აკადემიკოსებმა კაცი, თანაც არა უბრალო, თვითმპყრობელი ხელმწიფე, მეფოკუსე კიოს ჯადოსნური კვერთხის ერთი აქნევით გააქრეს.

მარტო ეს ორი მომაკვდინებელი არგუმენტიც კი ნათელყოფს, ტექსტის რა მცოდნე და ლოგიკას-თან რაგვარად დაკავშირებული ტექსტოლოგები გვყოლია და გვყავს.

მაშასადამე, აუცილებლად უნდა აღდგეს ე.ნ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“, ის სამი კლასიკური მონაკვეთი, ურომლისოდაც პოემა გუმბათწარკვე-თილ ტაძარსა ჰგავს (მიხეილ ჯავახიშვილი). ეს კი დაახლოებით 25-30 სტროფია.

არაფერს ვამბობ იმ პოზიტიურ არგუმენტებზე, რომლებიც ამ მონაკვეთის სასარგებლოდ არაერთგზის წარმომიდგენია, ოღონდ, ერთის შესახებ რომ არა ვთქვა, არ შემიძლია.

რუსთველის გენიალობა ყველაფრით ვლინდება, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საჩინოა ორი მომენტი: სიბრძნე და პოეტური ოსტატობა.

პირველის საუკეთესო გამოხატულებაა აფო-
რიზმი, მეორისა – მეტაფორა. აფორიზმი სიბრძნის
დაკუმშული ფორმულაა, ხოლო მეტაფორა – მხატ-
ვრული ოსტატობის კონდენსირებული ფორმა.

ამიტომაცაა, რომ პოემას თავიდან ბოლომდე
მძლავრ ფრთებად შესხმია ეს ორი ფენომენი.

ჩვენი დაკვირვებით, რუსთველისათვის დამახა-
სიათებელი ეს ტიპური ფორმები მომარჯვებულია
სწავლულთა მიერ გაძევებულ ამ მონაკვეთშიც,
ოღონდ ფიქსირდება ერთი საოცარი ფაქტი: რუს-
თველის ყველაზე უკეთესი, 1, აფორიზმიცა და 1
მეტაფორაც სწორედ ამ სამ თავშია დაუნჯებული.

მარტო ეგ ფაქტიც კი საკმარისია იმის სამტკი-
ცად, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთველისაა.

მომყავს „ვეფხისტყაოსნის“ 1 აფორიზმი და 1
მეტაფორა:

1. შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დალრეჯანია.
2. გიშრისა ტევრსა მოჰვოცხდა ბროლისა საფოცხელია.

ჩვენში არ არსებობს უფრო ხშირად გამოყენე-
ბადი და პოპულარული აფორიზმი, ვიდრე ზემორე-
ლე ნათქვამია.

რუსთველის შემოქმედებაში არ არსებობს ისე-
თი მეორე უმწვერვალესი მეტაფორა, ვიდრე ზემო-
რელე მოყვანილია: გამზრდელი ფარსადანის სიკ-

ვდილის ამბავი რომ შეიტყო, ტარიელმა თმა და წვერი დაიგლიჯა. **გიშრის ტევრი** შავი თმა-წვერია, **ბროლის საფოცხელი** – ხელის თითები.

ახლა შიგნიტექსტსა მივხედოთ.

ბოლო ხომ ასე უაზროდ და უკონტროლოდ მიაკვნიტეს და ჩამოაჭრეს პოემას, არც შიგნიტექსტში უტრიალიათ და უბუქნავიათ კრძალვა-რიდით. შესავალსა და ცენტრალურ ნაწილს 25-30 სტროფი მაინც აკლია.

მე მქონდა შესაძლებლობა, დამედგინა რამდენიმე რუსთველური კანონი და კანონზომიერება, რომლებიც დიმიტრი მენდელევის პერიოდული სისტემისაებრ მსჯვალავს პოემას და ნაბეჭდი ტექსტებისადმი ამ კანონთა სისტემის მიყენება გვიჩვენებს იმ „ვიწრო“ ადგილებს, სადაც სტროფები აკლია. კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი კანონია ე.წ. „ბრძანების კანონზომიერება“. ამ კანონის მიხედვით, აკადემიურ და კრიტიკულ ტექსტებს აკლია სამი პოეტური აბზაცი.

ესე იგი, ნაბეჭდ ტექსტებში არის სამი ისეთი ადგილი, სადაც ე.წ. „ბრძანების კანონზომიერება“ უნდა სრულდებოდეს, ოღონდ არა სრულდება. მაში, აქ სტროფია გამორჩენილი, რომელიც აღადგენს ამ კანონზომიერებას. ჩახედავ ხელნაწერებში და რასა ხედავ?! ბევრ მათგანში ჩვენ მიერ მეცნიერულ ნია-

დაგზე ნავარაუდევი პოეტური აბზაცი მშვენივრად გრძნობს თავს.

ამის ერთ ნიმუშს აქვე წარმოვადგენ (ორს შე-მოქმედებით საიდუმლოდ გადავინახავ).

ნადირობის შემდეგ დაქანცულმა როსტევან მე-ფემ და სპასპეტმა ავთანდილმა ხეთა ჩეროში შეის-ვენეს. მეფემ მდინარეს თვალი ჩაყოლა და ქვემო-რე უცნაური მოყმე შენიშნა. იგი მის მოლაშქრეებს სულაც არა ჰგავდა. ეგ სცენა ორი სტროფით არის აღწერილი. ორსტროფედის ბოლო ტაქპი ასეთია:

ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა (გვ. 26).

„ნახეს“ აქ როსტევანის უმაღლესობის პატივის-ცემის გამომხატველია. თუ დღევანდელ ენაზე ვთარგმნით, ასეთი რამ გამოვა: ხელმწიფემ ნახა (ნახეს) შორს მყოფი უცნაური რაინდი და მისი ახ-ლოს გაცნობა მოუნდა.

მოუნდა, ოღონდ ეგ არავინ უწყის. ეს რუსთვე-ლის კომენტარია. მეფეს არავისთვის მიუცია ბრძა-ნება, რომ ის მოყმე მოეყვანათ. ამ დროს უეცრად მოდის სტროფი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ „ნავი-და მონა საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად“.

მე გეკითხებით: რა უფლების ძალით?

ერთმა უბრალო მონამ მიუთითებლად ვითარ დატოვა თავისი ადგილი და უცხოსთან სასაუბროდ

გაეშურა?! მეორეც, რა იცოდა, მეფეს უცნაური მოყმისა ახლოს გაცნობა რომ ეწადა? ეს ხომ პატ-რონს არავისთვის უცნობებია?! და ა.შ.

რა თქმა უნდა, აქ აკლია სტროფი, რომელშიც როსტევანი თავისი ათობით მონიდან, რომლებიც იქ იდგნენ, ერთ-ერთს დაავალებს, უცხო რაინდი მოიწვიოს.

ეგ სტროფი ბევრ „საუკეთესო“ და ზოგ „საეჭვო“ ხელნაწერშია დაცული. მისი აღდგენა აუცილებელია!

ნაბეჭდ ტექსტებში უსამართლოდ გამქრალ-გამოტოვებულ სტროფებზე მიუთითებს სხვა კანონზომიერებები. ესენია: „კითხვა-მიგების“ კანონზომიერება, „წასვლა-მისვლის“ კანონზომიერება და ა.შ.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს ე.წ. „კითხვა-მიგების“ კანონზომიერებიდან.

სამსჯელო წიგნში არის ასეთი სიტუაცია: როსტანი და მისი სპასპეტი წაკინკლავდნენ, მშვილდისრის მოხმარებაში არა მე გჯობივარ და არა მეო!

ავთანდილის სიტყვებია:

მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია,
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე ყმანია;
მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნილა უკუთქმანია,
გარდამწყველელი მისიცა ბურთი და მოედანია!

ამას მოჰყვება სტროფი, რომელიც ქმნის გაურკვევლობას, თუ ვის ეკუთვნის აქ ნათქვამი – ისევ ავთანდილი მეტყველებს თუ ეს არის ზემოთქმულზე როსტანის პასუხი?

აი, ისიც:

მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა,
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,
კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენ თანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!

კატეგორიულად ვაცხადებ:

ძნელი გასარკვევია, მეორე პოეტური მონაკვეთის სიტყვები ვისია – პატრონისა თუ ყმისა?

ჩემ მიერ დადგენილი კანონზომიერებით კი ყოველ დიალოგს მკაფიოდ საზღვრავს იმის მითითება, თუ ვინ ამეტყველდა ახლა. რუსთველის კანონია: ყოველ რემარკას წინ უსიკვდილოდ ახლდეს მითითება, ვინ ალაპარაკდა, ვინ დაიწყო მეტყველება.

კარგად თუ ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ მეორე სტროფში წარმოთქმული აზრები ეკუთვნის როსტევანს, ეს ერთგვარი პასუხია ყმის შეტევაზე, ოღონდ, ე.წ. „კითხვა-მიგების“ რუსთველური კანონზომიერებით, ეს უჯეროა, რადგან, როსტევანის სიტყვებს წინ უნდა უძლოდეს იმის მითითება, თუ ვინ ამბობს ამას. მაშ, აქ ჩნდება ეჭვი, ხომ არ აკლია

სტროფი, რომელშიც მითითებულია, თუ ახლა ვინ ამეტყველდა! და ასეც არის. არსებობს სტროფი, რომელიც ხელნაწერებში თავის ადგილზეა და **კანონს აღადგენს**. მაშასადამე, აქ აკლია სტროფი, რომელშიც ჩანს, როსტევანი თუ ვითარ ამეტყველდა და ამ სტროფს მოსდევს ზემორელე მოყვანილი „ბუნდოვანი“ პოეტური აბზაცი. გამოტოვებული მონაკვეთის აღდგენით „ბუნდოვანი“ სტროფიც ცხადი და ნათელი ხდება.

ასე დაჩეხილი, ულოგიკო, სამარცხვინო შეცდომებით დასახიჩრებული ტექსტი გაავრცელეს რუსთველის საიუბილეოდ 1966 წელს და ამ ტუტუცური ტექსტის ნიმუშია ქართული მწერლობის მე-4 ტომი, სადაც „ვეფხისტყაოსანია“ წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს მახინჯი ტექსტი დღესაც ლანალუნით გამოდის და არავინაა ამ უმსგავსოების აღმკვეთელი და შემააღვირებელი.

ჩემს ნაშრომს კი ერთი საგულისხმიერო პარალელით ვასრულებ.

სპარსეთის ტახტზე ახალგაზრდა შაჰი ავიდა. მან იმპერიის სწავლულები მიიხმო და განუცხადა: ჩემი მასწავლებელი მარწმუნებდა, რომ კაცი არ შეცდება, თუ ისტორიის მაგალითებს გაითვალისწინებსო. ამიტომაც მსურს, ხალხთა ამბავი შევისწავლო და გიბრძანებთ, შემიდგინოთ მსოფლიო ის-

ტორია ისე, რომ მნიშვნელოვანი არაფერი გამოტოვოთ!

მეცნიერები დაფაცურდნენ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ შრომას. ოცი წლის თავზე ისინი სასახლეს-თან გამოჩნდნენ, უკან მოჰყვებოდათ 12 აქლემისა-გან შემდგარი ქარავანი; თითო აქლემისათვის ხუ-თას-ხუთასი ტომი აეკიდათ. სულ ექვსი ათასი ფო-ლიანტი გამოსულიყო.

მეფემ მათ უთხრა: გარჯისათვის გმადლობთ, ოღონდ საქმეთაგან მოუცლელი ვარ, ამასთანავე, თქვენი საქმიანობის განმავლობაში, 20 წელიწადში, კიდევაც მოვხუცდი. ერთი სპარსელი პოეტისა არ იყოს, ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე და ამხელა ისტორიის წასაკითხავად ნამდვილად ვერ მოვიც-ლი. გთხოვთ, შეამოკლოთო!

მეცნიერებმა კიდევ ოცი წელი იშრომეს და სამ აქლემზე ატვირთული მსოფლიო ისტორია ათას ხუთას ტომად მოართვეს.

– მეფეო, – მიმართა სწავლულ აკადემიკოსთა მდივანმა, – აი, ჩვენი შრომა, არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოგვიტოვებია, თუმცა კი ძლიერ შევამ-ცირეთ.

– ჩემო კარგო, უკვე ამასაც ვეღარ წავიკითხავ, მოვხუცდი, ჩემს ასაკში ამგვარ ხანგრძლივ საქმეს ხელს აღარ ჰქიდებენ. კიდევ მეტად შეამოკლეთ!

სწავლულები უფრო ბეჯითად და სწრაფად დატრიალდნენ. ათი წლის შემდეგ გამოცხადდნენ. ერთი აქლემით ხუთასი ტომიღა მოეტანათ.

– ვიმდოვნებთ, ისტორია მოკლედ არის შედგენილი, – მოახსენეს მათ.

– საკმაოდ მაინც არა, – ამოიოხრა მეფემ, – დღენი ჩემი ცხოვრებისანი მთავრდება. უფრო მეტად შეამოკლეთ და სიკვდილის წინ მაინც მომეცით საშუალება, კაცობრიობის ბედ-იღბალს გავეცნო!

ხუთი წლის შემდეგ აკადემიის მდივანი კვლავ გამოჩნდა. ბევრი მისი თანამოკალმე გარდაცვლილიყო, თვითონ კი უკვე ყავარჯენს ეყრდნობოდა; მოიყვანა პატარა ვირი, რომელსაც ზურგზე ერთი მოზრდილი ტომი ჰქონდა მოგდებული.

– დაუჩქარეთ! – მოუწოდა სასახლის მორიგე გვარდიელმა, – მეფე სიკვდილის პირას არის და ვინძლო მიუსწროთო.

შაპი მართლაცდა უკანასკნელ წამებს ითვლიდა, სულსა ღაფავდა. მიმქრალი მზერა მდივანსა და წიგნს ერთი კი მოავლო და თვალიდან სინანულის ცრემლი ჩამოუგორდა:

– ვაი, ჩემო თავო! ისე კვდები, რომ ხალხთა ისტორიას ვერ გაეცანი.

– მეფეო, – შეპლალადა ქვეშევრდომმა, რომელიც ისევე ახლოს მინვენილიყო სიკვდილთან, როგორც

მბრძანებელი, – თუ ნებას მომცემთ, მთელი კაცობრიობის ამბავს სამად სამი სიტყვით მოგახსენებთ.

ხელმწიფემ უკანასკნელად ამოისუნთქა და ჰკითხა:

- მერედა მნიშვნელოვანს არაფერს გამოტოვებ?
- არაფერს.

და იმპერიის მბრძანებელმა ბრძენკაცის პირით, ბოლოს და ბოლოს, თავისი სიცოცხლის სულ უკანასკნელ წამს მაინც მოისმინა და შეისმინა კაცობრიობის ისტორიის უმთავრესი არსი:

– იბადებოდნენ, იტანჯებოდნენ, იხოცებოდნენ!

მე, რუსთველოლოგ მურმან თავდიშვილს, იმედი არა მაქვს, რომ ღვთაებრივი პოემის ნამდვილი და სრული ტექსტის გამოცემას მოვესწრები, ისე როგორც ჩემი თაობის მკითხველი. ამიტომაც იმ მომაკვდავი შაჰიდით სულის მღაფველ ჩემს თაობას სწავლულ კაცთა იმ ჭალარა მდივნის მსგავსად სულ რამდენიმე სიტყვით მინდა ჭეშმარიტება ისე შევღალა-დო, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოვტოვო.

– თანამედროვე აკადემიური და კრიტიკული გამოცემების მიხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ გაძარცულია. ის შეადგენს 1660 სტროფს. არ დაიჯეროთ, გაცილებით მეტია!

2016 წ.

ვაზა-ფშაველა როგორც რუსთველოლოგი

მეცხრამეტე ასწლეულის ბოლო ოცი წელი, როცა სამწერლო ასპარეზზე აქტიურად მოღვაწეობს ვაჟა-ფშაველა, გამოირჩევა რუსთველის პიროვნებისა და მისი პოეზიისადმი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღებით. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ხანებში დაგვირგვინდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემსწავლელი პირველი კომისიის საქმიანობა – 1888 წელს გამოვიდა ცნობილი ქართველიშვილისეული გამოცემა. შევიხსენოთ, რომ ამ კომისიის წევრები იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე. საზოგადოდ, სამოციანელებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პოემისადმი ცხოველი ინტერესის კიდევ მეტად გაღვივებაში. ისიც საგულისხმოა, რომ აკაკიმ, მეცხრამეტე საუკუნეში პოემის ტექსტის ერთ-ერთმა საუკეთესო მცოდნემ, ლექციების ციკლიც კი წაიკითხა, სადაც დააყენა ქართველი ტომების ხასიათისა და ბუნების პოემაში გამოხატვის პრობლემა. ამ საკითხზე მოგვიანებით აკაკისა და ილიას შორის პოლემიკაც გაიმართა; ამავე ხანებში გამომცემლები ლამობენ პოემის გამოქვეყნებას; მზადდება ილუსტრაციები

(მაგალითად, ზიჩისა); მეცნიერები იკვლევენ სხვა-დასხვა რუსთველოლოგიურ პრობლემას.

ლუკა რაზიკაშვილი, როგორც დიდი მწერალი, ამ პროცესებისაგან განზე გამდგარი ვერ დარჩებოდა; როგორც პატრიოტსა და ნიჭიერ პიროვნებას, მასაც მღვივედ აინტერესებდა მრავალი საკითხის გარკვევა. სწორედ ამის დასტურია ის ფაქტი, რომ შეთხზა ორი საკმაოდ ვრცელი წერილი. მათში მგოსანმა ნათლად გამოხატა თავისი მოსაზრებანი. აქვე ითქვას: როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია კრიტიკული რეალიზმის ნარმომადგენლებისათვის, მწერლის ყველა დებულება მკაფიო, იოლად გასაგები და მისაწვდომია. პირველი ნაშრომის სათაური ასეთია: „წერილი რედაქციის მიმართ“. ის შეთხზულია 1890 წელს; მეორე ასეა სახელდებული – „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“ და შექმნილია 1911 წელს.

პირველი წერილი გამოძახილია ალექსანდრე ხასანაშვილის სტატიისა, რომელიც „ივერიაში“ (1890, 25) დაისტამბა. ლუკა რაზიკაშვილს არ მოსწონებია ავტორის ეჭვიანი კილო და კვლევის მეთოდი.

აღნიშნული რომ უკეთ გავიგოთ, დავიწყოთ შორიდან.

რაც კი რუსთველოლოგიური კვლევის პროცესი დაიძრა, ჩამოყალიბდა მკვლევართა ორი გუნ-

დი: პირველი კრიტიკულად, ეჭვის თვალით უცქერდა პოემის ტექსტის თითქმის ყველა სტროფსა და ქვეთავს; მეორე ჯგუფი შედარებით უფრო ლოიალური გახლდათ, უფრო ფრთხილად ეკიდებოდა ყოველ სტროფს და უკიდურეს ვითარებაში თუ იტყოდა უარს რომელიმე მათგანზე.

თითქოსდა რა უნდა გვქონდეს სასაყვედურო მკვლევართა პირველი ჯგუფის მიმართ: განა კრიტიკულად არ უნდა დადგინდეს ტექსტი და მკაცრად გაცხრილული არ უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას? ჩვენ ხომ რუსთველის ხელიდან გამოსული ქმნილება გვაინტერესებს და არა ინტერპოლატორთა, ანუ სტროფების ჩამმატებელ-ჩამსწორებელთა, ნაჩხირკედელავები?!

მაგრამ უნდა გაცხადდეს შემდეგი: 1990-იან წლებში ზვიად გამსახურდიამ აღადგინა ერთ-ერთი ძველი ვრცელი და სანდო გამოცემა; გამოაქვეყნა საუკეთესოდ გაფორმებული. წინასიტყვაობაში ის წერს: ისტორიამ გვიჩვენა, რომ ტექსტისადმი ლიბერალური მიდგომა უფრო გამართლებული გამოდგა, ვიდრე კრიტიკული და მკაცრიო.

ეს დებულება სწორია!

ჩემს წიგნში, რომელიც თითქმის ექვსასგვერდიანია და რომელსაც აღნიშნული თვალსაზრისით საგულისხმო სათაური აქვს – „ვეფხისტყაოსნის

დაფანტული სტროფები“ – მე ვუჩვენე, თუ როგორ და-ცა-ფანტეს, მიმოაბნიეს, გადაყარეს და მიაფუ-ჩეჩეს ამ ტიპის მკვლევრებმა დაახლოებით 60 სტროფი, აშკარად რუსთველის ნახელავი. 60 რუს-თველური სტროფი ხომ, ფაქტობრივად, აკაკი წე-რეთლის პოემა „გამზრდელზე“ დიდია!

ეს იდეა განვავითარე ჩემს წიგნში „ვეფხისტყა-ოსნის დაფანტული სტროფები“ (1991), მაგრამ სა-გულისხმოა, რომ ამ მხრივ მაგულიანებდა დიდი მგოსნის ვაჟა-ფშაველას ნასიბრძნი, რაიც ეხებოდა პროლოგს: „ასე მკვეთრად, ლამაზად და მოხდენი-ლად მარტო რუსთველი იტყოდა და სხვა – ვერა-ვინ“ (ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1986, გვ. 721).

მიაქციეთ ყურადღება!

ამას ვაჟა-ფშაველა ამბობს, რუსთველის შემ-დეგ ყველაზე დიდი ეპიკოსი პოეტი.

რატომ მივაქციე ესოდენ დიდი ყურადღება პროლოგისა და ბევრი სხვა სტროფის ყალბად გა-მოცხადების ამბავს? იმად, რათა გიჩვენოთ:

ჯერ კიდევ მაშინ, დიდი რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების კვირაძალზე, ლუკა რაზიკაშვილი მკვეთრად ილაშქრებდა ამგვარი საეჭვო მკვლევ-რების წინააღმდეგ. ის წერდა: „მარტო ბ-ნი ხახა-ნაშვილი არ უცქერის ვეფხის-ტყაოსანს, ცოტა არ იყოს, ეჭვიანის თვალით... სხვანიც მოიპოვებიან

ჩვენში ამ აზრისანი. ეს ეჭვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰურივებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედება გაარჩიონ“ (იქვე, გვ. 637).

იმავე აზრს პოეტი-მკვლევარი უფრო მკაცრად მეორე წერილში ავითარებს: „ბატონ მარს მიმბაძველნი აღმოუჩნდნენ – მკვლევარნი, შეჰედეს ვეფხისტყაოსანს კრიტიკულის თვალითა: დაიწყო განქექილებები. ერთმა ყალბი ადგილები აღმოაჩინა, რაც მართალია, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ყალბს ადგილებს ნამდვილი რუსთაველის დაწერილი ტაქტებიც ზედ მიაყოლა; მესამემ სრულიად უარჲყო ვეფხისტყაოსნის წინა და უკანასიტყვაობა“ (714).

როგორცა ვხედავთ, დიდმა მგოსანმა სწორად იგუმანა, რომ ამ ტიპის მკვლევრები საქმეს ცერად წაიყვანდნენ.

ახლა გადმოვხტეთ მომდევნო საუკუნეში და ვთქვათ სათქმელი: ცნობილმა რუსთაველოლოგმა და შესანიშნავმა პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ მთელი ცხოვრება ამგვარ მკვლევართა წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა. საგულისხმოა, რომ მას ამ ქარცეცხლიან ბრძოლაში მხარს უბამდნენ სწორედ ნიჭიერი მწერალი-ეპიკოსები: მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, აკ. განერელია და თვით ეპიკური სახელმწიფოს შემქმნელი იოსებ სტალინი, მაგრამ,

როცა მ.ჯავახიშვილი მოკლეს, ხოლო ი. სტალინი მიიცვალა, კ. ჭიჭინაძეს უნიჭო პროფესორებმა სისხლი გაუშრეს.

აქვე აღვნიშნავ: მთელი ჩემი რუსთველოლოგიური შემოქმედების ოთხმოცი პროცენტი – ეს არის შეუდრეველი და სასტიკი ბრძოლა კ. ჭიჭინაძის ხაზის დასაცავად და ალ. სარაჯიშვილის ხაზის საწინააღმდეგოდ.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ:

ამ ბრძოლაში მე ულმობელი და დაუნდობელი ვარ!

გამოგიტყვდებით: სასტიკად გავაკრიტიკე კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, ტექსტის დამდგენი მეორე კომისია, ალ. ჭიჭარაული და სხვები.

ამრიგად, ყალბი თუ მართალი ადგილების პრობლემა რუსთველოლოგიის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა.

როგორცა ვხედავთ, ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას იმთავითვე სწორი ორიენტაცია აუღია. ისტორიამ მისი ვარაუდი გაამართლა – პროლოგი დღეს მთლიანად რუსთველის ქმნილებად არის აღიარებული. ამ მხრივ სწორუპოვარმა ეპიკოსმა მგოსანმა ბევრი ისეთი იდეა განავითარა, დღესაც რომ დროშად გვაქვს აღმართული.

თავის მეორე სტატიაში იმავე წინასიტყვაობაზე პოეტი ბრძანებს: „იცის აგრეთვე მშვენივრად ხელოვნების თეორია; ამ თეორიის ლექციას თანამედროვე პოეტებსაც უკითხავს“ (721).

მაშასადამე, პროლოგის ის ადგილები, სადაც პოეტიკური მსჯელობებია, ლუკა რაზიკაშვილს უდავოდ რუსთველისეულად სამართლიანად მიუჩნევია. კიდევ მეტი, იქვე ავითარებს ერთობ საინტერესო იდეას: „ამ წინასიტყვაობაში ყალბი ადგილებიც კი არის, როგორც, მაგალითად, ის ადგილი, სადაც ვითომ შოთა პირდაპირ მოურიდებლად სიყვარულს უცხადებს თამარს და კადნიერად ამბობს: „ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარიო“; ეს სტრიქონები თუნდა რუსთველისა იყოს, თამარის სიცოცხლეში ამას ვერ გამოაქვეყნებდა ვერა დროს“ (721).

ვხედავთ: მგოსანს სავსებით სამართლიანად ჰგონია, რომ შეუძლებელია რუსთველს ინტიმური სიყვარული ჰქონოდა თამარის, ქმრიანი ქალბატონის, მიმართ. არადა, ასე ეგონა ბევრს და მითითებული ტაეპის ამგვარი გაგება დღესაც შეგვხვდება (სხვათა შორის, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს – აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს კატეგორიულად არ მიაჩნდა მართებულად ამ ტაეპებში თამარ-რუსთველის ტრფიალების დანახვა);

მაშასადამე, ბევრს რაც დღესაც ვერ გაუგია, უკვე 1911 წელს შეგნებული ჰქონდა ლუკა რაზიკაშვილს. ჩემს წიგნში, რომელიც 80 წლის მერე, ანუ 1991 წელს, გამოქვეყნდა, თამარ მეფისა და რუსთველის ინტიმური სიყვარულის ამბავი სასტიკად არის გაკრიტიკებული. საამისოდ ბევრი სამეცნიერო არგუმენტი მოვიხედება და იმ სამეცნიერო მონოგრაფიის ერთ მონაკვეთს ასე ვუწოდე – „აქა ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული“.

მაშ, რუსთველის თამარისადმი ინტიმური სიყვარულის იდეას მე „ქართული ხალხური ზღაპარი“ ვუწოდე. აქვე მოგახსენებთ: ამის საფუძველი მომცა იმან, რომ გავარკვიე, თუ ვის გულისხმობს ტაეპი: „ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი“; აღმოჩნდა, რომ ეს „დამაბნეველი“ სტრიქონი გულისხმობს არა **თამარს**, არამედ პოემის მთავარ პერსონაჟ **ტარიელს**; ამის შემდეგ გადაჭრით განვაცხადე, რომ სწორი იყო ვაჟა-ფშაველა, როცა ამგვარი სიყვარულისა არაფერი სჯეროდა-მეთქი (მ. თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები, 1991, გვ. 17, 18).

მაშასადამე, ლუკა რაზიკაშვილი იმდენად იყო დარწმუნებული, რომ რუსთველს თამარისადმი ინტიმური გრძნობა ვერ ექნებოდა, პროლოგის ზემოდასახელებულ ტაეპებს ყალბადაც კი აცხადებდა,

თუმცა იქვე გენიალურად გრძნობდა, რომ ეს ტაეპები მხატვრული ძალმოსილებით რუსთველისეულსა ჰყავდა. ამიტომაც იქვე დასძენდა: „ეს სტრიქონები თუნდაც რუსთველისა იყოსო“.

მაში, აქაც არ მოტყუებულა და თავისი ღვთაებრივი გუმანის წყალობით იგრძნო, რომ ეს ტაეპებიც რუსთველის ჯადოსნურ კალამს ეკუთვნოდა.

პროლოგის ცალკეულ ტაეპთა სიყალბესთან დაკავშირებით მოაზროვნე სხვაგან ასე მიუთითებს: „უკაცრავად ნუ ვიქნებით და გამორკვევა იმისა, რუსთველისაა თუ არა ტაეპები „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენმა მკვლევრებმა რომ პოეტებს მიანდონ, უფრო ბევრს მოიგებენ, რადგან თავად არავითარ უნარს არ იჩენენ ამ შემთხვევაში: ერთმა მათგანმა „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის 32 ტაეპიდან რუსთველს მხოლოდ სამი ტაეპი მიაკუთვნა, დანარჩენი ოცდაცხრა ყალბად აღიარა. ამ ვაჟბატონს რომ უნარი ჰქონიყო ნამდვილი პოეტური გამოთქმისა და რუსთაველის პათოსის შეგნებისა, თუ იმას ვერ მიჰვდა, რა აზრით დაწერა შოთამ ეს ტაეპები, მათ სიყალბეს მაინც ვერ იტყოდა“ (724).

ეს სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად ის, რაც მე არაერთგზის დამიბეჭდავს ალექსი ჭინჭარაულის საწინააღმდეგოდ. მაში, დღესაც იმისი თქმა მიხდება, რასაც ასე მკვეთრად, ნათლად და სამართლია-

ნად ბრძანებდა დიდი მგოსანი ჯერ კიდევ 1911 წელს. მაშასადამე, 80 წელი ისე გავიდა, ქართულ-მა რუსთველოლოგიურმა მეცნიერებამ ვერაფერი ისნავლა! მან ვაჟა-ფშაველას სწორი ფუძემდებლური იდეაც კი ვერ გაისიგრძეგანა.

პროლოგიდან მგოსანს საილუსტრაციოდ მოჰყავს მოსაზრებანი მიჯნურობაზე და შემდეგ დასძენს: „რუსთაველის გარდა, ასე ლამაზად, ასე მკვეთრად სხვა ვერავინ იტყოდა“ (724); იქვე მსჯელობს სტროფზე „მიკვირს, კაცი რად იფერებს“ და დასძენს: „რა ვქნა, მე ამ ტაეპის სიყალბეს ვერ ვიტყვი, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, სიტყვები „კეკლუცთა ზედან ფრფენითა“ მხოლოდ შოთას შაეძლო ეთქვა“ (724).

ეს არის რუსთველის გენიალური მხატვრული ფიგურის გენიალური შეფასება.

კიდევ ერთხელ მძლავრად მოიქნია თავისი ბატის ფრთა მთის მგოსანმა მეორე წერილის ბოლოს; მას მოჰყავს პოემის შიგნიტექსტის რამდენიმე საოცარი სტროფი და დასძენს: „ჩვენ კი ამისთანა მარგალიტებს არაფრად ვაგდებთ, ნაგავს ვაყოლებთ და სანაგვეზე გაგვაქვს, როგორც „ინტერპოლატორული“ რამ უვარგისობა“ (729).

საინტერესოა, რა მოსაზრებანი განავითარა ვაჟა-ფშაველამ თავად **არაკის** (ამბის) თაობაზე.

ამ საკითხს დაინტერესებული მწერალი პირველივე სტატიაში შეეხო, აღნიშნა: „მაშინაც კი... თუ ტარიელის ამბავი უცხოეთიდამ არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხის-ტყაოსანი“, იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდამ, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა, ამიტომ შეიყვარა ქართველობამ ეს პოემა და შეისისხლხორცა“ (638).

მაშასადამე, ისეთი რამ ბრძანა მგოსანმა, რომ ამ არგუმენტის წინაშე აზრი ეკარგება იმის ძიებას, თვით ფაბულა (ფაბლიო) ეროვნულ ნიადაგზეა შემუშავებული თუ უცხოურია.

შემდეგ გაშლილია მსჯელობა და ნაჩვენებია, რომ ბევრი რამ, რაც პოემაშია გამოხატული, უკვე მოხდა საქართველოს სინამდვილეში. მაში, ავტორს ეროვნული ისტორიის ფაქტებით უსარგებლიაო. ყველა ამგვარ ფაქტს ვერ გამოვეკიდებით, ოღონდ ერთი-ორი აღვნიშნოთ: „შოთას ვეფხისტყაოსანში ვხედავთ იმ საჭირბოროტო კითხვას... რომელსაც ისტორიაც მოგვითხრობს: მოეწვიათ თუ არა ქართველებს უცხო ტომის კაცი თამარის მეუღლედ. შოთას გული, როგორც მოწინავე კაცისა, ამ საკითხავით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული. მოწვევა უცხოელისა თამარის მეუღლედ ორნაირად შეურაცხმყოფელი იყო შოთასი: ერთი, რომ ერისა, თა-

ვისი ქვეყნისათვის სასარგებლოდ არ მიიჩნევდა ამას მისი საღი გონება“ (639).

მართალია, პოემის შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითი არ მოჰყავს ავტორს, მაგრამ გულისხმობს ტარიელის იმ მრისხანე სიტყვებს, ნესტანის მამას რომ განუცხადა:

„სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი
ხრმალია?!“

და მეორეც:

„სხვას, მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა
ვინატრიდე!“ თამარის „ისტორიებიდანაც“ კარგად ჩანს, რომ „მეშველი გარეგანის“ მოყვანის წინააღმდეგი საკმაოდ ბევრი ყოფილა.

ჩემი მხრივ დავუმატებ: ამ „მეშველმა გარეგანმა“ ბევრი ხიფათი შეჰყარა ქართულ სახელმწიფოს და ერთი ესეც გახლავთ: 1200 წელს გიორგი რუსმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მიიმხრო და თამარ მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა; პოემა კი შექმნილია 1205-1207 წლებში. მაშასადამე, რუსთველს შეეძლო გაეთვალისწინებინა ისტორიული გამოცდილება, რომ „მეშველმა გარეგანმა“ ქვეყანას, ჭირის მეტი, არა მოუტანა რა.

ასე რომ, ვაჟა-ფშაველა ცამდე მართალია, როცა აცხადებს: პოემაში ბევრი ისეთი რამ არის ნაჩ-

ვენები, რაც ჩვენში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს გვაგონებსო.

მაშასადამე, შეუძლებელია ასეთი ამბავი უცხოური იყოს.

ლუკა რაზიკაშვილი პრობლემას მეორე სტატიაშიც უბრუნდება: „თუნდა არაკი პოემისა თავიდან ბოლომდე სპარსულიც იყოს? განა ამის მთქმელი, თუ კი ის გულით ამბობს ამას, როგორც საკუთარ რწმენას, და არა განზრახ, – შეიძლება ვიწამოთ ხელოვნურ ნაწარმოების დამფასებლად? არა და ათასჯერ არა!.. ერი რომ აგრე ადვილად აღმერთებდეს უბრალო მთარგმნელებს, როგორც შოთა ჭყავს გაღმერთებული ქართველ ერს, სათვალავი არ ექნებოდა, იმდენი გენიოსები და რუსთაველები ეყოლებოდა კაცობრიობას“ (713).

ამ მართებულ მსჯელობას კი აგვირგვინებს ის მხატვრული ფიგურა, რომელიც დღეს ყველას ახსოვს და რომელში სიმართლეც გამოიხატა და მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური გამარჯვებაც: „რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე ვეფხისტყაოსანი“ (714).

მაშ, საკითხის ძიებამ ლუკა რაზიკაშვილი უკვდავი აფორიზმის შექმნამდე მიიყვანა.

შემდეგ მწერალი ავითარებს ერთობ შორს მიმავალ მოსაზრებას, მოგვიანებით რომ ბევრმა გაიზი-

არა. ეს იდეა ერთობ საყურადღებოა: „კრიტიკოსებმა თავდაპირველად რატომ არ იფიქრეს, რომ, თუ „ვეფხისტყაოსნის“ არავი მართლა სპარსულია, ამისთანა შინაარსიანს არაკს გამლექსავი, დამწერი, თვით სპარსეთშიც ბევრი აღმოუჩნდებოდა, რადგან მგოსნები, პოეტები, როგორც მე-11 საუკუნეში, ისე 12-ში, სპარსეთს აუარებელი ჰყავდა. როგორ მოხდა, რომ ქართველმა საქართველოდან იპოვნა ეს ამბავი სპარსეთში, ხოლო სპარსელებმა კი ვეღარ თვის მშობელ ქვეყანა – სპარსეთში? ნუ-თუ დიდებული ფირდოუსი... „შაჰნამეს“ ავტორი, ამგვარ არაკს გაუშვებდა ხელიდან? ან თუ სპარსელ ხალხში იყო ეს თქმულება, როგორ შეიძლება ასეთი შესანიშნავი ზღაპარი ისე ჩაკვდა, ისე დაიკარგა, რომ მისი ნატამალი აღარსად დარჩა? შეუძლებელია ყოვლად და, მაშასადამე, იმის პოვნა, რაც არ არსებობს, წარმოუდგენელია. არ ვიცი, ბ. მარრი და კომპ. საიდან იპოვნიან ამ არაარსებულს?“ (716-717).

აქ ორი მომენტია ყურადსალები.

პირველი, ვახტანგ მექევსის დებულების – სპარსეთში ასეთი ამბავი არ არსებობსო – ძალიან ღრმააზროვანი და მართებული განვითარება; მეორე, პერსპექტივის უცთომელი დანახვა – რაც არ არის, როგორ იპოვნიანო?!

ისტორიამ ორივე დაადასტურა.

- ა) სპარსეთში მსგავსი ამბავი არ აღმოჩნდა;
- ბ) მამა-შვილმა მარებმა და ჩაიკინმა მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინეს.

მაშასადამე, ყველაფერი სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ამას 1911 წელს დიდი მგოსანი ბრძანებდა!

მაგრამ ვაჟა-ფშაველას, რომელსაც არაერთი ხალხური არაკი გამოუყენებია საკუთარი ქმნილებების ლიბოდ, დიდად აინტერესებდა თეორიული საკითხის გარკვევა: რამდენად ორიგინალურია ხელოვნების ნაწარმოები, რომლის არაკიც (ფაბულა, ძირითადი ამბავი) ნასესხებია?

მწერალი არაკის პრობლემაზე მსჯელობას ასე აღრმავებს: ვთქვათ, აღმოჩნდა რუსთველის პოემის მსგავსი სიუჟეტი სპარსეთში. ეს სრულებითაც ვერ დაამტკიცებს, რომ პოემა არ არის ორიგინალური; ორიგინალობას, მისი გაგებით, განსაზღვრავს არაკის მხატვრული დამუშავება. მართლაც, შესაძლოა, ორ მწერალს ერთი და იგივე **არაკი** მივცეთ დასამუშავებლად. ერთი გარდაქმნის ულიმლამოდ, უგერგილოდ, მეორე – გენიალურად. მწერალს მართლაც მოჰყავს საამრიგო მეტყველი მაგალითები, ბრძანებს: „რაც უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფან-

ტაზიის და გონების მანქანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხი-დან მოზელილს ადამს, და იგი ზღაპარი თუ ლეგენ-და არ შეუსისხლხორცა საკუთარს სულსა და გულს, არაფერი გამოვა“ (717).

თავისი მეორე სტატიის ამ დებულებას ავტორი ასე აძლიერებს: „განა ლეგენდას ფაუსტზე ცოტა ავტორები ჰყვანდნენ? ცოტა კი არა, ძალიან ბევრი: ასობით იყვნენ მწერალნი ფაუსტის ლეგენდისა, მაგრამ იმათ ნაწერებზე მხოლოდ ის ვიცით, რომ დაწერდნენ და კითხვით კი ალარავინა კითხულობს, განაცამტვერდნენ, ჩაკვდნენ“ (717); „იმ ლეგენდი-სა, რომელიც ფაუსტზე იყო გავრცელებული გერ-მანელებში, ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნა გი-ოტე, რის გამო? რადა? მადა, რომ ეს ლეგენდა ჩაუ-ვარდა დიდის ნიჭის, დიდის გრძნობა-გონების პატ-რონს... ლეგენდაც, რა თქმა უნდა, როგორც მასა-ლა, საჭირო იყო პოეტისათვის, მაგრამ რა უფლება გაქვთ, არ დამეთანხმოთ, რომ, თუ გიოტე არ ყოფი-ლიყო, არც დღევანდელი „ფაუსტი“ ექნებოდა კა-ცობრიობას! მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი და გრძნობა, რაც „ფაუსტშია“ გამოთქმულ-გამოსახული, მაინც გამოითქმებოდა გიოტეს კალმის წყალობით“ (718).

როგორცა ვნახეთ, ლუკა რაზიკაშვილი, როგორც ეპიკოსი ავტორი, მართებულ აზრს ავითა-რებს და თეორიულადაც კარგად ესმის ის, რაც პრაქტიკულად თავად გამოუცდია.

სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ:

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ ტექსტს ყოველთვის მხარს უჭერდნენ ეპიკის, ვრცელი ტილოების, შე-მოქმედნი: ვაჟა-ფშაველა, მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია...

რატომ?

იმიტომ, რომ მეცნიერ-პროფესორებზე უკეთ ესმოდათ ეპიკური თხზვის მექანიზმი, მხატვრული ტექსტის ლოგიკა, კომპოზიციის საიდუმლოებანი...

საბოლოოდ ვაჟა-ფშაველა ასეთ კატეგორიულ დასკვნას გვთავაზობს: „არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არავი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში; ტა-რიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანდარევანი, თინათინი... ისტორიული პირები არიან გადასხვა-ფერებული სახელებით“ (720).

ზემორელე ჩვენ ვახსენეთ, რომ „ესე ამბავი სპარსული“ ტრადიციისადმი გაღებული ხარკი იყო. ეს ვითარება უკვე მაშინ ჰქონდა ვაჟა-ფშაველას გათვალისწინებული. აქაც მისი იდეა დღესავით ნა-თელი და მზის სხივივით სწორია: „ამბის სპარსუ-

ლად გასაღება სხვაფრივაც საჭირო იყო: რუსთაველის დროის არისტოკრატია დიდ გავლენას განიცდის სპარსულ ლიტერატურისას. გემოვნება საზოგადოებისა სპარსულ მწერლობაზე იყო აღზრდილი: თუ არა სპარსულ ყაიდაზე დაწერილს ან სპარსული ჩამომავლობის ამბავს არა, არც კი წაიკითხავდნენ...

რუსთაველის „ზღაპრის“ გარეგან ფორმის დაცვაში ეს გავლენა ჩანს, და არც შეიძლებოდა უამისოდ... შოთას თითქოს ეშინიან, ვაი თუ ჩემი ნანარმოები ბოლომდე არ წაიკითხონ, და იძულებული ხდება, რეკლამა გაუკეთოსო პოემას: „აქამდის ამბად ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი“ (719).

მაშასადამე, „ესე ამბავი სპარსული“, ლუკა რაზიკაშვილის აზრით, პირდაპირი გაგებით არაა ნათქვამი; ის გულისხმობს გარეგნულ ფორმას, თხრობის სპარსულ ყაიდას, სტილურ კომპონენტებს...

რუსთველური სტილის ერთ თავისებურებად მგოსანს სამართლიანად მიაჩნია შემდეგი: პროლოგ-ეპილოგში ავტორის სახელია ნახსენები. ეს ჩვეულება ხალხურ პოეზიაშიც იჩენს თავს და რუსთველი ქართულ სამყაროს ამითაც უკავშირდება: „განა მარტო მწერლებსა და გადამწერლებსა ჰქონდათ ჩვეულებად თავისი ვინაობა გამოემულავნებინათ? არა, მდაბიო ხალხიდან გამოსული მელექსე-

ბიც ასე იქცეოდნენ. ხალხურ ლექსებში ხშირად შეგხვდებათ ასეთი უკანასიტყვაობა, რომელიც თანაბარია წინასიტყვაობისა – ემა ლექსისა მთქომი ესა და ესა ვარო“ (721).

მომდევნო საკითხი, რომელსაც მთის მგოსანი აყენებს, გახლავთ ავტორის ცოდნა-განათლება. იცავს რა პროლოგს ვაიმკვლევართა ხელყოფისა-გან, აჩვენებს, თუ რა დიდი განათლებისა და გაგე-ბის, შეგნების მქონეა რუსთველი: „ის კი ავიწყდე-ბათ, რომ შოთა თავისი დროის შესაფერად ფრიად განათლებული კაცი იყო, ფრიად დახელოვნებული ყველა დარგის მეცნიერებაში... იცის აგრეთვე მშვე-ნივრად ხელოვნების თეორია; ამ თეორიის ლექცი-ას თანამედროვე პოეტებსაც უკითხავს, რომელთა-განაც ის ფრიად გულნატკენია“ (721).

ვაჟა-ფშაველა პროლოგში იმასაც ამჩნევს, რომ რუსთველი ეკამათება წვრილმანი თემისა და მცი-რე ფორმის მქონე შემოქმედთ, გვაწვდის საკუთარ მრნამსს მოლექსეობაზე, მიჯნურობაზე, მეგობრო-ბაზე. იგი მიაჩნია რეფორმატორად და დემოკრა-ტად (722).

თავის პირველ წერილში „მთის არწივი“ კიდევ ერთ არსებით პრობლემაზე მსჯელობს.

ა. ხახანაშვილი, ისე როგორც მოგვიანებით ფოლკლორისტი პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი, მი-

იჩნევდა, რომ ხალხური „ტარიელიანი“ საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ძეგლს. ვაჟა-ფშაველა არ დაეთანხმა მკვლევარს და საწინააღმდეგო განაცხადა: ხალხური ტექსტი გამოძახილია რუსთველის პოემისაო. ლუკა რაზიკაშვილს მოჰყავს რამდენიმე არსებითი საბუთი. ის მიუთითებს: „ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულს ჩამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ტაებს სხვადასხვა რითმა (დაბოლოება) აქვს და საერო ვეფხისტყაოსანშიც ამასვე ვხედავთ. ნამდვილს ეროვნულს ლექსებს ამ თვისებას ვერ ვამჩნევთ: რომელი დაბოლოვებაცა აქვს ლექსის პირველს სტრიქონს, იგივე დაბოლოვება რჩება ყველა სტრიქონს“ (639).

მაშ, აქ პოეტმა, შესაძლოა ქართულ მეცნიერებაში პირველად, წამოჭრა ე.ნ. „ყუვის“ საკითხი – ხალხურ ლექსს ხშირად, ოცსტროფიანიც რომ იყოს, ბოლომდე გაჰყვება ერთი ყუვა – ერთი და იგივე სარითმო კლაუზულა, ვთქვათ **ოვანი** ანდა **იერსა**. ამის კარგი ნიმუშია დავით გურამიშვილის ლექსი იესოზე. აქ თავიდან ბოლომდე ერთი რითმა გამოიყოფა – **იესო**. მაშ, **ყუვა** ერთია!

მეორე არგუმენტიც სწორია: ლუკა რაზიკაშვილის აზრით, ქართველი ხალხი ზღაპარს არ ლექსავს, ლექსად ხდის არაზღაპრულ ამბებს. „ვეფხისტყაოსანი“ კი, გარკვეული აზრით, ზღაპარია. მაშ,

ის პიროვნებამ გალექსა და არა ხალხმაო. აქედან გამოდის დასკვნა: ხალხური „ტარიელიანი“ ვეფსისტყაოსნის გადამღერებაა (639).

ესეც მართებული და საინტერესო საბუთია.

ამის შემდეგ მოაზროვნეს მოჰყავს ორივე ნაწარმოების შესატყვისი ადგილები და იოლად გვარწმუნებს, რომ ხალხს გადაუსხვაფერებია რუსთველის ქმნილება და არა პირიქით (642).

დასკვნა ასეთია: „ვეფხისტყაოსანი წინად ყოფილა გავრცელებული ხალხში: ხალხს შეჰყვარებია პოემა და, რაც დაჰვიწყებია პოემიდამ, ის თითონ უკეთებია და უმატებია“ (642).

ვაუა-ფშაველას მოჰყავს სხვა საამისო პარალელური მაგალითი, რითაც საკუთარ მსჯელობას სიცხადეს მატებს.

ფაქტობრივად ყველა ის საკითხი, რომლებიც მგოსანმა დააყენა, არსებითია, დღესაც აქტუალურია, რადგან, სამწუხაროდ, რუსთველოლოგია დარჩა იმავე დონეზე, რა დონეზეც იდგა ვაუა-ფშაველას დროს.

ლუკა რაზიკაშვილი თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ გამოჩენილ რუსთველოლოგად.

აღნიშნულს დასტურყოფს შემდეგი ფაქტები:

მკვლევარი, პროფესორი ლევან მენაბდე იწონებს მგოსნის იდეას: ასე მშვენიერ არაკს, რომ ის

სპარსეთში გაჩენილიყო, იქაური პოეტები დააცხრებოდნენო (ლ. მენაბდე, ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენენი, 1967, გვ. 158). იგივე ავტორი გვამცნევს, რომ ეგ წარმატებული იდეა შეიწყნარეს ალ. ბარამიძემ, გ. ჯიბლაძემ, ალ. კიკვაძემ, გ. აბზიანიძემ (იქვე, 158); ლ. მენაბდე იწონებს ხალხური „ტარიელიანიდან“ ვეფხისტყაოსნის წარმოშობის მგოსნისეულ კრიტიკას, როცა აცხადებს: „თავის წერილში ვაჟამ სავსებით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ხალხურ „ტარიელიანს“ რუსთველის პოემა დაედო საფუძვლად“ (163); აღნიშნული საკითხი საგანგებოდ გამოიძია ალ. ბარამიძემ და დაადასტურა პოეტის სიმართლე (ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 385-392); ლ. მენაბდეს ასევე მოსწონეს პოემის ქართულ ტიპაჟზე მგოსნის მსჯელობა (168-169); მისივე აზრით, „ბახტრიონის“ ავტორმა მოგვცა პროლოგის მართებული გაგება (171); პროფესორს ალ. სარაჯიშვილის იდეების მგოსნისეული კრიტიკაც სამართლიანად მიუჩნევია (იქვე).

მკვლევარი ჯიბო ლომაშვილი იწონებს ალ. სარაჯიშვილის კრიტიკას (ჯ. ლომაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ვეფხისტყაოსნის საკითხები, 2003, გვ. 12); ამ ავტორსაც რაზიკაშვილის დარად სწამს, რომ „შოთა არ იყო პირადად შეყვარებული თამარზე

ისე, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ, შოთას, ცხადია, უყვარდა თამარ მეფე, როგორც თავისი სიუზერენი” (15-16). ეს მოაზროვნე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანი უფრო ძველია, ვიდრე „ტარიელიანი“ (19-20); ისიც დიდად იწონებს არაკის მგოსნისეულ იდეას (24-25); თამამად იმეორებს უკვე ნათქვამს: ამ არაკს სპარსეთშივე თავს დააცხრებოდნენ, რომ ყოფილიყო (31-33); საგულისხმოა ჯიბო ლომაშვილის შენიშვნა, რომელი ნიკო მარის სამართლიანობასა და დიდ კაცობაზე მიუთითებს. მას, თურმე, ცუდად არასოდეს მიუღია ვაჟა-ფშაველას კრიტიკა: მუდამ ამბობდა, დიდი პოეტის ქმნილებები რუსულად უნდა ითარგმნოს; ჯეროვნად უპატრონა ვახტანგ რაზიკაშვილს, ამხნევებდა მას, ეკონომიურად ეხმარებოდა, ხოლო 1932 წელს ლენინგრადის ინსტიტუტში ჩაარიცხვინა და სტიპენდიაც დაანიშვნინა (61).

ვხედავთ: დიდი მოაზროვნის შუქმა გააბრნებინა არა ოდენ რუსთველოლოგია, არამედ კაცობისა და ადამიანობის ასპარეზიც.

2016 წ.

Յ Ե Շ Ե Ր Ա Ծ Ա Ծ Ա Ն Ո

Ա Ռ Վ Ե Լ Ո Ս Ր Մ Ո Ւ Ա Ծ Ա Ն Ո

եռմ ցոնածագտ դաձյրով լիպե՞մ մորակրակյ նա-
կածութո? Վերբելուստքագ մոյուանու կրօալա նա-
կած ծոցջայր րոմելում նշրուու ժարլա մու-
նցուցե՞ա դա ցուրդու, ծալաեծուածե՞մ, ցածավարց-
ե՞ա, դա-ցա-ույանցուե՞ա. ասեցեա մոմուանցութու սկա-
ցու პոյմու ծոցուրտու սփրուու սեզադասեզա նշուա-
մ, ելունանցուրտա ու ցամուցեմամ. մատու մոյնե՞ա, դա-
ժամնուկյե՞ա, դացեմունե՞ա դա ուսցու պոյմամ դաձրու-
նե՞ա սուրու մետու, զուգու մուցնուրովու անցուլու-
լունե՞ա.

Ելունանցուրտա մանմունչու ցապուտլուցու ելունանցուր-
ենուան ամցարու սփրուուե՞ու ուսցու ամոմուցանու, րո-
ցորու տոտու ծացուու ակցնուան – տրտուլա դու,
մըլուարե՞ու, ելուս կանցալու դա մոսագուրե՞-
լուագ, սալուուացե՞լուագ, սուլուս „դասագյեծարովնե՞-
լուագ“ մուտեզուլուսատցուս արայրտել Շեմուտացանց-
ե՞ու. դակուրցե՞ու ցուրմանս կո մոյուսցու սցրմնու: ամ
պոյւրու գյայե՞սաց ոցուցու սուրնելու դա ելուարե՞ա
դաշյուրաց, րաու րուստցուլուս ամուրնցուցու մարնո-
ւան սաժամնուկու նամուլուցու ենե՞մույըս.

ქმნილების ზოგიერთი ნამსხვრევი, რომელთა ავტორისეულობის დამტკიცება ჯერ კიდევ 1986-1988 წლებში ვცადე, უკვე შეიტანეს ტექსტში (1988 წ. გამოცემა). ამან ერთგვარად კიდევაც გამახარა და კიდევაც შემანაღვლიანა. გამახარა იმიტომ, რომ მენიშნა: სწორ გზაზე ვმდგარვარ; შემაწუხა იმად, რომ, ვინ იცის, კიდევ რამდენი რედაქტორი ჩემზე სწრაფად მოახერხებს ტექსტის გამოცემას და ჩემ მიერ სათანადო საბუთების მოხმობით ავთენტიკურად ცნობილი კიდევ არაერთი სტროფი ჩემეულ გამოცემაზე ადრე სხვათა წიგნებში „აღჩნდება“. თუმცა ეს მაინც მამშვიდებს: რუსთველს ემატება და არა აკლდება რა!

მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც არ მიჩქარია. მრავალგზისი დაკვირვების შედეგად საბოლოო ტექსტმა ის სახე მიიღო, რომელსაც წინამდებარე წიგნში გაეცნობით.

წინასიტყვაობის სათაურში ოთხი სიტყვაა და ორი პირობითობას შეიცავს. პირველიო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ: ეს არის სრულიად განსხვავებული სტროფული შემადგენლობის ტექსტი. ამ მხრივ მას არც ერთი გამოცემა არა ჰგავს.

თავისებურად ახალი გახლდათ ვახტანგ მეექვსის, სარგის კაკაბაძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, იუსტინე აბულაძის, პავლე ინგოროვას, შანიძე-ბა-

რამიძის გამოცემები, ოღონდ, ჩემი პოზიციის მიხედვით, სხვებზე მეტად პირველი სრული გამოცემის პრეტენზია კონსტანტინე ჭიჭინაძის „ვეფხისტყაოსანს“ აქვს, თუმცა აქ ბევრი რამ მეცნიერული არგუმენტაციის თვინიერ არის წარმოდგენილი. წინამდებარე ტექსტი, ვფიქრობ, კონსტანტინე ჭიჭინაძისეული „ვეფხისტყაოსანის“ კვალს მისდევს, ხოლო ჩემი ძიების შემართება ამ ესთეტის პათოსს თანხვდება.

მეორე სიტყვა „სრულიც“ პირობითია.

საქმე ისაა, რომ ზოგიერთს აქ წარმოდგენილი მასალა ვრცლად მოეჩვენება და ეს მაშინ, როდესაც პირადად ეჭვიც კი მიღრღნის გულს – კიდევ ხომ არ აკლია პოემას რამდენიმე სტროფი?

დღეს „ვეფხისტყაოსანის“ ბევრი გამოცემა გამოდის. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი, უფრო მეტიც, უმრავლესობა არ შეიძლება იყოს ახალი მეცნიერული სიტყვა. ძირითადად ისინი ძველი ტექსტებისა და კომენტარების განმეორებაა, შემდგენელ-რედაქტორთა ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევას ემსახურება და არა სამეცნიერო აზრის წინსვლას. ამ გამოცემებს არ ატყვია გარჯისა და შრომის ბეჭედი. მეტიც, ზოგი მათგანი ამ მხრივ გამომწვევადაც კი გამოირჩევა. მაგალითად, 1992 წლის დეკემბერში წიგნის ბაზარზე გამოჩნდა მამუ-

კა თავაქარაშვილის მინიატურებით შემკული, მდიდრულად გაფორმებული, 450 მანეთად ღირებული „ვეფხისტყაოსანი“, დაბეჭდილ-აკინძული მინსკში. ეს გახლავთ ზუსტი განმეორება 1957 წლის გამოცემისა. საგულისხმო ისაა, რომ წინა-სიტყვაობას ხელს აწერენ ზ. გამსახურდია და ს. ცა-იშვილი. და ეს მაშინ, როდესაც 1957 წლის ცნობილი გამოცემის ერთ-ერთი თანამონაწილე აკადემიკოსი ალ. ბარამიძე მაშინ ცოცხალიც გახლდათ და წარმატებითაც მოღვაწეობდა.

ტექსტის ამგვარი ფოტოტიპური განმეორება ახალს არაფერს იძლევა, რადგან არ ითვალისწინებს მეცნიერების წინსვლას. აი, ამის მრავალთა-გან ერთი სიმპტომური მაგალითი: ლექსიკონში „წვერ-გამო“ ასეა ახსნილი – უწვერული. არადა პო-ემაში ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება „უწ-ვერული“ და „წვერ-გამო“, ანუ წვერგამომავალი, წვერგამოსული. ამაზე რამდენიმე მეცნიერმა ნაშ-რომებიც გამოაქვეყნა (ი. გიგინეიშვილი, ლ. დათი-აშვილი, მ. თავდიშვილი). არც იმის თქმა შეიძლება, თითქოსდა 1957 წლის გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყოს და მსგავს მოქმედებას ამის გა-მო ჰქონდეს გამართლება.

წინამდებარე ტექსტის ახსნა-განმარტებანი მო-ცემულია ცალკეულ სტატიებში, რომლებიც 1988-

1993 წლების პერიოდულ პრესაში ისტამბებოდა, ნარმოდგენილია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის და-ფანტულ სტროფებსა“ (1991) და „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანში“ (2000).

ცალკე მსჯელობას მოითხოვს „ინდო-ხატაელ-თა ამბავი“. 1998 წლის აკადემიურ გამოცემაში იგი შეტანილია, ოღონდ წინასიტყვაობა სულ სხვა რას-მე გვეუბნება:

„ნიშანდობლივია ინდო-ხატაელთა ამბისა და პოემის ნამდვილი ნაწილის აზრობრივი შეუსაბამობა. მაგალითად, რუსთველის მიხედვით, სოფელი გამწირავია, სამაგიეროდ ადამიანს მზრუნველობს და მფარველობს კეთილი ღმერთი („ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“, „ვა, სოფელო... მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“), ინდო-ხატაელთა ამბით კი, „წალმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა“ (წუთისოფელი წალმავე წაგრეხს სხვა დროს მისგან უკულმა დაგრეხილს).

თვალში საცემია „ვეფხისტყაოსნის“ უდავო ნაწილისა და ინდო-ხატაელთა ამბის ერთი მოტივის აზრობრივ-შინაარსობრივი და ტექსტობრივი სრული დამთხვევა-განმეორება. ტარიელმა რომ ხატაეთი დაიმორჩილა, რამაზ მეფე ტყვედ შეიპყრო, მაგ-

რამ მონანულს დანაშაული აპატია და თავისი საქ-
ციელი ამგვარად ახსნა:

ორგული და მოლალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე! (466, 3-4)

ანალოგიური შემთხვევა განმეორებულია ინ-
დო-ხატაელთა ამბავში: ამ „ამბითაც“ ტარიელმა
შეიწყნარა დამარცხებული და მონანული რამაზი.
საყურადღებოა შეწყნარების საბუთიანობა:

ბრძენებან ვინე მოსწავლემან საკითხავნი ესე ჰპოვნე:
„ესეაო მამაცისა მეტისმეტი სიგულოვნე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“
(1613)

შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ ინდო-ხატა-
ელთა ამბავში სიტყვასიტყვით არის განმეორებუ-
ლი ერთი მთელი პოეტური ტაეპი, ოღონდ ის, რაც
ძირითად ტექსტში თქმულია პირდაპირი ფორმით
(„ესე არის“), ინდო-ხატაელთა ამბავში გადმოცემუ-
ლია ირიბულად („ესეაო“). ეს სრულებით არ არის
შემთხვევითი. ინტერპოლატორი იმოწმებს „საკით-
ხავ“ წყაროს და იქიდან სესხულობს თავის სათ-
ქმელს, მოჰყავს ციტატა. მაშასადამე, ამ ციტატე-
ბის ავტორები სხვადასხვა პირებია.

ერთგან ინდო-ხატაელთა ამბავში ავთანდილი

და ფრიდონი შედარებული არიან კათალიკოსთან და მაწყვერელთან (აწყურის ეპისკოპოსთან). ასეთი შედარება სრულიად მოულოდნელი და შეუფერებელია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის“ (გვ. 6).

როგორც ვხედავთ, ამ ამონარიდში „ამბის“ წინააღმდეგ სამი „მკაცრი“ საბუთია წამოყენებული. ორ მათგანს, ვფიქრობ, ჯეროვანი პასუხი გავეცი. კერძოდ, პოემიდან სათანდო მაგალითები მოვიყვანე, სადაც ვუჩვენე: სოფელი ნამდვილი ტექსტითაც შეიძლება იყოს კეთილი, ხოლო ღმერთი – სასტიკი და მრისხანე. არაა მართალი, თითქოსდა „სოფელი“ პოემით მხოლოდ უკეთურია, ხოლო „ამბის“ მიხედვით – კეთილი. პოემითაც და ამბითაც სოფელი და ღმერთი შეიძლება იყოს ხან კეთილი, ხან მრისხანე და დაუნდობელი. ასე რომ, ამ მხრივ „ამბავი“ და პოემა „ერთსა პირსა ზედა სდგანან“; ამასთანავე, ვუჩვენე: კათალიკოსისა და მაწყვერლის შეწყვილება-შეტოლება ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურაში რუსთველამდეც მომხდარა, რუსთველის დროსაც და მერეც. ამიტომ პოემის ავტორსაც შეეძლო გამოეყენებინა ეს შტამპი (იხ. „მაწყვერლობის ინსტიტუტი ძველ საქართველოსა და ვეფხისტყაოსანში“, ჟურნ. „ისტორია სკოლაში“, 1989, 1, გვ. 55; წიგნი „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, გვ. 282).

იოლად მოიხსნება მესამე არგუმენტიც. აქ ერთობ მნიშვნელოვანი დასკვნაა გამოტანილი „ესე-აო“ ფორმის გამო. აქაოდა, „ამბავში“ წყაროდ იმოწმებენ ნამდვილი ტექსტის სიტყვებს – „ესეაო მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე“. მაშასადამე, სხვათა სიტყვის „ო“ აქ ინტერპოლატორისეულ ხერხად მიაჩნიათ.

შევნიშნავ: წინასიტყვაობის ამ პასაჟის ავტორს ჯეროვნად ვერ გაუთვალისწინებია ტექსტის დამდგენ კომისიაში თავისივე მეგობრისა და თანამშრომლის ბატონ გივი კარტოზიას მიერ არაერთხელ გამოთქმული სწორი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსთველს საერთოდ ახასიათებს (და ეს ხშირად ჩანს პოემასა და ამბავში) სხვათა სიტყვის ნაწილაკ „ო“-ს მომარჯვება. ზოგჯერ ამ „ო“ ნაწილაკს იგი იყენებსო სრულიად „უადგილო“ აღაგას. „მაცნეში“ დაბეჭდილი მასალებიდანაც ნათლად ჩანს – ამ რუსთველურ ხერხს კარგად იცნობენ ბატონები ივანე გიგინეიშვილი და ცოტნე კიკვიძე. აღნიშნულ „ო“ ნაწილაკთან დაკავშირებით 981-ე სტროფის გამო ივ. გიგინეიშვილსა და გ. კარტოზიას შორის კამათიც კი გამართულა (იხ. „მაცნე“, 1980, 4, გვ. 220).

მეორეც, თვითგამეორება ყველა დიდი ოსტატის თანამდევი მოვლენაა. რემარკი თავის რომა-

ნებში ზედიზედ იმეორებს ტრიუმფალური თაღის აღწერილობებს, სხვა პასაუებსა და სიტუაციებს; იგივე ხდება ფირდოუსის, კრეტიენ დე ტრუას ქმნილებებში, იმავე ვითარებას ვხედავთ რუსთველთან. ათობით საამრიგო მაგალითის მოყვანა ძალმის, ოღონდ აქ ერთი ვიკმაროთ: ავთანდილი ასმათს ეაჯება, მუხლს უყრის, „თითითა ეხვეწება“, უცხო მოყმის ამბავი მითხარიო. ცოტა ხნის შემდეგ ავთანდილი არაბეთში ბრუნდება. ახლა ასმათი უყრის მუხლს, „თითითა ეხვეწება“, ადრე მოვიდეს და ტარიელს დახმარება გაუწიოს.

ამგვარ განმეორებებს აკად. ალ. ბარამიძე ამბის ეპიკურ გამეორებას ეძახის; მე მას „ამბის პარონომაზია“ ვუწოდე (იხ. „დაფანტული სტროფები“, გვ. 383-384).

მაშასადამე, აღნიშნულ სიტუაციაში „ო“ იგივეა, რაც პოემის უდავო ტექსტში. ესე იგი, „ამბავი“ და პოემა აქაც „ერთსა პირსა ზედა სდგანან“.

ამის გამო პოემაში მთელი სითამამით შემაქვს „ინდო-ხატაელთა ამბავი“, როგორც ქმნილების ორგანული დასკვნითი ნაწილი. ამით, ვფიქრობ, პოემას წარეკვეთა ხახვის ბოლქვი (მიხეილ ჯავახიშვილის გამოთქმაა) და დაედგა ხატოვანი ორნამენტებით მოპირკეთებული გუმბათი.

ტექსტს თან ერთვის იმ ფრაზების კომენტარი, რომელთაც ახლებურად ვიგებ; აქვეა ახალი სტრო-ფების სიტყვასიტყვითი „თარგმანი“ თანამედროვე ქართულზე. მცირე ლექსიკონში კი მოცემულია სიტყვა-ცნებათა სხვაგვარი, ახლებური, გაგება ან-და გამოკვეთილია ჩემი დამოკიდებულება ზოგი უკვე არსებული განმარტებისადმი.

ტექსტის ორთოგრაფია გამარტივებულია (უმარცვლო გამოიხატება ასოთი ვ, წ როგორც ხ და სხვ.).

მუშაობის პროცესში ვიყენებდი რუსთველო-ლოგთა ძველი და ახალი თაობების მონაპოვარს, ოღონდ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ალექსანდრე ბარამიძის, ვიკტორ ნოზაძის, ივანე გიგინეიშვილის, გურამ კარტოზიას, ბორის დარჩიას, ალექსი ჭინჭარაულის, როლანდ ბერიძის, რევაზ მიშველაძის ნაშრომები, ცალკეული შენიშვნები, რჩევები.

საერთოდ კი ტექსტის ცალკეული „წაკითხვების“ დადგენისას ვხელმძღვანელობდი ჩემეული პრინციპით – ხელნაწერები არ ცდებიან, ცდებიან კაცნი.

2016 წ.

პ ლ ს რ უ ლ დ ა !

როგორც იქნა, აღსრულდა!

დიდებული რუსთველის პოემის სრული ტექსტი
გამოვიდა!

დღემდე ქართველ კაცს არ მისცემია შესაძლებ-
ლობა, საამაყო პოემას სრულად გასცნობოდა.
„ვეფხისტყაოსანში“ ჩემ მიერ ჩაბრუნებულ დაახ-
ლოებით აკავის „გამზრდელის“ მოცულობის
ტექსტს იგი პირველად წაიკითხავს. მათ შორის
ბევრი გენიალური სტროფია, ზოგიც – სიტუაციი-
სათვის აუცილებელი.

მაშ, რას აკეთებდნენ აქამომდე ჩვენი აკადემი-
კოს-პროფესორები და სხვა სწავლული კაცნი?! –
იკითხავს გაოცებული მკითხველი. პასუხი მარტი-
ვია: „ჩხრეკდნენ, იკითხვიდნენ“ ხელნაწერებს,
სხვათა გამოცემებს, ადგენდნენ კრიტიკულ და აკა-
დემიურ ტექსტებს, ოღონდ ამას შედეგი არ მოჰყო-
ლია – ვერც ვერაფერი დაადგინეს. რუსთველოლო-
გიური ტექსტოლოგის ფიასკო განაპირობა იმთა-
ვითვე აღებულმა მცდარმა და უხეირო გეზმა,
„ვეფხისტყაოსნის“ სრულიად უმეცარი მკვლევრის
ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ დამკვიდრებულ-
მა, რომლის დევიზიც ასე უკულმართული იყო:
სჯობს არ გაგვეპაროს არც ერთი ინტერპოლაცია,

თუნდაც ამას ორი-სამი ნამდვილი სტროფი ემ-სხვერპლოსო.

ამ მკვლევრებმა იბრძოლეს, იზრუნეს და ვრცელი პოემა-ეპოპეა, ლექსად დაწერილი რომანი, ისე ამოკლეს, კრიჭეს და „ხვეწეს“, ხევსურულ ბალადას დაამსგავსეს.

რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის კრახის სათავე ისტორიულ წარსულშია საძიებელი. სხვაზე უწინარეს ჩვენს მშობლიურ ეპოსს ავად შეეხო პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის მესვეური. კეთილ საქმეს მან ცუდიც ზედ მიადევნა – ინტერპოლაციებით დაშინებულმა ნაბანი წყალი გადააქცია და ბავშვიც თან გადააყოლა: ქმნილების ორგანული ნაწილი, ინდოეთის ამბის დასკვნითი ტექსტი, მთელი სამი თავი, განზე მოისროლა. ვახტანგ მეექვსე უკეთეს საქმეს გააკეთებდა, თუ ტექსტოლოგობაზე (რაც ნამდვილად არ იყო მისი საქმე) უარს იტყოდა, არ დაიწყებდა ნამდვილი ტექსტის დადგენას და რომელიმე ერთ ხელნაწერს გამოაქვეყნებდა. პირველ გამოცემას, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, სხვა ხარვეზებიც თან დაჰყვა: ბევრი შიდა სტროფია უარგუმენტოდ იგნორირებული. რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, მართლდება ვახტანგის შვილის ბაქარის სიტყვები,

თქმული საკუთარ მამაზე: „რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“.

ვახტანგისეულმა გამოცემამ (1712) „დანაელთა საჩუქრის“ როლი შეასრულა ჩვენს მეცნიერებაში. მომდევნო ხანის ტექსტოლოგები, ვახტანგ ბაგრატიონის ავტორიტეტით ზურგგამაგრებულნი, ნაკლოვან და ხარვეზიან პირველ გამოცემას კერპად იხდიდნენ და მისგან გადახვევას ვერ ბედავდნენ, ხოლო ზოგი უფრო შორსაც კი წავიდა და გენიალური პროლოგის 32 სტროფიდან საკუთარი რედაქციით გამოცემულ ტექსტში მხოლოდ სამად სამი სტროფი შეიტანა. ამგვარ მკრეხელობასა და გენიალური პოეტური აბზაცების ხელყოფას ვერავინ გაბედავდა, მათ რომ არ წაეკითხათ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრება: „ვეფხისტყაოსანი“ არცთუ ისე ძლიერი მხატვრული ნაწარმოებია; მისი მსგავსი და უკეთესებიც კი აღორძინების მწერლობაში ბევრი გვაქვსო (1924 წელი). პროფესორი აქ გულისხმობდა დავით გურამიშვილსა და სხვებს.

ასე შეაფასა ჩვენი ეროვნული ეპოსი აკადემიკოსმა.

ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს მას საქართველოს მეორე პოეტი გურამიშვილი: ბრძენი რუსთველის პოემა მარგალიტია, ხოლო ჩემი ლექსი მასთან შედარებით არისო ჩალის ძირი:

„მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა“.

როგორცა ვხედავთ, პოეტის შეფასება უფრო სწორი გამოდგა.

პოემის „დახვეწასა“ და შემოკლებაში თავი გა-მოიჩინა აკაკი შანიძემაც. ვახტანგის გამოცემის აღმომჩენმა მართლაც კერპად გაიხადა ეს ტექსტი და სრულიად უარგუმენტოდ განაცხადა: ძალიან ადვილად დამტკიცდება, რომ „ინდო-ხატაელთა ამ-ბავი“ რუსთველის არ არისო; გარდა ამისა, ბატონ-მა აკაკიმ (ენათმეცნიერმა) ბევრი რითმა, სტროფი და სიტყვა ჩაუსწორა რუსთველს (პოეტს) გრამატი-კულად, რითაც პოეზია დაუმახინჯა. ამასთანავე, ათობით კონიექტურა გამოიყენა, რაც ყოვლად და-უშვებელია. აკაკი შანიძეს ეს მაშინაც არ ეპატიე-ბოდა, აკაკი წერეთელიც რომ ყოფილიყო.

პოემის შეკუმშვა-დაპატარავებაში საკმაოდ გა-ინაფნენ მომდევნო თაობის მკვლევრებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ალექსანდრე სარა-ჯიშვილის სულიერი მემკვიდრე ალექსი ჭინჭარაუ-ლი.

ერთი სიტყვით, დიდ ავტორიტეტს ამოფარებუ-ლი რუსთველოლოგთა თაობები ვერ გათავისუფ-ლდნენ პოეტი-მეფის ზეგავლენისაგან და ამიტომა-

ცაა, ქართველ ხალხს დაუმალეს ვეფხისტყაოსნის სრული და მთლიანი ტექსტი.

რუსთველოლოგიური ტექსტოლოგია აშკარად ასცდა სწორ გზას. მას გვერდზე უნდა გადაედო გვირგვინოსნის ტექსტოლოგიური ხელგარჯილობა და ტექსტი უნდა დაედგინა ვახტანგამდელი ხელნაწერების შეჯერების გზით, რამეთუ ვახტანგისეული კომპილაციური გამოცემა ამ საქმეში ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევს. პირიქით, როგორც ითქვა. „დანაელთა საჩუქრის“ როლს დღესაც წარმატებით ასრულებს. ამისი მკაფიო საბუთია ქართული მწერლობის მე-4 ტომი, რომელშიც წარმოდგენილია კუდმოკვეცილი პოემა. აქ ბოლო ამბავი ჩამოცილებულია. ესე იგი, შუა გზაზეა მიტოვებული ცენტრალური გმირები – ტარიელი და ნესტანი. რა ქნეს მათ: მიაღწიეს თუ არა საწადელს, იქორწინეს ინდოეთში თუ არა, ელირსათ იქ მეფობა თუ არ ელირსათ; ბოლოს და ბოლოს, როგორ გადაწყდა ის სამემკვიდრეო პრობლემა, რის გამოც მთელი ეს დავიდარაბა გაიმართა; აღსრულდა თუ არა ქალიშვილის ოცნება, ტარიელს რომ გაუმჟღავნა: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა!“

არც ერთი ეს საკითხი ამ გამოცემის მესვეურებს არ აღელვებთ, არ აწუხებთ. სამაგიეროდ,

მოსდით ყმაწვილური შეცდომა: მათ მიერვე იგნო-რირებული ბოლო ნაწილიდან მაინც იმარჯვებენ ზოგიერთ სტროფს. რა უფლების ძალით? თუ „ინ-დო-ხატაელთა ამბავი“ არაა რუსთველის ნაკალმა-რი, ამავე მონაკვეთის ორგანულ სტროფებს რა ნა-მუსითა და სინდისით იყენებენ?

სწორედ ამათზეა ნათქვამი: „ამფერ, ჩემო მა-ნასეო, ხან – ისე და ხან – ასეო!“

გარდა აღნიშნულისა (და არაერთი რამისა, რასაც აქ ვერ ვიტყვი), უნდა ითქვას შემდეგი: პოე-მის ამ ბოლო, დამაგვირგვინებელ, ნაწილში ავ-ტორს შეუქმნია ბევრი ისეთი მეტაფორა, აფორიზ-მი და სხვა მხატვრული ფიგურა, რომლებიც ნების-მიერი მსოფლიო დონის სიტყვის ოსტატის შემოქ-მედებას დაამშვენებდა. შეიძლება ითქვას უფრო კონკრეტულადაც: აქ მომარჯვებული ზოგი მხატ-ვრული ფიგურა განუწყვეტლივ აგონდებოდათ და ახსოვდათ ჩვენს კლასიკოსებს: ილიას, აკაკის, ვა-ჟა-ფშაველას, გალაკტიონს, მიხეილ ჭავახიშვილს. ზოგიერთი მათგანი მაინც შევიხსენოთ:

მას ესვა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი,
კბილ-მარგალიტი, ტან-ალვა, ღანვ-ბალახშ,

ყორან-თმიანი;

ნარგისთაგან ნაწვიმარი ლვარი ადგა, თოვლი გადნა;
იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაგან უფრო ბუქდა;

შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნიღა დალრეჯანია;
ხრმალი ჩემი მოლესული შენს ტანზედა დავაბლაგო;
მე ჩაბალახად გახმარნე, რაცა გიმუზარადია!
ლმერთი ალხენს მონანულთა, არ შეუნდობს
კაცი ვინა?

წალმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუ ნაცარსა;
ტარიას ხრმალნი ვერ გაძლეს, ჯერთ ხორცი
მოიმშიერეს;

ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სვეტია;
სრულად ნათლითა აივსო ზღუდე და ბანის-ბანია;
გიშრისა ტევრსა მოჰყოცხდა ბროლისა საფოცხელია;
ქალმან დედასა შესტირნა: „ჰა-ჰა, მე რა ვქნა,
დედაო?!

ნითელ-ყვითლითა დაგაგდე, ან შაოსანსა გხედაო,
მამამან ტახტი დაცალა, არლარსადა ზის ზედაო“,
დედამან ცრემლნი მოსწურნა: „ნუ სტირ, დადუმდი,
ბედ-აო“.

- იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი
ანანკარითო!

ალნიშნული ფრაზები და სტროფები უმაღლესი
პოეტური ოსტატობის მაცნეა. ისინი, მხატვრული
თვალსაზრისით, კონკურენციას გაუწევენ პოემის
შიგნიტექსტის ნებისმიერ უმაღლეს მხატვრულ ად-
გილს, ხოლო ზოგი ისე ძლიერია, კიდევაც აღემა-
ტება შიგნიტექსტის უმძლავრეს მხატვრულ ფიგუ-
რებს. ასეთად მიმაჩნია ლამის ხალხურ ანდაზად
გადაქცეული გამოთქმა: „შიში ვერ იხსნის სიკ-

ვდილსა, ცუდნილა დაღრეჯანია“. ილია ჭავჭავაძეს არ უმტყუნა გუმანმა, როდესაც ეს ფრაზა რუსთველისეულად უყოყმანოდ აღიარა.

ჩემი გემოვნების თვალსაწიერიდან ასე ჩანს: ზოგიერთი აქ მოყვანილი მხატვრული ყალიბი იმ-გვარი გენიალური თქმაა, რომ ბევრი ცნობილი მწერლის მთელ შემოქმედებაზე მეტადაც კი ფასობს; ასეთია, მაგალითად, ზემოთ მოყვანილი კლასიკური აფორიზმი; ასევე მეტად თამამი სკაპრეზული შინაარსის, ოღონდ გამაოგნებელი მხატვრული ძალის შემცველი ტაეპები:

**პირბოზო, ჩემი მორევნა რა დიდად დაგიქადიან,
მე ჩაბალახად გახმარნე, რაცა გიმუზარადიან!**

ჩვენს ზოგ აკადემიკოსს გემოვნება ნამდვილად ღალატობს და იძულებული ვხვდები, დაწვრილებით ავუხსნა, განვუმარტო, დავუწიგნო: ქვემოთ მოყვანილ ნიმუშში გვეძლევა კონგენიალური მეტაფორა. აქვე მივუთითებ: მეტაფორა არის მხატვრული გამოსახვის უმაღლესი და უძვირფასესი ფორმა; იგი ახდენს აზრის სასწაულებრივ კონდენსირებას. პოემის საერთო მეტაფორულობა არის ნათელი პასუხი პროლოგში დასმული პრობლემისა - „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“. სწორედ მეტაფორა გახლავთ გრძელი სიტყვის შემოკ-

ლების უნიკალური (ძნელად დასაურვებელი და ამადაც ძვირად ღირებული) საშუალება. აი, ეს შეპირებული მხატვრული სასწაულიც:

ნარგისთაგან ნაწვიმარი ღვარი ადგა,
თოვლი გადნა.

განმარტება: გმირმა ფარსადან მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო: ცხარედ ატირდა, ნარგიზებიდან (თვალთაგან) ნაწვიმარმა ცრემლმა სახეზე ღვარი ააყენა, სახის თეთრი და სპეტაკი „თოვლი“ გაადნო.

აქ არა მარტო ღრმა გააზრება გვეძლევა, არა-მედ უმაღლესი ესთეტიკაც. რუსთველისეული ალიტერაციის მუსიკა ჟღერს ტაეპში:

იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაგან უფრო ბუქდა.

აქ ცენტრალური ცნებაა „ჩაიქროლეს“. სიტყვის მთავარი ფონემაა „ქ“. რუსთველი ოთხჯერ ახმიანებს ამ ბგერას, ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „გ“ ბგერაც იმავე კლასისაა, რაც „ქ“ (ქართული ტრიადაა გ – ქ - კ), მაშინ ტაეპში ერთნაირი ფონემა ისმის ექვსჯერ!

არ შემიძლია, ორიოდე სიტყვა არა ვთქვა პოემის ამ ნაწილის კიდევ ერთ კონგენიალურ მეტაფო-

რაზე, რომელიც მარტო აღებულიც კი ერთ პოემა-და ღირს:

**გიშრისა ტევრსა მოჰყოცხდა ბროლისა
საფოცხელია.**

ტარიელმა გამზრდელი მეფის ფარსადანის სიკვდილის ამბავი მოულოდნელად შეიტყო. მან სიმწრისაგან დაიგლიჯა თმა და წვერი. „გიშრის ტევრი“ მისი შავი თმა-წვერია, ხოლო „ბროლის საფოცხელი“, ანუ ფოცხი, - ხელის თითები.

ამ ტაეპის შემცველ სტროფში რითმაც წმინდად რუსთველურია. ჩვენი მგოსანი ლამობს, ყოველი სტროფის ბოლოში, სარითმო სიტყვაში, მოაქციოს სტროფის ცენტრალური ცნება და იგი ამ ხერხით დაგვამახსოვროს. თინათინი რომ ავთანდილს ფიცს აძლევს, იქ მთავარი ცნებაა „ქმარი“. ამიტომაც სტროფის ოთხივე ტაეპის ბოლოში რითმად მეორდება სიტყვა **ქმარი**; ასე ხდება არაერთგან. იგივე ხერხია მომარჯვებული ამ შემთხვევაშიც. ავი ამბის გაგებისას ტარიელს ცხელი დღე დაუდგა. მას მდუღარე, ცხელი ცრემლები სდის, ამიტომაც სარითმო კლაუზულად ოთხგზის მეორდება ცნება **ცხელია**.

აქ გავიმეორებ ვაჟა-ფშაველას დაბეჯითებით ნათქვამს: **ასე მხოლოდ რუსთველს შეუძლია თქვას, სხვას – არავის!**

აი, როგორ სტროფებს, ტაეპებს, ფიგურებს, ერთად შეზავებულ სიბრძნესა და ოსტატობას ებ-რძვიან ის უგემოვნო ტექსტოლოგები, რომელთა მთელ ნააზრევსა და შემოქმედებასაც კი არ აქვს აქ განხილული თუნდაც ერთი აფორიზმის ან მეტაფორის წონა და ღირებულება!

მთელი ჩემი ცხოვრება ამ უმსგავსობის წინააღმდეგ ვიბრძოდი, რადგან წინ დროშად მიმიძლოდა უკვდავი სიტყვები: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. ამ „გრძელად“ მთხრობელთა შორის რუსთველი ისედაც მოკრძალებულად გამოიყურება. სპარსელი გენიოსის ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ დაახლოებით ათჯერ, ხოლო ნიზამის „ხამსე“ ხუთჯერ გრძელია „ვეფხისტყაოსანზე“, ხოლო ჩვენმა ნაფიცმა რუსთველოლოგებმა ეს შედარებით მოკლე ტექსტიც აღარ შეარჩინეს მგოსანს.

ქმნილების ორგანულ ბოლო სამ თავზე, ე.წ. „ინდო-ხატაელთა ამბავზე“, ზემოთ ვისაუბრეთ. აქ ახლა შიდა ხარვეზებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ყველა მაგალითს ვერ გამოვეკიდები, ოღონდ სანიმუშოდ და თვალსასიეროდ რამდენიმე ადგილს განვიხილავ.

ნაფიც რუსთველოლოგთა მიერ დადგენილ ტექსტებში გვაქვს ამგვარი უცნაური სურათი:

უზენაესი ხელმწიფის როსტევანის წინაშე მდგარი მონა-ქვეშევრდომი ისე მიღის „უცხო“ და უცნაური მოყმის მოსაწვევად, არც პატრონის ბრძანებას ელოდება და, რაც მთავარია, არც კი იცის, რა სწა-დია მას. ყურადღებით გავსინჯოთ ერთმანეთს მი-დევნებული ორი სტროფის აშკარა ულოგიკობა!

მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.
ნავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდულარისად.

სტროფის ბოლო ტაეპი გვეუბნება: როსტევანს გულში ჩაუვარდა სურვილი უცნაური მოყმის ნახ-ვისა, ოღონდ ეგ წადილი მას არავისთვის შეუტყო-ბინებია, ეგ წადილი არავინ იცის, მბრძანებელს ჯერ არავისთვის არაფერი უთქვამს, არანაირი და-ვალება არ მიუცია. მაშ, რა უფლების ძალით მიღის ვიღაც „მონა“ საკვირველი რაინდის მოსაწვევად?! რა იცის, მეფეს რა სწადია? მეორეც, რატომ მხო-ლოდ ერთი კაცი მიდის და არა ორი-სამი? მაგრამ საქმეც ისაა, რომ აქ უბრძანებოდ არაფერი მოხდე-ბა და თანაც ხელმწიფემ კონკრეტულად ერთ მონას უნდა დაავალოს ეგ საქმე. აი, სწორედ ეგ დავალე-ბის მიცემა, ანუ „ბრძანების კანონზომიერება“, აკ-

ლია აქ და ასეთი ბრძანების გამომხატველი სტრო-
ფი ხელნაწერებში არსებობს. აი, ისიც:

მეფემან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და ტანადო?“
უბრძანა ერთსა მონასა: „წადი ფიცხლად და
ჯანადო!“

„გიბრძანებს“, - უთხარ, - ვერ გიცნობ ჩემთა
ლაშქართა თანადო,
ვინცა ხარ, მოდი წინაშე, შენ ჩვენგან მონაყვანადო!“

აი, სწორედ ამ ბრძანების მიღების შემდეგ წავი-
და მონა უცხოს მოსაპატიუებლად. თანაც დააკვირ-
დით, ხელმწიფემ სწორედ რომ ერთ მონას მისცა ეგ
დავალება: „უბრძანა ერთსა მონასა“ და ამიტომაც
არის, რომ მომდევნო სტროფი ასე იწყება: „წავიდა
მონა საუბრად“, აი, თუ რატომ არის, რომ მხოლოდ
ერთი კაცი მიდის დავალების ასასრულებლად და
არა სამი-ოთხი.

ჩემ მიერ მიგნებული ე.წ. „ბრძანების კანონზო-
მიერება“ ნაბეჭდი ტექსტის კიდევ ერთ ხარვეზს
გვითვალსაჩინოებს. პოემის ბოლოსაც არის ერთი
ასეთი უცნაური სურათი: ორი უზენაესი ხელმწი-
ფის (როსტევანი და ტარიელი) წინაშე დგას პატარა
კუნძულის პატრონი ფრიდონი. ფაქტობრივად იგი
როსტევან-ტარიელის უმორჩილესი მონაა. ტარიე-
ლი და როსტევანი შეთანხმდნენ, რომ თინათინი ავ-
თანდილს ცოლად გაჰყვება. ამ ამბის დადებითად

გადაწყვეტით სამივე გახარებულია. და უცებ ფრი-დონი უბრძანებოდ ტოვებს უზენაეს პატრონებს და ავთანდილის მოსაყვანად მიდის.

რა უფლების ძალით?

„ბრძანების კანონზომიერების“ მიხედვით, ეს მისთვის ვინმეს (უზენაესთაგანს) უნდა დაევალებინა ანდა თვითონ გამოეთხოვა წასვლის ნებართვა. აქ კი ასე არ ხდება. ეს კი გვაფიქრებინებს: ხომ არ აკლია ამ ადგილას ე.წ. „ბრძანების კანონზომიერების“ გამომხატველი სტროფი? და გუმანი „არ ცუდად წაგვიხდების“. არსებობს ჩვენი კანონზომიერების აღმდგენელი სტროფიც.

ჯერ აკადემიური გამოცემის ტექსტთა „უცნაური ბმა“ ვიხილოთ:

რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა,
დადრკა, მდაბლად ეთაყვანა, პირსა ზედან დაეფინა.
კვლა როსტენცა თაყვანის-სცა, წარემოვლო,
წადგა წინა,
ერთმანერთი მოიმადლეს, მათ ერთსაცა არ ეწყინა.
ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარებლად გაექანა.

ამ ბოლო ტაეპით დაწყებულ სტროფს წინ უძღვის ჩემი მიგნებული და სხვათა მიერ ნაგავში გადასროლილი მარგალიტი – შესანიშნავი სტროფი, რომელშიც აღდგება ე.წ. „ბრძანების ეტიკეტი“.

ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყვანელად:
შესთვალა: „მოდი, გიბრძანებს იგი, შენ ვისთვის სჩან
ელად;
ჭირნი გარდაგხდეს, მოგაკლდა ცრემლი ღაწვისა
მბანელად,
ნულარ ეშიშვი სახმილსა, შენი დამწველი-ა ნელად“.

სწორედ ამის შემდეგ უნდა წავიდეს სტროფი:

ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარებლად
გაექანა ...

კიდევ ერთი ფრიად და ფრიად მეტყველი მაგა-
ლითიც.

დავარმა „დამნაშავე“ ნესტანი დასაჯა, გალახა,
მერე მოვიდნენ მონაზანგები და ნესტანი ზღვისა-
კენ კიდობნით გააცურეს და ყოველივე ეს გააკე-
თეს პატრონის ბრძანების თვინიერ, რაც, ე.წ.
„ბრძანების კანონზომიერების“ მიხედვით, შეუძლე-
ბელია. მათ აუცილებლად უნდა მიეღოთ პატრონის
მითითება, ბრძანება.

აქვე ასევე დგება კითხვა: რატომ მაინცდამაინც
ზღვა-ზღვა გადაკარგეს დასჯილი და არა ხმელეთ-
ზე?

ამის პასუხს მოგვცემს ჩემ მიერ აღდგენილი
სტროფი, რომელიც ასევე შეიცავს პატრონის მი-

თითებას მონებისადმი, რომ ტუსალი ზღვის შუა-
გულში გადაკარგონ.

უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია,
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია!“
მათ გაეხარნეს, შეხლტუნვით იყივლეს: „იპი, იპია!“
ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.

მაშასადამე, ეს შესანიშნავი პოეტური აბზაცი,
ჩემი კანონზომიერების თანახმად, რუსთველისაა
და მონაკვეთს მწყობრ ხასიათს ანიჭებს.

მკითხველს საგანგებოდ ვაფრთხილებთ: ნუ გე-
გონებათ, თითქოსდა ჩემ მიერ ალდგენილი სტრო-
ფები მხოლოდ რამდენიმე ან ერთ რომელიმე უმ-
ნიშვნელო ნუსხაში მოიპოვებოდეს. არა, ბატონებო,
ისინი თავიანთ ადგილს იკავებენ მეტად მნიშვნე-
ლოვან ხელნაწერებში (S-449; H-5005; H-757; H-54
და სხვებში).

ჩემ მიერ ტექსტში ალმოჩენილი სხვა არაერთი
კანონი და კანონზომიერება მკაფიოდ უჩვენებს ნა-
ბეჭდ ტექსტებში არსებულ ხარვეზებს და საშუა-
ლებას გვაძლევს, ეს ნაკლოვანებები ალმოვ-
ფხვრათ.

ნაბეჭდ ტექსტებში არსებული სტროფული ნაკ-
ლოვანებების, პოემის დაბოლოების პრობლემის
მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი ალმოჩ-

ნდნენ ჭეშმარიტი მწერლები, ეპიკური ჟანრის დი-
დოსტატები: ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი,
კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ჭიჭინა-
ძე, აკაკი განერელია... მათ იმთავითვე იგუმანეს,
რომ „ნაფიცი რუსთველოლოგები“ საქმეს ცერად
წაიყვანდნენ და ძალად მაცხონე ტექსტოლოგებს
ცხარედ შეუტიეს. ამათ კვალზე მდგარმა უბადლო
ნოველისტმა პროფესორმა რევაზ მიშველაძემ
ეფექტიანად გამოიყენა მისი რედაქტორობით გა-
მომავალი უურნალი „კრიტიკა“ და „მარგალიტის“
დასაცავად თანამედროვე გამყალბებლების წინა-
აღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა გააჩალა. მწერლის
ეს თავგამოდება შეუნიშნავი არ დარჩენია გაზეთ
„სახალხო განათლების“ რედაქციას, რომელმაც
თავის დროზე ასეთი მეგობრული შარჟი გამოაქ-
ვეყნა: გაქვავებულ რუსთველოლოგიურ ბასტი-
ონს სპილენძის მძიმე უროს უშენს ოფლში გახ-
ვითქული რევაზ მიშველაძე, უროს კი აწერია –
მურმან თავდიშვილი.

მას უკან ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი სხვა
სტროფიც ჩამოაშორეს პოემას, მაგრამ არც ჩვენ
გავჩერებულვართ: დავბეჭდეთ 530 გვერდიანი მო-
ნოგრაფია „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტრო-
ფები“, აგრეთვე 250 გვერდიანი წიგნი „ვეფხისტყა-
ოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“ (ორივეს რედაქ-

ტორია რ. მიშველაძე); გამოვეცით არაერთი სტა-
ტია და ნარკვევი; კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებ-
დით ცრურუსთველოლოგთა გამოსვლებს და სხვ.
განსაკუთრებით მწვავედ და სატევარივით შემარ-
თული ვებრძოდით ცრუტექსტოლოგებს, რომელ-
თაც ჯეროვნად პოემის ტექსტიც კი არ იცოდნენ.
ვფიქრობთ, დღევანდელი დღე ადასტურებს, რომ
ამ ომში გამარჯვებული გამოვედით და, მგონია, მე-
ცა მაქვს უფლება, რუსთველის „შემჭმელ“ ტექ-
სტოლოგებზე გამარჯვება ვიზეიმო, ხოლო რუს-
თველს – ჩვენი სულის მარადიულ დონორს – კონ-
სტანტინე ჭიჭინაძისდარად მივმართო:

იყო ჭიდილი, იყო სიავე,
ვამაყობ ახლა ბრძოლის მოგებით;
ბზესავით ქარში გავანიავე
შენი შემჭმელი ტექსტოლოგები!

დიახ, ჩვენი ამ ბრძოლის ერთგვარი დაგვირგვი-
ნებაა წინამდებარე საეტაპო გამოცემა, რომელიც
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მი-
სი ხელმძღვანელის, პირადად რექტორ არჩილ
ფრანგიშვილის ინიციატივით განხორციელდა. ამ
საშვილიშვილო საქმეში დიდი ძალისხმევა გამოიჩი-
ნა სტუ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის
ხელმძღვანელმა პროფესორმა იგორ კვესელავამ.

ამ ფაქტით რუსთველის საერთაშორისო წელს
მგოსნის მიმართ შერცხვენილ საქართველოს პი-
რიც მოვბანეთ.

იმედია, აღნიშნულ გამოცემაზე ხვალინდელი
დღე თავის სიტყვას იტყვის. მე კი ამ წერილს ასე
დავამთავრებ: – ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?

2016 წ.

სწავლა-აღზრდის საკითხები „ვეფხისტყაოსანი“

მართალია, „ვეფხისტყაოსანი“ არაა პედაგოგიური პოემა, ოღონდ, როგორც გენიალური თხზულება, ისიც ბევრ დიდაქტიკურ იდეასა და პედაგოგიურ მოსაზრებას შეიცავს. ტექსტში დაუნჯებულია ბევრი სააღმზრდელო თეორიული იდეა, ხოლო იქვე კონკრეტული სახეებისა და ტიპების მოქმედებით ეს თეორიული მოსაზრებები რეალიზდება კიდეც. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ცენტრალური დებადი: ჯერ საჭიროა ცოდნის შევსება, ოღონდ არც ეს კმარა, აუცილებელია თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. თავის ანდერძში ავთანდილი მყაფიოდ აცხადებს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?“ სხვაგან ეგ იდეა სხვაგვარი ფორმით ასეა გამოხატული: „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა!“

აქ მოცემულია ავტორის იდეათა გასაღები: ცოდნა თავისთავად ვერაფერი ბედენაა. მას სჭირდება პრაქტიკული მოხმარება, რამეთუ მოუხმარებელი საუნჯე მკვდარი კაპიტალია. პრაქტიკული საქმიანობა კი აუცილებლად მოითხოვს საქმისადმი

თავდადებას, რაც პიროვნებას გამარჯვებამდე მიიყვანს.

პერსონაჟები კარგად გრძნობენ სწავლა-აღზრდის სიკეთესა და საჭიროებას. ისინი წამდაუნუმ იმეორებენ ზოგადთეორიულ იდეებს აღნიშნულის შესახებ. მაგალითად, ტარიელი აცხადებს: „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“. გმირები მადლიერების გრძნობით იღებენ სხვათა რჩევებს, მითითებებს, სწავლებებს. ამ მხრივ სანიმუშოა თინათინი. როცა როსტევანი მას წვრთნის და აჯერებს, რომ „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“, აგრეთვე ასწავლის სიუხვეს: „რასა-ცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“, იქვეა შენიშნული:

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
უურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთნასა არ მოიწყინებდა.

(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცემა, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016, გვ. 18)

აქ პრაქტიკულად ხორციელდება ტარიელის განაცხადი: „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცემა, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016, გვ. 18).

რუსთველის მიხედვით, არა მარტო უფროსი ასწავლის უმცროსს, არამედ, შესაძლებელია, უმრწე-

მესმაც ასწავლოს უხუცესს. ამ მხრივ რუსთველი-სათვის ჩაკეტილი წრე არ არსებობს. მაგალითად, ჭირში ჩავარდნილ მამას ქალიშვილმა გონივრული რჩევა მისცა: „გაგზავნე კაცი ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი!“ უცხო მოყმის საძებრად ადა-მიანები დააგზავნეო! მხცოვანი ხელმწიფე ასეც მოიქცა და ბოლოს აღიარა კიდეც უმცროსის რჩე-ვის სიკეთე: „მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო“.

პროლოგში ავტორი აღიარებს ესთეტიკური აღ-ზრდის საჭიროებას. მისი გაგებით, პოეზია ფილო-სოფიის ნაწილია. ამიტომ მას უწვრთნელი, უბირი კაცი ვერ გაიგებს. აქ საჭიროა ერთგვარი მომზადე-ბა, სათანადო ესთეტიკური საფანელი, ვინაიდან ამ საზეო საქმეს, ანუ პოეზიას, ვითარცა ფილოსოფი-ას, გაიგებს მხოლოდ საამისოდ შემზადებული, ანუ „ვარგი“, პიროვნება: „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“.

რუსთველის გმირები კეთილად და მრავალ-მხრივ (ჰარმონიულად) აღზრდილი პირები არიან და ყველაფერი ეს კონკრეტული სახე-ტიპებითა თუ მოქმედებებით დასტურდება.

ახლა ვნახოთ, როგორ ზრდიან და წვრთნიან ყმანვილებს სწავლების დაწყებით ეტაპზე.

პოემით, ტარიელს სამეფოდ ზრდიან, ოღონდაც
რა ვითარებაში?

რუსთველი უდიდეს ყურადღებას აქცევს საალ-
მზრდელო გარემოს.

საპატრონოდ, ანუ სამეფოდ, აღზრდა საგანგე-
ბო ვითარებაში ხდებოდა. „საპატრონოდ მზრდი-
დეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“, – აცხა-
დებს ინდოელი ჭაბუკი. საამისოდ არსებობდნენ
სპეციალისტები, ფილოსოფოსები. „ბრძენთა მიმ-
ცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად“, –
აკონკრეტებს იგივე პერსონაჟი. ე.ი. ხელმწიფურად
ქცევის შესათვისებლად ბრძენვაცები ირჯებოდ-
ნენ, ესენი კი სპეციალური ცოდნა-უნარით აღჭურ-
ვილი პირები იყვნენ.

სამეფოდ აღსაზრდელთა მასწავლებლები რომ
სიბრძნითა და უნარებით გამორჩეული ყოფილან,
ამას კიდევ უფრო მკაფიოდ გვიდასტურებს ნეს-
ტან-დარეჯანის აღზრდის ამბავი. ფარსადანმა ბო-
ლოს გადაწყვიტა, სარიდანის ძე მამამისისათვის
უკან დაებრუნებინა, ხოლო ხელმწიფედ თავისი
ასული დაესვა. საამისოდ საჭირო იყო უფლისწული
გოგონას ჯეროვნად აღზრდა. ამ შემთხვევაში უფ-
რო დაწვრილებით და კონკრეტულად არის აღწერი-
ლი ის გარემო, ადამიანთა წრე, რომელშიც მომავა-
ლი მბრძანებელი იწვრთნებოდა. უნინარეს ყოვლი-

სა, აქ უპრიანია, ყურადღება მივაქციოთ საგანგებო წვრთნისა და აღზრდა-განათლების დაწყების ასაკს.

დიმიტრი უზნაძე საგანგებოდ მსჯელობს აღნიშნულ საკითხზე და ბოლოს ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური არგუმენტების მოხმობით ადგენს, რომ ასეთი ოპტიმალური ასაკი არის 7 წელი. „შეიძლება ითქვას, რომ შვიდი წელი ის ასაკია, როდესაც პავშვი საკმარისად ფლობს თავისი ობიექტივაციის უნარს. ამიტომ უეჭველია, ეს ის ასაკია, როდესაც პირველად უჩნდება სწავლის მოთხოვნილება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ (უზნაძე დიმიტრი, სასკოლო ასაკის დასაწყისის პრობლემისათვის, წიგნში „პედაგოგიური თხზულებანი“, თბილისი, 2005, გვ. 340).

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სწორედ აღნიშნული ასაკიდან იწყებენ ყმაწვილთა აღზრდა-განათლებას „ვეფხისტყაოსანში“. თუმცა ტარიელის აღზრდისას ეს ასაკი არაა მითითებული, ოღონდ ეგნათლად ირკვევა ნესტანის შემთხვევაში. პოემაში საგანგებოდ არის მითითებული სწავლის დაწყების ასაკი.

მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმობილი,
შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი.

სწორედ ამ დროს შენიშნა ფარსადანმა, რომ
მის პირმშოს ჰქონდა სათანადო უნარები: „მეფე
ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწოდება”,
მან სპეციალური კოშკი ააგო, სადაც ყველა პირობა
იყო სწავლა-წვრთნისა:

მეფემან კოშკი ააგო, შიგან საყოფი ქალისა;
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,
ძირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;
იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა!
(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცე-
მა, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016, გვ. 73).

ნესტანს ჰყავდა მამიდა დავარი, „ვინ გრძნები-
თა ცაცა იცის”, ესე იგი, ერთობ ბრძენი და თანაც
ასტროლოგი, მნათობთა ავანჩავანიც რომ კარგად
უწყოდა; სწორედ მას, ერთგულსა და მისანდოს,
დაავალეს უფლისწულის აღზრდა.

დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა
შვილი.

მაშასადამე, ჰქონიათ ასეთი წესი: პედაგოგიურ
პროცესში რომ მშობლები არ ჩარეულიყვნენ, აღ-
საზრდელი ცალკე სახლში იზრდებოდა – ვერც ნა-
თესავნი და ვერ მოსეირენი ვერ დაინახავდნენ.
სწორედ ეს არის ხაზგასმული ტექსტში:

სრა ედგა, მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა; ვერვინ ვხედევდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა; ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა.

(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცემა, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016, გვ. 73).

დაიხატა სააღმზრდელო გარემოს სრული სურათი: ცალკე მოწყობილი სახლი, შემოკავებული მაღალი ზღუდით; სახლის ირგვლივ მდიდარი ბაღი; მასნავლებლად – ბრძენქალი დავარი და დამხმარე-ებად – ფრეილინა ასმათი და ორი მონა-ზანგი.

საგულისხმოა, რომ განმარტოებულად აღზრდის ეს წესი მოქმედებდა უფრო გვიან ხანაშიც. XVII-XVIII საუკუნეების მეიგავე-დიდაქტიკოსი და დიდი განმანათლებელი სულხან ორბელიანი თხზავს იგავ-არაკთა კრებულს „სიბრძნე სიცრუისა“. აქ აღწერილია ფინეზ მეფის კარი. ხელმწიფეს, როგორც იქნა, ელირსა დე ჯუმბერი, რომელიც საწვრთნელად გარეშე სპეციალისტს – ლეონს – მისცა. პედაგოგმა პირობის ხელწერილი ჩამოართვა მბრძანებელს, რომლის ძალითაც მშობელი წვრთნის პროცესში ვერ ჩაერეოდა; რაც მთავარია, უფლისწული ცალკე სახლში უნდა დავარგებულიყო. აი, როგორაა ყოველივე ეს აღწერილი: „მისცა მეფემან ხელითწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა

ზედა; აღაშენა სახლი სამეფო და ჯდა მუნ. დაუწყო
ჯუმბერს წვრთნა და ასწავლიდა დღივ და ღამ, და
მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად“ (ორბელიანი
სულხან, სიბრძნე სიცრუისა, წიგნში „ქართული
მწერლობა“, VII, თბილისი, 1989, გვ. 24).

აქ საყურადღებოა ორი გარემოება: ლეონმა სა-
სახლის გარეთ, კარისაგან მოშორებით, ააშენებინა
საწვრთნელი სახლი, სადაც მონაფისა და პედაგო-
გის საქმიანობას ვერავინ ხედავდა. ესე იგი, პედა-
გოგიურ პროცესში ვერავინ ჩაერეოდა. საგანგებო-
დაა ხაზგასმული – მეფეს ხშირ-ხშირად აღარ აჩვე-
ნებდაო პირმშოს.

როგორცა ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ აღწე-
რილი ვითარების მსგავსია ორბელიანის თხზულე-
ბაში წარმოსახული სააღმზრდელო გარემო.

მართალია, აქ კონკრეტულად არაა მითითებუ-
ლი ზუსტი ასაკი, ოლონდ უნდა იგულისხმებოდეს
შვიდი წელი. თხზულებაში თქმულია: „რა წამოი-
ზარდაო“. მოზარდად შვიდი წლის ყმაწვილი უნდა
ვიგულვოთ, მით უფრო, რომ იქვე მითითებულია:
ლეონი ქეიფობდა, ხოლო შეგირდს მწდეობას ავა-
ლებდაო.

როგორცა ჩანს, აუცილებელი სწავლა-აღ-
ზრდის პროცესი გრძელდებოდა 8–10 წელიწადს.
ტარიელი კიდევ ერთ სანიშნო ასაკს მიუთითებს:

**თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა
შვილსა.**

ე.ი. 15 წლის ასაკშიც გრძელდებოდა წვრთნა.
შვიდიდან 15-16 წლამდე კი 8-9 წელიწადია.

ყველაფრიდან ჩანს: ვაჟთა აღზრდაში დიდი
ყურადღება ეთმობოდა სამხედრო ასპარეზობი-
სათვის საჭირო უნარ-ჩვეულების გამომუშავებას. ეს
ირკვევა ამირბარის სიტყვებიდან:

**თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა
შვილსა,
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.**

იგულისხმებოდა, რომ სამონადირეო ილეთების
ზედიწევნით ცოდნა საბრძოლო მომზადების სა-
ფუძველი იყო, ხოლო სპორტულ ასპარეზზე გამოს-
ვლა – ფიზიკური ძლიერებისა. ეს ორგვარი – სამ-
ხედრო და სპორტული – თამაშები უფრო დაკონ-
კრეტებულია მომდევნო სტროფში.

**მოსრნეს მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან
სრეულმან,
მერმე ვიბურთი მოედანს მინდორით შემოქცეულმან.**

სპორტული მომზადება რომ ერთ-ერთი საუკე-
თესო გზა იყო პიროვნების ჰარმონიული განვითა-
რებისა, ეს ჩანს ფრიდონის სიტყვებიდან:

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ
მწვრთიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან,
მწვრთიდიან.

მოქმედება-ქცევის წესებზე ბევრს მეტყველებს პოემის ერთი სცენა. რაინდი ხელმწიფეს კოშკში შეჰვა. მამას ეწადა, ქალიშვილისათვის მინდვრად დახოცილი დურაჯები ეჩუქებინა. აქ მკაფიოდ ჩანს ეტიკეტი: ნანადირევი ხელთ უპყრია და მიაქვს ყმანვილკაცს; მეფე წინ მიდის, ის უკან მისდევს; კოშკის კორიდორში რომ მოხვდნენ, პატრონი ოთახში შევიდა, ხოლო ახალგაზრდა კაცი ზრდილობის წესთა სრული დაცვით ფარდაგის მოღმა შედგა და დაელოდა. მან არ იკადრა, პატრონს შიგნით შეჰვილოდა:

ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა,
მე გარე ვდეგ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედევდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა.

(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცემა, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016, გვ. 76).

მამიდა დავარი რომ გერგილიანი სპეციალისტი გამოდგა, ეს დასტურდება არაერთი ეპიზოდიდან: ნესტანი მრავალმხრივ განვითარებული ქალბატონი დადგა. მან ბრწყინვალედ შეისწავლა ფილოსოფია. ეს ჩანს მისი ანდერძიდან, რომელიც ქაჯეთის

ციხეში შეთხზა. ამ ბარათში უღრმეს სუფიურ იდე-ებზეა საუბარი. სუფიური იდების წვდომა კი სა-განგებო გონებრივი წვრთნის თვინიერ ყოვლად წარმოუდგენელია! მეორეც, ამ უსტარში ბანოვანი ამჟღავნებს დიდ ესთეტიკურ გემოვნებას, პოეტურ ბუნებას, წერითი მეტყველების ოსტატობას. წერი-თი მეტყველება კი მეტყველების უმაღლესი ფორ-მაა, პიროვნების კულტურის უაღრესი გამოვლენაა.

რუსთველის იდეით, ადამიანი ღვთაებრივად მოწყობილი წესრიგის, მსოფლიო ჰარმონიის, ერთ-ერთი მაღალი შუალედური რგოლია. ამიტომ მან უნდა იზრუნოს მასზე მდაბლებთან ჰარმონიულ თანაარსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ყური მიუგ-დოს და მზერა მიაპყროს მასზე მაღალთა ჰარმონი-ის საიდუმლოს, კოსმიურ ჰარმონიას, ფეხი აუწყოს მასზე მაღლა მდგომთა კანონებს. აი, სწორედ მაშინ მოხერხდება უარუთქმელი შერწყმა „ზესთ მწყობ-რთა მწყობთან“, ანუ, როგორც ვიკტორ ნოზაძე მი-უთითებს, „ორდინადორ სუპრემოსთან“ – პირველ, უზენაეს მომწყობთან, ღმერთთან (ნოზაძე ვიკ-ტორ, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პა-რიზი, 1963, გვ. 371). საამისოდ კი აუცილებელია, ადამიანმა მიიღოს სწავლა და შემდგომ ეგ ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს.

2017 6.

დაბნეული „ქარავანი“

თეირანში ბევრი აღმოსავლეთმცოდნეობითი გამოცემა გამოდის. მათ შორის ამ ბოლოს საკმაო პოპულარობა მოიხვეჭა რუსულენოვანმა ელექტრონულმა უურნალმა, რომელსაც ეწოდება „ქარავანი“. ირანელ და რუს ირანისტთა ძალისხმევით შევსებული ამ გამოცემის 2017 წლის ერთ-ერთ ნომერში (49) გამოქვეყნდა ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის ბატონ ფელიქს კურცვაილის მოსაზრებები რუსთველის პოემის შესახებ. ავტორის მთავარი სათქმელი ასე გამოიყურება – „შოთა რუსთველი ნიჭიერი მთარგმნელია სპარსული პოემისა „ვეფხისტყაოსანი“ და არა პოეტი“.

ეს დებადი რომ დაამტკიცოს, აღმოსავლეთმცოდნე მსჯელობს ბევრ რუსთველოლოგიურ პრობლემასა და საკითხზე: ზოგზე – მართებულად, ზოგზე – მცდარად. საზოგადოდ კი, ძირითადად, ძველ ავტორებსა და მოძველებულ მოსაზრებებს იმეორებს, ოღონდ აკეთებს მსჯელობასთან შეუწონავ თამამ დასკვნებს.

თანამიმდევრულად მივყვეთ ავტორისეულ მსჯელობას და დავურთოთ ჩვენეული კომენტარი.

ბევრი მსჯელობა ბატონი ფელიქს კურცვაილისა ისტორიულ-აღწერილობითი ხასიათისაა და აქ

საკამათოც არაფერია. ის ბრძანებს: თვით პოემა პირველყოფილი სახით არ შემონახულა; პოემის უადრესი რედაქციის თარიღია 1646 წელი. ეს ვარიანტი გადაათეთრა მამუკა თავაქარაშვილმა; დამკვეთი გახლავთ ლევან დადიანი. მამუკამვე შეამკოტექსტი მინიატიურებითო.

ისიც სიმართლეა, რასაც შემდგომ უმატებს მთხოვბელი: საუკუნეთა წიაღ ტექსტი ცვლილებას განიცდიდა; უმატებდნენ სტროფებს, ზოგჯერ ახალ თავებსაც; XVII საუკუნეში ჩნდება „გაგრძელებათა“ მთელი ციკლი. ამ გაგრძელებათა ავტორები არიან ნანუჩა ციციშვილი, ქაიხოსრო ჩოლოვაშვილი, იოსებ თბილელი და სხვანი.

მართებულია ისიც, რომ ქმნილების პირველი ბეჭდური გამოცემა განახორციელა ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს თბილისში.

აღმოსავლეთმცოდნე დასძენს: ქართველი ლიტერატურათმცოდნები ამტკიცებენ, რომ ავტორი ცხოვრობდა XII-XIII საუკუნეებში, თამარის ზეობის უამს, ოღონდ პრობლემა ის არის, რომ არც ერთ წერილობით წყაროში არ არისო მოხსენიებული „ქართველ პოეტ“ რუსთველზე.

ამ პუნქტთან დაკავშირებით სადავო არაფერია, თუმცა ერთგვარი განმარტება მაინც საჭიროა: საქმე ისაა, რომ ტექსტი შეთხზულია 1205-1207 წლებ-

ში. ხალხში მის გასვლასა და ავტორის გაპოპულარებას დრო დასჭირდებოდა. არადა უკვე კარს იყო მომდგარი დიდი საშინელება – მონღოლთა შემოსევები. უკვე 1220 წლიდან საქართველოს მოკრიალებული ცა შავმა ლრუბელმა დაფარა და, სავარაუდოდ, პოემისა და მისი ავტორისათვის აღარავის სცხელოდა.

ასევე არაფერია საკამათო, როცა ისტორიკოსი მიუთითებს, რომ მეცნიერები ჯერაც ვერ შეთანხმებულან, რომელი რუსთავიდან იყო მწერალი: მესხეთისა თუ თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდანო?

ეს მართლაც სადავო საკითხი გახლდათ და არის კიდეც. რაკი ამ გამოხმაურების ავტორი მე გახლავართ, ალბათ, მაქვს უფლება, ჩემი მოსაზრებაც გაგახსენოთ. ამ მოსაზრებას 1991 წლიდან თანამიმდევრულად ვავითარებდი პროფ. პროკოფი რატიანის თეორიის კვალდაკვალ:

VI საუკუნიდან დღემდე სიტყვა **რუსთველი** მუდამ და ყოველთვის აღნიშნავდა ერთ რასმე – თბილისის ახლოს მდებარე დაბა **რუსთავის ეპისკოპოსის**. განსაკუთრებით კარგად და მკაფიოდ ეს ჩანს არჩილ მეფის ვრცელ პოემაში, რომელსაც ასე ეწოდება - „თეიმურაზ მეფისა და რუსთველის გა-

ბაასება“. მეფე-პოეტის ამ პოემაში გამოყვანილი არიან ეპისკოპოსები – რუსთველები.

ფორმა **რუსთველი** არასოდეს აღნიშნავდა საერო პირს.

შესაძლოა, ვინმემ გაიხსენოს იერუსალიმის ტაძრის სვეტზე არსებული რუსთველის პორტრეტი და მისი საერო-სამეფო ტანსაცმელი.

ეგ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან ცნობილი ისტორიული ფაქტია: სრულიად საქართველოში ერთადერთი იყო **რუსთავის** ეპისკოპოსი **რუსთველი**, რომელსაც უფლება ჰქონდა ჰყოლოდა ჯარი და სცმოდა საერო ფეოდალის სამოსიც.

სხვათა შორის, არჩილის პოემაში **რუსთველი** ჯარის პატრონია. ეგ ისტორიული სიმართლე დაცულია მიხეილ ჭიაურელის ფილმ „გიორგი სააკაძეში“. სწორედ რომ რუსთველს (რუსთავის ეპისკოპოსს) სთხოვს ულაშქროდ დარჩენილი სარდალი საეკლესიო ჯარს, რათა სპარსელები გაანადგუროს.

სამაგიეროდ, სრული გაუგებრობაა, როცა ფორმისაგან **რუსთველი** მკვლევარს გამოჰყავს უცნაური შინაარსი.

იგი სიტყვას ორ ნაწილად განწვალავს: „რუსთა“ და „ველი“. მერე დასძენს, რომ „რუსთა“ ფარსის

ენაზე არისო „სოფელი“, „დასახლება“, ხოლო ქართულია „ველი“ და ნიშნავსო მინდორს.

აქედან ხელის ერთ განვდენაზეა ასეთი ახსნაც: რუსთველი შედგება ორი სიტყვისაგან: **რუსთა და ველი**. ესე იგი, რუსების ველი.

რა თქმა უნდა, ამგვარი „ხალხური ეტიმოლოგიები“ მუდამ მცდარი და კატასტროფულად დამღუპველია.

მომყავს ერთი საამრიგო ნიმუში.

კახეთში არსებობს ცნობილი სოფელი არაშენდა. აქ თითქოსდა ყველაფერი ნათელია: ორი სიტყვაა და ორივე ქართული: **არ აშენდა**.

აი, ხალხური ეტიმოლოგია!

არადა თურქეთში არსებობს მთელი ქალაქი, რომელსაც ეწოდება **არაშენდა**. მაშასადამე, ამ ტოპონიმის შინაარსი უნდა ვეძიოთ თურქულენოვანი სამყაროში. ამის მსგავსი ტოპონიმი სხვაცა გვაქვს. **ალავერდი** ნიშნავს ალახის სასურველს, საყვარელს.

მკვლევარი შემდგომ ასე მსჯელობს: რაკიდა პოემის ტექსტი საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა, არაა გასაკვირი, რომ ზედწოდებაც გადასხვაფერდა: **რუსთველი** გახდა **რუსთაველი**. ეს ცვლილება მოხდა XVI-XVII საუკუნეებში.

არა, ალნიშნული ცვლილება არ მოხდარა ასე

ადრე. ამასთანავე, ამ არასწორი ცვლილების სულისჩამდგმელიც ცნობილია. სწორი ფორმა **რუსთველი** პირველად ხელყო და შემდეგ შერყვნილი ფორმა გააპატონა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწემ და ერეკლე მეორის ბიძაშვილმა ანტონ კათალიკოსმა (ბაგრატიონმა), „წყობილსიტყვაობის“ ავტორმა.

თუ რატომ მოიქცა ასე და როგორ მოხდა ყოველივე ეს, ამის თაობაზე ფართოდ მსჯელობს აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

აკაკი შანიძე მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მოითხოვდა და მე მოკრძალებით კვერს ვუკრავდი, რომ თავი დაგვენებებინა მცდარი ფორმისათვის და გადავსულიყავით ისტორიულად და ყველანაირად სწორ ფორმაზე **რუსთველი**, ოღონდ ჩვენი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მკვლევარი მიუთითებს: საკუთრივ ტექსტში არსად არაა ნახსენები თამარი ან დავით სოსლანი. ისინი პროლოგსა და ეპილოგში მოიხსენიებიან. ამიტომაც ცდებიან ქართველი მეცნიერები, რომ პოემას თამარის ეპოქას მიაწერენო.

ეს გახლავთ აღნიშნული მხატვრული ქმნილების არსის სრული გაუგებრობა, მისი სპეციფიკის დაუნახაობა.

საქმე ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ერთობ სპე-

ციფიკური ქმნილებაა. საკუთრივ ტექსტი, როგორც პოემის ეპილოგში არის მითითებული, გახლავთ – „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“. აქ გაშლილია მაჰმადიანური სამყარო, ქვეყნებად წარმოსახულია ინდოეთი, არაბეთი, ხატაეთი, ასე რომ, ამ ნაწილში თამარისა და დავითის ხსენება ვერ მოხდებოდა, არაფრით იქნებოდა მოტივირებული; საერთოდაც, ქართული და ქრისტიანული რეალობები ვერ გაჭაჭანდებოდა. სამუქფოდ, ამის შესაძლებლობა იყო პროლოგსა და ეპილოგში, რაც კიდევაც გამოიყენა პოეტმა.

მაშასადამე, პროლოგ-ეპილოგის მონაცემებზე დაყრდნობით სავსებით შესაძლებელია და ლოგიკური თხზულება და მისი ავტორი მიებას „ოქროს ხანას“, თამარის ეპოქას.

აღმოსავლეთმცოდნე მკვლევარი არასწორად მიიჩნევს იდეას, რომ პოემა რუსთველმა მიუძღვნა თამარ მეფეს.

აქ მკვლევარი მართალიცაა და მტყუანიც.

მართალია იმ მხრივ, რომ პოეტს არავითარი მიძღვნა არ გაუკეთებია, პოემა თამარისათვის არ მიუძღვნია. ოღონდ უზუსტოა, რადგან ამ იდეას ყველა მკვლევარს მიაწერს. არასოდეს განუცხადებია აკადემიკოს ალ. ბარამიძეს, რომ პოემა ეძღვნება თამარს; პირადად მე, როგორც ერთი რუსთვე-

ლოლოგი, ამ იდეის საწინააღმდეგოდ ყოველთვის სასტიკად გამოვდიოდი (იხ. „ვეფხისტყაოსნის და-ფანტული სტროფები“, 1991 და სხვ.).

საზოგადოდ, ეგ იდეა გამომდინარეობს იმ ქარ-თული ხალხური ზღაპრიდან, ვითომდაც რუს-თველს უყვარდა თამარი. ამ იდეას სასტიკად ეწინა-აღმდეგებოდნენ ვაჟა-ფშაველა, ალ. ბარამიძე და სხვები. ვიყენებ ჩემს საავტორო უფლებასა და გა-უწყებთ: ამ სისულელეს მე ცალკე თავი მივუძღვენი ჩემს დიდ წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“. იმ თავს მრავლისმეტყველი სათაური აქვს – „ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული“.

მართალია, პოემის რუსულ თარგმანში ზაბო-ლოცვიმ ისე წაიყვანა საქმე, რომ რუსთველი თით-ქოს პოემას მეფე-ქალბატონს უძღვნის, ოღონდ ზა-ბოლოცვის ეს „თავისუფლება“ ქართულ მეცნიერე-ბას კვლევის დროს არ გამოუყენებია. სერიოზული მკვლევარი დედანს იძიებს და არა თავისუფალ თარგმანს.

ჩვენ ყოველთვის ვწერდით და ვამბობდით, რომ, თუმცა კი „ვეფხისტყაოსანი“ თამარისათვის არ მიუძღვნია, ოღონდ სახოტბო ქმნილება მართლა მიურთმევია ქალბატონისთვის. ამის შესახებ პოე-მის პროლოგში რუსთველი თვითონ მიუთითებს: მეც ვაქე თამარის სილამაზე და საქმიანი თვისებე-

ბი და ჩემი ხოტბა სხვებისას არ ჩამოუვარდებოდათ: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“. აღსანიშნავია, რომ ამგვარ პოეზიას გენიოსი ღირებულად არა მიიჩნევდა. სხვათა შორის, უფრო ადრე ამ აზრს ადგნენ ფირდოუსი და ნიზამი. აქ რუსთველი ორიგინალური სულაც არაა!

რა არგუმენტები მოჰყავს მკვლევარს საიმისოდ, რომ ამტკიცოს – რუსთველი მთარგმნელია და არა ორიგინალური პოეტი?

ესაა ორი არგუმენტი და ორივე უსაშველოდ მოძველებული, ქართული მეცნიერების მიერ დიდი ხნის წინათ დაძლეული.

პირველი თავად რუსთველის განცხადებაა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი“. მეორეა მამა-შვილ მარების დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ პოემის დედანი არსებობს სპარსულ ლიტერატურაში.

მივხედოთ პირველ დასაბუთებას, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა მეორე.

სტროფი, რომელშიც ზემოთ მითითებული ტაეპია, ნამდვილად რუსთველისაა და იგი საეჭვოდ არასოდეს ქცეულა. მაშ, ავტორი ნამდვილად წერს: ეგ ამბავი, რომელიც ერთობ საინტერესო და ხელისხელ საგოგმანებია, სპარსულია; ვიღაცას ქარ-

თულად უთარგმნია. ეგ თარგმნილი ტექსტი მე ჩა-
მივარდა ხელში და გავლექსეო.

ამრიგად, ავტორი არსებული პროზაული ტექ-
სტის გალექსვას იბრალებს მხოლოდ. იქვე გვიხ-
სნის, თუ რატომ მოიქცა ასე, პროზაულ მოთხრო-
ბას რატომ არჩია რომანი ლექსად.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

გადმოვიდოთ თანამედროვე პროზაულ ენაზე:
შაირი, ანუ ლექსი, იმად სჯობს პროზას, რომ ის
უფრო დაკუმშულად, უფრო კონდენსირებულად
ამბობს სათქმელს.

სხვათა შორის, რუსთველი მარტო არც აქ არის.
უფრო ადრე ეგ იდეა გამოხატეს მისმა დიდმა წინა-
მორბედებმა და მასწავლებლებმა – ფირდოუსიმ და
განჯევიმ.

რუსთველის ეგ განცხადება არის ლიტერატუ-
რული მისტიფიკაცია. არავითარი მსგავსი ამბავი
სპარსულ ლიტერატურაში არ არსებობს. ამის თაო-
ბაზე დიდოსტატურად მსჯელობდნენ ვახტანგ მე-
ექვსე, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა.

მხოლოდ ლუკა რაზიკაშვილის იდეას გავიხსე-
ნებ: ეს ისე კარგი ამბავია, სპარსულად რომ ყოფი-
ლიყო, რომელიმე ირანელი პოეტი ნამდვილად გა-

დაამუშავებდა, მით უფრო, რომ იქ უფრო მდარე სიუჟეტსაც კი არაერთი ამუშავებსო.

ვაუა-ფშაველა სხვა მხრიდანაც მიუდგა საკითხს. მან განაცხადა: შექსპირიც ბევრ სხვის სიუჟეტს ლექსავდა და ამხატვრულებდა, შემოქმედებითად გარდაქმნიდა, ოღონდ იმ მასალებიდან გენიალური ქმნილებები გამოჰყავდაო; ფაუსტის თქმულება გერმანიაში ათობით მწერალმა გადაამუშავა, ოღონდ გენიალური ქმნილება მხოლოდ გოეთეს გამოუვიდაო. ამ მაგალითებს უნდა დაემატოს გოგოლიც. ამ პროზაიკოსის ბევრი „ფაბლიო“ ნასხვისარია, თუმცა მისთვის გენიოსის წოდება არავის ჩამოურთმევია.

მაშასადამე, რომც ესარგებლა რუსთველს სხვისი შავი მასალით, ამითაც არაფერი დააკლდებოდა. მით უფრო, რომ მისი დროისა და ადრინდელ სპარსულ ლიტერატურაში იყო მტკიცე წესი: პოეტი ნაცნობ, სხვის მიერ გალექსილ მასალას იღებდა, ხელმეორედ ამხატვრულებდა და სახელს იმით გაითქვამდა, რომ აჯობებდა წინამორბედს და წინაზე უკეთეს მხატვრულ სინამდვილეს შექმნიდა.

მაგრამ რუსთველის შემთხვევაში არც ეს მომხდარა. ამბავიც თავად გამოიგონა და ლექსადაც გენიალურად შეაწყო.

ახლა იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეიძლება

ამგვარი ამბავი იყოს სპარსულ სამყაროში, ირანულ-არაბულ სივრცეში.

საქმე ისაა, რომ ქართულ პოემაში სარკისებურად არის რევერბირებული საქართველოში დატრიალებული ვითარებანი.

ამის შესახებ „დაფანტულ სტროფებში“ (1991) ფართოდ ვსაუბრობ. აქ ვიტყვი მოკლედ: ტექსტში ორ პარალელურ ამბად არის გაშლილი თამარ მეფეს თავს გადახდენილი ამბავი. ერთი ასახავს არასასურველს, რეალურს, რაც მოხდა, იმას; მეორე – იდეალურს, იმას, რაც სასურველი იყო, რომ მომხდარიყო. კერძოდ, ტარიელ-ნესტანისა და ხვარაზმშას ამბავში რევერბირებულია თამარისა და გიორგი რუსის კრახით დასრულებული ამბავი, ხოლო ავთანდილ-თინათინის ამბავში ნაჩვენებია თამარისა და დავით სოსლანის ურთიერთობის ანარეკლი. ავტორი, ეტყობა, ქართველთა იმ დასის წევრია, რომელიც წინააღმდეგი იყო თამარის საქმროდ გარეშე ძალის მოწვევისა. მისი იდეაა: „სხვას, მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!“ არადა ქართველებმა სწორედ ეს გზა აირჩიეს და საქმე სავალალოდ დამთავრდა (ხვარაზმშა-ნესტანის ამბავი); პატრიოტ ქართველთა დასის იდეა ასეთია: „სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“ ამ დასის მოსაზრებისამებრ რომ გა-

დაეჭრათ თამარის გათხოვების პრობლემა, ყველა-ფერი ისე კეთილად დამთავრდებოდა, როგორც არაბეთში (თინათინ-ავთანდილის ამბავი). მაშინ საქართველო ბევრ დავიდარაბასა და დიდ სისხლს ას-ცდებოდა. ამრიგად, პოემის ავტორმა უკვე მშვენივრად იცის თამარის სამეფო კარზე მომხდარი ორივე შემთხვევა, ჯერ ცუდი (თამარ-გიორგი რუსის ურთიერთობა) და შემდეგ კარგი (თამარ-დავით სოსლანის ურთიერთობა).

ამგვარი ან ამის მსგავსი ამბავი კი არსად – არც სპარსეთსა და არც არაბეთში არ მომხდარა! ეს მოხდა მხოლოდ საქართველოში და იცოდა მხოლოდ რუსთველმა.

ამიტომაც არის, რომ სპარსეთში მსგავსი სიუ-ჟეტი არ აღმოჩნდა.

და, რომ არ აღმოჩნდა, სწორედ ამაზე მეტყველებს ნიკო მარისა და იური მარის ამაო ძიებები.

მართალია, ბატონ ფელიქს კურცვაილს დიდის ამბით მოჰყავს ნიკო მარის ცნობილი განცხადება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი ვიპოვე და მალე გამოვაქვეყნებო, მაგრამ ეს აღმოჩნდა ლიტონი განცხადება. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე უკიუინებდა ნიკო მარს: - გვაჩვენე, ბატონო, ეგ დედანიო, მაგრამ ისე მოკვდა, ნიკო მარმა ვერაფერი უჩვენა.

თუმცა კი ძალიან ეცადა, ნ. მარმა ამ კუთხით ნახევარი ნაბიჯიც კი ვერ გადადგა.

იგივე მოუვიდა მის ნიჭიერ შვილსაც. იური მარი და მისი მეგობარი ჩაიკინი გამალებით დაეძებდნენ რაიმე წყაროს, ოღონდ ვერაფერს მიაგნეს. იური მარი იქით იხრებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი უნდა მოდიოდესო ცნობილი პოეტის, პოეტთა მეფედ წოდებული ონსორის ერთ-ერთი პოემიდან. სინამდვილეში ონსორისა ბევრი არაფერია შემორჩენილი და, რაც არის, იმათმი „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალური ამბების ნასახიც კი არ ილანდება. მაშ, იური მარსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

და აქ მე, მურმან თავდიშვილმა, მამა-შვილს უნდა ირონიულად ჩავუხველო.

მიკვირს და გამკვირვებია, როგორ უნდა მეჯობნა მე მამა-შვილისათვის აღნიშნული კუთხით ძიებისას?

ნიკო მარი და იური მარი საგანგებოდ მომზადებული იყვნენ ორიენტალისტიკაში, იცოდნენ ძველი და თანამედროვე სპარსული, ბევრი სხვა ენა, მოგზაურობდნენ სპარსეთსა და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში და მაინც ვერაფერ ხელჩასაჭიდებელს ვერ მიაკვლიეს; მე კი, ყოველგვარ ამ სიკეთეს მოკლებულმა, ნამდვილად მივაგენი რუსთველის პოე-

მის წყაროს, ანუ იმ მცირეს, რაც მისაგნები იყო და მარებმა თვალიც კი ვერ ჰქონდეს. პირდაპირ გაოცებული ვარ: ნუთუ მათ არც კი წაუკითხავთ ნიზამი განჯელის ტექსტები?!

დიახ, თუ რამე უსარგებლია რუსთველს სპარსული პოეზიიდან, ეს გახლავთ ნიზამის შემოქმედების მადლი, მაგრამ ეგ მადლი ძალიან ცოტაა, ერთობ მკაფიოა და სიუჟეტს საერთოდ არ გულისხმობს.

2011 წელს გამოვიდა ჩემი მონოგრაფია „ნიზამი და რუსთველი“. იქ ნათლად არის ნაჩვენები, თუ რითი უსარგებლია რუსთველს. ახლა მოკლედ ვიტყვი: ავთანდილის პროტოტიპია „ლეილისა და მაჯნუნის“ პერსონაჟი, მაჯნუნის მეგობარი აბდელ **სალამი** (სხვათა შორის, **სალამი** ნახსენებია „ვეფხისტყაოსანში“); ტარიელის პროტოტიპს კი რუსთველი გასცნობია ნაზამის ბოლო პოემა „ისკანდერ-ნამეში“. სწორედ აქ არის გამოყვანილი ტარიელის მსგავსი ძლიერი რაინდი, რომელიც ყველას ამარცხებს და რომელსაც ვეფხის ტყავი აცვია; კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ამავე პოემაშია გამოყვანილი ქართველი ნესტან-დარეჯანის პროტოტიპიც. ამ ულამაზეს ქალიშვილსაც ნესტან-დარეჯანი ჰქვია. ასე რომ, ნიზამი განჯევი პირველია, რომელ-

მაც ულამაზეს ნესტან-დარეჯანს უმღერა, რუს-თველი კი – მეორე.

ვისაც ეს საკითხები უფრო დაწვრილებით აინტერესებს, უნდა წაიკითხოს მითითებული წიგნი და იმაშიც დარწმუნდება, რომ ქართველ პოეტს განჯევის ეს ბოლო პოემა ზედმინევნით სცოდნია.

აი, რაც ნამდვილი და ასპროცენტიანია აღნიშნული ლიტერატურული ურთიერთობების კუთხით, ოღონდ, როგორც დავინახეთ, მამა-შვილ მარებს ნიზამი, ეტყობა, არც კი წაუკითხავთ. აქ სხვაც რამ ირკვევა: სიუჟეტის არავითარი სესხება არ დასტურდება. ისევ შევიხსენოთ ვახტანგ მეექვსე: ამბავიც თვითონ შეთხზა და ლექსიც თვითონ შეაწყო.

ბატონი კურცვაილი არაერთგზის და დაუინებით იმეორებს: ქართველი მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემალათ პოემის სპარსული-დან წარმომავლობაო.

ეს სრული უსამართლობაა, რადგან არც ერთ მკვლევარ ტექსტოლოგს არასოდეს ამოუღია პოემიდან ის სტროფი, სადაც ნათქვამია: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი“.

მკვლევარი ეხება სტილსაც და დასძენს: პოემა არისო სპარსული სტილის ქმნილება.

ეს სიმართლეა და პოემა ამ მხრივ მართლაც რომ „სპარსულია“. სამაგიეროდ, სრულიად ულო-

გიკოა განაცხადი: ტექსტში ხშირად მოიხსენიება ყურანი, რაც მიგვანიშნებს, რომ პოემა შექმნილია სპარსული, არაბული, ინდური სიუჟეტების ზეგავლენითო.

გაუგებარია, ყურანის მოხსენიება რატომ გულისხმობს უსათუოდ უცხოურ სიუჟეტებს? ყურანი, შეიძლება, ათჯერ იყოს ნახსენები, ვთქვათ, ქართულ ჰელიოგრაფიულ ტექსტში, ოღონდ ეგ სიუჟეტის სადაურობას ვერაფრით განსაზღვრავს.

პოემის სულისკვეთების სრული გაუგებრობაა ასეთი განაცხადი: „პოემას, გარდა ქართული ენისა, არაფერი სცხია „ჭეშმარიტად ქართული“.

აბა, ახლა ილია ჭავჭავაძეს ვუგდოთ ყური, რომელიც მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქართველმა ერმა თავისი ფიქრი, ოცნება და გულისნადები ჩადოო.

ახლა კი ვის დავუჯეროთ, ილია ჭავჭავაძეს თუ ბატონ კურცვაილს? რომელი მათგანი უკეთ იცნობს ქართველ ერსა და „ვეფხისტყაოსანს“? ესეც რომ არ იყოს, რომელი უკეთ ჩასწვდებოდა ჩვენს ნაციონალურ ეპოსს – ილია თუ კურცვაილი?

კიდევ ერთი ყოვლად შეუწყნარებელი იდეა: პოემაში ბევრგან არის ნახსენები ყურანი, რომლის სწავლებაც ეწინააღმდეგებოდა ქართულ ქრისტიანულ აღმსარებლობასო.

ამ საკითხს ბრწყინვალე პასუხი გასცა ღვთაებ-რივმა რუსთველოლოგმა ვიკტორ ნოზაძემ, რომლის ნაშრომებსაც მკვლევარი, რა თქმა უნდა, არ იცნობს. ნოზაძემ დაასაბუთა: პოემის მაჰმადიანი გმირები არაფერს ანტიქრისტიანულს არ ამბობენ; ისინი იქცევიან, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები, ოღონდ ეგაა, რომ გარეგნულად დახატული არიან და აცვიათ მაჰმადიანურად. თვით ავთანდილის ლოცვაც კი მეჩეთში ისე ქრისტიანული ეჩვენა მამუკა თავაქარაშვილს 1646 წელს, რომ მეჩეთს კენ-ნეროში ჯვარი მიახატა.

„ქარავნის“ კორესპონდენტი უშვებს სხვა (ფაქ-ტობრივ) შეცდომებსაც.

1. რუსთველი ეპილოგში ახსენებს სარგის თმოგველსო. სტროფი, სადაც ნახსენებია სარგის თმოგველი, არ ეკუთვნის რუსთველს. ის ინტერპოლატორისაა და მას ჰქვია „ვინმე მესხი მელექსე“;

2. პოემში გამოხატულია ირანის ნაციონალური ტენდენცია.

პირიქით, დიდი ხანია და კარგად დამტკიცებულია, რომ ქმნილება ავლენს ანტიირანულ სულისკვეთებას. აი, საამრიგო გამოთქმები: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ!“ (ნესტანის სიტყვებია); „ჰკადრე, თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა!“ (ნესტანის სიტყვებია).

დასკვნა: ორიენტალისტური ჟურნალი „ქარა-ვანი“ დაიბნა და უდაბნოს დიუნებში ჩაიკარგა; ბატონ ფელიქს კურცვაილის ძირითადი თეზისიც ისე ბუნდოვანია, როგორც ოაზისი მოეჩვენება ხოლმე ხვატითა და უწყლობით გულშეღონებულსა და იმედნარკვეთილ მგზავრს.

2017 წ.

ქველი მეტყველების კულტურის (უზუსის) ელემენტები „ვეფხისტყაოსანში“

ქართულ ხალხურ ზღაპრებში შემორჩენილია ძველი მეტყველების კულტურის (უზუსის) მკაფიოდ გამოხატული მყარი ფორმულა. იგი ასე გამოიყურება: **იყო და არა იყო რა.**

ამ ფორმულით იწყება ყველა ზღაპარი.

ჩვენი ეროვნული ეპოსის თხრობითი ნაწილიც ამ ფორმულით იწყება: „**იყო არაპეთს როსტევან ...**“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 23, 1).

ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემაში ზღაპრის არაერთი ხერხი და კომპონენტია გამოყენებული. მაგალითად, უმცროსი გამარჯვებული ძმის მოტივი (ნესტანს ეძებს უფროსი ძმა ტარიელი). მას არაფერი გამოსდის; შემდეგ შუათანა ძმა ფრიდონი ცდის ბედს. არც მას გამოუვარაიმე. ბოლოს „ჯერთ უწვერული“ მესამე, უმცროსი, ძმა წავა ნესტანის საძებრად და წარმატებას იზეიმებს); დევისა და დევის ქვაბის მოტივი (ტარიელი და ასმათი დევებს ამოხოცავენ და დევის მღვიმეში დაიდებენ ბინას; ავთანდილი აქ გაიცნობს ას-

მათს. ქალი დაეხმარება სტუმარს სახიფათო „დე-ვის“, ტარიელის, გულის მოგებაში და ა.შ.); კიდევ ერთ ელემენტს დავასახელებთ: ქართულ ზღაპრებ-ში ერთმანეთზეა გადაწნულ-გადახლართული წყვი-ლის დაქორწინება და სახელმწიფო ტახტზე დაჯ-დომა. ასეა პოემაშიც: რანამს დაქორწინდება ავ-თანდილი, იმწამსვე მეფედ ცხადდება; ტარიელი რანამსაც იქორწინებს ნესტანზე ინდოეთში, იმწამ-სვე ტახტზე ადის; შვიდ სამეფოდ გაშლილ ინდო-ეთს ბატონ-პატრონად ევლინება და ა.შ.

ძალიან საინტერესო უზუსური მოვლენაა გა-მოთქმა **ადგა**. ეს ერთგვარი სასიგნალო ტერმინია, რომელიც სულ არ გულისხმობს იმას, რა შინაარ-სსაც ატარებს. ესე იგი, სადაც წერია **ადგა**, ყველ-გან და ყოველთვის როდი აღნიშნავს ამგვარ მოქმე-დებას. უფრო სწორად, იგი გამოხატავს სიგნალს, ძახილს, შეტყობინებას. რომელიდაც ზღაპარში ასე უცნაური უზუსური ფორმულაც კი წამიკითხავს: **ადგა და ადგაო.**

ეჭვი არაა, პირველი ადგა სასიგნალო ერთეუ-ლია, წმინდა წყლის უზუსია, ხოლო მეორე მართლა მოქმედებაა, მართლა წამოდგომაა.

ქართველი იტყვის: **ადგა და უთხრა.** საგულის-ხმოა, რომ წინ არსად არის ნაჩვენები, რომ მოქმედი პირი ზის, და, თუნდაც იჯდეს, რაიმეს თქმის წინ რა

საჭიროა ადგომა? ოღონდ აქ „ადგა“ უზუსური ელემენტია და სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას როდი გულისხმობს.

ამის კარგი პარადიგმული მაგალითი მოიპოვება რუსულ მეტყველებაში. „**Адга** და უთხრა“ რუსულად ასეთ სახეს მიიღებს: „**взял** и сказал“. დააკვირდით, რუსულ უზუსში „ადგა“ ჩაანაცვლა სხვა ზმნამ. ეგ არის „**взял**“.

მაში, ასე: „**Айлән** და უთხრა“ ან კიდევ „**Айлән** და მოკლა“, „**Айлән** და ესროლა“.

სინამდვილეში კი არავინ არაფერს იღებს.

ამ მხრივ საინტერესო მაგალითი გვაქვს ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრის ეპიზოდში. სპასპეტს აქვს დიდი სათხოვარი: ასმათი მას ტარიელის ამბავს უნდა მოუყვეს. ამიტომაც „ჯერთ უწვერული“ ქალს დაუჩოქებს, მუხლმოდრეკილი ევედრება. ფრაზა ამჟღავნებს უზუსურ მოვლენას:

ცრემლ-დენილი შეეხვეწა, **Адга**, მუხლი მიუყარნა (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 246, IV).

ჯერ ერთი, იმ დროს ავთანდილი არც იჯდა და არც იწვა; მეორეც, რომც მჯდარიყო, თუ მუხლის ჩოქებზე იყო დასადგომი, ადგომა რაღა საჭირო იქნებოდა?! მაგრამ საქმეც ის არის, რომ უზუსურმა მოვლენამ ეგ ლოგიკა არ იცის, ის მყარი სამეტყვე-

ლო ადათია, წესია, რაც საუკუნეების წიაღ შეიმუშავა ენამ და ემსახურება მეტყველების გახალისებას, გამრავალფეროვნებას, გაცოცხლებას.

მაშასადამე, „**ადგა**, მუხლნი მიუყარნა“ წმინდა წყლის უზუსია!

ამგვარი ფორმალური, „ლიტონი“ **ადგა** სხვა-განაც გვხვდება. პოემაშია: „**ადგა**, მითხრა“ (რუს-თველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 378, I). რუსულად რომ გვეთარგმნა ეგ ადგილი, ასეთი რამ გამოგვივიდოდა: „**ВЗЯЛ** и сказали“.

ახლა მოვიყვან შემთხვევას, სადაც ავთანდილი ფეხზე დგას, მაგრამ ავტორი მაინც ასე გვემეტყველება:

ავთანდილ **ადგა**, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 1349, IV).

საგულისხმოა მუხლმოყრის სხვა სცენა: „**ადგა**, მუხლნი დაუყარნა“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 1522, II).

ეს უზუსური ფორმულა ჩანს ე.წ. „ინდო-ხატა-ელთა ამბავშიც“, რომელიც პოემის ორგანული ნაწილია. ინდოეთიდან მომავალი მგლოვიარე ვაჭრები ტარიელის, როგორც მეფეთ მეფის, წინაშე ფეხ-

ზე დგანან, მაგრამ ფრაზა მაინც ასეთ სახეს იღებს:
„**ზე ადგეს** და მოახსენეს. . .“ (რუსთველი, ვეფხის-
ტყაოსანი, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბი-
ლისი, 1956, 1796, I).

ერთობ საინტერესოა პოემაში ნახმარი ტერმინი
ლახვარი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ XII-XIII საუკუნეებში
ლახვარი მოძველებული იარაღია და მას არავინ
ხმარობს. პრაქტიკულად იყენებენ შუბს. მართლაც,
შეტაკებებში ყველგან ეგ სახელი ტრიალებს: „კაცს
შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც“ და ა.შ. მაგრამ სასაუბ-
რო მეტყველებაშია **ლახვარი.** სხვათა შორის, დღე-
საც, ავტომატ „კალაშნიკოვისა“ და ატომის ეპოქა-
ში ქართველი ასე მსჯელობს: „კაცმა ფარ-ხმალი არ
უნდა დაყარო“. არადა, ამის მთქმელ დღევანდელ
ქართველს არც ფარი და არც ხმალი ხელში არასო-
დეს სჭერია! სწორედ ასე მოძველებულია რუსთვე-
ლის დროს ლახვარი და იგი სიტყვის მასალად,
უზუსის ელემენტად ქცეულა.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: თუ
შუბი პრაქტიკულ ბრძოლაში ისხენიება, **ლახვარი**
გამოიყენება მხოლოდ პიროვნების სულიერ-ფსიქი-
კური მდგომარეობის ასასახავად.

ვნახოთ საამრიგო მაგალითები:

1. რუსთველს თამარ მეფის საქებრად დაუწერია სახოგბო „ქებანი“. იგი ისე კეთილხმოვანი და ძლიერი ყოფილა, რომ „ვინცა ისმინოს, დაესვას **ლახვარი** გულსა ხეული“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 4, IV). სხვაგან მითითებულია, რომ რაღაც მოვლენა (ღმერთი) კაცს **ლახვარს** მოაშორებს: „მას **ლახვარსა** მოაშორვებს“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 636, II); არის ვითარება, სადაც ირკვევა, რომ გულის სიყვარულით დასაჭრელად საჭიროა ალმასის **ლახვარი** და არა ხის ჭოლოკი: „ალმასისა ხამს **ლახვარი**“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 344,4); ტარიელი ასე მსჯელობს: „**ლახვარი** მეცა ცნობასა და გულსა“ (შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, 344,2); ასევე, გულსა და გრძნობათა კორიანტელთან არის დაკავშირებული ეს **ლახვარი**: „რა **ლახვარი** გულსა მეხოს“ (იქვე, 532, 4); ერთ პერსონაჟს გული ისე ექცა, „ვითამც რამე ჰკრეს **ლახვარი**“ (იქვე, 845, I); სწორედ ამგვარი ვითარებაა სხვაგანაც: „შენ **ლახვარი** სხვა გესობის“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 1017, 2). სიტყვის მასალადაა გამოყენებული ეგ ცნება ამ შემთხვევაშიაც: „დადვა კეშანი **ლახვარმან**“ (შანიძე

აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, 835, 1); იგივე ვითარებაა აქაც: „დღეს საწუთრომან **ლახვარსა** მიმცა“ (იქვე, 715, 2); „კაცი ცრუ და მო-ლალატე ხამს **ლახვრითა** დასაჭრელად“ (იქვე, 162, 4); ერთ-ერთ მნათობს, მარსს, ავთანდილი ეაჯება: „დამჭერ **ლახვრითა** შენითა!“ (იქვე, 960, 1); სხვა-გან წერია: „**ლახვარნი** ეგე ვით დაგაღონებენ“ (იქ-ვე, 365, 1); არის სხვა მაგალითები. ყველას ვერ გა-მოვეკიდებით. მსგავსი არაპრაქტიკული **ლახვარი** გამოყენებულია კომპოზიტებშიც: **ლახვარდაუსო-ბელი** (იქვე, 583, 1); **ლახვარსობილი** (7,3); **ლახვარ-ხებული** (იქვე, 522, 3).

ამრიგად, ომში – შუბი ან **ლახტი**, ხოლო **სულიე-რი ჭრილობების** მისაღებად – **ლახვარი**.

სიტყვის მასალად, ანუ უზუსის ელემენტად, მი-ვიჩნევთ გამოთქმას **მოდი**, რომელიც ბევრგან სუ-ლაც არ **აღნიშნავს** მის ნამდვილ შინაარსს. ის არ გულისხმობს, რომ ვინმეს მართლა იწვევენ თავის-თან. მაშ, ეგ გახლავთ რიტორიკული მოწოდება, რომელიც **აღსრულებას** არც კი გულისხმობს (იმ-თავითვე არ გულისხმობს).

გავსინჯოთ საამრიგო მაგალითები:

ავთანდილი მნათობებს ხშირად ასე მიმართავს: „**მოდი**, ასპიროზ, მარგე რა...“; „**მოდი**, მარიხო, უწ-ყალოდ დამჭერ **ლახვრითა** შენითა!“ (რუსთველი,

ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 961, 1); „**მო**, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა!“ 1); „**მო**, მთვარეო, შემიბრალე!..“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 964, 1).

ნამდვილ მისვლა-მოსვლაზე არც აქ არის ლაპარაკი: „**მიდი**, უთხარ: ნუ გამწირავს“. ასევე, არავითარ მისვლა-მოსვლას არ გულისხმობს ეს ფრაზა: „შენთვის ხელქმნილსა ტარიელს ამბვითა, **მო**, ალ-ხენიე!“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 1271, 3).

ზუსტად ამავე ფუნქციას ასრულებს ზმნა „მომკალ“. ამ სიტყვა-მოწოდების წარმოთქმისას სიკვდილს არც ვინ აპირებს. ესეც ერთგვარი რიტორიკული შეკითხვაა.

გავსინჯოთ ამ რიგის ნიმუშები:

„**მომკალით**, ლარი დავლიოთ ან აკიდებით, ან ტენით“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 621, 4); „**მომკალ**, კაც-სა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს!“ (იქვე, 745, 3); „ინდო-ხატაელთა ამბავშიც“ იგივე ხერხია მომარჯვებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს არის ერთი და იმავე ავტორის სტილი: „**მომკალ**, ქალსა თავ-მოხდილსა თუ მზე ვითა ეურჩოსა“ (1790, 1).

ამ ვითარებაში **მომკალ** სიტყვის მასალაა და უნდა წავიკითხოთ ასე: **მომკალით, თუ მართალი არ ვიყო!**

ქართველებს გვაქვს ერთი უცნაური ფიგურა, რომელიც, ეჭვი არაა, უზუსის ფარგლებში შემოდის. ეგ ჰიპერბოლური თქმა ასე უღერს: **ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა - ქალამნად.**

ერთი პირობა, კაცი იფიქრებს: რაც აქ წერია, მართლაც ასეა, რომ აქ უარყოფითი წინადადება გვაქვს.

სინამდვილეში ეს გახლავთ ფორმალური (ფორმობრივი) უარყოფა, რაიც საწინააღმდეგოს გულისხმობს: ისე გათამამებულია, რომ ცა ქუდად დაუხურავს და დედამიწა ქალამნად ჩაუცვამსო. კი-დევ მეტი, ჰიპერბოლა მოითხოვს პლუსის ნიშნის მიმატებასაც. ისე გათამამებულია, რომ ცაც კი აღარ მიაჩნია ქუდად და დედამიწა – ქალამნადო!

მაშასადამე. სინამდვილეში გვაქვს ასეთი გაგება: ეს კაცი ისე გათამამებულია, რომ ქუდად ცაც კი ეცოტავება და ქალამნად – დედამიწა. მაშ, შინაარსობრივად წინადადება დადებითია, არა უარყოფითი, თუმცა ფორმით უკუთქმითსა ჰგავს.

სწორედ ეს ქმნის დიდ ეფექტს, დიდ მხატვრულობას, მოულოდნელობის განცდას.

ამ თარგზე ააგო რუსთველმა ოთხი ფრაზა, რომელთა ფორმობრივ-შინაარსობრივი „შეუთანხმებლობა“ ბევრ ცნობილ მეცნიერს დაუძლეველ პრობლემად ექცა.

ტარიელმა ნესტანის მიერ ნაჩუქარი ოქროს სამკლაური მოიხსნა, აკოცა და გულიც წაუვიდა, მკვდარს დაემსგავსა. აქ ავტორი მიაყოლებს ძალიან საინტერესო ფრაზას:

ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა.

პროზის ენაზე: ტარიელი ისე იწვა, რომ მას არ ჰგავდა სამარის პირას დასვენებული დასამარხავი მკვდარი.

მაში, წინადადების ფორმა უარყოფითია, ოღონდ შინაარსი არის არა მხოლოდ დადებითი, არამედ დადებითი პლუსით. ესე იგი, ტარიელი ისე მაგარი მკვდარი იყო, რომ ჩვეულებრივ მკვდარს, სამარის პირას დროებით დასვენებულსაც კი, არა ჰგავდაო. სხვაგვარად, იგი მკვდარზე უფრო მკვდარი იყოო.

მეორე შემთხვევა ამგვარია:

საჭიროა დაიხატოს მომაჯადოებელი სილამაზის ნესტანი, რომლის სახეც უნდა დაამახსოვრდეს ტარიელს, რაკიდა ეს იქნება ლამაზმანის ბოლო ნახვა. ამის შემდეგ 10 წელიწადს ვეღარ იხილავს. რუსთველი წერს, რომ ნესტანსაო „არცა მზე ჰგვან-

და, არც მთვარე“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966, 525, 2).

თქმულის უარყოფითმა, უკუთქმითმა ფორმამ არ უნდა მოგვატყუოს. აქ მითითებულია: ქალიშვილი ისე ლამაზი იყო, რომ მის სილამაზეს არ შეედრებოდა არც მზისა და არცა მთვარის მომხიბვლელობაო. მაშასადამე, ქალს არცა მზე ჰგავდა და არცა მთვარე, რადგან ეს ასული ბევრად უკეთესი იყო იმ მნათობებზე!

სწორედ ამ რიგის გამოთქმაა მომარჯვებული ხვარაზმელი სასიძოს ეპიზოდში. ინდოელნი უფლისწულ ნესტანს ათხოვებენ. ერთობ გახარებულნი არიან, რაკიდა დიდებული სასიძო იშოვეს. ხორეზმი უზარმაზარი, მძლავრი და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანაა. ამგვარი სახელმწიფოს დამოყვრება ხუმრობა როდია! თანაც სასიძო მშვენიერი ყმაწვილია. დგას „ზეიმი და ზარები“. სიხარულისაგან ბევრი მთვრალსა ჰგავდა. და, აი: „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგავდა არ ალვსებისა“ (იქვე, 555, 2).

ეს პოეზიაა, სალექსო სტრიქონია და ყველაფერი ვერ ჩაეტევა მასში, თანაც სიტყვა „დღე“ ავტორმა ტავტოლოგიის არიდების მიზნით მეორეჯერაც აღარ გაიმეორა, თორემ პროზის ენაზე ტაეპიასე გადმოვიდოდა:

დღე ჰგავდა არ აღვსებისა (დღესა).

ესე იგი, ისე საზეიმო დღე იდგა, რომ აღვსების (აღდგომის) დღესაც კი არა ჰგავდა! აღდგომის დღეზე უკეთესი რომ იყო, იმიტომ არა ჰგავდა აღ-დგომის დღესო!

ამრიგად, ინდოელნი ისე მხიარულობდნენ, რომ ის დღე აღდგომის დღეზე უკეთესი გამოდგა და ამიტომ აღარ ჰგავდა ჩვეულებრივი აღდგომის სა-ზეიმო დღეს. სხვაგვარად, ჰგავდა აღდგომის დღეს, ოღონდ პლუსითო.

ასე რომ, სწორია, რუსთველის მხატვრული სტილის დასტურია და ქართულ ხალხურ თქმას (ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად) სავსე-ბით შეესაბამება ფიგურა:

მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არ აღვსებისა.

ყველაფერი ეს ვერ გაითვალისწინა აკად. კ. კე-კელიძემ და ამ „ბუნდოვანი“ ტაეპის გასწორება ხე-ლოვნური ხელყოფით (კონიექტურით) სცადა. მან შემოგვთავაზა ვარიანტი, რომელსაც არც ერთი ხელნაწერი არ უჭერს მხარს:

დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა.

ეს ნიშნავს: ეს დღე ისეთივე იყო, როგორც აღ-ვსების დღეო.

ეს არის კოსმიური ჰიპერბოლის მიწაზე ჩამოგდება და ლვთაებრივი სახე-ხატის ტლაპოში ამოვლება. კონიექტურა საზოგადოდ მიუღებელია და ამ შემთხვევაში - განსაკუთრებით!

როგორცა ვხედავთ, უზუსური მოვლენის მართებულად გათვალისწინება ტექსტოლოგიური მკრეხელობისაგანაც დაგვიცავს.

ახლა ვისაუბროთ იმის თაობაზე, თუ რად ემატება რუსთველის სტროფს მეოთხე, დამამთავრებელი, ტაეპის წინ „ზედმეტი“ სიტყვა „და“.

ძველ ქართულ ტექსტებში ბევრი აბზაცი იწყება უცნაურად. მათ წინ უძღვის უცნაური კავშირი „და“. სინამდვილეში ეგ „და“ სულაც არ ყოფილა კავშირი, რადგან ბევრგან ამ „და“ ბგერათკომპლექსის წინ არავითარი სიტყვა ან ტექსტი არ იგულისხმება. სხვათა შორის, ასე უცნაურად იწყება პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“.

ამგვარი შემთხვევები შეინიშნება როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის თხზულებებში.

გაირკვა, რომ ეს „უცნაური“ მოვლენა შედის „უზუსის“ (სამეტყველო ადათის, წესის, ჩვეულების) სფეროში და წარმოადგენს ძველი სამეტყველო კულტურის ფორმას (თავდიშვილი მურმან, ერთი

უზუსური მოვლენა და ძველი სამეტყველო კულტურა, უურნ. „განათლება“, 3, 2017, გვ. 34).

ამგვარი მოვლენა შეინიშნება რუსულ ენაშიც. იქ ფრაზები ხშირად იწყება „უშინაარსო“ ფორმებით **ა** და **hy.** ესენი გარკვეულ კონტექსტებში სა-სიგნალო, გამაფრთხილებელ ფუნქციას ასრულებენ. ქართულში ასეთებია **და, ხოლო, არამედ.**

საგულისხმოა, რომ ეს ჩეულება, ანუ სამეტყველო ადათი, მოუმარჯვებია რუსთველსაც. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ აგრძელებს მეტყველების კულტურის ძველ ტრადიციებს და ყოველი სტროფის მეოთხე, დამამთავრებელი, კადენციის წინ სვამს ამ სასიგნალო ფიგურას – „და“.

ამგვარი სასიგნალო დაგრძელება შაირისა (თექვსმეტმარცვლიანი ლექსისა) ერთი სრული ხმოვნით კიდევ უფრო აძლიერებს საგანგებო სა-სიგნალო ეფექტს. აქ „და“ ორმხრივ ფუნქციას ასრულებს: ა) მსმენელს ყურის საშუალებით აგებინებს, რომ სტროფი სრულდება, რომ ამჟამად მკითხველი მოისმენს ერთი პოეტური მონაკვეთის საბოლოო ფრაზას; ბ) ხელნაწერის თვალით აღმქმელს კი მზერის საშუალებით აჩვენებს, რომ სტროფის სამი წინარე ტაეპისაგან სიგრძით გამორჩეული მეოთხე ბწკარი საბოლოო, დასკვნითი კადენციაა, რომლის წარმოთქმისთანავე უნდა გაკეთდეს ხან-

გრძლივი ყოვნი, პაუზა. ეს აუწყებს მკითხველს, რომ ერთი აზრობრივ-ემოციურად დამოუკიდებელი მონაკვეთი დასრულდა.

მოვიყვანოთ სათანადო ნიმუში:

არდავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ლალატიანსა.
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა,
და რა უარეა მამაცსა სულდიდსა, წასლვაგვიანსა!

ასე, „და“ საგანგებო სიგნალია, ძახილია, „პოზივნოია“, ესოდენ ხშირად რომ გამოიყენებოდა ძველ ქართულ ტექსტებში, როგორც სამეტყველო კულტურის ელემენტი.

2018 წ.

ნააზრევი მესხი მპვლევრისა

ვარძის ქომაგი და მოჭირნახულე, ჩვენი წარსულის ფხიზელი დარაჯი, მესხეთის კულტურულ ძეგლთა მეხოტბე და პოპულარიზატორი, რუსთველოლოგი – აი, არასრული ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში აღასრულებდა ეგ პატრიოტი ადამიანი. მისი სახელია **ნიკოლოზ ნათენაძე**.

ამჯერად „ინტელექტმა“ გამოსცა ვრცელი ნაშრომი „მესხი მელექსე“, რომელშიც ნ. ნათენაძე მხოლოდ წმინდა რუსთველოლოგიური საკითხებით არ იფარგლება და ფართოდ მიმოიხილავს მესხეთის კულტურულ ძეგლებს, მესხ მოღვაწეთა მიერ შეტანილ წვლილს ქართულ ლიტერატურაში და დაასკვნის: რაკილა ამდენი კულტურული ძეგლია დაცული ამ მხარეში, რაკილა ამდენი დიდი მოღვაწე სწორედ მესხეთმა აღზარდა, სავსებით ბუნებრივია, რომ რუსთველიც ამ მხარის შვილი იყოსო. ეგ ლოგიკური არგუმენტი თავისებურად დაუსაბუთებია მას საგანგებო ნარკვევში – **XII საუკუნის მესხეთი**. აი, როგორ მსჯელობს ავტორი: „მესხეთი მაშინ საქართველოს პროვინციებში ყველაზე მოწინავე იყო; დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის გარდა, მესხეთში შედიოდნენ – შავშეთი, ერუ-

შეთი, ტაო-კლარჯეთი, ლაზისტანი და კოლა. ასე რომ, მისი ტერიტორია აღემატებოდა დღევანდელი ქართლისა და კახეთის ტერიტორიებს, მოსახლეობა 2 მილიონს აღწევდა.

მესხეთივე იყო ქართული ფილოსოფიის, პოეზიისა და ხელოვნების აკვანი... საკმარისია მოვიგონოთ გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები, იოანე შავთელი, სარგის თმოგველი, რუსთაველი, ჩახრუხაძეები და სხვ. [14].

აქვე, შესაძლოა, ამ ნუსხას მივამატოთ ყველაზე დიდი ქართველი, მესხეთში მოღვაწე, თუმცა წარმოშობით არამესხი გრიგოლ ხანძთელი. ასევე, თავად „ვინმე მესხი მელექსე“, მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატი.

მკვლევარი-პატრიოტი იმასაც უჩვენებს, რომ ქვეყნის ძირითადი სამხედრო ძალა მესხეთში იყო თავმოყრილი. ამ მიზნით წარმატებით იყენებს ერთი სამხედრო ისტორიკოსის ნაზრევს: „ციხეები უმთავრესად მდებარეობდა სამეფოს სამხრეთ ნაწილში. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ საქართველოს სამეფოს უზრუნველყოფილი და დაცული ჰქონდა ფლანგები (შავი და კასპიის ზღვებით), ზურგი (კავკასიონის მთები). სამეფო ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სამხრეთიდან. ამ მიმართულებით საკუთრივ საქართველოს მიწაზე მდებარეობს

შემდეგი ციხეები: თორთუმი, ოლთისი, არტანუჯი, თუხარისი, არტაანი, ახალქალაქი, თმოვი, ახალ-ციხე და ოძრახე... ავანგარდში ყოველთვის მესხები იყვნენ... ავანგარდში სხვა ჯარების დანიშვნა იწვევდა მესხების დრტვინვას, უკმაყოფილებასა და ურჩობასაც კი“ (დადეშქელიანი, „სამხედრო ორგანიზაცია და საბრძოლო განწყობილება ქართულ ჯარებისა 1089-1222 წლების პერიოდში“) [15].

მკვლევარი აზროვნების ამ აღებულ სიმაღლეს კიდევ უფრო განამტკიცებს მომდევნო შენიშვნით: „ამით აიხსნებოდა, ალბათ, ისიც, რომ თამარის დროს ამირსპასალარებად მესხები იყვნენ (სარგისი, გამრეკელ თორელი, ზაქარია). მათ რეზიდენციად კი თმოვის ციხე ითვლებოდა“ [15].

ავტორი საუბრობს ამ მხარის იავარქმნაზე თურქთა მოწოლის შემდეგ; სწორად ასაბუთებს, რომ მესხეთიდან ხალხმა, ეკლესიებმა და თვით ტოპონიმებმაც იწყესო შიგნიტერიტორიებზე გადასახლება. იგი მიუთითებს, რომ განსაკუთრებით დიდი იყო ექსორიის ტალღა მე-16 და მე-17 საუკუნეებში; მოჰყავს მაგალითები იმისა, რომ „დღესაც არსებობენ თავიანთი ძველი სახელწოდებებით სამცხის შემდეგი სოფლები ქართლში (არტაანი, ბურნაშეთი, ჭაჭარქი, ჯავახიანთვარი, ჩორჩანა...); კა-

ხეთში (აწყვერი); იმერეთში (ზემო და ქვემო მესხეთი, ვარძია...).

მკვლევარმა, რა თქმა უნდა, არ იცის სრულიად ახალი გამოკვლევის შედეგი, თორემ ამ ფაქტსაც სიამოვნებით მოიმარჯვებდა: მე მქონდა შესაძლებლობა, გამერკვია – გურიის დედაქალაქის (ოზურგეთი) სახელწოდება მომდინარეობს სამცხის დედაქალაქის (ოძრხე) სახელიდან. ფონეტიკური პროცესი ასე წარიმართა: ოძრხე → ოძურხე → ოდზურხე → ოზურხე → ოზურგეთი → ოზურგეთი.

მაშასადამე, აღნიშნულ საკითხში მკვლევარი მართალია: გათათრების შიშით, აგრეთვე ეკონომიკური ჩაგვრის გამო სამცხე-საათაბაგოს სოფლები ქვეყნის შიგატერიტორიებზე გადადიოდნენ, გადაჰქონდათ იქ მათი თავდაპირველი სახელწოდება ან ზუსტად, ან ფონეტიკურად სახეშეცვლილი (ოძრხე → ოზურგეთი); კიდევ მეტი, მე-16 საუკუნის 80-იან წლებში სამცხიდან გურიაში, კერძოდ, სოფელ შემოქმედში, „გადასახლდა“ ზარზმის ტაძარიც კი ! [16-17].

შემთხვევითი არ არის არც ის გარემოება, რომ გურიის ზემოთ, იმერეთის საზღვართან, არის ადგილი, რომელსაც „საჯავახო“ ეწოდება.

რა უნდა აქ ჯავახ მესხებს?

საქმე ისაა, რომ არა მარტო სამცხელნი, არამედ ჯავახნიც შეუწუხებია მაჰმადიანობას და ისინიც გადმოსახლებულან, გურიასა და იმერეთს შორის არსებული ტერიტორია აუთვისებიათ.

წმინდა რუსთველოლოგიურ საკითხებში ავტორი თავს უფრო მეტად ავლენს როგორც პატიორტი და არა მეცნიერი. თითქოსდა ერთობ საინტერესო და დამაინტრიგებელია ნარკვევი - „მესხური დიალექტი „ვეფხისტყაოსანში“ [21]. მკვლევრის იდეა ასეთია: პოემაში გვხვდება მხოლოდ მესხური კილოსათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. ამიტომ მისი ავტორი წარმოშობით მესხია.

რომანში მართლაც დასტურდება რამდენიმე (და არა ყველა მოყვანილი მაგალითი, როგორც ნათენაძესა ჰერონია) მესხიზმი, ოღონდ ამით რუსთველის წარმომავლობის დასაბუთება ძნელია. აღნიშნულის დასამტკიცებლად იმავე მეთოდს მივმართავ მე და ბატონ ნათენაძეზე უფრო არტისტულად დაგიმტკიცებთ, რომ გენიოსი გურულია! მე ასე ვიმსჯელებ: ავტორის წარმომავლობას ზოგიერთ ნეიტრალურ ვითარებაში ნახმარი ესა თუ ის სიტყვა კი არ ამჟღავნებს, არამედ გენიალურ აფორიზმში მომარჯვებული, რადგან აქ უფრო თავშეუკავებლად ავლენს ავტორი თავის ბუნებრივ მეტყველებას; მეორეც, გენიალური აფორიზმი ნამდვი-

ლად რუსთველისაა და ის სიტყვებიც, რომლებიც ამ სიბრძნის ასაგებად გამოუყენებია, ხოლო ნეიტ-რალურ, დაუძაბველ სიტუაციაში, შესაძლოა, ინტერპოლატორმა ჩაწერა ის სიტყვა, რომელზედაც ვმსჯელობთ.

ახლა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და ვნახოთ ერთი უდავო რუსთველური აფორიზმი, პოემის ყველაზე ბრძნული შეგონება:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი!

სიტყვა დაიჭირავს გახლავთ ტიპური გურული ფორმა, ლიტერატურულია - „დაიჭერს“.

ამრიგად, რუსთველი გამოდის გურული.

ამდაგვარი სხვა მაგალითების მოყვანა ძნელი არაა. მე მხოლოდ ერთს გაახლებთ.

შუმი გურული გამოთქმაა „რაცხა“. რუსთველი კიდევ ერთ გენიალურ აფორიზმში იყენებს ამ „გურულ“ ფორმას:

არს უკეთესი, რაცალა სწადს განგებასა, ზენასა!

აქ მომარჯვებული „რაცალა“ არის წინასახე გურული ფორმისა „რაცლა → რაცხა“.

რა ვქნათ?

ვაღიაროთ რუსთველი გურულად?

განა ჩემი ეს მაგალითები ბატონ ნათენაძის მა-
გალითებზე ნაკლებია?

ერთსაც დავსძენდი: ნებისმიერ „კახელ“ ენათ-
მეცნიერს ძალუძს, ამ კუთხით შეისწავლოს პოემა
და მასში დასტა-დასტა აღმოაჩენს კახური კილო-
კავის მაგალითებს. ძალიან ბევრია ამგვარი მასალა
„ხევსური“ მეცნიერისთვის. ალექსი ჭინჭარაულმა
დაადასტურა, რომ პოემაში ხმარებული „ჭერი“
ნიშნავს ხის სწორ მორს და ამ გაგებით ეგ სიტყვა
მხოლოდ ხევსურულშია შემორჩენილი.

მაშასადამე, კვლევის ამგვარი გზა მოლიპული
და სახიფათოა.

რა ხდება?

საქმე ისაა, რომ რუსთველის ეპოქის ქართული
ენა მდიდარზე მდიდარი იყო. არასოდეს ქართული
ისე წელში გამართული და ბარაქიანი არა ყოფილა,
როგორც იმ მდიდარ დროს. ამიტომაც რუსთველის
ენაში თავმოყრილია იმ ძლიერი მონოლითური ენის
ელემენტები. მერე ქართული ენა დაიშალა ცალკე-
ულ დიალექტებად, კილოდ და კილოკავებად. ზოგი
შრე დაშლილი ერთიანი ენისა შერჩა გურულში, ზო-
გიც – ხევსურულში, ზოგიც – კახურში, ბევრი –
მესხურში და ა.შ.

მაშასადამე, ამ გზით ავტორის ტომობრიობის
ძიება მიუღებელია.

ჯერ კიდევ ძველ დროში ხვდებოდნენ ამას. მაგალითად, პ. მირიანაშვილი წერდა: „ამ მესხურის ელემენტის ნაშთი მოჩანს დღეს იმერეთის, ქართლის და კახეთის კილოებში და თვითოეულს ჰგონია, რომ იმის ენაზე დაწერილია „ვისრამიანი“, „რუსუდანიანი“ თუ „დარეჯანიანი“ (იხ. ნათენაძის წიგნშივე – გვ. 42).

აი, ბაჯალლო სიმართლე!

აღნიშნულის შესახებ მოგვიანებით სხვებიც მიუთითებდნენ, განსაკუთრებით კარგად კი – არნოლდ ჩიქობავა.

ახლა აღვნიშნოთ ამ თეორიის სხვა „წვრილმანი“ ხარვეზები.

1. მკვლევარი მესხად სახავს იოანე შავთელს (სამართლიანადაც) და მოჰყავს დღეს ჩვენს ხელთ არსებული ე.წ. „აბდულმესიანის“ მაგალითი, სადაც თითქოსდა სიტყვათა მესხური წყობაა დადასტურებული [37].

სინამდვილეში ეგ ტექსტი სულ არ ეკუთვნის მესხ შავთელს. იგი 1661 წელს შეთხზა გურულმა მიტროპოლიტმა იაკობ შემოქმედელმა. ამ სახოტბო პანეგირიკს ეწოდება „ქება მეფისა არჩილისა“ (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი; მ. თავდიშვილი, დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში).

ამგვარად, იქ დაფიქსირებული ფორმები არც

მესხურია და არც შავთელისაა! შავთელის პოემას მკვლევარი ვერ წაიკითხავდა, რადგან იგი ჯერჯერობით დაკარგულია. ჩახრუხაძესაც მესხად მიითვლის ჩვენი ავტორი [38]. არადა, დღეს მიჩნეულია, რომ ის არის მთიული!

2. აი, პრიმიტიული მსჯელობის კიდევ ერთი მა-გალითი. მესხებიო „ში“ თანდებულის მაგივრად ხმარობენ ასე ვრცელ, გაგრძელებულ ფორმასო - „შიგან“. მაგალითად, რაშიგან, მაშიგან და ა.შ. [38].

მკვლევარი იურისტი გახლავთ: ფილოლოგიური განათლება რომ ჰქონოდა, აღნიშნულს არასოდეს დაწერდა. საქმე ისაა, რომ თანდებულები ძველად ცალკეულ სრულ სიტყვებს წარმოადგენდნენ. თავდაპირველად იყო „კერძო“. აქედან მივიღეთ „კენ“; იყო „შიგან“, მივიღეთ „ში“; იყო „ზედან“. აქედან მივიღეთ „ზე“ და ა.შ. ისტორიის პრცესში თანდებულები გამარტივდა. ასე გაჩნდა მარტივი „ზე“ და „ში“. ასე რომ, თუ ზოგ დიალექტში „გრძელი“ ფორმები გაიყინა და შემორჩია, ეგ იმას როდი ნიშნავს, რომ, მაგალითად, XII საუკუნის კახურში ამგვარი ფორმები არ ყოფილიყოს. იმ დროს კახელიც ისე იტყოდა, როგორც ბრძანებს რუსთველი: „წყალთა შიგან იხვსა ჰეგავს და ხმელთა ზედა – შევარდენსა“.

3. ბევრი სიტყვა, რომლებიც მკვლევარს მხოლოდ მესხური დიალექტის საკუთრება ჰგონია, სინამდვილეში საერთო ქართული ფორმაა და თითქმის ყველა მხარეში იხმარება. ასეთია, მაგალითად, „ტაროსი“ [43]. ეს ცნება საერთო საკუთრებაა და ოდენ მესხურ გარემოს ვერ მიეწერება! იგივე ითქმის სიტყვებზე: ნატი, ხალვა, დია და სხვ.

4. ბატონი ნათენაძის მთავარი შეცდომა არის შემდეგი: ვიღაც მესხ მელექსეს იგი რუსთველად მიიჩნევს. ეს „ქართული ხალხური ზღაპარია“. დღეს კარგად არის გარკვეული, რომ „ვინმე მესხი მელექსე“ ინტერპოლატორია, შესაძლოა, ყველაზე დიდი პოეტი-ინტერპოლატორიც, ხოლო რუსთველი თავის თავს ასე „მდაბლად“ არსად იხსენიებს. იგი ამაყად აცხადებს: „მე, რუსთველი...“ სხვაგან: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“. ამის შემდეგ ყოვლად წარმოუდგენელია, ბოლოს, ეპილოგში, ამ მაღალი ბედაურიდან ჩამომხტარიყო და ეთქვა, ვინმე მესხი მელექსე ვარო.

ჩემი ეგ მსჯელობა იმას როდი ნიშნავს, რომ რუსთველის მესხური წარმოშობა გამორიცხულია, ოღონდ ამგვარი გზით აღნიშნულის დამტკიცება არ შეიძლება. რუსთავის ეპისკოპოსი რუსთველი, შესაძლებელია, წარმოშობით იყო მეგრელიც, გურულიც, კახელიცა და მესხიც. ეს მას ხელს არ უშ-

ლიდა, ყოფილიყო თბილისთან ახლო მდებარე რუს-თავის საეპისკოპოსოს გამგებელი, მიტროპოლიტი, სწორედ ისე, როგორც ეს ჩვეულებრივი იყო მეთექ-ვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში, არჩილ მეფის დროს. წაიკითხეთ მისი „თეიმურაზ პირველისა და რუსთველის“ გაბაასება, სადაც კარგად ჩანს, თუ ვინ არის, საზოგადოდ, რუსთველი და რას წარმო-ადგენს იგი. სხვათა შორის, დღემდე 100 აკადემი-კოსისა და პროფესორის დამაპნეველი ტოპონიმის – **ოზურგეთის** – გასაღებიც სწორედ არჩილის ამ პოემაშია. ნიკო მარმა და სხვა მკვლევრებმა „ოზურგეთის“ საიდუმლო სწორედ იმიტომ ვერ გახსნეს, რომ ყურადღებით არა ჰქონდათ წაკითხუ-ლი ბაგრატიონის ეგ მთავარი ქმნილება, ქმნილება, რომელიც მოცულობით დიდად არ ჩამოუვარდება „ვეფხისტყაოსანს“. საამრიგო მაგალითები თანა-მედროვეობაშიცა გვაქვს: მეგრელი კაცი, გვარად ქორთუა, კახეთში თელავის ინსტიტუტის დირექ-ტორად ათეული წლების განმავლობაში წარმატე-ბით მუშაობდა; ჭყონდიდელები წარმოშობით მეგ-რელები იყვნენ, ოღონდ ეს ხელს არ უშლიდათ, სა-ერთო ქართველური საქმეები ეკეთებინათ... ამი-ტომაც უფრო მისაღებად გვეჩვენება ავტორის მე-ორე, ერთგვარად შემრიგებლური დებულება: „შო-თა რუსთაველი არის ავტორი და არა გამგრძელე-“

ბელი „ვეფხისტყაოსნისა“; დაიბადა მესხეთის რუს-თავში, ხოლო ჰერეთის ქალაქი რუსთავი უწყალობა მას თამარ მეფემ, როდესაც მეჭურჭლეთუხუცესად დააწინაურა“ [200].

ვხედავთ: მკვლევარი იძულებული გახდა, გენი-ალური შემოქმედი მაინც დაეკავშირებინა ჰერეთის რუსთავთან.

ნათენაძეს შეუქმნია ნარკვევი პოემის ისტორი-ულ-გეოგრაფიულ გარემოზე. ამგვარმა პრიმიტი-ვისტულმა და ნაივურმა მიდგომებმა კრახი განიცა-და. სწორედ ეგ დაემართა ორიენტალისტ ა. სვანი-ძის გეოგრაფიულ თეორიას.

ამგვარივე მარცხი იწვნია აკად. კ. კეკელიძის ჰიპოთეზამ, რომ ავტორს ქაჯეთის ციხის მოდე-ლად გამოყენებული ჰქონიაო ალამუთის ციხე-სი-მაგრე. ამ მოლიპულ გზას დანდობილად დასდგო-მია ამ წიგნის ავტორიც. იგი ქაჯეთის ციხის მო-დელს მესხეთში ეძებს და ამით ავლენს პატრიო-ტიზმს. მთელი ეს მსჯელობა, რომელიც გაშლილია რამდენიმე გვერდზე, არის წყლის ნაყვა და, აი, თუ რატომ: ვისაც ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ დაკვირვე-ბით წაუკითხავს, შენიშნავდა: ქაჯეთის ციხის მსგავსი გამაგრება იქ ათობითა გვხვდება. იგივე ითქმის რუსთველის მეორე წინამორბედ ნიზამი-ზეც. მის „ხამსეში“ არაერთგან გვხვდება ქაჯეთ-

ქაჯავეთის ციხეები და ზუსტად ისეთი, როგორიც რუსთველმა წარმოგვიდგინა. ამ სამ ავტორს ათობით და ასობითაც უნახავს მსგავსი გამაგრებანი და, შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს თავადაც ჰქონოდა მსგავსი თავშესაფარი, ციხესიმაგრე, საგვარეულო სამყოფელი.

ამიტომ აქ გადმოცემული მსჯელობანი ჩემთვის „ზღაპარია და ჩმახია“.

5. ავტორი პრობლემას სხვადასხვა მხრიდან აკვირდება და არკვევს. ერთ-ერთი მიმართულება ასეთია: მესხეთის დემოგრაფიულ მასალებში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე, ვთქვათ, ქართლის ანდა სამეგრელოს შესაბამის წყაროებში. ამიტომაც პოემის ავტორი მესხიაო.

ესეც საკითხის ნაივური გადაწყვეტაა. ავტორს არც კი უფიქრია იმაზე, თუ რამ გამოიწვია ეს. იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე ერთობ ცოცხლად ავუხსნიდი ამ რებუსს.

საქმე ის არის, რომ „ვინმე მესხი მელექსის“ საოცრად ძლიერი და მაღალმხატვრული სტროფი უძველეს ხანაშივე დაერთო პოემას. უბრალო, საქმეში ჩაუხედავ, მკითხველს მუდამ ეგონა, რომ „ვინმე მესხი მელექსე“ რუსთველია. ეს გახლავთ პრიმიტიული გაგება. აქედან ჩაეყარა საფუძველი ლეგენ-

დას, რომ რუსთველი მესხია. ამიტომაც გენიოსის მუზითა და სახელით გაამაყებული მესხები, ბუნებრივია, უფრო მეტად ინტერესდებოდნენ პერსონაჟთა სახელებით და თავიანთ ნაშიერებს ამ სახელებს არქმევდნენ.

აი, საკითხის ყველაზე მოკლე და სწორი ახსნა!

კიდევ მეტი. ავტორი ღრმად არ ჩაჰავირვებია მის მიერვე მიკვლეულ მონაცემებს. ამ მონაცემთა მიხედვით [85], ყველაზე გავრცელებული ყოფილა არა გმირების, არამედ ანტიგმირის სახელი. კერძოდ, ტარიელი იხსენიება 10, ავთანდილი – 3, ხოლო ყველაზე საზიზლარი პერსონა რამაზი – 37-ჯერ!

თუ ეს „ვეფხისტყაოსნის“ ზეგავლენაა, ვერაფერი ბედენაა, ვერაფერი სასახელო ზეგავლენაა!

ასე რომ, არც ამ მონაცემთა გაფეტიშება მოგვცემს ხელს.

ამ სახელის (რამაზა) ესოდენ გავრცელება არა პოემას, არამედ თურქულ-მაჰმადიანურ ზეგავლენას უნდა მიეწეროს!

6. ზოგჯერ ავტორი აკეთებს თამამ ზედაპირულ, გულუბრყვილო და ულოგიკო განაცხადს. მაგალითად: „შოთას შვილი, წინამძღვარი გაბრიელი კი, რა თქმა უნდა, მამაზე მეტს (როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება) იცოცხლებდა“ [110]; „რუსთა-

ველი, როგორც უდავოდ გამორკვეულია, მესხია“ [იქვე]. გარდა ამისა, ყველგან იმეორებს ისტორიულად და ფაქტობრივად მცდარ ფორმას **რუსთაველი**. მკაცრ რუსთველოლოგიურ გამოკვლევებში აუცილებლად უნდა დავიცვათ ისტორიულად და ფაქტობრივად სწორი ფორმა **რუსთველი**.

პოემაში სამგზის გვხვდება ეგ ზედნოდება და ყველგან ამ სახით – **რუსთველი**; მეორეც, ეგ ფორმა შეკუმშული არაა, რადგან ჩასმულია უკუმშველ ბრუნვებში. ესენია: სახელობითი, მოთხოვობითი, მიცემითი: მე, რუსთველი; დავჯე რუსთველმან გავლექს; ტარიელ – მისსა რუსთველსა; მესამეც, ძველი ლიტერატურის წარმომადგენლები პოემის ავტორს მხოლოდ ისტორიულად სწორი ფორმით ახსენებენ – **რუსთველი**.

ერთგან ვკითხულობთ ამგვარ რასმე: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ვერ ჩავთვლით მაინც და მაინც დიდ ქრისტიანად“ [181]. არადა, ღვთაებრივმა ვიკტორ ნოზაძემ, ყველაზე დიდმა რუსთველოლოგმა, დამარწმუნებლად დაასაბუთა – ჩვენი გენიოსი გამოჯანდრული ქრისტიანია; ამასვე ამტკიცებდა ცოტა უფრო ადრე კორნელი კეკელიძე. საგულისხმოა, რომ მკვლევარს არსადა ჰყავს მოხსენიებული ნოზაძე. მას რომ თუნდაც „ღმრთისმეტყველება“ წაეკითხა, მსგავსს არასოდეს დაწერდა!

ესეც სათქმელია: იოანე შავთელს რომ მიაწერა „ქება მეფისა არჩილისა“, ეპატიება. მაშინ არ იყო გამოქვეყნებული ბორის დარჩიას სენსაციური აღმოჩენა, მაგრამ, ზემომოყვანილ დებულებას რომ აყენებდა, უკვე არსებობდა კ.კეკელიძისა და ვ. ნოზაძის ნაშრომები.

განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლოა თმოგვის ციხის შესახებ შედგენილი ნარკვევი [205], ასევე ის მესხური ფოლკლორული მასალა, რომელიც აქ არის თავმოყრილი [212-223]. ავტორი საგანგებოდ მსჯელობს მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებზე და ბევრ საინტერესო მომენტს ამზეურებს; ჩამოთვლის იმ ლიტერატურულ-კულტურულ ძეგლებს, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის სკოლამ და ამ სკოლის მიმდევრებმა შექმნეს და ამ მხარის განსაკუთრებულ კულტურულ მნიშვნელობას ფიანდაზად უფენს თავის პატრიოტიზმს. მართლაც რომ შთამბეჭდავი განძია, ერთი კუთხის მიერ შექმნილი! აი, ეს განძი და ანდერძი: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ძველი ხელნაწერი, შატბერდის კრებული, ჰადიშის სახარება, ჯრუჭის სახარება, პარხლის სახარება, ტბეთის, ოშკის ბიბლია, იშხნის სახარება, ხახულის ხატი, წყაროსთავის სახარება, ბერთის სახარება, ლა-

ლატის ხატი, ანჩის ხატი, ბერთის სახარება, ვარძის ოთხთავი და არაერთი სხვა [247-248]. მკვლევარს მარჯვედ მოჰყავს კ. კეკელიძის მოსაზრება: „ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან გადმოტანილი ტრადიციებით“ [249]; მკვლევარი სწორია, როცა უარყოფს ვარძის ტოპონიმის წარმოშობის არამეცნიერულ თეორიებს და სახელწოდების ამოსავალ სიტყვად სამართლიანად მიიჩნევს ვარძი/ვერძი ფორმებს [255-256]; ძალიან საინტერესოა მკვლევრის მსჯელობა ანურის მონასტერზე; სწორია, როცა აცხადებს, რომ „სამცხის საეკლესიო ცენტრი ანურში იყო“ და თანაც დასძენს: „IX საუკუნის I ნახევარში ანურის საეპისკოპოსო პირველია სამცხე-ჯავახეთის საეპისკოპოსოებს შორის“ [277]. შეიძლებოდა მეტის თქმაც: იმხანად და მოგვიანებითაც მთელ საქართველოშიც კი მანუვერული კათალიკოსის შემდეგ მეორე კაცად მიიჩნეოდა. ამას გარკვეული სხვა გარემოებაც განაპირობებდა, რომელზე ახლა არ ვისაუბრებ.

წიგნს ერთვის ფოტომასალა. ამ სურათებში ასახულია ზოგი ისტორიული ძეგლი, ფრესკა, წარწერა, რუკა და სქემა.

ტექნიკურად კარგად გაფორმებული წიგნი ერთგვარი სანთელია, მეტიც, კერძონია, ანთებული დიდი მამულიშვილისა და პატრიოტი მკვლევრის ხსოვნის წინაშე.

2019 წ.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ფსექტოლოგიურ-კულტუროლოგიური პორტრეტების დაზუსტებისათვის

გარდაცვლილზე ან კარგსა წერენ, ან – არა-
ფერსო. მე არც კარგსა ვამბობ, არც – ცუდს, მო-
გახსენებთ სიმართლეს.

აკაკი ბაქრაძის ესეისტურ წერილში ორი ლი-
ბომკვიდრი დებულებაა წარმოდგენილი. სწორედ
მათ ეყრდნობა მთავარი მოსაზრება. არადა ორივე
ამოსავალი დებადი მცდარია, ხოლო, „თუ საძირ-
კველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენების-
თვის ყოველი შრომა დაკარგულია!“ – ჯერ კიდევ
მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოგვდევს გი-
ორგი ჭალადიდელის ეგ შეგონება.

პირველი დებულება: „ვეფხისტყაოსანში ყველა
სიბრძნე უმთავრესად ავთანდილის პირით არის
გაცხადებული“ (აკაკი ბაქრაძე, ავთანდილის სახე
„ვეფხისტყაოსანში“, „ცისკარი“, 2015, 4, 106).

„ყველა სიბრძნე“ მეტისმეტად მოუზომავი გან-
ცხადებაა; სინამდვილეში აფორიზმის დონეზე აყ-
ვანილ ღრმა აზრებს აფრქვევენ სხვებიც. ესენი
არიან: როსტევან მეფე, თინათინი, ტარიელი, ფრი-
დონი, ასმათი, სოგრატ ვაზირი, ფატმანი...

სხვათა შორის, ჩარხმბრუნავი ცხოვრების არ-სის გამომხატველ უთვალსაჩინოეს სიბრძნეს სწო-რედ თინათინი ქადაგებს, როცა ბრძანებს:

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
(„ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, 2006, სტრო-ფი 710)

თინათინსავე ეკუთვნის შემდეგი ფუძემდებლუ-რი შეგონებანი: „რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?!“ (იქვე); „კაცმან საქ-მე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს!“ (სტროფი 110); „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილი-სა შემოქმედსა!“ (116); „ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“ (711).

სიბრძნესა და გამოცდილებას ავლენს არაბთა პატრონი. მისი პირველი აფორიზმია: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“ (21); „მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (48); „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების; უხვად გასცემდი! – ზღვათაცა შესდის და გაედინე-ბის“ (50); და მთელი სტროფი, ოთხი აფორიზმით გაჯერებული: „მეფეთა შიგან სიუხვე...“ (51); მასვე ეკუთვნის: „იგივეა ჩემი მხსნელი, ვინცა მიწა გამა-

კაცა“ (118); „ავსა კაცსა ურჩევნია, ავსამცა რას ად-
რე სცნობდა“ (762); „მართლად უთქვამს მეცნიერ-
თა: „წყენააო ჭირთა ბადე“ (825); „თქვეს: „ბოროტ-
სა უმყოფოო, კეთილნია შენი მზანი!“ (1517);
„ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-
ნახდომა“ (1552).

არავისზე ნაკლებ სიბრძნეს არ აფრქვევს ტა-
რიელი. სწორედ მისი პირიდან გვესმის: „ძნელია
პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა!“ (302);
„მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების“
(305).

სწორედ ტარიელი ამბობს ფუნდამენტურ
ცხოვრებისეულ სიბრძნეს, თინათინის ზემორელე
ნათქვამს რომა ჰეგავს: „ღმერთმან ერთი რათ აც-
ხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს?“ (311); „მას არა
ვჰეგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა“ (3220);
სწორედ ტარიელისა გახლავთ ძველ ქართულ ლი-
ტერატურაში ე.წ. „სოფლის სამდურავის“ გამომ-
ხატველი ფუძემდებლური დებადი: „ცრუ და მუხ-
თალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია“ (345); მასვე
ეკუთვნის: „ალმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გუ-
ლისა სალისა!“ (347); მისივეა ერთსა და იმავე
სტროფში მიჯრით დაჯრილი სიბრძნეები: „მიმ-
ნდონი საწუთოსანი მისთა ნივთთანა რჩებიან; ვა-
ქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“ (353);

„ხელმან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ
მოჰკურეთდა?“ (411); „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ
თურე არ წახდების“ (438); „განგებაა, დღესცა მომ-
კლავს, ქვემცა სადა დავემალე?!“ (444); „ვინცა
მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“
(446); „ორგული და მოლალატე ნამსახურსა დავამ-
გვანე – ესე არის მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე!“
(474); „მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი
სამართალისა“ (569); „ხვარაზმშა დაპსვა ხელმწი-
ფედ, დამრჩების რა ნაცვალია? სხვა მეფე დაჯდეს
ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“ (571);
„სხვას, მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვი-
ნატრიდე?“ (572); და უდიდესი ემოციური და აზ-
რობრივ-რელიგიური ძალის შემცველი ოპტიმის-
ტური აფორიზმი: „კაცსა ღმერთი არ გასწირავს ას-
რე, მისგან განაწირსა!“ (595); მისივეა: „არ შეუდ-
რკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა“ (603);
„ჰერთხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზი-
როს!“ (892); და ისევ მიჯრით მიწყობილი შეგონება-
ნი: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა
იქმს ბრძნობასა? ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცალა
ვიყო ცნობასა! ვარდი ვერ არის უმზეოდ; იყოს, და-
იწყებს ჭნობასა“ (895); ტარიელსავე ეკუთვნის ფსი-
ქოლოგიური შინაარსის გენიალური სიბრძნე: „არ-
სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“ (905);

მასვე ეკუთვნის კონგენიალური პედაგოგიკური იდეა: „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“ (913); და იქვეა: „რაცა ვისცა საქმე თვით სჭირს, სხვათათვისცა ევარგების“ (914); „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია“ (927); „სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?“ (928); „თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადდეს“ (948); „ბოლოდ ყოვლი დაფარული საქმე ცხადად გამოცხადდეს“ (948); „კაცმანცა სოფელს ვით პოვა, რაცა რა საქმე ზენია!“ (1347); „კაცსა ლმერთი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა!“ (1371); „მაგრა თქმულა: „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“ (1508); „უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნა-მან, ხელოვნებამან“ (1570); და აგერ „ვეფხისტყა-ოსნის“ ყველაზე მაუორული გმირულ-პათეტიკური აფორიზმი: „შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დალრეჯანია!“ ეს ხომ ის სიბრძნეა, რომელსაც პოპულარობასა და გამოყენების სიხშირეში ვერარა სიბრძნე ვერ გაეჯიბრება?! ტარიელის ნათქვამია: „ნაქმარი მრუდი ყველაი ან ჩემგან გამართულია“ (1619).

საგანგებოდ შევამოწმე და აღმოჩნდა ის, რასაც ველოდი: გასაგებ გარემოებათა გამო პოემაში ტა-რიელის მოქმედება-მსჯელობის ასპარეზი სამჯერ

უფრო მცირეა, ვიდრე ავთანდილისა. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის, რომ ამირბარს იმდენივე სიბრძნე გამოუხატავს, რამდენიც – სპას-პეტს. კერძოდ, როგორც ზემორელე ვნახეთ, ინდოს ეკუთვნის დაახლოებით 35 აფორიზმი, ხოლო ავთანდილს – დაახლოებით 85, ე.ი. სამჯერ მეტი.

პროპორცია სწორია; ოღონდ აქ სხვაც რამ უნდა ითქვას: სიბრძნითა და აფორიზმებით ბრწყინავენ სხვებიც. მაგალითად, სოგრატ ვაზირი. მას ეკუთვნის შემდეგი სიბრძნე: „მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს!“ (749); „გზა არ წავა თავის წინა“ (750); „ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტი არ გაქორდენ!“ (751); „ვაზირისაა საქვეყნოდ განთქმული და ხშირად ხმარებადი სიბრძნე: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ (757).

სხვათა შორის, ვაზირი ყოველ პასუხში ამჟღავნებს სიბრძნეს. ამით რუსთველი გვეუბნება: გონიერი როსტევანის ვაზირი შემთხვევით როდია ამ თანამდებობაზე დანიშნულიო!

ჩემი გამოთვლით, მას სულ ეკუთვნის 8 აფორიზმი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოგრატს ასპარეზზე სრულად გამოსვლა უწევს ერთადერთ თავში. ამიტომაც 8 აფორიზმი ძალიან ბევრია!

ახლა ამ მხრივ ბრძენქალი ასმათი გავსინ-ჯოთ: სწორედ მას ეკუთვნის სასწაულებრივად სა-ინტერესო აფორიზმები: „არს უკეთესი, რაცალა სწადს განგებასა, ზენასა“ (308); ასმათსავე ეკუთ-ვნის გენიალური აფორისტული სტროფი, რომელ-შიც სამი წრეშეუწერელი სიბრძნეა ჩამოყალიბებუ-ლი:

გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიღიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლნი
სწვიდიან (857).

ასევე ასმათისაა ყოველდღიურად სახმარი აფორიზმი: „სხვა სხვისა ომში ბრძენია“ (859).

ვფიქრობ, პოპულარობით ბევრი ავთანდილისე-ული აფორიზმი ვერ გაეჯიბრება ასმათის ნააზ-რევს:

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (863).

ამრიგად, სულ ასმათს ეკუთვნის დაახლოებით 12 აფორიზმი.

თავისი მოქმედებისა და მსჯელობის დროს ფრიდონმა მოასწრო და გამოთქვა 6 აფორიზმი.

ასე რომ, აფორიზმთა დაახლოებით 40 პრო-ცენტი თუ ეკუთვნის ავთანდილს, დანარჩენი – სხვა პერსონაჟებს. და ამისი ახსნა საძნელო სულაც არაა: პოემის აღნაგობა მოითხოვს, ჩვენ თვალწინ მოძრაობდეს, ტრიალებდეს ავთანდილი; ეხმარებოდეს იგი გულგაფუჭებულ ძმობილს, ხვდებოდეს არაერთ პერსონაჟს, საუბრობდეს მათთან, წერდეს წერილებსა და ანდერძებს და ა.შ. სწორედ ამ გარე-მოებამ გააჩინა ილუზია, თითქოსდა არაბი მოყმე „ყველა სიბრძნეს“ ქადაგებდეს. სინამდვილეში მისი სიბრძნე პროპორციულია მისი აქტიურობისა, ასპა-რეზზე მისი ყოფნის ხანგრძლივობისა. თუ აღნიშ-ნულს გავითვალისწინებთ, მაშინ ყველაზე ბრძენი გამოდის სოგრატ ვაზირი; განსაკუთრებით არ ჩა-მოუვარდება მას ტარიელი.

ტექსტის მიხედვით, ძალიან მცირე ასპარეზი ეთმობა ნესტანს, არადა სწორედ მისია შემდეგი ნა-სიბრძნი:

**ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენენე საქმენი საგმირონია!**
(383).

ბრძენქალის ნათქვამია სენსაციურად პოპულა-რული აზრი: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შე-იქმს ხმელსა ნედლად“ (548).

ნესტანს ეკუთვნის სასწაულებრივი გამოთქმები, ჩატეული ერთ სტროფში:

ბედი უბედო ჩემზედა მიწყივ ავისა მქმნელია.

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა

საკვირველია?

სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია (1184).

მასვე ეკუთვნის წარმტაცი ფილოსოფიური დებადი: „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?“ (1200) და ასევე მეტად ღონიერი ნააზრევი: „რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!“ (1200).

აფორიზმებით არის გატენილი ნესტანის ანდერძი. ეს ავთანდილის ანდერძზე ბევრად ნაკლები ნააზრევი როდია! შეიძლება ითქვას: პოემის ათობით მხატვრულ მწვერვალში განსაკუთრებით გამოირჩევა სამი: 1. ავთანდილის ანდერძი; 2. პროლოგი, 3. ნესტანის ანდერძი.

მაში, ნესტანი სიბრძნით, როგორცა ვხედავთ, ავთანდილს დიდად არ ჩამოუვარდება, ახლა კი ვნახოთ მისი განსაკუთრებულად პოპულარული ნასიბრძნი. ქვემოთ მოყვანილ სტროფში სამი გონიერი თქმაა:

ჰედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!

რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია,

ბრძენი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან
საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაჰმე, რა დიდი ძნელია!
(1303).

ამავე თავშია: „გაგიცხადა დამალული გონება-
მან დაფარულმან“ (1304) და იქვეა: „აწ კვლა ქმნა
იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების“ (1307); იქ-
ვეა: „ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვე-
მართა!“ (1308); იქვეა სუფიური სიბრძნე: „თუ სი-
ცოცხლე მნარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა
ტკბილი“ (1314).

ჩემი გამოთვლით, ფარსადანის ასულს ეკუთ-
ვნის 20-მდე აფორიზმი.

ვიმეორებ, მისი მოქმედება-მეტყველების სიხ-
შირის მიხედვით, ეს გახლავთ ერთი საუკეთესო მო-
ნაცემი!

არც ფატმანია სათვალავიდან გამოსარიცხავი.
ისიც ბრძენქალია. მას სულ ეკუთვნის 11 გონიერი
გამოთქმა. სწორედ მისია ერთობ საგულისხმო გა-
ნაცხადი: „მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ
არ უთხრას, რაცა სჭირდეს!“ (1092); არანაკლებ სა-
ინტერესოა ეს გამონათქვამიც: „მკურნალმაცა ვე-
რა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა“ (1115);
სწორედ ფატმანისაა გენიალური მოსაზრება: „მარ-
თლად თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირ-

სა – რქანი“ (1175); სწორედ ვაჭარი ქალის მონოლოგშია ჩაგვირისტებული კონგენიალური დასკვნა: „ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“ (1205); უცილოდ უკვდავია ეს ნასიბრძნიც: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა – ბოზი ნაცი“ (1213); უსენის ცოლის გონიერების დასტურია ერთ სტროფში (1222) ორი აფორიზმის დაჯრა: „ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე!“ და „მით ვხედავ ბოლოდ სოფელსა, ოხრად ჩანს ყოვლი სად არე!“ უსენის მეუღლისაა ეგ დაუგინერი ფილოსოფიური დებადი: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი!“ (1443). ეჭვი არაა, რომ ეს გახლავთ პოემის იდეური პათოსის მთავარი ღერძი.

ასე რომ, ფატმანი არავისზე ნაკლებ სიბრძნეს არ ამჟღავნებს.

ამრიგად, თუ ავთანდილზე მოდის 85 აფორიზმი, დანარჩენ აქტიურ პერსონაჟებს მთლიანად წარმოუთქვამთ:

ტარიელი – 35

თინათინი – 5

როსტევანი – 12

სოგრატი – 8

ასმათი – 12

ფრიდონი – 6

ნესტანი – 20

ფატმანი – 11

სხვა პერსონაჟები – 4-5.

სულ დანარჩენ პერსონაჟებს ჩამოუყალიბები-
ათ 115 აფორიზმი.

მაშასადამე, შეპირისპირება ამგვარია: 85 – 115.

დასკვნა ერთადერთია: „ვეფხისტყაოსანში ყვე-
ლა სიბრძნე უმთავრესად ავთანდილის პირით არის
გაცხადებული“ – სიმართლეს არ შეესაბამება.

კატეგორიულად მიუღებელია მეორე ცენტრა-
ლური დებადი: „ტარიელის დახატვისას ავტორს მა-
ინც შედარებით ერთი მიმართულებით მიჰყავს
მოქმედება და ერთპლანიანად ხატავს ამ პერსო-
ნაჟს, სრულიად სხვაა ავთანდილი. მისი მოქმედება
ყოველთვის შეესაბამება იმ კონკრეტულ ვითარე-
ბას, იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიაც მას
უხდება მოქმედება“ („ცისკარი“, გვ. 106).

საკითხის ასე წარმოდგენა ილუზიაა, რომელ-
საც ტექსტის ფაბულის დალაგების, ანუ კომპოზი-
ციის, თავისებურება იწვევს. ამან კი მკვლევარი არ
უნდა მოატყუოს.

საქმე ისაა, რომ ერთნაირ სიტუაციაში ორივე
პერსონაჟი სრულიად ერთნაირად იქცევა (სხვა სა-
კითხია, ეს ვის როგორ გამოსდის); საამისო მაგა-
ლითებს ქვემორელე უხვად წარმოვადგენ. აქ კი

ვიტყვი: აღნიშნულ ილუზიას იწვევს, ვიმეორებ, ტექსტის ცალკეულ ნაწილთა დალაგება. კერძოდ, ვითარება ისეა წარმართული, რომ ავთანდილის (ანუ არაბეთის) ამბავში ჩასმულია, ჩანსულია ტარიელის (ანუ ინდოეთის) ამბავი. ეს იმგვარი ვითარებაა, როცა ოქროს ბეჭედში ჩაგვირისტებულია ბრილიანტის თვალი. ამიტომაც მოცულობით არაბეთის (ავთანდილის) ამბავი ბევრად მეტია, ვიდრე ინდოეთის (ტარიელის) ამბავი. ამის გამო სპასპეტი გამუდმებით ჩვენ თვალწინ ტრიალებს, მოძრაობს, მსჯელობს, მოქმედებს, ფიქრობს; სწორედ განსხვავებულ სიტუაციებში ყოფნა ხდის ამ ორ ერთ თვისების გმირს სხვადასხვა ტიპად. მაშასადამე, სხვადასხვა ობიექტური გარემო სხვადასხვაგვარ განათებას ანიჭებს მათ. სხვა მხრივ ისინი ერთმანეთის ტოლნი, ფარდნი და ერთნაირი არიან და მსგავს სიტუაციაში მსგავსადვე მოქმედებენ: ორივე მიჯნურია. მაში, ორივეს ახასიათებს ის 10 აუცილებელი თვისება, რომლებიც ჩამოთვლილია სტროფში „მიჯნურსა თვალად სიტურფე“; ორივე კეთილშობილია. ისინი ერთნაირად არიან „მეფეთაგან ზრდილობით“; ორივე ერთნაირად გაურბის სისხლის ტყუილუბრალოდ ღვრას; ორივე მოკრძალებულია მაშიკის წინაშე და რიდით ელოდება ქალის აღსარებას; ორივე მყისვე ასრულებს სატ-

რთოს მიერ დასახულ საგმირო დავალებას; ავთან-დილმა ნახა, რომ ტარიელს გულისსწორის ნაბოძე-ვი ოქროს სამკლაური ეკეთა; მანაც მოსთხოვა ასე-თი სახსოვარი სატრფოს და კიდევაც მიიღო მარგა-ლიტის სამკლავე; ორივე ერთნაირად ებრძვის ბო-როტებას, უსამართლობას; იცავს უმწეოსა და და-ჩაგრულს; ორივე არის „მძლეთა მებრძოლთა“ მძლეველი. ორივე გმირულად გადაეშვება ომში და ა.შ. ამირბარიც „მრავალი პლანით“ არის დახატუ-ლი; დებულება, რომ „ტარიელის დახატვისას ავ-ტორს მაინც შედარებით ერთი მიმართულებით მიჰყავს მოქმედება და ერთპლანიანად ხატავს ამ პერსონაჟს“, კონკრეტული ვითარების გაუთვა-ლისწინებლობის შედეგია. საქმე ისაა, რომ, თუ ავ-თანდილის ყოფაში გამოიყოფა 1 ეტაპი, ტარიელის ცხოვრებაში გამოიყოფა სამი ეტაპი: I. როცა იგი ნორმალურ ვითარებაშია; II. როცა ამირბარი სატ-რფოდაკარგულია და ამის გამო დეპრესიაშია ჩა-ვარდნილი; III. როცა სატრფოს ადგილსამყოფლის დადგენის შემდეგ კვლავ ძველებურ მდგომარეო-ბას დაუბრუნდა. ცხოვრების I და III ეტაპებზე იგი ისევე ლალი და მხიარულია, სიცოცხლის მეტრფე და მრავალმხრივია, როგორც ავთანდილი. ამ დროს მისი ქცევა მრავალპლანიანია სწორედ ისე (და უფ-რო მეტადაც კი!), როგორც ავთანდილისა; მისი

ცხოვრების მესამე ეტაპზე ამირბარია ყველა აზრი-სა და მოქმედების შემოქმედი; ავთანდილი უკვე თმობს თავის პოზიციებს და მთლიანად ემორჩილება ფარსადანის ძის აზრებს, მოსაზრებებს, მოქმედებებს; ყველა საქმის ინიციატორი ამიერიდან ტარიელია (მაგალითად, ფრიდონის მწყემსების „დაწიოკება“, ქაჯეთის ციხის აღების წინასწარი გეგმის შემუშავება და ა.შ.); ერთი მიმართულებითა და ერთი პლანით იხატება მისი ყოფა მისი ცხოვრების მეორე ეტაპზე, როცა იგი დაბნედილი და გაჭრილი, უგონო მაჯნუნის ტიპია; საგულისხმოა, რომ თავისი ეგ რთული ვითარება ლომგმირს გააზრებულიც კი აქვს – ავთანდილი რომ დაუკვირვებლად უსაყვედურებს: „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებო“ (885), იქვე მოსწრებულად უპასუხებს:

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს
ბრძნობასა?!
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცალა ვიყო ცნობასა!
(895).

ტარიელის ცხოვრების ამ მეორე, ტრაგიული, პერიოდის არსს ამომწურავად ხსნის ასმათი:

გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიღიან (857).

მაში, პოემაშივეა ახსნილი ტარიელის ყოფის II პერიოდის საფუძველი: სატრატოდაკარგული რაინდი მაჯნუნადაა ქცეული; გული გაფუჭებია, ხოლო ცნობიერება და გონი გულზეა დამოკიდებული.

აი, სწორედ დაბნედილობის პერიოდის ტარიელია ძირითადად ჩვენ წინაშე წარმოსახული და ამიტომაც გვეჩვენება, თითქოსდა ტარიელის დროებითი მდგომარეობის პერიოდი მარადიულია და სწორედ ეგაა პერსონაჟის მთავარი მახასიათებელი.

არა!

ეგ დროებითი ვითარებაა. მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყო, შესაძლოა, ავთანდილიც მსგავსადვე დაბნედილი გვეხილა!

ამრიგად, სპასპეტის ყოფის ყველა ეტაპი და ამირბარის ცხოვრების I და III ეტაპები იდენტურია; მათ შორის სხვაობას თითქმის ვერ აღმოვაჩენთ და ამ დროს ამირბარიც ისე მრავალპლანიანი და დინამიკური გმირია, როგორც – სპასპეტი.

ერთსაც დავსძენდი:

რატომდაც ყველასა ჰგონია, რომ „დაბნედილი“ ტარიელი საჭიროებს შემწეობას და ყველა მას ეხმარება. ის კი მორჩილად იღებს ამ შენევნას. მაში, თამაშობს მეორე როლს.

ესეც სრული ილუზია და ტექსტის ნამდვილი მონაცემების გაუთვალისწინებლობაა.

არა, ბატონებო!

პირველ აქტიურობას ყველა შემთხვევაში ავ-
ლენს ტარიელი და არა მისი მოყვასნი.

განვსაჯოთ ფრიდონ-ტარიელის ურთიერთობა.

პირველად სწორედ უცნობი ლომგმირი ეხმარება
ვერაგ ბიძაშვილთაგან დაჩაგრულ ფრიდონს: ჯერ
მოიწონებს მას, დაუყვავებს, დააშოშმინებს, გაამხნე-
ვებს, დახმარებასაც აღუთქვამს; მერმედ მართლა
წაჰყვება საომრად და მტერს დააჩოქებინებს.

და ყოველივე ამას აკეთებს უანგაროდ.

ამ დროს ფრიდონმა ისიც კი არ იცის, თუ ვინაა
ეს უცხო რაინდი.

მხოლოდ ამის შემდგომ ეხმარება მულდაზან-
ზარის პატრონი ინდოელ ვაჟკაცს.

მაშ, ნურადინის მიერ გაწეული მეგობრობა მე-
ორეულია, საპასუხო სვლაა სტუმრის სიკეთეზე.

განვიხილოთ ავთანდილ-ტარიელის ურთიერ-
თობა.

აქაც პირველ სიკეთეს ტარიელი გამოიჩენს: იგი
უცხო მოყმეს საკუთარ მძიმედ გასახსენებელ თავ-
გადასავალს უყვება, რა არის, მან თინათინის დავა-
ლების პირნათლად შესრულება შეძლოს. ტრაგიკუ-
ლი ნამყოს მოგონებისას ტარიელმა არაერთხელ
კინალამ სული განუტევა. იგი ბოლოს სპასპეტს ასე
ეუბნება: ხომ გიამბე მთელი ჩემი ამბავი, წადი, სატ-

რთოს უამბე, მოიგე მისი გული და იბედნიერე, უკან
ნულა დაბრუნდები, შენ მაინც იყავი ბედნიერიო!

აქაც სრული უანგარობაა და სიკეთის პირველი
შემოქმედიც ამირბარია. პირველი სწორედ ის ეხმა-
რება არაბ რაინდს. სპასპეტის მოქმედება კი საპა-
სუხო სვლაა, მაშ, მის მიერ განეული მეგობრობა
მეორეულია.

მიუხედავად ამისა, ბოლოს ამირბარი მისთვის
გარჯილსა და თავდადებულთ მაინც საგანგებოდ
აჯილდოებს: ფრიდონს დევთა ქვაბის სიმდიდრე
უძღვნა; ავთანდილს თინათინის ხელი დროზე ადრე
მოუპოვა; ფატმანს ქაჯთა საუნჯე აჩუქა; ასმათს –
ინდოეთის ერთ-ერთი სამეფო ...

ამრიგად, ილუზორულია წარმოდგენა, თით-
ქოსდა ტარიელი სტატიკური, უმოქმედო, ფლეგმა-
ტური გმირი იყოს, ხოლო ავთანდილი – დინამიკუ-
რი და ხალისიანი; ილუზორულია გუმანიც, რომ
ამის გამოისობით ყოველთვის სხვები ეხმარებიან
პასიურ პერსონაჟს, ხოლო თვითონ მხოლოდ მოპა-
სუხისა და დახმარების მიმღების როლს ასრულებს;
ტექსტის მიხედვით, ტარიელი ყოველთვის და
ყველგან პირველი და მთავარი პერსონაჟია, გმირ-
თა გმირი და მრავალმხრივ შემკული პიროვნებაა.

2020 6.

ხელისუფლისა და შემოქმედის ურთიერთდამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანში“

კულტურა და მისი ინიციატორი შემოქმედი ყოველთვის წინ უსწრებს ოფიციალურ, გაბატონებულ იდეოლოგიას, შეუმცდარად აფასებს და ხედავს პოლიტიკოსთა მუშაობის ხარვეზებს, შეცდომებს და ხმას თამამად იმაღლებს არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. პოლიტიკის მესვეურთ ყველაზე მეტად სწორედ კულტუროსანთა, განსაკუთრებით მესიტყვეთა დაშოშმინება, მოთოკვა, მოთვინიერება უჭირთ. ამიტომაც მიმართავენ მათთან ურთიერთობის ისეთ ფორმას, როგორიცაა შემოქმედებითი თანამშრომლობა, უკეთ, სახელმწიფო დაკვეთის მიცემა, როცა დამსაქმებლად გამოდის პოლიტიკოსი (სახელმწიფო) და დასაქმებულად – შემოქმედი. კულტუროლოგები დიახაც ფიქრობენ, რომ არსებობს პოლიტიკასა და კულტურას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელსაც სახელმწიფო დაკვეთა ჰქვია და იგი შედეგს მაშინ აღწევს, როდესაც კულტუროსნისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ერთულოს ემთხვევა (ი. კვესელავა). ამის მაგალითი ერთობ ბევრია. სწორედ ამგვარმა თანამშრომლობამ შექმნა მსოფლიოს ისეთი

შედევრები, როგორიცაა ტაჯმაჰალი, სიქსტის კაპელა, ვერგილიუსისა და ჰორაციუსის ქმნილებანი, თუნდაც გ. ლეონიძის „ნატვრის ხე“...

რომის პაპმა იულიუს მეორემ რომში მიიწვია ფლორენციელი გენიოსი, რათა მიქელანჯელოს პაპის საფლავი მოეწყო; დაკვეთით მოხატა მან სიქსტის კაპელა; გაიუს ცილნიუს მეცენატის (სწორედ ამ გვარიდან მოდის საზოგადო სახელი **მეცენატი** და **მეცენატობა**) დაკვეთით შეთხზეს ჰორაციუსმა და ვერგილიუსმა უკვდავი შედევრები. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვრცელი პოემა „ენეიდა“ ვერგილიუსისა; თვით საბჭოთა ტირანიის დროსაც ხდებოდა „დამჯერე“ შემოქმედთა წახალისება. მაგალითად, ი. სტალინი ყოველნაირად უწყობდა ხელს მაიაკოვსკის, გორკის, ბულგაკოვის, მიხალკოვის, ლეონიძის, მსახიობების ვასაძის, ხორავას საქმიანობას, ახალისებდა მათ პრემიებით, უფასო ბინებით, აგარაკებით, მანქანებით...

სახელმწიფო დაკვეთის წესი მოქმედებდა რუსთველის წინარე და რუსთველის ეპოქებშიც. X-XI საუკუნეების ირანის სამეფო კარზე ბევრი მგოსანი ტრიალებდა და, რაკი რაიმე სხვა შემოსავალი არა ჰქონდათ რა, ეწეოდნენ მეხოტბეობას. სწორედ ამ საქმიანობით გამოირჩეოდნენ რუდაქი, ონსორი, ფეროხი, ასჯადი. ისინი ოქროსა და სხვა სარგე-

ბელს სულთან მაჰმუდ ღაზნევისაგან იღებდნენ. სწორედ მის კარზე სცადა ბედი სახელოვანმა ფირ-დოუსიმ, მაგრამ ვერაფერს გახდა (მ. თავდიშვილი, ფირდოუსი); საგულისხმოა, რომ აღმოსავლური რენესანსის დიდებულ წარმომადგენელ ხაყანი შირვანელს სწორედ ამ საქმიანობამ მოუპოვა დიდება. კიდევ მეტი, მთელს ქვეყნიერებაზე ყველაზე პოპულარული პოემის „ლეილისა და მაჯნუნის“ შეთხზვაც დაკვეთის გზით მოხდა და ამ საკეთილო საქმეში გარეულია დავით აღმაშენებლის შვილიშვილი ალსართანი. დავით აღმაშენებლის ასულის თამარისა და მანუჩარ შაჰრიარის შვილმა ალსართანმა უბრძანა ნიზამი განჯევს შეეთხზა „ესე ამბავი არაბული“ სპარსულ ენაზე და მგოსანმაც დაკვეთა წარმატებით შეასრულა (მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი).

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო კარს, სხვაობას ვერ ვიპოვით. აქაც იგივე ვითარებაა. XII საუკუნის ბოლოს ძლიერდება საკარო პოეზია. იგი მთლიანად სამეფო დაკვეთაზეა აგებული. დაკვეთით გახლავთ შესრულებული XII საუკუნის სახოტბო შედევრი ჩახრუხაძის „თამარიანი“.

როგორცა ჩანს, თავისი დიდი წინამორბედის ნიზამი განჯევის მსგავსად, თავდაპირველად რუს-

თველსაც დამართნია „საყმანვილო სენი“ და შეუდგენია სახოტბო ლირიკული პოემა, ე.ნ. „ქებანი“, რომელშიც შეუქია თამარ მეფე (ალბათ მისი ხელმეორედ გამეფებასთან დაკავშირებით). როგორც ცნობილია, ნიზამიმ მოგვიანებით დაგმო თავისი ეგ გადაცდომა. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, იქ, სადაც ავტორი წვრილ-წვრილ ლირიკულ ნაწარმოებებზე გვესაუბრება, ნიზამის მსგავსად ქვას ქვაზე აღარ ტოვებს წვრილ-წვრილი ლირიკული და სახოტბო ნაწარმოებებისაგან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას თავდაპირველად სხვათა მსგავსად სახოტბო ჟანრშიც უცდია კალამი, ოღონდ ისიც აღვნიშნოთ: მოშაირეს მიუღია სახელმწიფო დაკვეთა. რუსთველი არ ტყუის, როცა მკაფიოდ, არაორაზ-როვნად აცხადებს:

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა
ტკბილისა,

ქება წარბთა და წამნამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით
მიწყობილისა.

პოემის ამ მე-5 სტროფში მრავლობითი ფორმა „მიბრძანეს“ ზრდილობის გამომხატველია, თქვენობითი მიმართვაა. ასეთი ფორმები პოემაში სხვა-განაც მეორდება. აქ საგულისხმოა შინაარსი სიტ-

ყვისა „მიბრძანეს“. XII-XIII საუკუნეებშიცა და დღე-საც მას აქვს ორი გაგება: **მთხოვეს** და **მიბრძანეს**. ასეა თუ ისე, ფაქტია: ავტორს იმთავითვე ჰქონია კარგი მოშაირის რეპუტაცია, თორემ ისე არავინ (მით უფრო სამეფო კარის წარმომადგენელი) სთხოვდა თამარის შექებას.

მაშასადამე, რუსთველს უკვე წვრილ-წვრილი ლექსების წერით გაუთქვამს სახელი. დაკვეთაც ამიტომ მიუციათ. ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას სხვა ფაქტიც ადასტურებს: ქართული ენის მცოდნე შირვანელი მგოსანი ხაყანი ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსთველი არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ქართველ მოშაირეს სასტიკად აკრიტიკებდა (ხაყანი გარდაიცვალა 1199 წელს): შირვანელი მესიტყვე ნიზამი განჯევის უწოდებს „განჯელ ძალლს“, ხოლო რუსთველს – „რუსთას ვირს“. ამრიგად, რუსთველი შირვანელის თანამედროვე ყოფილა და, თუ ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ, ერთმანეთის არსებობა მაინც სცოდნიათ, რადგან ხაყანი ამ ორ შემოქმედს მიიჩნევს „გულის დარდის მიზეზად“ და არა დროების უკულმართ ცვალებადობას. პროფ. სოსო სიგუა ფიქრობს, რომ ეგ იყო წინააღმდეგობა, გამოწვეული რელიგიური დოგმების დაუცველობით ნიზამისა და რუსთველის მხრიდან; მე კი მგონია, რომ ყველაფერი ეს მოჰყვა ნიზამისა და რუს-

თველის პოეტური კრედოს მიუღებლობას ხაყანის მიერ. საქმე ისაა, რომ ნიზამი სასტიკად აკრიტიკებდა ლირიკულ და სახოტბო ტექსტებს. სავარაუდოა, რომ რუსთველიც ამ იდეას იზიარებდა პოემის შეთხზვის კვირაძალზეც.

მაშასადამე, ერთმანეთს დაუპირისპირდა სახელმწიფო დაკვეთისა და შემოქმედებითი თავისუფლების იდეები. ნიზამი და რუსთველი შემოქმედებითი თავისუფლების მომხრედ გამოდიან, ხაყანი შირვანი – სამეფო დაკვეთის ადეპტად.

ქართველ მოშაირეს დაუწერია „ტკბილი ლექსები“. ლექსებად იგულისხმება ცალკეული სტროფები; ამ სტროფებში შექებული ყოფილა გიშერი. გიშერი მეტაფორაა წარბთა, წამწამთა და თმისა; აქვე წახსენები ყოფილა მეფე-ქალის ბაგეები და კბილები; ავტორი მიჯრით მიწყობილ ღრძილებსა და კბილებს თლილ ბროლ-ბალახშად წარმოადგენს. ბროლი არის კბილის მეტაფორა, ბალახში, ანუ მოწითალო ქვა, გამოხატავს ძოწისფერ ღრძილს.

წინა სტროფში მითითებულია იმაზე, თუ რას უწოდებს ამგვარ შესხმას (ხოტბას) ავტორი და როგორ გასულა მისი თხზულება ხალხში, მკითხველ საზოგადოებაში. მეოთხე სტროფის | ტაეპი ასე გამოიყურება:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული.

ამ ტაეპში აკად. კ. კეკელიძე ხედავდა გლოვის მოტივს და ფიქრობდა: ამ დროს თამარი გარდაც-ვლილია და სისხლის ცრემლები ამას ნიშნავსო. ამ-გვარი გაგება მიუღებელია. სისხლის ცრემლდათხეულობა ძველი მწერლობისათვის ცნობილი ჰიპერბოლაა, ერთგვარი მეტაფორაა განსაკუთრებული სიყვარულისა. ვისაც ფირფოუსის „შაჰ-ნამე“ ყურადღებით წაუკითხავს, შენიშნავდა: პატარა გრძნობასაც კი იქ ახლავს ასეთი განსაზღვრება – სისხლის ცრემლები, ანუ ცრემლი, რომელიც გულიდან მოდის, ესე იგი, ნალდი, მართალი, ალალი.

მეორე ტაეპი უფრო მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის:

ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად გამორჩეული.

აქ უკვე ხდება ხალხში მარჯვედ გასული ქმნილების, სახოტბო ტექსტის, ერთგვარი შეფასება. რუს-თველის სახოტბო ლირიკული პოემა სხვა ამგვარ ნაწარმოებებს შორის „არ-ავად გამორჩეული“ ყოფილა, სხვებზე უკეთესი თუ არა, ნაკლები არ გამოსულა. საგულისხმოა, რომ ამ „ტკბილ ლექსებს“, ანუ სტროფებს, ავტორი ქართულად ასე მოიხსენიებს –

ქებანი. უნდა ვითიქროთ, რომ „ქებანი“ იქნებოდა იმ მოცულობისა და ტიპისა, როგორიცაა ჩახრუხაძის „თამარიანი“ ანდა როგორიცაა ამ „თამარიანის“ მიბაძვით 1661 წელს იმერეთში არჩილ ბაგრატიონის გამეფებასთან დაკავშირებით შედგენილი იაკობ შემოქმედელის „ქება მეფისა არჩილისა“, რომელიც დღემდე სრულიად უსაბუთოდ ზოგიერთ მეცნიერს იოანე შავთელის „აბდულმესიად“ მიაჩნია.

სტროფის მესამე სტრიქონი ავტორის მხატვრული წარმოსახვის ძალას გვიჩვენებს. „ქებანის“ წერისას ავტორს, თურმე, შთააგონებდა საყვარელი პატრონის, მეფე-ქალ თამარის, შავი თვალები (მეტაფორა „გიშრის ტბა“) და წვრილი წელი (მეტაფორა „რხეული ლერნამი“ – „ნაი რხეული“). ეგ „ნაი რხეული“ არაერთგზის არის გამოყენებული ფირფოუსის, ნიზამისა და სხვა აღმოსავლელი პოეტების მიერ.

ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლო კადენცია, მეოთხე ტაეპი. აქ ჩანს, თუ რა ხარისხისა გამოსულა საბოლოოდ სამეფო დაკვეთით შესრულებული „ქებანი“:

ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

აქ საუბარია მხატვრული ნაწარმოების სამი ღირებულებიდან მესამეზე – ესთეტიკურ ღირებულე-

ბაზე, იმ ღირებულებაზე, რომლის ძალითაც მკითხველი მიეჯაჭვება ტექსტს და გატაცებით კითხულობს, შედეგად კი ითვისებს მის წინა ორ ღირებულებას – შემეცნებითსა და აღმზრდელობით ღირებულებას. თურმე, ვინც „ქებანს“ ისმენს, დეკლამატორის (სპარსულად ნაყალის) წაკითხულს, გულზე მხატვრული ტკბობის ლახვარი დაესობა, უზარმაზარ ესთეტიკურ სიამოვნებას იგრძნობს.

მაშასადამე, ქართული შედევრის შესავალი მკაფიოდ გვიჩვენებს: შემოქმედი ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას ზუსტად ისე, მოგვიანებით რომ ასრულებდა, მაგალითად, მიქელანჯელო ბუონაროტი.

მაგრამ პოემის შესავალი ნაწილი მხოლოდ ამცნობით როდი შემოიფარგლება. იგი უფრო მეტს და უფრო მნიშვნელოვანს გვატყობინებს.

ვეღლ დროში შემუშავებული იყო ასეთი წესი: ვრცელ ეპიკურ ქმნილებებს, პოემა-ეპოპეებს, წინუნდა წამძღვარებოდა პროლოგი, რომელშიც პოეტ-ვასალს ლვთისა და მისი სიუზერენის სახელი უნდა ეხსენებინა, ედიდებინა ისინი, შემდეგ ორიოდე სიტყვა ეთქვა მთავარ პერსონაჟზე, ეხსენებინა საკუთარი ზედწოდება ან სახელი და სხვ. მთავართ უმთავრესი კი ზენაარისა და ამქვეყნად მისი აჩრდილის (ხელმწიფის) ხსენება და ქება გახლდათ. ამ

განრიგში ყველაზე მთავარი მაინც ღვთისა და ამ-ქვეყნად მისი აჩრდილის (პატრონ-სიუზე-რენის) ხსენება გახლავთ. დამკვეთ-სიუზერენს ღვთის შემდეგ უპირატესი პატივი ეკუთვნოდა. ამ წესს იცავდა ფირდოუსი; ეგ წესი კლასიკურ სიმაღლეზე აიყვანა ნიზამი განჯევმა, რუსთველის უშუალო წინამორბედმა. „ხოსროვისა და შირინის“ შესავალში განჯელი ბრძენენაცი თავის დამკვეთსა და პატრონ შამსედინს ასე მოიხსენიებს: „ის არის ლომი, ლომზე ძლიერი“. ამის შემდეგ საუბრობს ხელმწიფის სხვა სიკეთეთა შესახებ.

ახლა ვნახოთ, ღვთის დიდების კვალდაკვალ რაზე წერს რუსთველი. შესავლის 2 სტროფი ეძღვნება ზენაარს, მომდევნო სამი – პატრონებს: დავით სოსლანსა და თამარს. მართალია, მეფე გახლავთ თამარი, ლაშა-გიორგი იხსენიება არა დავითის, არამედ თამარის ძედ, ოლონდ რუსთველი არ არღვევს ძველი ქართული ლიტერატურის მტკიცედ შემუშავებულ წესს: ქალსა და კაცს შორის წინ წამოიწიოს ის, ვინც რეალურად არის პირველი, ძლიერი და საქმის გადამწყვეტი. მთელი აგიოგრაფია ამის მაგალითია: მუდამ წინ წამოწეულია მამაკაცი, საზოგადოების ლიდერი. გარდა ამისა, რუსთველმა კარგად იცის: პატრონებს შორის (თამარი და დავითი) რეალური ლიდერი მაინც მამაკაცია,

დავით სოსლანია. ამიტომაც ჯერ „ლომის“ ქებით
იწყებს და შემდეგ გადადის თამარ მეფის ხოტბაზე.
როგორც ნიზამის სიუზერენი იყო „ლომი“, ისევეა
რუსთველის პატრონიც:

ვის შვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა,
ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ,
თმა-გიშერისა.

აქ „მეფე მზე თამარი“ ავტორს დასჭირდა მეტა-
ფორა „ლომის“ გასამარტავად და ამიტომ ამჯერად
აქ თამარის სახისა და ქების დანახვა უჯეროა, ის
მოხმობილია იმის საჩვენებლად, თუ ვისი „ლომია“
დავით სოსლანი. პროზის ენაზე რომ ვთარგმნოთ
რიტმის შესაქმნელად თავისებურად დალაგებული
სიტყვები, ასეთ რასმე მივიღებთ:

მეფე მზე თამარის ლომს (=დავით სოსლანს)
შვენის შუბისა და ფარ-შიმშერის ხმარება (ე.ი. ვაჟ-
კაცია, მეომარია, შემმართებელია).

სიუზერენის შესახებ მსჯელობა გრძელდება
მომდევნო ტაეპებშიც:

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს,
მართ მიშერისა.

პოეტი ჭოჭმანობს, არ იცის, თავისი სუსტი ხოტბა-შაირი, ანუ ლექსი („შერი“ ლექსსა ნიშნავს დღევანდელ აზერბაიჯანულშიც), რანაირად ჰყად-როს ქვეყნიერების მპყრობელს.

აქ პატრონი-სიუზერენი ცამდეა ანეული, მისი ავტორიტეტი ისე დიდია, ავტორს თავისი სუსტი ქმნილება არ მიაჩნია იმის ლირსად, რომ აქოს ასე დიდი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე.

თამარის თანამეფის ჰიპერბოლური ქება უმაღლეს წერტილს აღწევს მეოთხე სტრიქონში: ვინც ჭვრეტს და უყურებს დავით სოსლანს, აუცილებელია იმას მივაწოდოთ შაქარყინული, რათა ამ დიდი და სასწაულებრივი გმირის ცქერისას გული არ გადაუხურდეს და გადაეწვას. შაქარყინული (დღევანდელი თქმით, ნაყინი) ცოტათი მაინც გააგრილებს გადახურებულ გულს.

დავით სოსლანის პიროვნების განდიდების კიდევ უფრო გაშლა და დაკონკრეტეტება გვეძლევა პოემის ეპილოგის იმ სამ შიდა სტროფში, რომელიც ჩვენ რუსთველის ნაკალმარად მიგვაჩნია. აქ, კერძოდ, ნათქვამია:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს
სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად.

თუ პროლოგში იყო მეტაფორათა ასეთი მიმართება: ლომი – დავითი, მზე – თამარი (სხვათა შორის, პრინციპი იგივეა, რაც საკუთრივ პოემაში. იქ „ლომია“ ავთანდილი, „მზე“ – თინათინი), ეპილოგშიც იგივე ვითარებაა: ქართველთა ღმერთ დავითს თავს დაჰვარგურებს „მზე“ (მეტაფორა თამარისი).

მომდევნო ტაეპები ასე ჟღერს:

ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა
მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა
გამახარებლად.

დავით სოსლანი უძლიერესი სარდალია, მეუღლის თანამეფეა, რომელიც აღმოსავლეთიდან დაწყებული დასავლეთამდე (ანუ მთელს ქვეყნიერებას) შიშის ზარსა სცემს. აქ გავიხსენოთ ერზინჯის სულთანი, რომელიც, ერთი ისტორიკოსის გადმოცემით, თურმე, დავით სოსლანს რომ უხსენებდნენ, ისე ცუდ ხასიათზე დგებოდა, იმ დღეს სადილსაც არ მიირთმევდა.

ადვილი შესაძლებელია, ეგ ამბავი რუსთველსაც სცოდნოდა და წინამდებარე ტაეპი ამის გამოძახილიც იყოს.

ლექსის მიხედვით, დავითი ყოფილა ორგულთა დამწველ-დამდაგველი და ერთგულთა გამახარებელი.

ეპილოგის მომდევნო სტროფში ხაზგასმულია დავითის სამხედრო-მეომრული სიქველე, ანუ „სიჩალხე-სიხაფეთანი“. სხვათა შორის, ხაფი ხმითა და სიჩალხით გამოირჩევა ტარიელი ქაჯეთის ომში. ამ ომის აღწერისას ნათქვამია: „კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა“.

ამ სტროფში საგულისხმოა ერთი გარემოება: ავტორი უზენაეს პატრონს, სამხედრო-პოლიტიკური სიქველით გამორჩეულ პატრონს ერთგვარად ბოდიშს უხდის, თუ რად არ ასახა მისი საკვირველი გმირობა. რუსთველი გვიხსნის, თუ რად არჩია რეალურ საგმირო ამბებს მხატვრული გამონაგონი. იგი არაორაზროვნად აცხადებს: დავით სოსლანმა რაც გმირობა ჩაიდინა, სიჩალხე-სიხაფეთანი გამოავლინა, იმის აღწერა მე სად შემეძლო, ამისი ნიჭი ვინ მომცა. ამიტომ უფრო იოლი, უფრო ადვილსაქმნელი საქმე მოვიხელთე და ის აღვწერეო.

ასე დაიძვრინა თავი „მცოცავი რეალიზმის“ საცეცებისაგან და ერთგვარად თითქოსდა კიდევაც შეასრულა სახელმწიფო-სამეფო დაკვეთა (ფორმალურად), მაგრამ სინამდვილეში მხატვრულ გამო-

ნაგონს უერთგულა, რომელიც მეტ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევდა.

ამ კონტექსტში გარეგნულად მაინც შენარჩუნებულია ვასალ-სიუზერენის ურთიერთობა, რაც თითქოსდა მიანიშნებს „სახელმწიფოსა და კულტურის ჰარმონიულ თანამშრომლობაზე“ (ი. კვესელავა).

მაგრამ, როგორცა ჩანს, სინამდვილეში არც ისე ჰარმონიული ურთიერთობა ჩამოყალიბებულა რუსთველსა და სამეფო კარს შორის.

როგორც ცნობილია, გენიალურ პოეტს თანამდებობრივი წარმატებისათვის მიუღწევია. მართალია, ავტორის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა, ოღონდ სრული უეჭველობით ვიცით, რომ შოთა რუსთველი, თამარ მეფის თანამედროვე დიდგვაროვანი პირი, იყო ჰერეთის ან მესხეთის რუსთავის მფლობელი, სამეფო კარის მექურჭლეთუხუცესი, რომელმაც ხანდაზმულ ასაკში შეაკეთებინა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი და მოახატვინა სვეტები. ამ დამსახურების აღსანიშნავად მონასტრის სააღაპე წიგნში შეიტანეს მისი სახელი, ხოლო მონასტრის ერთ სვეტზე მისი სურათი გამოსახეს (ქართული მწერლობა, I).

ქართველ მკვლევართა თაობებს აწუხებდათ ერთი კითხვა: რამ წაიყვანა მხცოვანი მესიტყვე იე-

რუსალიმში, პროტესტის ნიშნად ხომ არ დატოვა ქვეყანა და უცხო მხარეს მიაშურა?

ეგ ადვილი მოსალოდნელია, რადგან ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი ბუნებით ოპოზიციონერია (რ. მიშველაძე). ხომ არ იყო ჩვენი მგოსანი ლტოლვილი-ოპოზიციონერი?

მსოფლიო და ჩვენი ქვეყნის ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის კულტუროსანთა მიმართ ხელი-სუფლების ნეგატიური დამოკიდებულებისა, რის გამოც ზოგიერთი მათგანი საკუთარი ქვეყნიდან მიდიოდა, გადასახლებაში თუ საპყრობილეში ხვდებოდა ან ფიზიკურად ისპობოდა (ი. კვესელავა).

ამ თვალსაზრისით საჭიროა გავითვალისწინოთ მისი წინამორბედი პოეტების, მისი სულიერი მას-ნავლებლებისა და უფროსი კოლეგების ცხოვრების გზა.

ავიღოთ აბულ ყასემ ფირდოუსი, გენიალური ირანელი პოეტი, სპარსელთა რუსთველი. იგი ყოველნაირად ცდილობდა სულთან მაჰმუდ ღაზნევის გული მოეგო, კარზეც მორჩილად ეახლა, ოღონდ პიროვნული და შემოქმედებითი გეზი არ დაარღვია, მბრძანებლის მაამებლური ჰიმნები არ შექმნა და სულთნის წინაშე სხვების წინააღმდეგ გამართული შემოქმედებითი პაექრობა წააგო. იგი შერისხული იქნა. მოუნია მაჰმუდ ღაზნევზე მწვავე ეპიგრამის

შეთხზვა, რასაც მისი ექსორია (სამშობლოდან გა-
ძევება) მოჰყვა (მ. თავდიშვილი, ფირდოუსი).

ახლა თვალი გადავავლოთ ხაყანი შირვანის
ცხოვრების გზას. ის ხომ ნიზამის თანამედროვე და
რუსთველის უფროსი კოლეგა გახლდათ. იგი შირ-
ვანშაპების კარზე მოღვაწეობდა; იმდენჯერ ახსე-
ნებს ქრისტეს, ქრისტიანებსა და წმინდა მარიამს,
რომ იური მარი კიდევაც აცხადებდა: ნიზამი და ხა-
ყანი შეიძლება კაცს უფრო ქრისტიანებად მოეჩვე-
ნოს, ვიდრე რუსთველი; რუსთველი კი უფრო მუს-
ლიმად, ვიდრე ნიზამი და ხაყანიო.

ეტყობა, ხაყანის ჯეროვნად ვერ აფასებდნენ. პოლიტიკურ მმართველობასთან შეუთანხმებლო-
ბისა და ურჩობის გამო ციხეშიც ჩაუსვამთ. თავის
ერთ ლექსში წყრომით ალსავსე გულიდან ამოსულ
ასეთ სიტყვებს ამბობს: თუ მე ჯეროვნად არ მაღია-
რებენ და ლირსეულ პატივს არ დამდებენ, დავაგ-
დებ მუსლიმანობას, ნაჭარმაგევს მივაშურებ და
მუხრანის მონასტერში დავიდებ ბინას; შირვანშა-
პების მონათესავე ბაგრატიონთა შორის მივიღებ
თავშესაფარს, გავხდები მონაზონი და ჩავიცვამ
ჩოხას.

ამას ასე თამამად იმიტომაც აცხადებდა, რომ
დედა გურული ქალი ჰყავდა, იცოდა ქართული ენის
გურული დიალექტი და ამით კიდეც ამაყობდა. თა-

ვის ქმნილებებში, რომელთაც სპარსულად წერდა, ხშირად ჩაურთავდა ხოლმე აზერბაიჯანულ და ქართულ სიტყვებს. სწორედ ერთი ასეთია „გურული რობაი“, რომელშიც ოსტატურად აუხმიანებია გურული ზმნა **მოი!**

ძვირფასო ჩემო, გახდი ქართველად;
აქ მო, მოძებნე ბინა, ამოი!
უშენოდ ციხე არის სამყარო,
ზამთარ-ზაფხული – უსალამოი;
მე ისე ხშირად, ჩემო ღვთაებავ,
გიხმობ, გეძახი: „მოი და მოი!“
რომ ჩემი ენა გარდიქცა „მო“¹ ვით,
თვით ენა გახდა თითქოსდა „მოი“.

(თარგმნა მ. თავდიშვილმა)

თბილისში მოწყობილ მგოსანთა შეჯიბრების მრავალგზის მონაწილეს (დილარა ალიევა) თავისუფლების ქვეყანაში ჩამოსვლა დიახაც უყვარდა. პოლიტიკოსთა მიმართ წყრომას იგი ერთგვარად თბილისქალაქის ზედმეტი ქებითაც გამოხატავდა. ლექსში, რომელსაც ეწოდება „დაბრუნება თბილისში“, ამბობს:

რომ საქართველო გავცვალო სხვაზე,
არ დაიჯერო სიცრუე, მტკნარი;
მე სამარყანდად თბილისი ვსახე

¹ „მო“ სპარსულია და აღნიშნავს თმის ღეროს.

და ჯეიხუნად მეჩვენა მტკვარი.
(თარგმნა მ. თავდიშვილმა)

ერთი სიტყვით, აღმოსავლური რენესანსის დი-
დი წარმომადგენლები ხშირად მოდიოდნენ წინააღ-
მდეგობაში პატრონებთან და ეს იდეოლოგიური
შეხლა-შემოხლა უფრო ხშირად ექსორიით მთავ-
რდებოდა. ზოგ ქართველ მეცნიერს ამგვარ
მსხვერპლად მიაჩნია ქართული ეპოსის ავტორიც.

ამიტომ გაფაციცებით დაეძებდნენ ურჩი პოე-
ტის გაძევების მიზეზს. ერთი ასეთი მიზეზის წყარო
თითქოს პოემაშივე იხილვის.

ბევრი მკვლევარი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ
პოემის ავტორი მკითხველს აგრძნობინებს შოთა
რუსთველის ინტიმურ ტრაგიკულ სამინჯურო გან-
ცდებს, ვითომდაც მგოსანმა პროლოგში გაგვიმხი-
ლა თავისი უზომო, დაუძლეველი და შმაგობამდე
მისული სიყვარული თამარისადმი. ეგ ერთობ ლა-
მაზი ლეგენდაა. ძველი ქართული ლიტერატურული
ტრადიცია თუ ხალხური გადმოცემები მას მხურვა-
ლედ უჭერენ მხარს. მაგალითად, XV-XVI საუკუნე-
თა მიჯნაზე მოღვაწე პოეტი სერაპიონ კედელაური
ასე ალაპარაკებს რუსთველს: „აშიყი ვარ თვალ-
წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა, თუმცა ფასი არ მი-
ბოძა, მან რუსთავი ამიშენა“; თეიმურაზ პირველი
პირდაპირ აცხადებს: „სწვევდა სახმილი უშრეტი

პირმზისა თამარ მეფისა“; ხალხური გადმოცემებითაც, რუსთველი თამარზე ყოფილა გამიჯნურებული. ეჭვი არ გვეპარება, ყოველივე ეს ძლიერ წააგვს ხალხურ ეტიმოლოგიებს, ხოლო ნებისმიერი ხალხური ეტიმოლოგია არის ყალბი და რიოში. აღნიშნული ტრადიციის წყარო, ეჭვი არაა, გახლავთ პროლოგის ცნობილი სტროფი:

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ,
მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით
არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი.

მაგრამ, თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ რუსთველი საშინელ წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ კონცეფციასთან, იმავე პროლოგში (ასევე მთელ პოემაში) რომ აყალიბებს – სიყვარულს მალვა უნდაო.
რა გამოდის?

სიყვარულის მალვის კონცეფციის გამტარებელი მეორეჯერ გათხოვილ და ან უკვე მის მიერვე შექებული დავით სოსლანის მეუღლეს დაუფარავად უცხადებს თავის შეუაღვირებელ, შმაგ სიყვარულს?

რა თქმა უნდა, რუსთველი ასეთ წინააღმდეგობაში ვერ მოექცეოდა და ამგვარ მკრეხელობას პატრონების (დავითი, თამარი) მიმართ არ ჩაიდენდა.

ამრიგად, სიყვარულის ნიადაგზე სამშობლოდან მოწყვეტა და იერუსალიმში გაქცევა გამორიცხულია.

მოგვიანებით ამგვარი ხალხურ-ზედაპირული წარმოდგენა ვასალ-სიუზერენის სიყვარულისა სასტიკად დაგმო უნიჭიერესმა ვაჟა-ფშაველამ. მან მეტად მტკიცე ეთიკური და ტექსტობრივი მაგალითები მოიყვანა; ეგ ხალხოსნურ-პრიმიტიული პოზიცია არ მიიღო არც აკად. ალექსანდრე ბარამიძემ, ხოლო ჩვენ „ვეფხისტყაოსნის დაფანტულ სტროფებში“ დავადგინეთ სრულიად მოულოდნელი რამ: მითითებულ სტროფში ავტორი, თურმე, თამარს კი არ უცხადებს შმაგ სიყვარულს, არამედ თავის ცენტრალურ გმირ ტარიელს (ტარიელ-ნესტანს). გამოთქმა – „დავუძლურდი მიჯნურთათვის“ გულისხმობს პოემის ერთადერთ წყვილს: ტარიელსა და ნესტანს.

ასე რომ, ვასალ-სიუზერენის ინტიმური სიყვარულის თეორია მოიხსნა. აქ თამარისადმი პატრონულური სიყვარულია გაცხადებული და ისიც ყველან შეუფარავად, ვუალირების თვინიერ. მაშასადამე, იერუსალიმს გაქცევა უბედურ სიყვარულს ვერ დაუკავშირდება.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი ავტორი თავის აღტაცებას გამოხატავს არა მარტო თამარის, არამედ

დავითის მიმართაც. სავსებით სწორ დასკვნას გვთავაზობდა ალ. ბარამიძე: ყოვლად შეუძლებელია დავუშვათ, რომ ჩვენი დიდებული პოეტი ჯერ დავითის მიმართ მოწინებითს პატივისცემას გამოთქვამდეს, ქედს იხრიდეს მისი მაღალი ღირსებების წინაშე, ხოლო შემდეგ იმავე დავითის მეუღლეს, საქართველოს მეფესა და დედოფალს უმხელდეს ქვენა სიყვარულს. ამ განმარტების შემდეგ, ვგონებთ, აშკარაა, რომ რუსთველის სიტყვებსა და აზროვნებაში არავითარ წინააღმდეგობას, არავითარ გაორებას ადგილი არა აქვს. იგი გამოხატავს თამარის მიმართ პატრონულ აღალ სიყვარულსო.

ამ ვითარებაში ძალა ეძლევა მეორე მოსაზრებას, რომელიც ყველაზე მწყობრად აკად. შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა. ამ თეორიით, რუსთველის ექსორიის მიზეზი ყოფილა იდეურ-პოლიტიკური შეუთანხმებლობა უმაღლეს ხელისუფლებასთან. მისი აზრით, ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდას. რუსთველი კი სწორედ ეკლესიურ დოგმებს დაუპირისპირდა. შ. ნუცუბიძის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანს“ მსჯვალავს პანთეისტური მატერიალიზმის იდეები. ეს კი ქართულმა ეკლესიამ და ხელისუფლებამ ვერ შეიწყნარესო. ამ ნიადაგზე დაუწყიათ პოეტის დევნა. ყველაფერი ეს შეიძლებაო ამოვი-

კითხოთ პალესტინურ ფრესკაში. სამშობლოდან გადახვეწილმა ავტორმა პალესტინას მიაშურა და ჯვარის მონასტერში ითხოვა თავშესაფარი; ეკლესიამ არ დაუხშო მას კარები და მიიღო თავის წიაღში. ის შეეცადა, შემოერიგებინა პოეტი. იერუსალიმური ფრესკა ამას მჭევრმეტყველურად გადმოგვცემსო. სურათზე გამოსახულია რუსთველის შერიგება ეკლესიასთან. პოეტი მუხლმოდრეკილია ისე დიდი საეკლესიო ავტორიტეტების წინაშე, როგორებიც იყვნენ მაქსიმე ალმსარებელი და იოანე დამასკელი. პროფ. ელ. მეტრეველმა ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა, ყურადღებით შეისწავლა სათანადო მასალები და განაცხადა: რუსთველს რესტავრაცია ჩაუტარებია მონასტრისა, მოუხატვინებია ის და ამ დამსახურებისთვის დაუხატავთ მისი პორტრეტი და შეუტანიათ იგი სააღაპო წიგნშიო.

მაგრამ ეს მაინც ვერ მოხსნის იმ თეზას, რომ რუსთველი იდეურ-პოლიტიკური დისიდენტობისათვის გააძევეს სამშობლოდან.

საერთოდ, რუსთველის ოპოზიციონერობა პოლიტიკური ელიტის მიმართ პოემის შიგნიტექსტიდანაც დასტურდება, რაც დღემდე შენიშნული არ არის. კერძოდ, ვითარება ასეთია: ცნობილია, რომ პირველი ქმარი მეფე-მზეს შერთეს მისი ნების გაუთვალისწინებლად, ისე, რომ გიორგი რუსს, მის

ხასიათსა და ჩვევებს სრულიად არ იცნობდნენ. უმაღლესმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს ქორწინება ქვეყნისათვის სასარგებლოდ ცნო. ამგვარი რამ ფე-ოდალურ სახელმწიფოში წესად იყო მიღებული. ეგ აისახა პოემაშიც: ნესტან-დარეჯანს მისთვის (და ელიტისათვისაც) სრულიად უცნობ ხორეზმელ უფ-ლისწულზე ათხოვებენ.

თამარიც ამ წესის მძევალი გამოდგა.

„გარეგანი მეშველის“ მოყვანამ საქართველო-ში კატასტროფა გამოიწვია, გიორგი რუსმა ვერ გა-ამართლა ქართველთა იმედები.

ქართული პოლიტიკური ელიტის მსგავს იდე-ურ-პოლიტიკურ თვალსაზრისს მკაცრად უპირის-პირდება რუსთველი, როცა თავისი საყვარელი პერსონაჟის პირით სამეფო ხელისუფლებას პირ-დაპირ უცხადებს:

**სხვას, მეშველსა გარეგანსა, მომკალ თუცა
ვინატრიდე!**

ესე იგი, „გარეგანი მეშველის“ ფეოდალურ, ყავ-ლგასულ წესს ტარიელი (იგივე ავტორი) ომს უცხა-დებს. კიდევ უფრო მკაცრია ტარიელის შემდეგი სიტყვები:

**სხვა მეფედ დაჯდეს ინდოეთს,
მე მერტყას ჩემი ხრმალია?!**

აქედან კარგად ჩანს, რომ რუსთველი, როგორც მეჭურჭლეთუხუცესი და უმაღლესი საკარო მრჩეველი, იმ პოლიტიკურ დასში ყოფილა, რომელსაც გარედან მოყვანილი სიძე არადსალირლად მიუჩნევია და ამ წესს მიუღებლად მიიჩნევდა.

ისტორია ნათლად გვირკვევს იმას, რომ რუსთველის პროგრესულ დასს მარცხი უწვნევია. პოემა ერთგვარად აირეკლავს იმ რთულ ვითარებას, რაც ქვეყანაში გიორგი რუსის მოყვანას მოჰყვა. ინდოეთშიც ყველაფერი უკულმა დატრიალდა: სასიძო მოკლეს, ხორეზმი გადაიმტერეს; საპატარძლო გადაიკარგა; ამირბარიც გადაიკარგა; ინდოეთს მტერი შემოესია და დიდი ტერიტორიები დაკარგა; ფარსადან მეფე გარდაიცვალა და დედოფალი-დედა ერთ ციხეშია ჩაკეტილი; მტერ-დუშმანი დღე დღეზე აიღებს იმ ციხესაც და ბასტა! – ყველაფერი დაღუპულია.

აი, რა გამოიწვია „მეშველი გარეგანის“ მოყვანამ ინდოეთში, უფრო ადრე – საქართველოში.

ამის საპირისპიროდ, რუსთველი აქებს და ადიდებს „შინაგანი მეშველის“ – დავით სოსლანის – სახესა და საქმეს.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც ძირი-
თადად მხატვრული გამონაგონია, საკმაოდ ფარ-
თოდ აისახა ხელისუფლებისა და შემოქმედის ურ-
თიერთდამოკიდებულება, რაც სწორხაზოვანი არ
ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

2021 წ.

ფავსტუს პუზანდაცი და ქართული კულტურის ზოგი საკითხი

ბუზანდაცის „ისტორია“ და „შუშანიკის წამება“ თითქმის ერთდროულად იწერებოდა. შუშანიკი გარდაიცვალა 475 წლის ოქტომბერში. წამებაც იმავე წლის შენათხზი უნდა იყოს. „ისტორია“ კი შედგენილია 470-480 წლებში. ორივე ქმნილება ერთ გეოგრაფიულ და ისტორიულ არეალშია აღმოცენებული. შეუძლებელია, მათ შორის არ იყოს ენობრივი, სტილური, ფაქტობრივი და სხვა სახის ერთობა. კიდევ მეტი: „ისტორია“, შესაძლებელია, კიდევაც გვიხსნიდეს ქართული კულტურის ზოგ პუნდოვან ან საორქოფო საკითხს, პრობლემას. არც ის უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, რომ „ისტორიაში“ ბევრი მაშინდელი წეს-ჩვეულებაა აღწერილი, რომელთაც შეუძლიათ ჩვენი ყოფის ზოგი საკითხი განგვიმარტონ.

ამ თვალსაზრისით გადავხედოთ სომეხი ავტორის თხზულებას, რომელსაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ბერძნული ულერადობის ფსევდონიმს ამოფარებული ბიზანტიაში განათლებამიღებული რომელიღაც სომეხი წერს, გვარად, უფრო სავარაუდებელია, – მამიკონიანი.

მეხუთე საუკუნეში სომეხ-ქართველნი, როგორც ერთი ეკლესიის მსახურნი, ერთურთის გვარ-

ტომობაზე მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ამახვილებდნენ. ამიტომაცაა, რომ სომები შუშანიკი ცოლად ისე ჩვეულებრივად მიჰყავს ვარსქენ ქართლის პიტიახშს, რომ ამის რაიმე საგანგებო ხაზგასმა და აქცენტირება არ ხდება. თვით საოჯახო განხეთქილების შემდეგაც არ ჩანს მკვეთრი ეროვნული გამოთქმები. ვარსქენისაგან ცოლყოფილის ჯიშ-ჯილაგის ხსენება არ ატარებს ეროვნულ ნიშანს. ფაქტია, რომ იმხანად ეს ორი ერი მჭიდრო კავშირს ამყარებდა ერთმანეთთან და, ფაქტობრივად, ერთნაირად და თანაბრად განიცდიდა ბერძენ-სპარსელთა როგორც ექსპანსიას, ისე კულტურულ-ლიტერატურულ ზემოქმედებას. ამის გარდა, თვითონაც ახდენდნენ ერთმანეთზე ზეგავლენას. ეს უნდა შეხებოდა ცეკვა-სიმღერას, ფოლკლორს, წეს-ჩვეულებებს. ეგ რომ აგრე ყოფილა, ამის მაგალითებს ქვემორე მოვიყვან.

სპარსული ენის ზეგავლენით გახლდათ თუ ბიბლიური ტექსტებისა და საურთიერთო ზემოქმედების შედეგად, როგორცა ჩანს, ორივე ენაში გავრცელებულა ერთი მყარი ენობრივი მოვლენა. ეს გახლავთ სარემარკო სიტყვის (უთხრა, თქვა) ორმაგი ფორმით წარმოდგენა. „ისტორიაში“ გვაქვს ასე-თი საინტერესო ენობრივი საბრუნავი:

„უ პ ა ს უ ხ ა მეფეს ვასილიმ და უ თ ხ რ ა“ (ფ. ბუზანდაცი, სომხეთის ისტორია, ერევანი, 1953, რუსულ ენაზე).

„დ ა ე ლ ა პ ა რ ა კ ა მას და უ თ ხ რ ა“ (87).

„ნ ე რ ს ე ს მ ა დ ა ი წ ყ ო ლ ა პ ა რ ა კ ი დ ა უ თ ხ რ ა“ (88).

„დ ა ი წ ყ ო ლ ა პ ა რ ა კ ი წ მინდა ნ ე რ ს ე ს მ ა დ ა უ თ ხ რ ა“ (94).

„დ ა ი წ ყ ო ყ ვ ი რ ი ლ ი დ ა უ თ ხ რ ა“ (150).

„დ ა ი წ ყ ო ლ ა პ ა რ ა კ ი დ ა თ ქ ვ ა“ (166).

მსგავსი ენობრივი ფიგურა გავრცელებული ყოფილა ქართულ მეტყველებაშიც. ამას მოწმობს „შუშანიკის წამება“:

„მ ე მ ი უ გ ე დ ა ვ ა რ ქ ვ მ ა ს“ (ქართული მწერლობა, I, 227).

„უ თ ხ რ ა ს პ ა რ ს მ ა ნ ფ ა რ უ ლ ა დ დ ა ჰ რ ქ ვ ა“ (იქვე).

„ჩ ვ ე ნ მ ი უ გ ე თ დ ა ვ ა რ ქ ვ თ“ (იქვე).

„მ ა შ ი ნ - ლ ა ი წ ყ ო ს ი ტ ყ ვ ა დ დ ა თ ქ ვ ა“ (იქვე, გვ. 228).

„ი კ ი თ ხ ა დ ა თ ქ ვ ა მ ს ა ხ უ რ თ ა მ ი მ ა რ თ“ (იქვე).

„ა მ ც ნ ო მ ს ა ხ უ რ ს ა მ ა ს დ ა ჰ რ ქ უ ა“ (იქვე, გვ. 231).

„ჰ კ ი თ ხ ა მ ა ს დ ა ჰ რ ქ ვ ა“ (234).

ენის ამგვარი საბრუნავი რომ საქართველოში საკამაოდ გავრცელებული ყოფილა, მოწმობს სხვა თხზულებები. „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა-შია“: „მ ი უ გ ო ბერმან და ჰ რ ქ ვ ა“ (ქართული მწერლობა, I, გვ. 248).

მსგავსი ფორმები მომდევნო ხანებშიც გვხვდება.

როგორცა ვხედავთ, ორივე უძველესი დამწერლობითი ძეგლი მიუთითებს, რომ ქართველ-სომეხი ერთგვაროვან სამეტყველო ფორმულას იყენებდნენ.

ქართული წამების ტექსტში ყურადღებას იქცევს ერთი ფრიად უცნაური გარემოება: გამაზდეანებული ვარსკენის უბედურებას ცხარედ დასტირის შუშანიკი. ასე იქცევიან სხვებიც. ამ შემთხვევაში მორწმუნე დედოფალი არვის უკრძალავს ტირილ-ვაებას, ოღონდ, როგორც კი მისი პირადი სავალალო მდგომარეობისა გამო გოდებენ, მოვალალეთ ამუნათებს: ჩემთვის ნუ ტირითო!

ამ ერთგვარად უცნაურ ვითარებას ვერასოდეს ავხსნით, თუ ბუზანდაცის ნაშრომს არ გავითვალისწინებთ.

ჯერ ვნახოთ, რაც ზემორელე ითქვა, მართლა ასეა თუ არა?

ვარდანისმა ქმრის გამაზდეანების ამბავი შეიტ-

ყო. „ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღ-მრთოთა“ (ქართული მწერლობა, I, 225).

ქმრის სულიერი გარდაცვალების გამო მორ-ნმუნე მეორეგანაც გლოვობს: „მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“ (226).

უკრძალველად ტირიან სხვებიც: „ხოლო ჩვენ ალვისენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩვენთა წარ-მოჩინებისათვის“ (226).

ეს არის სავარსქენო ტირილის სცენები.

ახლა შუშანიკისათვის გამართული ტირილის სცენები გავსინჯოთ.

გალახულ და დატუსალებულ დედოფალთან ფარულად შევიდა იაკობი. „ვიხილე ხატი მისი დაბ-ძარული და განსივებული და ალუტევე ხმაი და ვტი-როდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: – ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამეი ესე“ (231).

დამუნათების მეორე სცენაც პირველისა მსგავ-სია.

გალახულ, დამცირებულ, სასიკვდილოდ განწირულ ქალს უკან მისდევდნენ ხალხის გუნდები. ისინი „ტიროდეს და იხახდეს ღაწვთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა... შუშანიკ უკმოჰედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: – ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენიეთ...“ (234).

ვარსექენს დედოფალი თავად დასტირის და სხვასაც არ უშლის, დაიტიროს.

ეს გასაგებია: „ბდეხშმა“ თავი დაიღუპა, სულიერად წაწყმდა, საიქიოში ჯოჯოხეთი დაიმსახურა. ამიტომაც ხამს მისი დატირება-გამოგლოვა!

მაგრამ რატომ არ შეიძლება წამებისა და სიკვდილის გზაზე შემდგარი შუშანიკის მწარედ გამოგლოვება?!

ამ „საიდუმლოს“ გვიმხელს ბუზანდაცის თხზულება.

„ისტორიიდან“ ვიგებთ: სომეხთა პატრიარქმა ნერსესმა ქრისტიანებს აღუკრძალა ომებში დაცემულთა, ასევე სარწმუნოებისათვის წამებულ-გარდაცვლილთა მწარედ დატირება და გლოვა. იგი ხალხს ასწავლიდა: არ უნდა გეგონოთ, რომ სააქაოცხოვრების შემდეგ არაფერია. სიკვდილი როდია სიცოცხლის ბოლო. საიქიოცხოვრებაც არსებობს. ამიტომ არაა საჭირო, მკვდრებზე მეტისმეტად ვი-

ტიროთ და ვიკვნესოთ, უსაზღვრო დარდს მივეცეთ. მეორედ მოსვლისას მართალნი აღვსდგებით. ამიტომაც ვიყუჩოთო! (ფ.ბუზანდაცი, 63).

ეგ იდეა „ისტორიაში“ არაერთხელ მეორდება.

სპარსეთ-რომის დიდ ომში მრავალი სომეხი დაეცა. ისინი მამულს იცავდნენ. ავტორი თანამემა-მულეთ მოუწოდებს: არ დავიტიროთ ამ შეტაკებაში დაცემულნი, არამედ პატივი მივაგოთ მათ წამე-ბულთა თანაბრად (ფ. ბუზანდაცი, 24).

იდეა მესამედაც ისმის: სიკვდილის გამო მოკ-რძალებული გლოვა დაგვიწესა ნერსესმა და ეგ სწორიაო, – დასძენს ავტორი (197). იქვე მომაკვდა-ვი მანველ სარდალი თავის ხალხს არიგებს: თქვენც ასე გაისარჯეთ, დაე, ჩემთვის ნურვინ იტირებს... ვისაც ვუყვარვარ, დაე, ასე მოიქცეს! (197-198).

ამ კონტექსტში სრულიად ნათელია ვარდანი-სის მიერ მისი შემბრალებლების დარწმუნება: ჩემ-თვის ნუ ტირით, დაე, ილოცეთო!

ქრისტიანული რელიგიის ღრმად მცოდნე სო-მეხი მორწმუნე ქალი თანამიმდევრულად იცავს იმ საპატიო სულიერი მწყემსის მითითებას, რომლის ხმას ყურს უგდებდნენ სომხები და, ალბათ, ქარ-თველებიც.

ეგ იდეა, შეუძლებელია, მხედველობიდან გა-მოჰკარვოდა ისე განათლებულ ავტორს, როგორიც

გახლდათ იოანე საბანისძე. ამიტომაცაა, რომ „აბოს წამებაში“ იგი თავის გმირსაც შუშანიკისდა-რად ამეტყველებს.

ჭაბუკი არაპი ქრისტიანი თავმოსაკვეთად მიჰყავთ. „რომელნი ჰედვიდეს მას ქრისტიანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოდეს მისთვის. ხოლო წმიდამან ჰაბო ჰრევა მათ: – ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მი-ვალ“ (ქართული მწერლობა, I, 463).

ახლა დასჯის წესების შესახებ.

თუ პიროვნება მეფეთა და დიდებულთა შთა-მომავალი იყო, მისი სიკვდილი არ შეიძლებოდა. ამიტომ არსებობდა ე.წ. „მივიწყების ციხე“. ამგვარ გვაროვანს იქ აგზავნიდნენ, რათა ყველასაგან მი-ვიწყებული გარდაცვლილიყო. მაგალითად, სპარ-სეთის შაჰმა რომ სომხეთის მეფე „დავიწყების ცი-ხეში“ შეამწყვდია, ასე მოიქცა: რკინის ხუნდები და-ადო. კერძოდ, ეს იყო ხელისა და ფეხის ხუნდები, ხოლო ქედზე მიბმული ჰქონდა მძიმე ჯაჭვი, რაც ქედს მძიმედ ხრიდა და აუტანელ შეგრძნებას იწ-ვევდა (ფ. ბუზანდაცი, 160).

სწორედ ამგვარად შერკინული ტუსალი გახდა ქვემო ქართლის დედოფალი.

მას შემდეგ, რაც ათასგვარი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზენოლით ვერას გახდა, ვარსკენი

იძულებული შეიქნა, ცოლყოფილი სამკაულებისა-გან განეძარცვა და „მივიწყების ციხეში“ შეეყენები-ნა. ასეც მოიქცა. საგულისხმოა, რომ ხელ-ფეხ-ქე-დი ბანოვანსაც ისე აქვს შეკრულ-შერკინული, რო-გორც სომეხთა მეფეს. „წამებაში“ ვკითხულობთ: „მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვი ქედსა მისსა. უბ-რძანა სენაკაპანსა ერთსა, რაითა წარიყვანონ წმი-დაი შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეა-ყენონ იგი და მოკვდეს“ (ქართული მწერლობა, I, 233).

აქ მხოლოდ ქედზე მობმული მძიმე ჯაჭვი ჩანს, ოღონდ ხელ-ფეხის ბორკილები სხვაგან ჩნდება: ჯოჯიკმა ძმას ნება გამოსთხოვა, რათა შუ-შანიკისათვის რკინები მაინც ჩამოეშორებინა. პი-ტიახშმა „ბრძანა განტევებაი საკრველთაგან ოდენ“ (235). ესე იგი, რკინები მოაშორეთ, ოღონდ ტუსა-ლად კვლავაც დარჩესო. მერე ვკითხულობთ: „და ვითარცა მოვიდა ჯოჯიკ, აღჰადა ჯაჭვი იგი ქედსა მისსა. ხოლო ბორკილთაი არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ“ (235).

მაშასადამე, „მივიწყების ციხეში“ ნეტარს ხელ-ფეხიც შებორკილი ჰქონდა და ქედზე ჯაჭვი ეკიდა.

სხვათა შორის, დასჯის ამავე წესს ვხედავთ VIII საუკუნეშიც. ვნახოთ, როგორ ჰყავთ ციხეში

არაბებს ტუსალი აბო. უფრო მკაცრად, ოღონდ რკინის სამი „საკრველი“ აქაც ძალაშია: „დაჰყვი-ნეთ მაგათ თავი და წვერი და განუხვრიტენით მა-გათ ცხვირნი და ჯაჭვნი დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი ფერხთა და შესხენით ეგენი საპყრო-ბილესა!“ (ქართული მწერლობა, I, 255).

როგორცა ვხედავთ, ხელ-ფეხის რკინის ბორ-კილები და მძიმე ჯაჭვი აქაც გამოიყენება.

„ისტორიაში“ ნაჩვენებია, თუ როგორ, რა წე-სების დაცვით კრძალავდნენ აღსრულებულ წამე-ბულს. პატრიარქი ნერსესი მისმავე მეფემ შხამით მოწამლა. დაკრძალეს იგი „ფსალმუნის კითხვით, ჰიმნების წარმოთქმით, ანთებული ჩირალდნებით, დიდი ცერემონიის მოწყობით და მრავალგზის მისი სახელის ხსენებით“ (ფ. ბუზანდაცი, 168).

ზუსტად იგივე წესი აღსრულდა შუშანიკის გა-პატიოსნებისას. „წამების“ ავტორი გვამცნევს: „ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერი-თა და კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველთა სულნელითა აღვიხვენით პატიოსანნი ძვალნი... და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამეი იგი განვათი-ეთ...“ (ქართული მწერლობა, I, 243).

წმინდანის სიკვდილის შემდეგ მის ნეშტს წმინდა ნაწილებად ირიგებდნენ. ეს წესი ორივე ქრისტიანულ ქვეყანაში მოქმედებდა. საინტერესოა

„ისტორიის“ ერთი ეპიზოდი: წმინდა შალიტა იყო ერთობ ბებერი. „ყველა მოუთმენლად ელოდა მის სიკვდილს, რა არის, დაუფლებოდნენ მის სხეულს“ (169).

ქრისტიანებს ამ წესის აღსრულება ეწადათ, „აბოს წამების“ მიხედვითაც. ეს გაუგიათ მაჰმადიანებს და სათანადო თადარიგიც დაუჭერიათ, მისულან მსაჯულთან და უთქვამთ: „ჩვენ ვიცით, რამეთუ ჩვეულებაი არს ქრისტიანეთაი ესრესახედ: თუ ვინმე მოიკლის ქრისტეს მათისათვის, მოიპარიან გვამი მისი და პატივ სციან მას დაფლვითა და ტყუვილით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთემედ ერსა შორის და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძვალსა მისსა განიყოფედ რეცა საცოდ სნეულთათვის“ (ქართული მწერლობა, I, 465). ეს რომ არ მოხდეს, მოგვეცით ნება და გარდაცვლილის სხეულს დავწვავთ, გავაქრობთო, რათა „აღვხოცოთ საცთური ქრისტიანეთაი“ (იქვე).

ორივე ქვეყანა ერთნაირად „ირყეოდა, ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“. ეს ძლიერი ქარები იყვნენ სპარსელნი და ბიზანტიელნი. ამიტომაც კავკასიელთა ბედ-ილბალი ერთნაირად ტრაგიკული გამოდგა. ალბათ ამან განაპირობა თვით მომხდარი ფაქტების მსგავსებაც კი. ეს ფაქტები ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. მაგალითად,

ფ. ბუზანდაცი აღვინერს სომხეთის ისტორიაში მომხდარ შემთხვევას: სპარსელებისა და ბერძნების წინააღმდეგობისა და ურთიერთგანამანიის დროს ბერძნებმა მოკლეს სომეხთა მეფე პაპი. სომეხმა დიდებულებმა კრება მოიწვიეს, იკამათეს და ბოლოს დაადგინეს: ქრისტიანი ბერძნების მხარე და-ვიჭიროთ, მაინც ასე სჯობსო (ფ. ბუზანდაცი, 179).

მსგავსი ფაქტი ჩვენშიც მოხდა და ისიც აისახა ლიტერატურულ წყაროებში (იხ. აგათია სქოლას-ტიკოსი, წიგნი „გეორგიკა“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 3, 1936). კერძოდ: 555 წელს გაიმართა ეგრისის სახალხო კრება. ის განიხილავდა ბიზანტიელი სარდლების მიერ ეგრისის მეფე გუბაზ მეორის ვერაგულად მოკვლის ამბავს. კრებას უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის ორიენტაციის საკითხი. დიდებულთა ერთი ჯგუფი აიეტის მეთაურობით ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. სჯობს ირანის მხარეზე გადავიდეთო; ფარტაზის მომხრეები მაინც ბიზანტიასთან კავშირს ამჯობინებდნენ, ხოლო მოითხოვდნენ დამნაშავე სარდლების დასჯას. როგორც სომხეთში, ისე აქაც გაიმარჯვა მეორე, საღმა, აზრმა.

ისტორიული ფაქტების მსგავსების თვალთახედვით, საგულისხმოა კიდევ ერთი პარალელი.

ბუზანდაცის მითითებით, ტარონის გავარში შეიკრიბნენ სომეხი მღვდელ-მსახურები და პატრი-არქ ნერსესის მეთაურობით მიიღეს საერთო საეკ-ლესიო წესები (62). მაშასადამე, შეუმუშავებიათ ტიპიკონი.

მსგავს მცდელობას ჩვენშიც ვხედავთ, ოღონდ რამდენადმე მოგვიანებით. კერძოდ, IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელმა მოახერხა საერთო-საეკლესიო წეს-განგების (ტიპიკონის) მიღება. გ. მერჩულის თხზულებაში ვკითხულობთ: გრიგოლმა იფიქრა, რომ „წეს არს წესი საღმრთო საეკლესიო ეკლესია-სა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხვე-ლი“ (ქართული მწერლობა, I, 548). ამიტომ განიზ-რახა კონსტანტინეპოლს წასვლა, რათა იქაური წე-სები ენახა, ხოლო სხვა კაცს, რომელიც იერუსა-ლიმს მიდიოდა, სთხოვა საპანმინდის ლავრაში და-ცული ტიპიკონის გადმოწერა და წამოღება (იქვე). როცა ორივე უკან დაბრუნდა, გრიგოლმა ერთმა-ნეთს შეუდარა წეს-განგებები და შექმნა ერთიანი ტიპიკონი: „განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაი და მონასტრისაი, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრნყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრული“ (იქვე, 550).

V საუკუნეში და, როგორცა ჩანს, უფრო ადრეც რეგიონში გავრცელებული ყოფილა ასეთი ჰიპერბოლიზებული შტამპი – ხოტბის საგანზე იტყოდნენ მყარ ფორმულას: „მისი მსგავსი ქვეყნიერებაზე არ მოიძებნება“ ან კიდევ – „სილამაზით მას ვერავინ დაეტოლება“. აღნერს რა ნერსე პატრიარქის სიჭაბუკეს, ბუზანდაცი დასძენს: ისე ლამაზი იყო, მისი მსგავსი მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიძებნებოდა (58).

ამ მხრივ ერთობ საინტერესოა მცხეთაში აღმოჩენილი არმაზის ბილინგვა, რომელსაც I-II საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ადრე გარდაცვლილი სერაფიტას შესახებ აქ მკაფიოდ წერია: „იმდენად კეთილი და მშვენიერი გახლდათ, არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა“. მაქებარი ეპითეტის მსგავსი შტამპი სპარსეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. კიდევ მეტი. შესაძლოა, სწორედ ამ ქვეყნიდან გადმოვიდა სომხეთსა და საქართველოში. საქმე ისაა, რომ უძველესი სახელი ქალისა ნესტან-დარეჯანი შედგება სამი სპარსული სიტყვისაგან: ნესტ-ანდარე-ჯაჟან და ნიშნავს: „მსგავსი დედამიწაზე არავინაა“ (იგულისხმება სილამაზით). თუ შორს წავალთ, მაშინ სხვა მაგალითებიც გაგვახსენდება. ჰომეროსი აქილევსზე ასე ბრძანებს: სიძლიერით მისი მსგავსი დედა-

მიწაზე სხვა არავინ იყო. რუსთველი ტარიელის გამო პროლოგშივე დასძენს: მისი მსგავსი დედამიწაზე, აბა, სხვა ვინ დაბადებულაო?! ფირდოუსის „შაჰნამეში“ მსგავსი ფორმულა თითქმის ყველა გმირის დახასიათებას უძლვის წინ.

სომეხი მკვლევარები მიუთითებენ, რომ ბუზანდაცი ბევრ მასალას იღებს ფოლკლორიდან, ლეგენდებიდან, ხალხური ანდაზებიდან. ამიტომაც თუა, რომ მის მიერ აღწერილი ზოგი ლეგენდა თუ ჰიპერბოლა ატარებს რეგიონისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამის შემდეგ გასაოცარი აღარაა, თუ მსგავსი ლეგენდური ამბავი ან გადმოცემა-გაზვიადება ქართულ კულტურულ სივრცეშიც შეგვხვდება.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „ისტორიის“ ერთი მონაკვეთი. განრისხებული მეფე სპარსეთისა ვასაკ მამიკონიანს ეუბნება: – აჲ, შე მელო, შენა! განა შენ არა ხარ ის ავაზაკი, ვინცა წყალს ამღვრევს... მელის სიკვდილით მიგახრჩობ (130).

საინტერესოა სომეხი მოლვაწის პასუხი: „შენთვის მე ლომი ვიყავი, ახლა კი მელიცა გავხდი?! ოღონდ, სანამ ვასაკი ვიყავი, გოლიათი გახლდით. ცალი ფეხით ერთ მთას რომ ვებჯინებოდი, მეორით – მეორეს. როცა მარჯვენა ფეხს დავაწვებოდი, ქვესკნელში მარჯვენა მთა მიძვრებოდა; როცა

მარცხენას ვეყრდნობოდი, ქვესკნელდებოდა მარცხენა მთა“ (130-131).

ამან არ შეიძლება არ გაგვახსენოს ასევე მეხუთე საუკუნის მოღვაწე ვახტანგ გორგასალი, სარდალი და გმირი, რომლის ჰიპერბოლიზებული ხალხური შეფასება ამგვარია:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, –
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა!

შესაძლებელია, ვასაკისა და გორგასლის ჰიპერბოლურ-პოეტური წარმოდგენა რეგიონში გავრცელებული ფოლკლორული წყაროებიდან მოდიოდეს, შესაძლოა, ვახტანგის ფოლკლორულ შეფასებას თვით სომხური წყაროც ედოს საფუძვლად.

რეგიონის ფოლკლორულ-ლეგენდური გადმოცემების თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მომენტი. ბუზანდაცი აღწერს სომეხთა მეფის პაპის ცხოვრებას, შენიშნავს: პაპს იღლიებიდან გველები ამოსდიოდაო (165). უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ზღაპრული გადმოცემები გავრცელებული ყოფილა მთელ რეგიონში (სპარსეთი, სომხეთი, საქართველო, ალბანეთი). საქმე ისაა, რომ მსგავსი რამ შეგვხვდება ქართულ ზღაპრებ-

შიც. კიდევ მეტი. ხალხური დასთანებიდან იგი თავის პოემაში უნდა გადაეტანა ფირდოუსისაც. ამიტომაც თუ არის, რომ, „შაჰნამეს“ მიხედვით, მსგავსი რამ ემართება სპარსთა მეფე ზააქს. მას, იბლისის მცდელობით, მხრებზე გველეშაპები ამოუვიდა.

რაკი V საუკუნის „ისტორია“, X საუკუნის „შაჰნამე“ და ძველი ქართული ზღაპრები ამგვარ რასმე აფიქსირებენ, დასკვნა გასაგებია: კაცის მხრებზე გამოსული გველების ზღაპარი საერთო-რეგიონული კულტურულ-მითოლოგიური ფენა ყოფილა.

V საუკუნეში გავრცელებული ადათები ერთობ მტკიცე გამოდგა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, თუ როგორ ეპყრობოდნენ ომში დამარცხებულ მეფეებს. „ისტორია“ მოგვითხრობს: სომეხთა სარდალმა მუშეგმა შეიძყრო ალბანელთა მეფე და სიცოცხლე შეუნარჩუნა. როცა მისმა მეფემ უსაყვედურა, შეპყრობილი მეტოქე ცოცხლად რად გაუშვიო, უპასუხა: ჩემი ტოლა (ლირსებით ჩემი თანაბარი) ყველა შევმუსრე. ხელმწიფეზე კი ხელს ვერ აღვმართავ. ხელმწიფე შენი კერძი იყო და შენვე უნდა შებრძოლებოდიო (153). მსგავსი შემთხვევა დაფიქსირებულია მეორეგანაც. ვარაზდატი და მანველი ერთურთს შეებნენ. მეფე ვარაზდატს ეწადა მანველის მოკვლა. ვერ მოახერხა. მანველმა მას

სძლია და უკუაქცია, ოღონდ სასიკვდილოდ ვერ გა-იმეტა, რაკილა მეფე იყო. მისი შვილები შეეცადნენ ხელმწიფის სიცოცხლის ხელყოფას. მამამ შვილებს შეუძახა: ნუ დაარღვევთ ღვთაებრივ ადათს, ნუ გახდებით მეფის მკვლელებიო! (185-186).

დატყვევებული მეფის „მივიწყების ციხეში“ შეყენება დიახაც შეიძლებოდა, ოღონდ მისი სის-ხლის დაღვრა არ იყო მიღებული. შემთხვევითი რო-დია, „შაპ-ნამეში“ რომ ვკითხულობთ: „მეფის სისხლს არ დაღვრის არცა წყლის ურჩხული!“

ხელმწიფეთა ამგვარი დანდობის მაგალითები გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“, „ვეფხისტყაო-სანში“. მაგალითად, ხატაეთში ტარიელმა ცხენი-დან ჩამოაგდო მეტოქე ხანი, მაგრამ დაინდო, არ მოკლა, გვირგვინოსანი განსასჯელად საკუთარ პატრონს მიჰვარა, თან განაცხადა: „ესე არის მა-მაცისა მეტისმეტი სიგულვანეო“. სხვა დროს იგი როსტევან მეფესთან შეტაკებას განერიდა და გა-დაიკარგა, როდესაც არაპეთის განმგებელი და ავ-თანდილი დაედევნენ. მოგვიანებით კი ავთანდილს თავისი საქციელი ასე აუხსნა: „ხელმწიფობით შე-მებრალნეს, ამად ხელი არ შევახეო“. პოემაში არის სხვა ეპიზოდიც. ტარიელი გადაეყრება რომელი-ლაც მონადირე მეფეს. მან იცის, რომ იგი და მისი მხლებლები აედევნებიან, დაკავებას მოუნდომებენ.

ამიტომაც, შესაძლოა, ხელმწიფესთან შეტაკება მოუწიოს. ამის გამო გზას გაიმრუდებს, უკან დაბრუნდება, რათა მომდევნო დღეს გაიაროს იმ ადგილას, სადაც დღეს მეფე ნადირობს. რაც შეეხება ავთანდილს, იგი პირდაპირ აცხადებს: „ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია?!“ ამ ვითარებაში მონად თვითონვე იგულისხმება, პატრონად – როსტევან მეფე.

მაშასადამე, V-XII საუკუნეებში ხელმწიფის სისხლის დაღვრა მიიჩნეოდა დიდ მკრეხელობად. ეს წესი და საკითხის ამგვარი აგება დასტურდება მაშინდელ წერილობით ძეგლებში.

ძველად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯდომის წესრიგს. ყველას შესაფერისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. აქ მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნების დამსახურებასა და გვარიშვილობას. ეს წესი აშკარავდება „ისტორიის“ ერთ ეპიზოდში. არშაკ მეფე მასპინძელს, სპარსთა შაპინშაპს, აუხირდება: „ადგილი, სადაც დამჯდარხარ, ჩემია; დათმე ეგ ადგილი, მაქ მე უნდა ვიჯდე, რაკილა იგი ჩემი გვარის კუთვნილებაა“ (130). სომებთა მეფემ ბოლოს ესეც დაუმატა: ამგვარ საშინელ შეურაცხყოფას არ გაპატიებ, შურს სასტიკად ვიძიებო.

საგულისხმოა, თუ რად დაამცირა სომები ხელმწიფე შაპინშაპმა?

ისინი ადრე თანასწორად ისხდნენ ერთნაირ ბალიშზე, მაგრამ ახლა სტუმრის, როგორც მოღალატის, დასამცირებლად მას ადგილი მიუჩინეს „ყველაზე ბოლოს, ყველაზე დაბლა“ (130).

ჯდომის წესის დაცვას დიდი ყურადღება ექცევა „ვეფხისტყაოსანში“. მაშასადამე, მითითებული ადათი XII საუკუნეშიც აქტუალური ყოფილა. ამას ადასტურებს არაბეთში გამართული ავთანდილ-თინათინის ქორწილის ერთი სცენა. ნადიმის მეოთხე დღეს როსტევანმა ტარიელს, საპატიო სტუმარს, მიმართა: „ან, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“.

ამის შემდეგ ასე მოიქცა: მან ინდოელ ვაჟკაცს „სახელმწიფო საჯდომი და სხვა დაუდგა ტახტი შორად“, ხოლო „ქვემოთ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი მათად სწორად“ (ვეფხისტყაოსანი, 1986, გვ. 302).

მაშასადამე, ტარიელს, როგორც უზარმაზარი ქვეყნის, ინდოეთის, მომავალ მპყრობელს, წეს-კანონით ტახტის დადგმა ეკუთვნოდა უფრო მაღლა, ვიდრე სხვა წვრილი თუ მსხვილი ქვეყნების პატრონებს.

ამრიგად, ტარიელი და მისი ცოლი ყველაზე მაღლა, ყველაზე საპატიო ადგილს იკავებენ. ავთანდილი და თინათინი უფრო ქვემორელე სხედან.

იმათ სწორად ზის მულტაზანზარის პატრონი: „ფრიდონ ზის ახლოს ავთანდილს, ჩვეული თვით მეფობასა“ (ვეფხისტყაოსანი, 1986, გვ. 302).

ჯდომის წესები კანონივით არის ჩამოყალიბებული XIV საუკუნეში შედგენილ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. ეს იმას მოწმობს, რომ მათ კანონის ძალა ჰქონიათ.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ პასაუთან პარალელის გასავლებად ერთობ საინტერესო უნდა გამოდგეს „ისტორიის“ ერთი მომენტი.

ფ. ბუზანდაცა მოჰყავს ეპიზოდი იმპერატორ ვალენტის მიერ წმინდა ნერსესის დასჯის ამბიდან. ეგ ეპიზოდი ძალიან გვაგონებს მამიდა დავარის განაჩენს, რომელიც მან დამნაშავე ნესტანს გამოუტანა. ორივე შემთხვევაში პიროვნების დასჯის მიზეზია ადამიანის სიკვდილი. სასჯელიც სრულიად ერთგვაროვანია. წმინდა ნერსესს დაპბრალდა იმპერატორის შვილის სიკვდილი; ასევე ნესტანს – ხვარაზმის შაჰის ძის გარდაცვალება.

ახლა სასჯელიც გავსინჯოთ.

განრისხებულმა ვალენტმა მოიწადინა და ნერსესს მტანჯველი და მწარე ყოფა გადაუწყვიტა; უბრძანა, პყრობილი გაეგზავნათ უზარმაზარი ზღვა-ოკეანის „კუნძულზე, უდაბურ, უწყლო ადგილას, სადაც არ არსებობდა არავითარი მცენარეუ-

ლობა და მწვანილი, არ იყო არავითარი ძირხვენები და არც არარაი სხვა რამ, რაც კი საკვებად გამოდგებოდა; იყო მხოლოდ ქვები, ქვიშა და კლდე-პიტალოები. აქ არცა გზა რამ გადიოდა და არც გემები მოძრაობდნენ“ (72).

„ისტორიაში“ ხაზგასმულია ადგილის მთავარი უბედურება: „ამ კუნძულზე არ იყო არცა სასმელი წყალი, არცა რაიმე ძირხვენები“ (იქვე). შემდეგ კი შენიშნულია, თუ რა გაჭირვებით მოიპოვეს მტკნარი წყალი: „ნერსესი ადგა, ამოთხარა ქვიშა... და იქ აღმოჩეფა მტკნარისა წყლისა ლიპმა“ (74).

ახლა „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ეპიზოდი შევათვალიეროთ.

სასიძოს მოკვლით, ძმის მრისხანებითა და დანიშნული ქორწილის ჩაშლით გამწარებულმა მამიდა დავარმა ნესტანის ჯეროვნად დასჯა გადაწყვიტა, დაექადნა ქალიშვილს: ვისაც ეგ საქმე ჩააშლევინე, იმას სამუდამოდ დაგაშორებო: „აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიხვდე, ვის ესე დააშლევინე!“ (გვ. 132).

ამის შემდეგ ქალწულს სათანადოდ სცემა, კარგად დაალურჯა; მას უკან ორ მონა-ქაჯს უბრძანა –

მან უთხრა: „ნადით, დაჰკარგეთ მუნ,
სადა ზღვისა ჭიპია;

წმინდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია!“
მათ გაეხარჯეს, ხმა-მალლად იყივლეს: „იპი, იპია!“
ესე ვნახე და არ მოვჰკვე, არა მგავს არცა სიპია.

ამრიგად, როგორც სომხურ „ისტორიაში“, ისე
აქაც დამნაშავეს მიუსაჯეს ცხოვრება „მუნ, სადა
ზღვისა ჭიპია“, ანუ ზღვა-ოკეანის შუაგულში არსე-
ბულ კუნძულზე. საქმე ისაა, რომ „ზღვისა ჭიპი“
ზღვის შუაგულში მჩინარ პატარა კუნძულსა ნიშ-
ნავს. შუაგულში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ
კუნძული, არა მატერიკი. მეორეც, ეს უნდა იყოს
ისეთი კუნძული, სადაც არ იშოვება „წმინდისა
წყლისა მყინვარე და არცა ლიპია“. ესე იგი, არ არ-
სებობს სასმელად ვარგისი მტკნარი წყალი. სწო-
რედ ამას აღნიშნავს „წმინდისა წყლისა“ ვერნახვა.
აქ არაა მითითებული, ოღონდ იგულისხმება – ამ-
გვარ ადგილას გემები არ მოძრაობენ და აქედან
თავდაღწევა შეუძლებელია.

ეჭვი არ არის, ორი თხზულების სათანადო ად-
გილები მსგავსია. მათ ან საერთო წყარო აქვთ, ან-
და რუსთველი იცნობდა V საუკუნის სომხურ
ძეგლს.

როცა ვამბობ, მათ რაიმე საერთო წყარო აქვს-
მეთქი, უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობ ჰომერო-
სის „ოდისეას“. სწორედ ამ ქმნილებაშია ნახსენები
ტერმინი „ზღვისა ჭიპი“, თანაც, სწორედ ისეთსავე

კონტექსტში, როგორიც სომხურ და ქართულ თხზულებებშია მოხაზული.

განვიხილოთ ბერძნული პოემის შესაბამისი ამბავი.

ღვთის მსგავსმა ოდისევსმა მიწის მპყრობელი პოსეიდონი გააბრაზა. განა რითა? იმით, რომ კიკლოპ პოლიფემს ერთადერთი თვალი ამოუშანთა. დაზარალებული კი პოსეიდონის ნაშიერია.

ეგ არის დანაშაული.

ახლა სასჯელიცა ვნახოთ, ანუ ამ ამბის მეორე ნაწილი!

სასჯელი ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობია: პოსეიდონმა დამნაშავე გარიყა უკაცრიელ კუნძულზე, იქ, სადაც „ზღვისა ჭიპია“. აი, შესაბამისი სცენის პანტელეიმონ ბერაძისეული თარგმანი:

გვემულა იგი უთვისტომოდ, მარტო შთენილა
შორეულ კუნძულს, სად ჭიპია ზღვათა სივრცისა.

(პომეროსი, ოდისეა, თბ., 1978, გვ. 84)

მაშასადამე, „ზღვისა ჭიპი“ დანამდვილებით გულისხმობს ზღვის შუა ადგილს, მატერიკიდან ძლიერ დაშორებულ, უდაბურ, უკაცრიელ ალაგს, მიუნვდომელ კუნძულს.

იმავე წიგნის კომენტარი გვამცნევს: „ზღვის ჭიპი – მოიაზრება როგორც ტრიალ ზღვაში მდება-

რე, დიდი ხმელეთისაგან ძალზე მოშორებული კუნძული“ (425).

ყოველივე თქმულის შემდეგ წარმოუდგენელია, პოეტური აბზაცი, რომელშიც „ზღვისა ჭიპია“ ნახსენები და რომელიც ნათესაობას ამჟღავნებს V საუკუნის სომხური ძეგლის სათანადო პასაჟთან, პოემიდან გავაძეოთ, როგორც ამას ზოგი რუსთველოლოგი სჩადის!

ვფიქრობ, ამიერიდან მაინც შეუძლებელია „ზღვისა ჭიპის“ შემცველი სტროფის ხელყოფა. იგი უდავოდ რუსთველისაა! პომეროსის „ოდისეა“ და სომხური „ისტორია“ ბრწყინვალედ გვეხმარებიან მისი ავთენტურობის დასაბუთებაში.

როგორც დავინახეთ, ფრიად საინტერესო მითითებებისა და ფაქტების შემცველი უძველესი სომხური ლიტერატურული ძეგლი საშუალებას იძლევა საგულისხმო პარალელი გავავლოთ მრავალ ქართულ ტექსტთან. გარდა ამისა, გვეხმარება ჩვენი ძველი მწერლობის ზოგი ბუნდოვანი ან დღემდე აუხსნელი ეპიზოდის განმარტებაში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რუსთველის ერთი შესანიშნავი სტროფის ავთენტიკურობის დადგენაში.

2021 6.

ირთი ტელეგადაცემის ცხრა შეცდომა

პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ ამ ბოლო დროს ტელელექტორობასაც გამოჰკრა **ხელი**. ღმერთმა **ხელი** მოუმართოს, მაგრამ დიდი ხნის წინათ ვურჩიე, რუსთველოლოგიური საკითხების რკვევაზე **ხელი** აეღო, ოღონდ არ დამიჯერა. როგორცა ჩანს, სული გახელებულია – ხშირად დასძლევს ხოლმე ცდუნება – და სწორედ ამისი შედეგია მკვლევრის მორიგი ტელემარტვილობა.

მეცნიერის რუსთველოლოგიური მსჯელობა, რომლის შესახებაც ქვემორელე მოგახსენებთ, არაერთხელ გაიმეორა სატელევიზიო არხმა და, მაყურებელს რომ მცდარი წარმოდგენა არ შეექმნეს რუსთველსა და მის პერსონაჟებზე, საკმაოდ ფართოდ ვისაუბრებ ლექციის 9 უმთავრეს შეცდომაზე.

1. მომხსენებელმა დაბეჭითებით ბრძანა: **პოემაში ყველა გონიერია, ხოლო ტარიელი კი სიბრძნით არასოდეს გამოირჩეოდა!**

უწინარეს ყოვლისა, თეორიულად განვსაჯოთ ეგ საკითხი: რუსთველი მიჯნურის აუცილებელ **ათ თვისებას** გამოყოფს:

მიჯნურსა თვალად **სიტურფე** (1)

მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე (2), **სიუხვე** (3), **სიმდიდრე** (4),
სიყრმე (5) და **მოცალეობა** (6),
ენა (7), **გონება** (8), **დათმობა** (9),
მძღეთა **მებრძოლთა მძღეობა** (10).

როგორცა ვხედავთ, **სიბრძნე** მეორე აუცილებლობად არის წარმოდგენილი და უამთვისებოდ მწერალი პერსონაჟს ვერ დააგდებდა. მით უფრო, რომ ტარიელი გახლავთ ცენტრალური გმირი, ინდოეთის ამბავი კი ქმნილების მთავარი ამბავია (ამაზე ქვემორე კვლავ ვიტყვი).

მაშასადამე, თეორიულადაც დაუშვებელია, **მიჯნური** ამირბარი არ ყოფილიყო **ბრძენი**.

მრავლისმეტყველია მეორე არგუმენტიც: ქმნილებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ტარიელი ბრძენია არა მარტო მოგვიანებით, ასაკში შესული, არამედ სიყმანვილეშიც. ფირდოუსის, ნიზამის თხზულებებში, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ბევრ სხვა ნაშრომში მთავარი გმირები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ არიან „ყმანვილი ბრძენი“. თვით „ვეფხისტყაოსანშია“ ამაზე მითითება. ჯერ კიდევ პირტიტველა, სრულიად ნორჩ მთავარსარდალს ხატაეთში საომრად წაყოლილი ხნოვანი

სარდლები პირდაპირ ეუბნებიან, ბრძენი ახალგაზ-
რდა ხარო. ამირბარი თავად ჰყვება:

მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი

ბრძენი, მით გკადრებთ გლახენით.“

„ბრძენი ყმაწვილის“ თაობაზე მთელი მონოგ-
რაფიის დაწერა შეიძლება, ოღონდ ამჟამად საამი-
სოდ არა გვცხელა.

არგუმენტი მესამე:

ახლა შევათვალიეროთ ფაქტობრივი ვითარება.

ბატონ ზურაბს მხედველობიდან გამოჰქმარვია,
რომ პერსონაჟთა სიბრძნის თაობაზე სავანგებო
გამოკვლევაც არის დაბეჭდილი, სადაც განადგუ-
რებულია მცდარი მოსაზრება, თითქოსდა პოემაში
ავთანდილი იყოს ყველაზე ბრძენი, ხოლო სხვანი –
ნაკლებ გონიერნი; მოყვანილი და აღნუსხულია
პერსონათა სიბრძნის გამომხატველი აფორიზმები
და გამოტანილია დასკვნა: ავთანდილზე მოდის 85
აფორიზმი, ტარიელზე – 35, თინათინზე – 5, როს-
ტევანზე – 12, სოგრატზე – 8, ასმათზე – 12, ფრი-
დონზე – 6, ნესტანზე – 20, ფატმანზე – 11, სხვებზე
– 5. იქვე ახსნილია, თუ რამ განაპირობა ეს. ეგ გა-
ნაპირობა პერსონაჟთა „სცენაზე ყოფნის“ ხან-
გრძლივობამ: ყველაზე დიდხანს მოქმედებს ავთან-
დილი. ამიტომაც ის ყველაზე მეტ აფორიზმს წარ-
მოთქვამს; ამ მხრივ მეორე ადგილზეა ტარიელი,

შემდეგ – ნესტანი. აფორიზმებიც ამისდა მიხედვითაა წარმოდგენილი. გამოკვლევაში ისიცაა გარკვეული, რომ ტარიელის ცხოვრებაში გამოიყოფა სამი პერიოდი: ხანა ნორმალური ვითარებისა; დაბ-ნედილობის, უგუნურობის, დაცემის ხანა და დრო, როცა გმირს სულიერი კრიზისი მოეხსნება. სწორედ ამან განაპირობა, რომ ტარიელი გამოთქვამს 35 სიბრძნეს, ავთანდილი – 85 აფორიზმს. მოვიყვანთ სტატიის ერთ მონაკვეთს: „ავთანდილი რომ დაუკვირვებლად უსაყვედურებს: „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრო“ (885), ტარიელი იქვე მოსწრებულად უპასუხებს: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმის ბრძნობა-სა?! ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცალა ვიყო ცნობა-სა!“ (895). ტარიელის ცხოვრების ამ მეორე, ტრაგიკული პერიოდის არსს ამომწურავად ხსნის ასმათი: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდი-ან: რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიღიან“ (857). მაშ, ჰკიდივეა ახსნილი ტარიელის ყოფის II პერიოდის საფუძველი: სატრფოდაკარგული რაინ-დი შმაგ მაჯნუნადაა ქცეული; გული გაფუჭებია, ხოლო ცნობიერება და გონი გულზეა დამოკიდებული. აი, სწორედ დაბნედილობის პერიოდის ტარიე-ლია ძირითადად ჩვენ წინაშე წარმოსახული და ამი-ტომაც გვეჩვენება, თითქოსდა ტარიელის დროები-

თი მდგომარეობის პერიოდი მარადიულია და სწო-
რედ ეგაა პერსონაჟის მთავარი მახასიათებელი.
არა! ეგ დროებითი ვითარებაა. მსგავს სიტუაციაში
რომ აღმოჩენილიყო, შესაძლოა, ავთანდილიც
მსგავსადვე დაბნედილი გვეხილა!

ამრიგად, სპასპეტის ყოფის ყველა ეტაპი და
ამირბარის ცხოვრების I და III ეტაპები იდენტურია;
მათ შორის სხვაობას თითქმის ვერ აღმოვაჩენთ და
ამ დროს ამირბარიც ისე მრავალპლანიანი და დინა-
მიკური გმირია, როგორც – სპასპეტი“ (მ. თავდიშვი-
ლი, „გეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ-
კულტუროლოგიური პორტრეტების დაზუსტები-
სათვის“, უურნალი „პარალელი“, 2020, 12, გვ. 119).

შეიძლება ითქვას მეტიც: თუ ერთმანეთს შევა-
დარებთ ტარიელის ცხოვრების I და III ხანასა და ავ-
თანდილის მთლიან ყოფას, შევნიშნავთ: ამ ვითარე-
ბაში პროცენტულად ტარიელი უფრო ბრძენი გა-
მოჩენდება, ვიდრე – ავთანდილი. ერთსაც დავსძენ-
დი – ამირბარის ხასიათზე მოყვანის შემდეგ ვხე-
დავთ: ყველაფერი ისე წარიმართება, გმირები ისე
მოქმედებენ, როგორც ამას ყველაზე გონიერი და
ბრძენი პერსონაჟი გადაწყვეტს. კიდევ მეტი: ქაჯე-
თის ციხეზე შეტევის წინ სამი რაინდი თათბირს გა-
მართავს. ამ თათბირზე ყველაზე გონივრულ გეგ-
მას სწორედ ამირბარი წარმოადგენს.

ესეც იმის დასტურია, რომ ცენტრალური პერსონაჟი ყველაზე ბრძენია!

მაშასადამე, ტელელექტორის დებადი – **ტარიელი არ გამოირჩევა სიბრძნით** – არის ზედაპირული, მოჩვენებითი, ილუზორული და არამეცნიერული.

2. ბატონმა ზურაბმა ქალწულებრივი სიმორცხვით განაცხადა (როცა ქაჯეთის აღების ამბავი მოათავა): **ამ დროს ფარსადანი (ნესტანის მამა) ცოცხალია თუ არა, არ ვიციო!**

ამ განცხადებით სწავლულმა ხარავირი გაიკეთა: საკუთარი პირით აღიარა, პოემა ბოლომდე არ წამიკითხავსო! ბოლომდე რომ წაეკითხა, დაინახავდა: ფარსადანის სიკვდილის ამბავს გმირები გაიგებენ ბოლო თავებში, როცა არაბული ლაშქრის თანხლებით ინდოეთისაკენ მიიჩქარიან, რათა იქ შეჭრილი ხატალები ალაგმონ, ხოლო იმ დროს, როცა ნესტანი სატრფოს ქაჯთა ციხიდან წერილსა სწერს, მამამისი ჯერ კიდევ ცოცხალია. ქალი სატრფოს მოუწოდებს: „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა!“

უსტარში „მშობლად“ ფარსადან მეფეა ნაგულისხმევი. და აქ თავს მაძალებს ჩემივე აფორიზმი: **როცა რაიმე არ იცი, არ იცი ძალიან კარგად.**

3. ძალიან კარგად არ სცოდნია ჩვენს ორატორს ცნება „შვიდი“ და მისი ამბავი. აკაკი რომ

წერს, „შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერიო“, გულისხმობს ბედნიერების, სი-სავსის, მთლიანობის სიმბოლურად გამომხატველ ციფრს – 7.

საქმე ისაა, რომ ამ იდუმალი შვიდის მეტაფო-რულ-სიმბოლური არსი კარგადაა დამუშავებული მსოფლიო მეცნიერებაში. ასევე კარგადაა ცნობი-ლი **შვიდი საცნობელი**, სისრულისა და ერთიანო-ბის გამომხატველი. ფარსულად იგი ასე გამოიხა-ტება: **ჰაფთ ეყლიმ-ე ვოჯუდ** – არსობის შვიდი ელემენტი, ადამიანის შვიდი ნაწილი: ორი ფეხი, ორი ხელი, ტანი, თავი, კისერი (იხ. „ქილილა და და-მანა“, 1035, მაგალი თოდუას რედაქცია, 1975).

პერსონის გმირობის სისრულეს სწორედ ის გა-მოხატავდა, თუ იგი 7 გმირობას ჩაიდენდა. ასეთია „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი გოშთასფი – ის 7 გმირობას სჩადის, ანუ სრული გმირია.

შვიდი პირობითი ციფრია, ბედნიერების მეტა-ფორული გამომხატველია. ამიტომ არც ისაა შემ-თხვევითი, რომ ნიზამის ერთ „ბედნიერ“ პოემას ეწოდება „შვიდი მთიები“ (შვიდი მნათობი); არაა სა-ვალდებულო, რომ ბედნიერ ხელმწიფეს მართლა შვიდი სამეფო (მხარე ან გავარი) ემორჩილებოდეს. შესაძლოა, რეალურად ერთი ან ორი ემონებოდეს, ოღონდ რა ბედენაა? მეხოტბე ამ ხელმწიფეს მაინც

შვიდი იყლიმის მბრძანებელს ეძახის. მაგალითად, შენგოლი, ინდოთ მეფე, „შაჰ-ნამეს“ მიხედვით, 7 ლოკალური ხელმწიფის უფროსია. როცა იგი თავის სიძეს ბარამ-გურს ესტუმრება, თან ახლავს 7 ხელ-მწიფე, ოღონდ არც ერთი არაა „კეისარი“ (მ. თავ-დიშვილი, ფირდოუსი და რუსთველი, 2009, გვ. 25).

მაშასადამე, **შვიდი** სისრულის, ერთიანობის, ბედნიერების, სიმშვიდის სიმბოლოა და არც ის გვეჩვენება შემთხვევითად, რომ ამ რიცხვის სიმბო-ლური მნიშვნელობებიდან ქართველმა კაცმა უპი-რატესობა მიანიჭა ერთ მათგანს და ასე შეიქმნა სიტყვები: მ – **შვიდ** – ი, სი – მ – **შვიდ** – ე, გურული სოფლის სახელწოდება მ – **შვიდ** – ობა – ური.

ამავე საკითხებზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ცნობილმა მკვლევარმა ნესტან სულავამ, მაგრამ რა-ღა შორს წავიდეთ, ვნახოთ, რა წერია 2009 წ. გამო-სულ ჩემს მონოგრაფიაში: „ვეფხისტყაოსანში ციფრი შვიდი დაახლოებით 10-12-ჯერ არის გამოყენებული. აქედან ზოგან პირდაპირი მნიშვნელობა აქვს და ჩვენს ინტერესს არ იწვევს. უფრო საგულისხმოა ის შემთხვევები, სადაც „შვიდის“ უკან ერთი შეხედვით უჩინარი შინაარსი დგას. ეს ფრაზებია: „შვიდი ტახტი სახელმწიფო“ („ინდო-ხატაელთა ამბავში“); „ინდო-ეთს შვიდთა მეფეთა“ (გვ. 81). ამ გამოთქმებზე ზოგ-მა მთელი მოსაზრება ააგო, მეტისმეტად აღვირახ-

სნილი ფანტაზიორობა გამოიჩინა. ფანტაზიის ასეთი „გაჭენების“ მოდა ირანშიც შემოსულა: „საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ როსთამის შვიდ გმირობაში შვიდ მისტიკურ სიმბოლოს ხედავენ“ (მ. თოდუა, ფირდოუსი და მისი „შაჰ-ნამე“, გვ. 75). სინამდვილეში ციფრი 7 სისრულეს (მთლიანობას) აღნიშნავს. მეტაფორულად იგი გულისხმობს მთელ ქვეყნიერებას; როცა 7 მხარესა და სამეფოზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ: იგი ფარავს იმ გამოთქმას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში სხვა ფორმულით არის გამოხატული და რაც აღმოსავლური ლიტერატურის ცნობილი და პოპულარული სახეა: „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად“ (გვ. 311). ქართული პოემის ამ ტაეპის ბუდე-სტროფიდან ვგებულობთ, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მტრისთვის შიშის ზარის დამცემი ყოფილა სოსლანი, ქართველთა მეფე და ღმერთი.

ეს ფორმულა „შაჰ-ნამეს“ ლამის ყველა ქვეთავში გვხვდება; თითქმის ყველა შაჰინშაჰი მთელი ქვეყნიერების ანდა 7 სამეფოს (მინის), ანდა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ ტერიტორიის პატრონია... მაშ, ძველად მეფეებს გაზვიადებულად ასე მოიხსენიებდნენ: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელი“. ეს ჰიპერბოლიზებული ეპითეტი არაერთგან გამოუყენებია აბულ ყასემ თუსს: დი-

დება შაჰს, ხელი რომ მიუწვდება „აღმოსავლეთი-დან დასავლეთამდე“ (3, 16815); შვილი მამამისზე, გოშთასფზე, ამბობს: „დასავლეთიც ემორჩილება მას და აღმოსავლეთიც“ (4, 7038)... ახლა სხვა მაგალითებიც გავსინჯოთ. მეფე არდაშირი ბრძანებს: „მე ხომ მიწის შვიდივე მხარე მემორჩილება“ (5, 5953)... დაიბადა ბარამ-გური, იეზდიგერდ პირველის მემკვიდრე. მას უწინასწარმეტყველეს ბედკეთილი ხელმწიფობა, რაც მთავარია, მამამისი დააიმედეს: შვიდი მხარის მიწები დაექვემდებარება მასო (5, 8855); სხვა მაგალითი ასეთია: შვიდი მიწის პატრონს სხვაგვარად ენოდება „მეფე მსოფლიომ-პყრობელი“ (5, 13025)... ჰუშანგიც „შვიდი ქვეყნის“ მპყრობელია („შაჰ-ნამე“, მოთხრობილი მაგალითოდუას მიერ, გვ. 6). აი, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მითითებული გამოთქმები: ისინი ჰიპერბოლიზებული გამოთქმებია და, შესაძლოა, პირმოთნე ქვეშევრდომმა სუსტ და უგერგილო მეფესაც კი უწინდოს. ქართულ ეპოპეაში გვაქვს ამგვარი ვითარება: სარიდან ხელმწიფეს ინდოეთის ერთი მხარე, ერთი სამეფო უპყრია. ექვსს პატრონობს ფარსადანი, ოღონდ, რაკი შვიდივე მხარე არ ეკუთვნის, ის არ არის „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ არსებული ქვეყნიერების, ე.ი. მთელი ქვეყნიერების, მბრძანებელი. ასეთად იგი მალე იქცა, რაკიღა სა-

რიდანმა ნებაყოფლობით იკისრა მისი ვასალობა. ასე გაერთიანდა მთელი ინდოეთი, გაკეთდა პატრი-ოტული საქმე, ოლონდ, ამასთან ერთად, ფარსადანი გახდა მთელი ქვეყნიერების ხელმწიფე, სრული მპყრობელი, ანუ კეისარი. სარიდანი თუმცა კი მეფედ დარჩა, ოლონდ პროვინციის პატრონად. მას არა აქვს „კეისარობა“, ე.ი. ის არ არის „აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებელი“. „ინდო-ხატაელთა ამბავში“ კიდევ ერთხელ გამოჩნდება ეს გამოთქმა. კერძოდ, იქ ნათქვამია, რომ „ტარიელს და ცოლსა მისასა მიხვდა მათი საწადელი – შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი“... მაშასადამე, ტარიელი გახდა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ მხარის მპყრობელი, ანუ მთელი ქვეყნიერების (შვიდივე მხარის) მბრძანებელი.

ამრიგად, სპარსულ და ქართულ პოემებში პირობითი და ჰიპერბოლური მხატვრული ფიგურა ერთნაირად არის გამოყენებული“ (ფირდოუსი და რუსთველი, გვ. 95-96).

მაშასადამე, რუსთველისთვის არავითარი ისტორიული შვიდი ინდოეთი არ არსებულა სწორედ ისე, როგორც არავითარი შვიდი ივერია არ არსებობდა აკაკი წერეთლისათვის.

რა ვქნა, რომ ერთობ მენიაზება ჩემი აფორიზმი: **როცა რაიმე არ იცი, არ იცი საფუძვლიანად!**

4. სარიდანმა თავისი ნებით კი არ დაომო სამ- თავრო, არამედ იძულებით დაათმობინესო.

ზოგჯერ ასე ხდება: როცა ტექსტი ზედმიწევ-
ნით არ ვიცით, შემოქმედს თანაავტორად ვუხდე-
ბით და „ვეხმარებით“ იდეების რეალიზებაში. რუს-
თველის თანაავტორობა დიახაც რომ სასახელოა!
მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დაუკრეფავში
გადავდივართ. პოემის სწორედ ამგვარი შესწორე-
ბაა, როცა ვამბობთ იმის საპირისპიროს, რაც ტექ-
სტში მკაფიოდ და უთუმცაოდ არის მითითებული.
იქ წერია: სარიდანი ურყევად იჯდა ტახტზე; მტერი
და დუშმანი დაეთრგუნა. ვერც ცხადად, ვერც ფა-
რულად ვერავინ ვერას ჰკადრებდა; კარზე ჰქონდა
ზეიმი და ზარები, მაგრამ მარტორობა მოსწყინდა,
ცალკე საშვილიშვილო საქმის გაკეთების სურვილი
აღეძრა და პატრონულური ინსტიტუტის წესთა სრუ-
ლი დაცვით ინდოეთის ექვსი (არასრული) სამეფოს
პატრონს მფარველობა სთხოვა. იქვე მკაფიოდ,
არაორაზროვნად, არის მითითებული ამის მთავარი
მოტივი: ქვეყნის წინაშეო „სახელი დარჩეს ჩემისა
ერთგულად ნამსახურისა“.

რუსთველს ხელისგულზე ედო ისტორიული
ფაქტი – იოანე მარუშისძის როლი ივერიის გაერ-
თიანების საქმეში – და თავის ამბავსაც ამ თარგზე
თხზავს.

მაში, რუსთველი ქმნის მყარ, უდავო, უნაკლო საფუძველს: სარიდანს არავინ აშინებდა, არავინ აიძულებდა გადაედგა ესა თუ ის ნაპიჯი, მაგრამ გამოიჩინა პირადი ინიციატივა და მოგვევლინა სანიმუშო მოქალაქედ. ამით ავტორი ამაღლებს თავის პერსონაჟს, გვიხატავს უანგარო, უებრო მამულიშვილად; პროფესორი კი დაბლა ექაჩება ამ მაღალ თამასას და ამირბარის კეთილშობილ მამას კეთილშობილების შარავანდედს ართმევს, ჩვეულებრივი ქვეგამხედვარი ფეოდალის როლს აკისრებს.

აქედან კარგადა ჩანს:

ბატონ ზურაბს რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაეწერა, რა სულმდაბალი, უღირსი პიროვნება გამოვიდოდა ეგ ამაღლებული პერსონაჟი; იგი იქნებოდა ქლესა, გლისპი, ფლიდი და მშიშარა. ასე რომ, პროფესორს ადამიანისა არა სწამს. არადა გვიცხადებს, ღმერთი მწამსო!

ვერ დავუჯერებ, რადგან ღვთის რწმენა ადამიანის რწმენით იწყება.

მაში, ასე: არსად და არსაიდან ჩანს, ერთი სიტყვაც კი არაა სადმე გადაკრული იმაზე, რომ სარიდანი ვინმემ აიძულა, დამოუკიდებლობა დაეთმო. ამიტომაცაა საგანგებოდ ხაზგასმული: „ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი“. აქ ფარსადანიც იგულისხმება!

5. შვიდად შეკრული სახელმწიფოს შეთანხმება მერე დაირღვაო, – ბრძანებს ორატორი.

სინამდვილეში არავითარი პატრონუმური შეთანხმება არ დარღვეულა. პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა, გამტკიცდა, გამყარდა. აი, თუ რატომ: ფარსადანმა ჯეროვნად დააფასა სარიდანის ეგ მამულიშვილური ნაბიჯი: გაერთიანებული ქვეყნის მეორე კაცად დანიშნა – ერთდროულად არგუნა ორი სახელო: ამირბარობაცა (შინაგან საქმეთა მინისტრი) და მთავარსარდლობაც. ამავე დროს, სიტყვითაც შეაძეო: შენისთანა ამირბარი ქვეყნიერებაზე არავის არა ჰყავსო; გარდა ამისა, ეძმო, ემამა და ეთაყვანა. ერთი სიტყვით, ორივე კმაყოფილი დარჩა, ხოლო ქვეყანაში სისრულის განცდამ და ბედნიერებამ დაისადგურა.

კიდევ მეტი: ფარსადანს შვილი არ ჰყავდა და, როცა შემთხვევით სარიდანსა და მის ცოლს ტარიელი გაუჩნდათ, „კეისარმა“ კიდევ ერთი პატივი მიაგო თავის თანამებრძოლ მეფეს, უთხრა, მოდი, ვიშვილებ მაგ ყმაწვილს და მემკვიდრედ, მომავალ მეფედ გავზრდიო!

სარიდანს ეღირსა ის, რაზედაც არც როდის უფიქრია – მან დათესა ქვრიმი (ფეტვი) და უნებლიერ მარგალიტი მოიმკო.

რა შეთანხმების დარღვევაზე შეიძლება აქ ლაპარაკე?

არავითარი „საშვიდო“ და „სამშვიდო“ შეთანხმება არ დარღვეულა, პირიქით, ფარსადანის მხრივ, თავდაპირველ პატრონუმურ შეთანხმებაზე მეტი გაკეთდა. სარიდანი ისე გარდაიცვალა, უკმაყოფილო არ დარჩენილა.

ასე შექმნეს ამ ადამიანებმა დიდი ისტორია. მართალია, ამ საქმეში ღვთის ხელიც ტრიალებდა, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ: ისტორიას ქმნიან ადამიანები. უადამიანოდ ისტორიას მამალმერთიც ვერ შექმნის!

6. ტელელექტორი გულუბრყვილოს გაბეჭულებით აცხადებს: პოემას სამი დასასრული აქვსო.

მკითხველი უჩემოდაც ხვდება: შეუძლებელია ერთ პოემას სამი დასასრული ჰქონდეს! სინამდვილეში მომხსენებელს უნდა ეთქვა: სხვადასხვა მკვლევარი დასასრულს სხვადასხვაგვარად ხედავსო. თქმული კი, რა თქმა უნდა, ულოგიკოა და ყოვლად მიუღებელი. ისე კი მე, როგორც რუსთველოლოგი, მოგახსენებთ: პოემა მთავრდება მაშინ, როცა ცენტრალური გმირები (ტარიელი და ნესტანი) ინდოეთში ქორწილს გადაიხდიან, „ჯვარს იფსკვნიან“ და ტახტზე მორჭმით დასხდებიან, ხოლო რუს-

თველი სიამოვნებით დასძენს: შესაფერისი ვაჟი შე-საფერის ქალს ერგო, ანუ აღსრულდა ო „მოცალეო-ბის“ (ცალის ცალთან შეწყვილების) პრინციპი.

მომხსენებელმა, როგორც ფოლკლორისტმა, ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც მას, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, აქვს, პოემის დასასრულის პრობლემის გერგილიანად გადასაჭრელად ვერ გა-მოიყენა.

მე კი შევახსენებ:

ქართულ ზღაპარს მსჯვალავს მყარი აუცილე-ბელი მოტივები, შტამპები. ესენია: სამი ძმის მოტი-ვი; გამარჯვებული უმცროსი ძმის მოტივი; დევისა და დევთა ქვაბის მოტივი; დევის ქალის (ცოლის, ქალიშვილის ან დედის) მოტივი; გამარჯვებული წყვილის ბედნიერების გამოხატვა ერთი რიტუა-ლით: დაქორწინებითა და აგრეთვე ტახტზე ას-ვლით (გახელმწიფებით).

ყოველი მათგანი მოკლედ და სქემატურად მი-ვუყენოთ ქართული ზღაპრის ზედმიწევნით მცოდ-ნე რუსთველის ნამუშაკევს.

ეპოპეაში მოცემულია სამი ძმის ერთობა: „მათ, სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანერთის მო-ნება“. ესენი კი არიან: ტარიელი, ფრიდონი, ავთან-დილი.

ეპოპეაში აშკარად საცნაურია უმცროსი გამარჯვებული ძმის ამბავი: ამოცანის გადაწყვეტას ჯერ ცდილობს ყველაზე უფროსი – ტარიელი. მას არაფერი გამოსდის; მერმედ დაკარგული მზეთუნახავის აღმოჩენას შეეცდება შუათანა ძმა – ფრიდონი. მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდება; ბოლოს ბედსა ცდის უმცროსი, პირტიტველა ყმაწვილი, „ჯერთ უწვერული“ ავთანდილი. ის იოლად იპოვის დაკარგულ „მარგალიტს“.

ეროვნულ ეპოსში მკაფიოდ იკითხება დევისა და დევთა ქვაბის ამბავი, ესოდენ დამახასიათებელი ზღაპრისათვის: ტარიელი და ასმათი დევებს ამოხოცავენ, დევთა ქვაბში განაპირდებიან, ჩამოშორდებიან საზოგადოებას; სპასპეტი მიაგნებს დევთა ქვაბს. როგორც ზღაპარში, ისე აქაც „დევი“ (ტარიელი) შინ არ არის და სპასპეტი „დევის ქალის“, ასმათის, მეშვეობითა და დახმარებით მიაღწევს შუალედურ მიზანს.

ხალხური ზღაპრის ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი ბოლოა: ავთანდილ-თინათინის და ტარიელ-ნესტანის საბოლოო გამარჯვება გამოხატულია ისე, როგორც ზღაპარში – ერთდროულად იმართება ქორწილიცა და კორონაციაც.

ამ კანონის მიხედვით, პოემას აქვს ერთადერთი დასასრული: ამბავი უნდა დაგვირგვინდეს ინდო-

ეთში გამართული ქორწილითა და მთავარი გმირის ტახტზე ასვლით. ეგ კი ხდება „ინდო-ხატაელთა ამ-ბავში“. მაში, „ამბავი“ პოემის ორგანული ნაწილია!

აი, ზღაპრის ეს უმთავრესი მოტივი ჩვენმა ფოლკლორისტმა მკვლევარმა ჯეროვნად ვერ გა-მოიყენა პოემის ფინალის პრობლემის საარგუმენ-ტაციოდ.

7. ლექტორმა განაცხადა: **მთავარი ქრისტია-ნული ცნება „სინანული“ პოემაში საერთოდ არაა ნახსენებიო!**

არის, არაერთხელ არის ნახსენები:

„რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“ (817);

„აწ სიშორესა ვინანი“ (837);

„არ ვინანი გარდასრულსა“ (859);

„სიცოცხლეა სანანელი“ (920);

„თვარა დაიწყებთ ნანასა“ (1194);

„ვარ აქამდისცა ნანითა“ (1302);

„არა სჭირდეს, არ ინანეს“ (1424);

„განანებ მაგა მოყმისა ყოლასა“ (1100);

„მისცა სიტყვისა ნანანი“ (1608).

8. ტელელექტორმა ბრძანა: **რა შესაყვარებე-ლია ტარიელიო!** არადა, რუსთველის ცენტრალუ-რი დადებითი გმირი სწორედ ამირბარია; მაგრამ მთავარი ისაა, რომ პროფესორი ლოგიკის ჯაჭვებში გაიხლართა. ჯერ ერთი, გამოდის, რომ პოემის ყვე-

ლაზე ბრძენსა და ლამაზ ქალს, ნესტან-დარეჯანს, რომლის მსგავსიც დედამიწაზე არავინაა (ნესტ ან-დარე ჯეპან = არავინაა პირსა ზედა მიწისასა), უაზროდ შეჰყვარებია ამირბარი; მეორეც, თვითონ ავტორი პროლოგშივე გვაფრთხილებს, რომ მას უგონოდ უყვარს და მოსწონს მთავარი გმირი:

მე, რუსთველი, ხელობითა
ვიქ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა,
მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი (8).

ვისაც ემორჩილება ინდოეთის სპა-ჯარი, იმის სიყვარულითა ვარ გახელებულიო; მაგრამ ამასაც არა სჯერდება და მკითხველსაც მოუწოდებს, შეიბრალოს ეს „სიყვარულით გატანჯული“ გმირი და მისთვის ცრემლიც კი დაღვაროს:

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის
ცრემლი გვდის შეუშრობილი!

პროფესორს დაავიწყდა, რომ პოემის პროლოგ-ში არც ერთი (!) გმირის სახელი სახელდებით არაა მოხსენიებული მაშინ, როდესაც ტარიელი ორჯერ ხმიანდება.

ესეც ფრიად მნიშვნელოვანია!
მნიშვნელოვანია სხვა რაიმეც:

მსოფლიო ლიტერატურაში პირველი „ტანჯული მიჯნური“ დახატა ნიზამიმ, მეორე – რუსთველმა; როგორც განჯევი განიცდის და დარდობს მაჯნუნის ტანჯვას, ისე რუსთველი – ტარიელისას. შეუძლებელია ასეთი გმირი XII – XV საუკუნეებში მკითხველს არ მოსწონებოდა და არ შეყვარებოდა. ამ მოყვარულთა შორის არიან თვითონ ავტორებიც.

ერთსაც დავსძენდი:

პოემა იწყება და მთავრდება ავთანდილის (არაბეთის) ამბით, ხოლო ტარიელის (ინდოეთის) ამბავი ჩასმულია არაბეთის ამბავში. ყოველივე ეს უნდა წარმოვიდგინოთ ასე: არაბეთის ამბავი არის ოქროს ბეჭედი, რომელშიც ჩასმულია ბრილიანტის თვალი, ანუ ინდოეთის ამბავი. ბრილიანტი კი ყოველთვის მეტია, ვიდრე – ოქრო. ცენტრალურ და საყვარელ პიროვნებად ამადაც გვიხატავს ავტორი ამირბარს, ვისი სახელიც ჰქვია თავად პოემას – „ვეფხისტყაოსანი“.

9. აგიოგრაფია არ არის რეალობის ასახვა, შექსპირის ტექსტები – დიახაცო.

ეგ რომ გავიგონე, გავოგნდი: მწერლობის არც ერთი დარგი არ არის ისე რეალისტური, როგორც აგიოგრაფია. კიდევ მეტი: ეს დარგი სუპერრეალისტური დარგია, ფაქტობრივად ბიოგრაფიული რომანებისაგან შედგება. „შუმანიკის წამებაში“, „გრი-

გოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ზედმინევნით ზუსტად და სარკისებურად არის ასახული იმდროინდელი რეალობა, პირთა ცხოვრება, ყოფა, ბიოგრაფიები. ასე ზუსტად და მარჯვედ ისტორიკოსიც კი ვერ აღწერდა სინამდვილეს, ხოლო შექსპირი გამოგონილ, „ნატყუარ“ ამბებს გვიყვება და, თუ რეალისტურ ასახვაზე მიდგება საქმე, არა მგონია ამ მხრივ „რომეო და ჯულიეტამ“ გიორგი მერჩულის რომანს მეტოქეობა გაუწიოს.

ტელემარტვილობაში სხვაც ბევრი რამ იყო სადაც და მიუღებელი. მხოლოდ აღნიშნულზე თამამად იმად შევჩერდი, რათა ამ კრიტიკული წერილის ხერხიანი სათაური გამემართლებინა. შესაძლოა, მავანს ამ სტატიის სტილი თავხედურადაც მოეჩვენოს, ოღონდ ერთსაც დავსძენ: უცოდინარობის თავხედობას ცოდნის თავხედობა სჯობს, ხოლო მეგობარი მკითხველის წინაშე ჩემი მოწინება არაერთხელ გამომიხატავს. ახლაც ასეა – მკითხველის წინაშე თავმდაბლობა ამაზე შორს ვეღარ წავა: ამ წერილს ისე დაბლა ვაწერს ხელს, უფრო ქვემორე მისი ხელმოწერა შეუძლებელია.

2022 წ.

საპითხის დაყენების უფლებაც კი არა გვაქვს!

ცნობილი ირანისტი ნომადი ბართაია მრავალ-მხრივი მოღვაწეა: მისი ლირიკული პოეტური გნომები ორიგინალური და ერთობ კოლორიტულია; სამეცნიერო დებულებები ხშირად მოულოდნელი სიამოვნებით გვავსებს; მკვლევარი საჭიროებისას მთარგმნელის საქმესაც გულდაგულ შეეჭიდება და აღებულ აღმოსავლურ ტექსტებს გერგილიანად გადმოიღებს; არც ბიოგრაფიულ-დოკუმენტური ნარკევებისა და იუმორისტული ნაწარმოებების შეთხზვა-შედგენაში დაუდებს ვისმე ტოლს. ამ ბოლო ხანებში ყურადღებით იკვლევს ქართული ენის ხვავსა და ბარაქას – ლექსიკურ ფონდს. მეცნიერი იძიებს და ადგნის აღმოსავლური ლექსემების შემოსვლის გზებსა და ფონეტიკურ-აზრობრივ ტრანსფორმაციებს. ამ მხრივ გაწეული მისი ლვანლი ისე თვალსაჩინოა, ენათმეცნიერულად ბრმასაც კი თვალს აუხელს. პროფესორის ამ ტიპის წიგნები პერიოდულად გამოდის და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ამჟამად ჩვენ წინაშეა 80-გვერდიანი ნაშრომი „სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ ქართულში“ (2021).

ნიგნის ერთი საინტერესო განაკვეთია „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“. ახსნილ-გამოკვლეულია სახელები **ნესტან-დარეჯანი**, თინათინი; სიტყვა **შერისა**; **შადი**, **შარდი** თუ **შართი?** **აბჯარი** თუ **ავ-შარი?**

ნესტან-დარეჯანს, განსხვავებით ნიკო მარისა-გან, ბართაია ასე თარგმნის: არ არის ამქვეყნად, ანუ არაამქვეყნიურიო, რადგან აღმოსავლურ პოეზიაში ყველა ქალი განუმეორებელი სილამაზისაა.

უბრალო თვალიც იოლად ამჩნევს, მსგავსი კონსტრუქციისაა ორი კომპოზიტი: **ამირ-ანდარე-ჯაანი** და **ნესტ-ანდარე-ჯაანი**. მკვლევარსაც მსჯელობა აქეთკენ მიჰყავს, მოიხმობს ნ. მარისა და სხვათა მოსაზრებებს და ადგენს: იგი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **არ არის ქვეყანაზე**. ქვეყანაზე არ მოიპოვება, ესე იგი, არაამქვეყნიური სილამაზისაა (527). **ამირანდარეჯაანი** გამოდის უძლიერესი ქვეყანასა ზედა, ემირი ქვეყნიერებისა (526).

ყველაფერი ლოგიკურია: ახალდაბადებულ გოგონას უწოდებენ **არაამქვეყნიური სილამაზის მქონეს**, ხოლო ახალშობილ ბიჭუნას უსურვებენ გახდეს **ქვეყნიერებაზე უძლიერესი, ანუ ქვეყნიერების მბრძანებელი**. ნ. ბართაიას მოჰყავს ალ. ჭულუხიძის მითითება, რომ ემად ედ-დინ ისფაპანელის „სელჩუკთა ისტორიაში“ (XI ს.) ნახსენებიაო

კეთილშობილი მანდილოსნის სახელი **ნესთ ანდარე ჯეპანი** (526).

ეგ წიგნი გამოსულია 2014 წელს, ხოლო ჩემი წიგნი – „ნიზამი და რუსთველი“ 2011 წელს და მისი რედაქტორი თვითონ ნომადი ბართაიაა. საინტერესოა, რომ ნესტან-დარეჯანის შესახებ აღ. ჭულუხიძის მითითების უწინარეს როგორ არ მიუთითა ჩემს დაკვირვებაზე ნიზამის „ისქანდერ-ნამესთან“ დაკავშირებით. იქ მიწერია:

„უფრო საინტერესოა უცხო მოყმის მესამე გამოჩენა. ამ გმირს, რომელსაც გარეთმიანი ვეფხის ტყავი ეცვა და ვერავინ დაამარცხა, ალექსანდრესთან მიჰყავს ხელში ატატებული მზეთუნახავი ქალი **ნესთ-ანდარ-ჯეპანი** და მას ფეშაშად აძლევს. აქ უკვე თავი წამოყო ნესტან-დარეჯანის პროტოტიპმა, „ისქანდერ-ნამეს“ მეორე პერსონაჟმა **ნესთან-დარჯეპანმა**.“

ამის შემდეგ რუსული ტექსტის 424-ე გვერდზე საუბარია ალექსანდრესა და ნესთანდარჯეპანზე. თავის სიტყვაში ქალი თავადვე განმარტავს საკუთარი სახელის მნიშვნელობას (შევიხსენოთ ზევით თქმული – ნიზამის ყველა გმირ ქალს აქვს სახელი, რომელიც რაღაც კარგსა და დადებითს გამოხატავს). ის აცხადებს: „ჩემი სახელია **ერთადერთი**“ (433), ხოლო ამ ტომეულის განმარტებაში ახსნი-

ლია, რომ ეგ სახელი ნიშნავს იმას, რომ ამისთანა არავინაა დედამიწაზე: „ნესთანდარჯეჲანი – არ არის მსოფლიოში მსგავსი“ (737).

ამის შესახებ იხ. მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 183.

შემდეგ ნათქვამია, რომ ეგ შტამპი იხმარებოდა სომხეთშიც, საქართველოშიც. მომყავს თითო მაგალითი ორივე ქვეყნიდან. სომეხთა კათალიკოს ნერსესს ფავსტუს ბუზანდაცი არაერთხელ მოიხსენიებს ამ გაყინული შტამპით: **მისი მსგავსი არავინი იყო; მას ტოლი არ მოეპოვებოდა.**

ეგ ფორმულა გავრცელებული ყოფილა | საუკუნის ქართლშიც. „არმაზის ბილინგვაზე“ პირდაპირ წერია, სერაფიტა გვეუბნება: არავინ **იყო ჩემი მსგავსი დედამიწაზეო**, ესე იგი, ნესთანდარჯეჲანი ვიყავიო. ბილინგვაზე სიტყვასიტყვით არის ამოკვეთილი: „**არავინ იყო მისი მსგავსი მშვენიერებით**“.

„მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ ნიზამის ნესთანდარჯეჲანი არის რუსთველის ნესტან-დარეჯანის ლიტერატურული წინასახე“ (ნიზამი და რუსთველი, გვ. 184-185).

იქვე მითითებულია ის სახოტბო სიტყვები, რომლებსაც აღუვლენს თავის პერსონაჟ ქალს ნიზამი (გვ. 184).

მაშასადამე, მეორე და ერთობ გაშლილი გან-
მარტება, თუ რას ნიშნავს „ნესტანდარეჯანი“, მო-
ცემულია 1203 წელს გასრულებულ პოემაში „ისქან-
დერ-ნამე“, რომელიც რუსთველმა ისე კარგად
იცოდა, როგორც ჩვენ ვიცით, ვთქვათ, პუშკინის
„ევგენი ონეგინი“ ანდა ტოლსტოის „ომი და ზავი“.

საგულისხმოა მოსაზრება **თინათინ** სახელის
შესახებ. მართლაც, ხომ არ არის ისიც იმავე აღნა-
გობისა, როგორც პოემის სხვა სახელები?

ნურადინ → ნურ ად-დინ (სხივი რელიგიისა);

შერმადინ → შარმ ად-დინ (სინდისი რელიგიი-
სა);

თინათინ → დინ ად-დინ (რელიგია რელიგიისა).

სამივე ეს სახელი აღმოსავლურია და პოემაც
ხომ გამოუკლებლივ აღმოსავლელებს წარმოგვისა-
ხავს?

აქვეა შეტანილი ტერმინი **შერისა**. მკვლევარი
ახლებურად ასაბუთებს იმას, რასაც ბრძანებდა ნ.
მარი: **შერისა** ნიშნავსო **ლექსის**: „მას, არა ვიცი, შევ-
ჰქადრო შესხმა ხოტბისა, შერისა“ (ლექსისა).

ტერმინი **შართი** მკვლევარს სწორ ფორმად მი-
აჩნია. იგი არაბულია და ნიშნავსო **პირობას**.

ჩემი აზრით, ეგ სიტყვა ზუსტად შეესატყვისება
კონტექსტსაც.

ჩვენი მკვლევარი ფიქრობს, რომ პოემის სიტყვა **აბჯარ** უნდა შეიცვალოს სიტყვით **ავშარ**. იგულის-ხმება ტარიელის მერნის მორთულობა:

ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნა-გირსა.

6. ბართაია ურიგდება იმას, რომ ცხენს აქვს ლაგამი, უნაგირი, რომლებიც მოოჭვილია მარგა-ლიტებით, ოღონდ სრულიად გაუგებრად მიაჩნია ამ კონტექსტში **აბჯარი**. ის წერს: „ცხენის მოკაზმუ-ლობის აღწერისას ჩვენი ეჭვი დაბადა ერთ სემან-ტიკურ რიგში – ლაგამსა და უნაგირს შორის სამ-ხედრო საჭურველის – **აბჯრის** მოხვედრამ“.

სამაგიეროდ ქართულში არის **ავშარა**, იგივე აღვირი. მაშ, აქ **გაუგებარი აბჯარი** გასაგებმა ავ-შარამ უნდა შეცვალოსო. ლაგამ-აფშარ//ავშარ-უნაგირი სიტყვათა ერთი სემანტიკური რიგია და ამიტომ!

ახალი მოსაზრება რომ გამანდო, ვურჩიე: ეგ იდეა თავიდან მოეშორებინა, ხოლო ხელნაწერი – საწერი მაგიდიდან, მაგრამ არ დამიჯერა და, არა-თუ არ დამიჯერა, მგონი, ორ-სამჯერ დაბეჭდა კი-დევაც!

კი, ძნელია ყმანვილურ ოცნებებთან გამომშვი-დობება, თუმცა მოგვიწევს.

აი, რამდენიმე რკინის არგუმენტი, რომლებიც

დაგვიმტკიცებენ: ხელნაწერებში ყველაფერი რიგ-ზეა და არავითარი კონიექტურა საჭირო არაა.

არგუმენტი პირველი: ავშარას არც ერთი ხელნაწერი არ უჭერს მხარს!

ამ ვითარებაში არათუ კონიექტურა (ხელოვნური ჩარევა), არამედ საკითხის დაყენების უფლებაც კი არა გვაქვს!

საკითხის მხოლოდ დასაყენებლად საჭიროა, თუნდაც ერთი ყველაზე არადსალირალი ხელნაწერი მაინც იცნობდეს სიტყვა ავშარას.

საქმეს რომ ამგვარად მივსდიოთ, ხვალ მ. თავიშიმვილსა და ნ. ბართაიაზე უფრო დიდი ავტორიტეტი (ვთქვათ, გ. ლეონიძე) მოვა და იტყვის: **ავშარის** მაგიერ უნდა ჩაიწეროსო **ჯავშანი**; შემდეგ უფრო დიდი ოსტატი მოვა (ვთქვათ, გალაკტიონი) და რაიმე ლამაზი სიტყვის ჩაწერას მოინდომებს... ასე კი მივალთ ხალხურ შემოქმედებამდე.

ეს რომ არ მოხდეს, ამიტომაც არსებობს შემაკავებელი ფაქტორი – ხელნაწერული მემკვიდრეობა.

არგუმენტი მეორე: პროფესორ ნ. ბართაიას ვრცელი დადებითი გამოხმაურება აქვს დაბეჭდილი ჩემს წიგნზე „ფირდოუსი და რუსთველი“ (რედაქტორი ბელა შალვაშვილი) და მშვენივრად იცის: რუსთველი გამოწვლილვით იცნობს ფირდოუსის

მთელ შემოქმედებას. პოემის ავტორმა იცის ის, რაც იცის ფირდოუსიმაც: ძველად საბრძოლო ცხენებს ეცვათ **აბჯარი**. ასე რომ, **შეაბჯრული ცხენი** მათთვის ჩვეულებრივი ამბავია, ასე რომ გაჰკვირვებია ჩემს მეგობარს. მეორეც, ნ. ბართაიას დედანში აქვს წაკითხული „შაჳ-ნამე“. მე ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ; სამუქფოდ ხელთა მაქვს ბანულაჳუთის შესანიშნავი რუსული თარგმანი, ასევე ბ. შალვაშვილისა და სხვა ქართველთა მიერ გადმოენებული „შაჳ-ნამე“. მაშასადამე, მას გადავიწყებია ანდა ყურადღება არ მიუქცევია, რომ სპარსულ პოემაში ხშირად არის აღნერილი **ჯავშნიანი ცხენი**.

ახლავე თქვენ წინაშე დავახვავებ საამრიგო მაგალითებს. „**Царь в шлеме, в доспехах; Конь царский в броне**“ (იხ. ფირდოუსი, „შაჳ-ნამე“, ბანუ ლაჳუთის თარგმანი, მოსკოვი, კეისარი ნუშრივანი, გვ. 127).

სხვა მაგალითი:

„**И каждый в доспехах, и конь защищен**“ (258).

კიდევ ნიმუში:

„**В доспехах, с конями в броне, храбрецов**“ (259).

ისევ ნიმუში:

„**Броню укрепив на своём рысаке**“ (260).

უფრო მეტიც: არა მარტო ცხენი, საომარი სპილოც ჯავშანშია ჩასმული:

„Слонов десять сотен в броне боевой“ (269).

სხვაგან ასეა:

„Где в крепкой броне боевые слоны?“ (287).

„ლაგამ-აბჯარ-უნაგირზე“ აჩირჩხლული ძვირფასი ქვები „შაჰ-ნამეში“ ბევრგან ჩანს. აგერ ერთი მაგალითიც:

„Узда золотая на резвом коне,

И блещет жемчужина в каждом звене“ (289).

მოვიშველიოთ კიდევ ერთი მაგალითი:

„Броня боевая на каждом коне“ (504).

ბარემ ერთი ნიმუშიც მოვიხმოთ:

„Бойцов триста тысяч, в броне скакуны“ (562).

ამრიგად, ტარიელსაც რომ შეაბჯრული საბრძოლო მერანი ჰყავდეს, ჩვეულებრივი და მოსალოდნელია.

არგუმენტი მესამე და გადამწყვეტი: არის თუ არა ქართულ პოემაში სადმე მკაფიოდ მითითებული, რომ ტარიელის მერანი შეჯავშნულია?

არის და ახლა ამ მომენტსაც გაგაცნობთ.

ავთანდილი ხეზეა ასული, იქიდან აკვირდება, თუ დილით როდის გამოვლენ ქვაბიდან ასმათი და

უცხო მოყმე. აი, გათენდა კიდეც და დიაცი რაინდს ცხენს უმზადებს:

გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერითა,

შავსა აუდვა ლაგამი, სწმედდა რიდისა წვერითა,

შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერითა.

როგორცა ვხედავთ, ასმათმა ალკაზმა ცხენი და **აბჯარიც** მოარგო მას. ამის მერე გამოვიდა ტარიელი ქვაბიდან და გამზადებულ ცხენზე ამხედრდა.

პოემაში სხვაგანაც ჩანს შეაბჯრული მერანი.

ტარიელი უკან, ქვაბში, დაბრუნდა. ავთანდილი საკანშია დამალული, ვითარებას იქიდან აკვირდება. მოსულმა რაინდმა და ასმათმა ჯერ იტირეს, მერე ქალმა ცხენი ჩამოართვა მოყმეს და

შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან.

ჯერ აბჯარი ჩამოხსნა პირუტყვს და ქვაბში შეიტანა, მერმე მერანიც შიგნით შეიყვანა.

ახლა კი ისეთ მაგალითს მოვიყვან, სადაც **ცხენ-აბჯარი** ერთიან კომპოზიტადაა შეკრული და, ძალიანაც რომ მოინდომო, მათ ნაჯახითაც ვერ გააცალკევებ. ფრიდონმა ჭრილობები მოიშუმა, უკ-

ვე შეუძლია, ვერაგი ბიძაშვილები დასაჯოს. აქ მითითებულია:

მოჯობდა, ომი შეეძლო, ხმარება ცხენ-აბჯა-რისა.

ესე იგი, აბჯრიანი საომარი ცხენის ხმარება და მართვა შეეძლო.

ხატაეთში საომრად წასვლის წინ სარიდანის ძემ სამხედრო აღლუმი მოაწყო, დაათვალიერა ლაშქარი. აქ მას მოეწონა

ტაიჭთა მათთა (მებრძოლთა) სიმალე, აბჯრისა ხვარაზმულობა. ე. ი. საბრძოლო ცხენებს არა ჩვეულებრივი, არამედ ხორეზმული რჩეული ჯავშანი იცავდაო.

როგორცა ხედავთ, მთელი გამოკვლევის დაწერა მომიხდა, რათა დამემტკიცებინა: ტარიელი ზის საბრძოლო ცხენზე, რომელიც შეჯავშნულია მაშინ-დელი წესისამებრ. მაშინ, გამოთქმა „**ლაგამ-აბჯარუნაგირსა**“ ყოველნაირად გამართულია და შესწორებას არ საჭიროებს!

მკვლევარი უარგონულ ლექსემას **შაყირი** ლევან ბრეგაძის მსგავსად **შაირი** სიტყვის განვითარებად მიიჩნევს: **შაირი→შაყირი** და ამ იდეას თავისებურად ასაბუთებს; ასევე საგულისხმო და მისაღებია სიტყვის **ამხანაგი** კვლევა, განსაკუთრებით ის, რომ საშუალო სპარსული სიტყვის ერთი გაგება

(მეუღლე) დაკონსერვებული ყოფილა მეგრულში; ასევე საინტერესოა – მეგრულ-სვანურში შემონახული ფორმა **ყორ-ი** ნიშნავს **გოგონას**, როგორც ეს არის ფერეიდნულში. მაში, ოდესლაც საერთო ქართველური სიტყვა უნდა ყოფილიყო **ყორ-ი**, იგივე **გოგონა**.

6. პართაიას არც კი აგონდება, ოღონდ მე მივუთითებ: ეგ **ყორ-ი** ალბათ შემადგენელი ერთეულია ცნობილი სიტყვისა **სა-ყორ-ელ-ი**. აღნიშნულ ლექსემაში ზუსტადაა დაცული საძიებელი სიტყვა. სემანტიკურად **საყორელი** იგივეა, რაც აღმოსავლური **აშიკი** (ქალი, გოგო). **აშიკის** საპირისპიროა **მაშიკი** (მამაკაცი, ბიჭი). ასე რომ, ერთის მხრივ, გვაქვს უცხოური წყვილი **აშიკ-მაშიკი**, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული **საყორელ-მაყორელი**.

2022 წ.

ფრენოლოგია რუსთველოლოგიაში

ამ ბოლო დროს ფრენოლოგია მოდაშია. განსაკუთრებით ეთავსება იგი რუსთველოლოგიას. ამ მხრივ ფრიად და ფრიად გამოსარჩევი გამოდგა ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული რუსთველოლოგია-X (2021). განსაკუთრებით საინტერესოა „პოეტიკის საკითხების“ რუბრიკით გამოქვეყნებული არა სტატია, არამედ რებუსი „თხრობითი პერსპექტივების ფუნქცია ვეფხისტყაოსანში“. ფრენოლოგიური რებუსის უსტა გახლავთ **მაია ბურდიაშვილი**. მართალია, ავტორმა ფრენოლოგიური რებუსის ოსტატად წარმოაჩინა თავი და დაგვარწმუნა, რომ უცხო სიტყვების უადგილოდ და უაზროდ მოხმობით გურამ ბენაშვილის პირნავარდნილი მონაფეა, ოღონდ ესეც ცხადყო: ბენაშვილზე შორს წასულა და არა მარტო მისთვის და მისი მასწავლებლისათვის გაუგებარ უცხო სიტყვებს აჩლახუნებს, არამედ ბევრად უფრო ძლიერ სიტყვიერ ჩართუზანას გვთავაზობს.

მკითხველს რომ ერთბაშად გული არ გავუხეტქო, ჯერ შედარებით მსუბუქ რებუს-გამოცანას გავაცნობ:

„**მხატვრულ ტექსტში, ალბათ, ყურადღება გამახვილებულია უმთავრესად მთხრობელ ინსტან-**

ციაზე, იმაზე, თუ ვინ ყვება ამბავს, რომელი პერ-
სპექტივიდან, როგორია დაშორება მთხოვნელ
მესა და განმცდელ მეს შორის. „ვეფხისტყაოსან-
ში“ ხშირად ენაცვლება ერთმანეთს მთხოვნელის
სხვადასხვა ტიპები, ხან წარმოგვიდგება ყოვ-
ლისმცოდნე ავტორად, ხანაც ექსპლიტიციური
მთხოვნელის შემოყვანით უკანა პლანზე ინაც-
ვლებს და ზოგჯერ დიეგესისის საშუალებით
ჩვენ მხოლოდ პერსონაჟთა საუბრის შემსწრენი
ვხდებით. ლიტერატურულ ტექსტში ასეთი ცვა-
ლებადობა წამყვანი ტენდენცია იყო გვიანი შუა-
საუკუნეების მწერლობისათვის და თითქოს ერ-
თგვარ შაბლონსაც წარმოადგენდა. პოემის სიუ-
ჟეტური ხაზი ერთი შეხედვით ძალიან გავს საგ-
მირო-სათავგადასავლო რომანისათვის დამახა-
სიათებელ კომპოზიციას. იდილია/იდილიის დარ-
ღვევის მიზეზი/გმირის მოგზაურობაში წასვლა
მიზეზის საძებრად/მიზნის მიღწევა/დასასრული.
ასე იგება თითქოს ერთი შეხედვით ტიპიური სა-
რაინდო რომანის სიუჟეტი. შედარებისათვის მო-
ვიხმოთ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“.
მის ნაწარმოებშიც მთხოვნელი ინსტანცია თავ-
დაპირველად პეტეროდიეგეტურია და ავტორს
უტოლდება... შემდეგ მნიშვნელოვანი ამბების
გადმოსაცემად და სხვადასხვა პერსონაჟთა საგ-

მირო-საფალავნო თავგადასავლების აღსაწერად ავტორს შემოყავს ჰომოდიეგეტური მთხოვნელი სავარსამისძე. შოთა რუსთაველთანაც ამგვარად მიღის მთხოვნელის ცვალებადობა“ (106).

მკითხველი გაოგნებულია: მთლად ასე გადა-ქანჯალებულადაც არ ეწერება, მ. თავდიშვილი რა-ლაცას ამატებს და აბუქებს მოყვანილ ტექსტსო, ოღონდ, მეგობარო მკითხველო, ზუსტად ასე წე-რია, არაფერს ვამატებ. აქ გასაკვირიც არაფერია. რუსთველოლოგიაში, აბა, რას დაგიწერდა ის ავტო-რი, რომელმაც ელემენტარული რამეებიც კი არ იცის. კერძოდ, წარმოდგენაც არ აქვს მეხუთე კლა-სის პროგრამით გათვალისწინებულ ირიბობიექტუ-რი ნიშნების ხმარების წესზე და გვიწერს ყვებას, ნაცვლად სიტყვისა ჰყვება; მთხოვნელის, ნაც-ვლად მთხოვნელისა; სხვადასხვა ტიპებიო, როცა სწორია სხვადასხვა ტიპი; შუა საუკუნეები ორი სიტყვაა და გვიწერს ერთად – შუასაუკუნეების; მართალი ჰერნია გავს და არც როდის მოუსმენია სწორი ჰერნი; ტიპიური ეჩვენება მართებულად, რადგან არასოდეს ჩაუხედავს ლექსიკონში და არ დარწმუნებულა, რომ უნდა დაეწერა ტიპური.

მე განსაკუთრებით მენიაზა ავტორის სამუ-შაო ტერმინი მთხოვნელი ინსტანცია. ხომ მაგა-რია?! დიახ, მაგარია, რადგან ერთი რუსული სამეც-

ნიერო ტერმინის უბადრუკი და უსახური თარგმანია. ამიტომაც გამოვიდა ასტეროიდ მუა-მუასავით უფორმო და საშინელი.

უკუღმართი ტვინის მონაჭყლეტია ფრაზა: „როგორია დაშორება მთხრობელ მესა და განმცდელ მეს შორის...“

თურმე შესაძლებელია დისტანცია არსებობდეს მთხრობელსა და განმცდელს შორის; თურმე მე რომ მთხრობელი ვარ, ვარსებობ ლენინგრადში, ხოლო, როგორც განმცდელი, ვიმყოფები კუნძულ სახალინზე.

ამ უზარმაზარი აბზაციდან რაიმე სულ უმცირესი, პანაწკინტელა აზრის გამოტანაც შეუძლებელია. სამუქფოდ, ნიაგარის ჩანჩქერივით იფრქვევა უნიჭობა, უგერგილობა, სისულელე.

მეშინია, მკითხველმა არ დამასწროს და ჩემზე ადრე არ „მოიწონოს“ გაურკვეველი ეროვნებისა და სქესის ტარაბუას მომგვრელი ტერმინები. მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ექსპლიტიციური და დიეგესისი, ტენდენცია და ინსტანცია, ჰეტეროდიეგეტური და ჰომოდიეგეტური... ექსპლიციტური მაინც დაეწერა!

ერთი სიტყვით, პროფესორი გურამ ბენაშვილი რომ ამათ გაეცნობა, შურისაგან მამლის კუჭივით

გალურჯდება – ეგ უცხოური ტერმინები ჯერ მე უნდა მეხმარა და ვერ კი მოვიფიქრეო!

რაც უნდა იყოს, მე მაინც სუსთაველზე უფრო ეგ ფრაზა მენიაზება: „შოთა რუსთაველთანაც ამგვა-რად მიდის მთხობელის ცვალებადობა“.

ახლა ჩვენი სწავლულ-რუსთაველოლოგის მეო-რე „ნარატივი“ გავსინჯოთ: „ნამყვანი ტენდენცი-ები მეტ-ნაკლებად აირეკლება ხოლმე ყოველი შემოქმედის ნარატივში. მათი დაძლევა და ტრა-დიციულიდან ინდივიდუალურისაკენ სწრაფვა მწერლის უმთავრესი ღირსება და თვითმიზანია“ (106).

ხომ ყოველი სინტაგმა სისულელე და უაზრო-ბაა, ოღონდ კუბში აყვანილი უაზრობაა პირველი და მეორე წინადადებების ერთმანეთზე გადაბმა. პირველი გვამცნევს: ყოველი მწერალი ეპოქის ნამყვან ტენდენციებს ითვისებს. ეს კარგი რამაა, საქებარია, ოღონდ მკვლევარი მეორე წინადადე-ბით გვეუბნება – ეგ კარგი ტენდენციები მწერალმა უნდა დაძლიოს და მიატოვოს: „მათი დაძლევა – მწერლის უმთავრესი ღირსებაა“.

ნაჩხრეკის მეორე ადგილი ასეთია:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ მრავალი ყმიანი.

(რუსთაველი 1986: 19)

ამბის ასეთი დასაწყისი თითქოს განვითარება-საც ერთნაირს პოვებს...“

ჯერ ერთი, რა ქართულია - „განვითარებასაც ერთნაირს პოვებს?“ უნდა ასე: **ერთნაირად განვითარდება**, ოღონდ უფრო უარესი სხვაა: ამბის ასეთი დასაწყისი რომ განვითარებასაც ერთნაირს პოვებს – ვისთან შედარებით ან ვისთან შეპირისპირებით „პოვებს ერთნაირ განვითარებას“ ამბის **ერთი დასაწყისი?**! ყველაფერი გასაგები იქნებოდა, **ამბის ორი დასაწყისი** რომა გვქონოდა, მაგრამ **ერთა-დერთი დასაწყისი** ერთნაირ განვითარებას როგორ პოვებს? ამასთან ერთად, ავტორს სწორად ვერც ციტატა გადმოუწერია: **ლაშქარმრავალი** ერთი სიტყვაა, ხოლო მის შემდეგ უნდა დაისვას მძიმე. ამასთანავე, „**ღვთისაგან**“ დღევანდელი სიტყვაა, უნდა იყოს „**ღმრთისაგან**“.

მაში, გონმა არ იცის, ხელი რასა წერს, და ხელმა არ იცის, ვის ემსახურება: გონსა თუ ტრა...მალს?

ახლა მთლიანად მოვიყვანოთ ნახევრად ილუსტრირებული ეპიზოდი: „**ამბის ასეთი დასაწყისი თითქოს განვითარებასაც ერთნაირს პოვებს, შემდგომ იცვლება მთხოვბელი ინსტანცია და ჰომოდიეგეტურამდე დაიყვანება, რითაც იცვლება პოემაში პერსპექტივა, დრო, მაგრამ აქვე უნდა დავამატოთ, რომ რუსთველთან თხრობა უფ-**

რო მოწესრიგებულია და ყოველი დეტალი დატ-ვირთულია იდეოლოგიურად...“ (107).

ამის დამწერს რომ არაფერი ეშველება, ეს ცხა-დია, ოღონდ რა ეშველება მჩხრეკლის პატრონს?

ამ „ლაყაბს“ ერთი ნორმალური ფრაზა შეცვლი-და: რუსთველის თხრობა უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე „ამირანდარეჯანიანის“ ავტორისა, და პოე-მის ყველა დეტალი იდეოლოგიურად არის დამუხ-ტული.

აი, მთელი ამ დომხალ-ბაზრის ლოგიკა და მა-თემატიკა!

მკითხველს შევახსენებ:

სულელური მონაკვეთები აღმავალი წესით მომყავს. აგერ წინებზე უარესი ეკვილიბრისტიკა.

„ვეფხისტყაოსანში მოქმედ პირთა მეტყვე-ლების სამივე სახეობას ვხვდებით – ციტირე-ბულს, ირიბსა და მოთხრობილს. პერსონაჟთა ში-ნაგან თუ გარეგან მონოლოგზე დაკვირვებით...“ და ა.შ. (107).

ახლა არკვიოს მკითხველმა, რას ნიშნავს მეტ-ყველების სამივე სახეობა: ციტირებული, ირიბი და მოთხრობილი. ამაში მას მე არ დავეხმარები, სამუქფოდ, შინაგან და გარეგან მონოლოგზე ჩემს მონოლოგს კი დიდი სიამოვნებით მოვასმენინებ.

ათობით წელია, კრიტიკაში ვმუშაობ და ასეთი დიდი სისულელე დღემდე არა მსმენია, ვალიარებ, არც პროფესორ გურამ ბენაშვილისაგან. უფრო მეტიც, არც პროფესორ ირმა რატიანისაგან. ჩვენი უბადრუკი ავტორი გულუბრყვილობის თავდაჯერებულობით მსჯელობს **შინაგან და გარეგან მონოლოგზე**. მაშასადამე, არა სცოდნია ელემენტარული რამ: მონოლოგი შეიძლება იყოს მხოლოდ შინაგანი და შინაგანი; სხვაგვარი მონოლოგი არ არსებობს!

მაგრამ ასე შორს მიმავალ ცოდნას ვერ მოვსთხოვ ჩვენს ლაპახუა ავტორს, რადგან მან ელემენტარული ქართულიც არ იცის. განა იქვე არ გვიწერს (107 გვ.) ასეთ ფორმებს: „ჩვენს წინაშე“ (უნდა ჩვენ წინაშე); „მე-19, მე-20 საუკუნემდე“ (უნდა - საუკუნეებამდე); წერია: „ასეთია მაგალითად ფატ-მანი“. **მაგალითად** ჩართულია და მძიმეებით გამოიყოფა. ბარემ იმავე გვერდის სხვა შეცოდებებიც აღვნიშნოთ: „ამით რეციპიენტის ღრმა ჩართულობას უზრუნველყოფს“, ოღონდ რაში? ამაზე ავტორი არაფერს ამბობს; მაშ, წინადადება არაა დასრულებული. ესე იგი, „ავტორი გულში მღეროდა, მკითხველო, ბანი მითხარიო!“ სხვა მაგალითი: „თვალთახედვა ანუ ფოკალიზაცია პოემაში თითქმის რამდენჯერმე უტოლდება ნულს“.

ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩართულის მარ-
თლწერას, რომ „ანუ ფოკალიზაცია“ წინ და უკან
ყოვნის ნიშნით არის გამოსაყოფი, განა ამ აბდაუბ-
დიდან რაიმე გაიგეთ?!

ვერც ვერასოდეს გაიგებთ. რატომ? იმიტომ,
რომ ეგაა აზრის ფეკალიზაცია და არა ფოკალიზა-
ცია!

ახლა მომდევნო გვერდს ვესტუმროთ.

„რუსთაველთანაც ვხვდებით თხრობას სხვა-
დასხვა საფასურად“ (108).

აქაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ „ასე
ღრმა“ მკვლევარი ხმარობს არამეცნიერულ ფორ-
მას რუსთაველი. მაში, მან არ იცის ამ მცდარი ფორ-
მის წარმოშობის ამბავი. ამდენად არც ის, რომ სე-
რიოზული მეცნიერი ყოველთვის იყენებს ისტორი-
ულად მართებულ დაწერილობას **რუსთველი**. დიახ,
ყოველივე ეს გვერდზე გადავდოთ და კიდევ ერ-
თხელ წავიკითხოთ ოჭივარაში ჩასმული ჩვილის სი-
არულივით მოყანყალე ეგ ფრაზა - „რუსთაველთა-
ნაც ვხვდებით თხრობას სხვადასხვა საფასუ-
რად“.

თუ ამ გამოთქმას საბაზრო ფასს დავადებთ,
იგი გაუტოლდება ნულს!

ამ გვერდის დამსახურებაა ისიც, რომ შემოდის
ახალი ტერმინი „თხრობითი ტიპები“.

კიდევ ერთ მონაცემთს გავკრათ კბილი:

„**ბევრი ჩართული მოთხოვა შემოაქვს ავტორს პოემაში,** რომლისთვისაც სხვადასხვა თხრობით საშუალებებს იყენებს და შესაბამისად იცვლება მთხოვნელის პირადი პროფილი და დამოკიდებულებები თხრობით ტექსტთან და დანიშნულებასთან“.

ახლა კი, მეგობარო მკითხველო, აღარ გავალებთ ამ უაზრობის რამენაირად გააზრებას, რადგან ასე უაზრო დავალებას ვერ შემოგკადრებთ, ოღონდ ის მაინც დამიდასტურეთ, რომ ავტორმა საერთოდ არ იცის მშობლიური ენა. ამას მარტო ის კი არ მიგვანიშნებს, ასე მაგრად რომ გადაჰკიდებია უცხო ტერმინოლოგიას, ისიც, რომ არც სინტაქსი ესმის, არც – ორთოგრაფია და არც – პუნქტუაცია. ჩემი გამოთვლით, ამ პატარა მონაცემში **ექვსი მამალი შეცდომაა**, რაც არცხვენს არა ოდენ ავტორს, არამედ მის გვერდით დაბეჭდილი სტატიების ავტორებსაც და კრებულის სარედაქციო საბჭოსაც (მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი, ელგუჯა ხინ-თიბიძე).

შეცოდება I: აღმოჩნდა, რომ **რუსთველს მოთხოვნებიც ჰქონია დაწერილი და ეს ჩვენ არა გვცოდნია.** აკი ბრძანებს ავტორი: „**ბევრი ჩართული მოთხოვა შემოაქვს ავტორს პოემაშიო**“.

სინამდვილეში უნდა დაეწერა არა **მოთხრობა**, არამედ – **ამბავი**. **მოთხრობასა** და **ამბავს** შორის იმხელა სხვაობაა, რამხელაც მეტროპოლიტენსა და აქლემს შორის.

შეცოდება II: წერია, ბევრი მოთხრობა შემოაქვსო, მაგრამ სამუხლე სიტყვად იყენებს მხოლოდითი რიცხვის ფორმას, **რომლისთვისაც**. არადა **ბევრ მოთხრობას** შეესატყვისება კავშირი **რომლებისთვისაც**.

შეცოდება III: წერია, **სხვადასხვა საშუალებებს** იყენებსო. სხვადასხვა, ბევრი, მრავალი თუა სინტაგმის წინა სიტყვა, მაშინ მეორე იქნება მხოლოდითში. მაში, სწორია **სხვადასხვა საშუალებას** (იხ. V კლასის გრამატიკის სახელმძღვანელო).

შეცოდება IV: წერია (და ყველგან ასე წერია): **მთხრობელის**. სიტყვა კუმშვადია. უნდა ყოფილიყო **მთხრობლის** (იხ. V კლასის სახელმძღვანელო, აგრეთვე ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 508).

შეცოდება V: წერია აბსურდი - „**მთხრობელის პირადი პროფილი**“. პირადი შეიძლება იყოს მოწმობა, ბილეთი, მცველი, ოღონდ პროფილი არა! სრულიად საკმარისი იყო, დაეწერათ „**მთხრობლის პროფილი**“.

შეცოდება VI: სიტყვას **დამოკიდებულება** არა აქვს მრავლობითი ფორმა. არადა წერია **დამოკიდე-**

ბულებები ტექსტთან. მაში, უნდა იყოს დამოკიდებულება!

შეცოდება VII: ავტორმა არ იცის, რომ **დამოკიდებულება** მოითხოვს არა – **თან**, არამედ – **დმი** თანდებულს. მაში, უნდა წერებულიყო: დამოკიდებულება თხრობითი ტექსტისა და დანიშნულებისადმი. სამაგიეროდ, – **თვის** გამოიყენება სიტყვა კავშირთან. მაგალითად, ჩემი კავშირი თხრობით **ტექსტსა და დანიშნულებასთან.**

აქ კი მე გამიხდა საქმე საბოდიშოდ. ზემორელე გამოვაცხადე, ამ პანია მონაკვეთში **ექვსი მამალი შეცდომაა-მეთქი**, მაგრამ ჩაძიებული ანალიზისას აღმოჩნდა **შვიდი.**

ახლა დანარჩენ სახოსმარიკო ტექსტებსაც გადავხედოთ!

სხვას 109-ე გვერდიც რად უნდა ჩამორჩენოდა!

აი, ერთი „შედევრი“:

„საკითხავი ტექსტი შეპყრობილია აკვიატებული შიშით“.

რაც უფრო ღრმად ვუკვირდებოდი ამ ნარკვევს, მით უფრო დიდი შიში მიპყრობდა. ნამეტნავად მას შემდეგ, რაც წავიკითხე ეს ნაბოდვარი:

„**ეს სისრულე შობს ნახატს, რომელიც მის გამოხატვას ისახავს მიზნად და, შესაბამისად, ფერის დამატებას, გაფერადებას ითხოვს: შეიძლება**

ითქვას, რომ საკითხავი ტექსტი სიცარიელის ში-შითაა შეპყრობილი“.

ამ გვერდის სხვა „წვრილმანი“ სახოხმარიკო ფრაზების მოხმობით დროს ნუ დავკარგავთ, რადგან წინ უფრო სასაცილო მომდევნო ფურცლები გველოდება.

110-ე გვერდი გვაუწყებს:

„არსებობს საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაპნევს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შოთა რუსთაველი სამეფო კარის პოეტი იყო და ექცეოდა კონიექტურის ქვეშ“.

ამას გულუბრყვილობის ისეთი გაბედულებით გვიცხადებს ჩვენი მკვლევარი, გეგონება ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევის ბეჭდით დადასტურებული რამ დოკუმენტი ეჭიროს ხელში და იმას აფრიალებდეს, ხოლო ამ მიგნებით აღტაცებულ-აღტყინებული პროფესორები ბენაშვილი და რატიანი მხურვალე ტაშს უკრავდნენ. აქ შენიშვნას იმსახურებს ის, რომ **საკითხები გვაპნევს კი არა, საკითხები გვაპნევენ.** ავტორს წარმოდგენაც არ აქვს გაპიროვნება-ზე!

ბუნებრივია, ამგვარი ბუნდოვან-ჩიქორთული მეტყველება უნდა გადაზრდილიყო და კიდევაც გადაიზარდა სქოლასტიკურ სოფიზმში. ასე ემართება

ამ ტიპის ყველა „მოაზროვნეს“ და, მაია ბურდიაშვილსაც რომ ეგ მოსვლოდა, რა გასაკვირია?

„მთხოვნელი ინსტანცია, რომელიც ამბავს მოგვითხოვს, ყოველთვის გარკვეული კუთხიდან აღიქვამს ფიქტიურ სამყაროში მომხდარს. ამგვარი აღქმის თავისებურებები განიხილება თხოვნის პერსპექტივის ნარატოლოგიური კატეგორიის ფარგლებში“, - ასე ბრძნულ-თინათინურად ბრძანებს როსტევანის მიერ დადგმულ სამეფო ტახტზე ნებივრად მჯდარი ჩვენი მკვლევარი. მართალია, ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ იგივე ცოდნა გრჩება, რაც მანამდე გქონდა, მაგრამ რა ბედენაა! განა ეს არ არის სქოლასტიკისა და სოფისტიკის მიზანიც?

ერთი სიტყვით, „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა!“

ჩემთვის და, ალბათ, მეგობარი მკითხველისთვისაც ერთობ სანეტარო და სანიაზო გახლავთ ბოლო გვერდი. 111-ე გვერდის შესახებ, დრო და ადგილი რომ არ მენანებოდეს, შემეძლო ასი გვერდიც კი დამეწერა. სულო და გულო, რა შეცდომა, გადაცდომა და სქოლასტიკა გინდა, აქ არ იყოს!

ჯერ ფაქტობრივი შეცდომა და პოემის სრული არცოდნა დავადასტუროთ. წერია:

ავთანდილი მიღის უცხო მოყმის „საპოვნელად, რათა შეასრულოს სატროფოსა და ამავე დროს მეფის დავალება“.

მკვლევარმა არ იცის ელემენტარული რამ: ავთანდილი **მეფის დავალებით** არ წასულა არსად. პირიქით, ის ხელმწიფისაგან ფარულად გაემართა ტარიელის საძებრად. პატრონი რომ არ გაენერვიულებინა, მოატყუა, დააჯერა, რომ თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით მოსაზღვრე ქვეყნების მოვლას, თინათინის სახელით ურჩითა დასჯასა და მორჩილ მოხარაჯეთა გამხნევებას აპირებდა. სინამდვილეში ეგ საქმე შერმადინს შეასრულებინა, ხოლო თვითონ ფარულად, ისე, რომ ეგ არავინ იცოდა, გაემართა ვეფხისტყავიანის საძებრად.

ერთგან წერია: „**სთხოვს მოუყვეს თავისი თავ-გადასავალი**“.

მკვლევარს წარმოდგენაც არ აქვს „უცნაურ“ სამპირიან ზმნაზე **მოუყვეს**. მან არ იცის, რომ მოქმედების გამომხატველ ამ სიტყვას აქვს ორი ირიბი ობიექტი. მაში, ფრაზა ასე გასწორდება: არა მოუყვეს თავისი თავგადასავალი, არამედ ამგვარად: მოუყვეს თავის თავგადასავალს. მაში, **მოუყვეს იგი მას მას და არა მოუყვეს იგი მას იგი**.

სხვაგან წერია: **რაში დასჭირდა პოეტს...**

„რაში დასჭირდა“ რუსულის კალკია.

აქედან ცხადდება: მკვლევარმა არ იცის არც ქართული, არც რუსული. ქართული რომ სცოდნოდა, მიხვდებოდა: ქართულია **რად დასჭირდა, რატომ დასჭირდა?** ხოლო, რუსული რომ სცოდნოდა, მიხვდებოდა: **რაში დასჭირდა რუსული კონსტრუქციაა, ე.ი. ქართული სიტყვებით აგებულია რუსული ნაგებობა, ანუ „მოყვარე მტერი ყოველი მტრისაგან უფრო მტერია!“**

„**იმ დროინდელი**“ იწერება ერთად, ხოლო გაურკვეველი ეროვნებისა და სქესისაა „**ზოგიერთი მათგანი უპირისპირდება კიდევც ერთმანეთს**“.

ამავე გვერდზე სქოლასტიკას კიდევ ერთხელ სცა „**თავყანი**“ ჩვენმა მეცნიერმა:

„**ვფიქრობთ, საკითხის დასმა სხვაგვარად სჯობს, ხომ არ განსაზღვრავს მთხობელი ინსტანციის როგორობა ისტორიული სინამდვილის განვენას მხატვრულ გამონაგონში**“.

მე, ჩემი ცოდნა-გამოცდილების მქონეს, ესოდენ მაღალი ჭეშმარიტების განმარტება არ ძალიძის. ამიტომ ოდენ პუნქტუაციურ უზუსტობას გამოვასწორებ: სიტყვას „**სჯობს**“ უნდა მოჰყვეს ორწერტილი, ხოლო ფრაზას ბოლოში უნდა ამკობდეს კითხვის ნიშანი (?).

პროფესორ ზ. კიკნაძის ბუტიური დასდებია სა-

ფუძვლად სარიდან მეფის სახის მკვლევრისეულ ანალიზს: „არ ვიცით სარიდანის რეალური მიზანი, როდესაც ის სამეფოს უერთებს ფარსადანს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარიდანს სამეფო ან ძალით ჩააბარებინეს, ან მართლაც თავისი სურვილით ჩააბარა იმ იმედით, რომ ტარიელს დარჩებოდა ინდოეთის მეფობა“.

ამ სიტყვების ავტორმა არ იცის ბევრი რამ. პირველია ის, რომ ზურაბ კიკნაძის ეგ მოსაზრება სასტიკად გავაკრიტიკე და ვუჩვენე სარიდანის „რეალური მიზანი“; მეორეა ის, რომ პროფესორებმა ქვაჩახიამ, კიკნაძემ და ორიოდე სხვამაც პოემის ტექსტის უცოდინარობის გამო ვერ გაითვალისწინეს, თუ როდის შეუერთა თავისი „მეშვიდე ინდოეთი“ ტარიელის მამამ ფარსადანის „ექვს ინდოეთს“ – ეს მოხდა ტარიელის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, იმ დროს, როცა ტარიელი „დაპროექტებულიც“ კი არ იყო.

ამის თაობაზე მკაცრად მივუთითე პროფ. ზ. კიკნაძესა და სხვათაც (იხ. მ.თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები; ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი; რუსთველოლოგიური კრიტიკა, I).

ავტორი, რა თქმა უნდა, მკვლევარია და არა მკითხველი. მას რომ ჩემი მითითებული ნაშრომები

წაეკითხა, მსგავს სისულელეს ვერ მოასასწაულებდა. ენობრივი აბსურდია: „ის სამეფოს უერთებს ფარსადანს“. ფარსადანს კი არ უერთებს, არამედ – ფარსადანის სამეფოს!

ჩვენს მეცნიერს ლიტერატურის დამოწმებაც არა სცოდნია; მიუთითებს ასე: **გამომცემლობა** თსუს გამომცემლობა (112); სხვაგან: **გამომცემლობა** იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რა საჭირო იყო პირველი გამომცემლობა?

ახლა მეგობარ მკითხველს ვეკითხები: ამ ელემენტარულ საქმესაც რომ ვერ ანესრიგებს პიროვნება, ის რთულ რუსთველოლოგიურ საკითხებს გადაგვიწყვეტს?

დასკვნა: დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ნაშრომი ნამდვილად მაია ბურდიაშვილის დაწერილია და მასთან ნესტან სულავას ხელი არა აქვს. ამას გამოცდილებით ვხვდები: როცა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორ გურამ ბენაშვილის რომელიმე სტატიაში ელემენტარულ შეცდომებს ვერ აღმოვაჩინდი, ვიცოდი: იქ ხელი ჰქონდა ჩართული ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკ ნესტან სულავას.

მიხეილ ჯავახიშვილს „არსენა მარაბდელში“ უწერია აფორიზმი: „როცა ძალლს ჭკუა არ მოეკითხება, მაშინ პასუხს სთხოვენ პატრონს“.

ვეკითხები პატრონს – **კრებულის რედაქტორივანე ამირხანაშვილს:** რატომ დაბეჭდეთ ასე უმნიფარი, უმსგავსო და ყოვლად უტიფარი მასალა ესოდენ მნიშვნელოვან კრებულში? ვთქვათ, ამ ტიპის ნაშრომის დაბეჭდვა გაიძულეს. მაშინ კეთილი რად არ ინებეთ და არ გაასწორეთ? მაქვე დაბეჭდილი თქვენი წერილი ხომ გაჩალხულ-გამასმასებულია! მაშ, ენობრივად მაინც გაგეკრათ ჩალხი. ვერც იმას დავიჯერებ, ეგ მახინჯი მასალა რომ წაგეკითხათ, აშკარა რუსთველოლოგიური ხარვეზები გამოგრჩებოდათ.

დიდი ინტერესით დაველოდები უფალი რედაქტორის პასუხს.

ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ სხვა ნაშრომებზეც. ქ-ნი მარიამ კარბელაშვილი, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთობ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ესაა „ქართული რენესანსის პრობლემა“. მსჯელობა თანამიმდევრულია, საკითხები დასმულია საინტერესოდ და პასუხები გაცემულია გონივრულად. კრებულის მთავარი მასალა სავსებით მართებულად მოწოდებულია მეწინავე სტატიად. ამ წერილის სიკეთეთა ჩამოთვლაც კი მთელ გვერდს მოითხოვდა, ხოლო გამოწვლილვით ანალიზი – ათობით ფურცელს. იმედია, ავტორი თემას ცალკე წიგნადაც გამოსცემს. ამიტომ ვჩეარობ, ის მექანიკური,

ტექნიკური, ენობრივ-სტილისტური ხარვეზები ვამცნო, რაიც შევნიშნე. იმედია, წიგნში მათ აღარ ვიხილავ: „გარდატეხაში გამოვლინდა“ (7) რუსული კალკია, ქართულად იქნება „გარდატეხით გამოვლინდა“; „თვლიდნენ“ (9 და სხვაგან) კი არა, მიიჩნევდნენ; „არისოტელეს“ (12) კი არა, არამედ არის-ტოტელეს; „სამოსელსი“ (12) კი არა, სამოსელში; „ამასთანავე“ ჩართულია (13). ამიტომ ორივე მხრიდან საჭიროა ყოვნის ნიშანი; ჰუმანისმს (13) კი არა, ჰუმანიზმს; უწოდეს (15) კი არა, უწოდებს; თთქმის (16) კი არა, თითქმის; იმაში გამოიხატა და რაში მდგომარეობს (17) რუსული კალკებია. უნდა ყოფილიყო იმით გამოიხატა და რითი გამოიხატა, ანდა რაა; იმაში გამოვლინდა (18) რუსულია, ქართულია იმით გამოვლინდა; დამოკიდებულება ღმერთთან (27) უსწოროა, უნდა დაწერილიყო ასე – ლვისადმი დამოკიდებულება; კატეგორიულორბით კი არა, კატეგორიულობით; არისტოტელამ შეასრულა (39) კი არა, არისტოტელემ; „ა. ლოსევი შ. ნუცბიძის უდიდეს დამსახურებად თვლის“ (48) ასე უნდა შეიცვალოს: „ა. ლოსევი შ. ნუცბიძის უდიდეს დამსახურებად მიიჩნევს“; წერია ტრადიცების (56). უნდა ტრადიციების; წერია სოციო-ლოგიზირებად (58). „ირ“ ფორმანტი ზედმეტია. მართებულია ასე – სოციოლოგიზება...

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ამ სტატიას აქვს ერთადერთი ნაკლი: როცა ქართულ რენესანსზე ლაპარაკობ და იქ არც კი ახსენებ ვიკტორ ნოზაძეს, ჩემი ფიქრით, ეს ნონსენსია. მაგალითად, 22-ე გვერდზე აუცილებელი იყო ამ მკვლევრის გახსენება, ხოლო 26-ე გვერდზე, დასაწყისში, რაც მსჯელობაა, ვ.ნოზაძის მოსაზრებაა და იგი გამოთქმულია მაშინ, როდესაც ქ-ნი მარიამი მე-10 ან მე-11 კლასის კუდრაჭა მოსწავლე იყო.

ორიოდე სიტყვა ლია წერეთლის ძირითადად საქმიან ნაშრომზე:

ავტორი ცალკეულ სახე-გამონათქვამებს იკვლევს, იხილავს და სწორ დასკვნებს გვთავაზობს, ოღონდ მიუღებელია უკვე კარგად გარკვეული საკითხის ხელახლა კვლევა და აღებული სიმაღლიდან ქვემოთ დაშვება. ეგ კერძო შემთხვევა ეხება ნესტანის ცნობილ ფრაზას:

მე გული შენი ქალალდად გულსავე ჩემსა ვაწები.

ამ გამოცანის გარკვევა ყოვლად წარმოუდგენელია, თუ არ ვიცით XII-XIII საუკუნეებში ქალალდის დამზადების წესი. იმ წესის გაცნობის შემდეგ დავადგინე ფრაზის შინაარსი; ჩემს გულს შენი გული ქალალდივით დავაწებე და ორი ნახევარი (პალავინკა) ერთ არსებად შევკარი. აქედან ერთი ხელის

განვდენაა მეუღლეობის ქრისტიანულ გააზრებამ-დე: ქალი და კაცი ოდესალაც ერთ არსებას შეადგენ-დნენ. ღმერთმა ისინი განწვალა, ორ ნახევრად (პა-ლავინკა) აქცია. ისინი სააქაოში ერთმანეთს დაეძე-ბენ და საბოლოოდ მათი შეყრით, ორი ნახევრის ერთ მთლიანობად გარდაქმნით, უნდა დასრულდეს (უფრო დაწვრილებით იხილეთ ჩემი „ვეფხისტყაოს-ნის ტექსტის საიდუმლოებანი“, გვ. 106-110).

სხვათა შორის, ეგ გაგება ჭეშმარიტი ცოლ-ქმრობისა დღესაცაა შემორჩენილი: ქართულ სუფ-რაზე ქმარს ადლეგრძელებენ, როგორც **პირველ
ნახევარს**, ცოლს – როგორც **მეორე ნახევარს**.

ჩემი სტატია - „შეწებებული გულების საიდუმ-ლო ვეფხისტყაოსანში“ – წაიკითხა პროფ. ლეო მე-ნაბდემ, ვისაც სხვათა შექება „ნამეტნავად“ არ უყ-ვარდა, მეტადრე – ჩემი, ოღონდ თავი მაინც ვერ შეიკავა და წამოიძახა: „აი, რა საინტერესო რამეები ირკვევა ღრმა ძიებების შემდეგო!“

ლია წერეთელს მოჰყავს სათანადო ტაეპები და ასე მსჯელობს:

„ტანი კალმად მაქვს, კალამი – ნავდელსა ამონაწები,
მე გული შენი ქალალდად გულსავე ჩემსა ვაწები.

სიტყვა „ვაწები“ აღნიშნავს არა დაწებებას, არამედ „ჩაწობას“ (იგულისხმება სამელნეში, ნეს-

ტანის გულში, რომელშიც ნაღველია” (კრებული, 190).

მკვლევარს მივუთითებ: მელანში ჩაწება, როგორც ასეთი, უკვე ახსენა რუსთველმა წინა ტაეპში: **ნავლელსა ამონაწები.** ამიტომ მეორეჯერ იქვე იმასვე აღარ გაიმეორებდა და ტავტოლოგიას არ დაუშვებდა. მაშასადამე, **ვაწები** ნიშნავს **დაწებებას.** მარტო ეს ერთი არგუმენტიც კი ანგრევს ახალ, თანაც ბუნდოვან, თეორიას; მაგრამ არის უფრო ძლიერი მეორე არგუმენტიც. მკვლევარს შევახსენებ, რომ ძველად და თვით XX საუკუნის დამდეგსაც კი (იხ. პ.იაშვილისა და ტ. ტაბიძის ნაწერები) **ვითარებითი ბრუნვა** გულისხმობდა **შედარებას.** ასე რომ, ვითარებითი იყო იგივე შედარება. ზემომოყვანილ ორ ტაეპში ამისი ორი შემთხვევა მიჯრითა გვაქვს. I ტაეპში რომაა **ტანი კალმად მაქვს,** არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს, **ტანი კალმივითა მაქვს;** იგივეა მეორე ტაეპშიც: **ქალალდად** იგივეა, რაც **ქალალდივით.** მაშასადამე, მე შენი გული ჩემს **ქალალდივით დავაწებე,** ანუ ორი ერთმანეთის მაძებარი ნახევარგული (პალავინკა), ჩემი წარმოდგენით, ერთურთზე ისე დამიწებებია, როგორც **ქალალდის** მომზადებისას აწებებენ ერთმანეთზე პირველ (ვერსო) და მეორე (რექტო)

გვერდებს და ასე გამოჰყავთო ერთი ფურცელი, ერთი მთლიანობა.

ჩემი ახსნა-განმარტება ქ-ნის მოსაზრებას ბევრადა სჯობს. ჯერ მარტო ისა რადა ღირს, რომ ქალალდის დამზადების იმდროინდელი წესი გაცხადდა; მეორეც – ტაეპის ბუნდოვანება სრულიად გაქრა; მესამეც – რუსთველი დაუახლოვდა ბიბლიურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, კერძოდ, იმას, რომ ქრისტიანულ ოჯახში პირველ ნახევარს ქმარს ეძახიან, მეორე ნახევარს – ცოლს.

მკვლევარმა, რა თქმა უნდა, არ იცის, რომ იგივე იდეა განუვითარებია ნიზამის. ამის თაობაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მე, ვითარცა კეთილი დამრიგებელი, ქ-ნ მკვლევარს მივუთითებ მისთვის საინტერესო წყაროს – მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 5-15.

ასე რომ, მკაფიო მარგალიტს ბუნდოვანი ჩალის ძირით ვერ ჩავანაცვლებთ.

ისე კი, სადაც სამეცნიერო სამართალია, 2011 წელს გამოცემული წიგნი 2021 წელს დაწერილი წერილის ავტორმა კი უნდა იცოდეს!

2023 წ.

პირთა საძიებელი

ა

- აბზიანიძე გ. 257
აბულაძე იუსტინე 161, 173, 260
ალიევა დილარა 386
ამინჯაროვა მ. 108
ამირხანაშვილი ივანე 471
არეოპაგელი 40, 204
არისტოტელე 124, 126, 152, 158, 159, 163
ასათიანი გურამ 21
ასათიანი ლ. 21
ასრათოვი ასრათ 215
ასჯადი 370
აქილევსი 408
აღმაშენებელი დავით 81, 128
აღსართანი (დ. აღმაშენებლის ასულ თამარისა და მანუჩარ შაჰრიარის შვილი) 371

ბ

- ბაგრატიონი ანტონ (კათალიკოსი) 24, 40, 304
ბაგრატიონი არჩილ (არჩილ მეფე) 76, 301, 343, 376
ბაგრატიონი გიორგი (თამარის მამა) 128
ბაგრატიონი დემეტრე 128

- ბაგრატიონი ვახტანგ (ვახტანგ VI) 26, 33, 35, 55, 79, 80, 249, 260, 270-273, 300, 308, 314
ბაგრატიონი თეიმურაზ (თეიმურაზ I) 387
ბანუ-ლაჰუთი 448
ბარამიძე ალექსანდრე 44, 46, 50, 69, 75, 83, 210, 213, 215, 218, 219, 224, 257, 261, 262, 267-268, 305, 306, 389, 390
ბარამიძე გრიგოლ 81
ბარბაქაძე თამარ 188, 189
ბართაია ნომადი 441-552
ბასილ დიდი 40
ბაქარ ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის ძე) 270
ბაქრაძე აკაკი 351-368
ბენაშვილი გ. 453, 456, 460, 465, 470
ბერნ-ჯონსი 15
ბერიძე ვუკოლ 120
ბერიძე როლანდ 186, 268
ბრეჭნევი ლეონიდ ილიჩი 465
ბროსე მარი 55
ბრუსკი 14
ბუაჩიძე გასტონ 4

ბულგაკოვი 370

ბურდიაშვილი მაია 453-471

გ

გაბრიელ წინამძღვარი (ვი-
თომცდა რუსთველის
შვილი) 346

გამრეკელ-თორელი 335

გამსახურდია ზვიად 3-67,
184, 238, 262

გამსახურდია კონსტანტინე
240, 252, 285

განერელია აკაკი 4, 205, 240,
285

გენადი (ილუმენი) 111, 147

გველესიანი ლევან 189-205

გიგინეიშვილი ივანე 262,
266, 268

გიორგი რუსი 247, 310-311,
391-393

გოგებაშვილი იაკობ 213

გოგოლი 309

გოეთე 4, 28, 41, 251, 309

გორკი 370

გრიშაშვილი ი. 20

გურამიშვილი დავით 33-35,
40, 52-55, 120, 255, 271

დ

დადეშქელიანი 335

დადიანი ლევან 300

დათიაშვილი ლ. 262

დანტე 166

დარჩია ბორის 133, 125-126,
160, 174, 268, 340, 348

დიკინსონი 14

დონ კიხოტი 15

დუმბაძე იაკობ 125

გ

ეპრალიძე მამია 188, 189

ელბაქიძე მაკა 462

ელიოტი თომას 9-11

ემერსონი 15

ეპიკური 81

ერისთავი თორნიკე 59

ესქილე 18

ჰ

ჰაუ-ფშაველა 50, 164, 208,
236-258, 274, 278, 285,
306, 308-309, 389

ვარსკენ პიტიახში 396, 398-
402

ვასაკ მამიკონიანი 409-410

ვასაძე აკაკი 370

ვახტანგ მეფე (გორგასალი)
410

ვერგილიუსი 186, 370

ვილაც მესხი მელექსე 342,
345

ვლადეკინი გ. 78

ვორონცოვი მიხეილ 78

გ

- ზაბოლოცკი (მთარგმნელი)
306
ზაქარია 335
ზიჩი მიხაი 237

თ

- თავაქარაშვილი მამუკა 261-
262, 300, 316
თავდიშვილი მურმან 2, 120,
125-126, 165, 183, 192,
208, 213, 235, 243, 262,
285, 289, 293-294, 297,
312, 330, 340, 371, 385-
387, 424, 427, 444, 447,
455, 469, 476
თავზიშვილი გ. 96, 103-104
თამარ მეფე 48-50, 55, 129-
130, 164, 242-246, 257-
300, 304-306, 310-311,
372-379, 388-392
თაყაიშვილი ა. 22
თბილელი იოსებ 300
თემისტიოსი 81
თვარაძე რეზი 107
თმოგველი სარგის 316, 334-
335
თოდუა მაგალი 115, 426-429
თურნავა სერგო 19

ი

- იაშვილი პაოლო 475

იბნ-არაბი 51

- იმედაშვილი გაიოზ 161
ინგოროვა პავლე 220, 260
იოანე დამასკელი 391
იულიუს მეორე (რომის პაპი)
370

კ

- კაკაბაძე ნოდარ 4
კაკაბაძე სარგის 260
კარბელაშვილი მარიამ 471
კარტოზია გ. 172, 266, 268
კედელაური სერაპიონ 387
კეკელიძე კორნელი 27, 35,
40, 44, 61, 62, 148, 241,
271, 329, 344, 347-349,
375
კვესელავა იგორ 286, 369,
383-384
კითხი 18
კიკალეიშვილი თ. 22
კიკვაძე ალ. 257
კიკვაძე ცოტნე 266
კიკნაძე ზურაბ 420-440; 468-
469
კიო (ილუზიონისტი) 226
კობიაშვილი გოშპარ 78
კოლუმბი 12
კრეტიენ დე ტრუა 267
კრისტელერი პაულ 169
კურცვაილი ფელიქს 299-317

ლ

ლეონიძე გიორგი 370, 447
 ლინდზი ვეიჩელ 12
 ლომაშვილი ჯიბო 257-258
 ლომონოსოვი მ. 109

გ

გაკედონელი ალექსანდრე 128, 152
 მალაზონია შოთა 206
 მაიაკოვსკი ვლ. 370
 მარგველაშვილი პარმენ 174-187
 მარი იური 250, 307, 311-314, 385
 მარი ნიკო 56, 240, 249-250, 258, 307, 311-314, 343, 442, 445
 მარუშისძე იოანე 431
 მარქსი კარლ 129
 მასტერსი ედგარ ლი 12, 15
 მაქსიმე ალმსარებელი 391
 მახათაძე 27
 მაჰმადი 115
 მაჰმუდ ღაზნევი 371, 384
 მენაბდე ლევან 256-257, 474
 მენდელეევი დიმიტრი 228
 მერი (წმ. მარიამი) 44, 45
 მერჩულე გიორგი 83, 407, 440
 მეტრეველი ელენე 391
 მეცენატი გაიუს ცილნიუსი

370

მთაწმინდელი გიორგი 334
 მთაწმინდელი ექვთიმე 334
 მთაწმინდელი იოანე 334
 მილე 15
 მირიანაშვილი პ. 340
 მიქელანჯელო 370, 377
 მიხალკოვი 370
 მიშველაძე რევაზ 2, 268, 285, 286, 384

მორი თომას 17

მორრისი ვილიამი 15-17

6

ნათაძე ნოდარ 161, 183
 ნათენაძე ნიკოლოზ 333-350
 ნერსესი (სომეხთა პატრიარქი) 400-408, 444
 ნიზამი განჯევი 92, 120, 124, 128, 134, 148, 152, 173, 175, 180, 207, 279, 307-308, 313-314, 344, 371-376, 378-379, 385, 421, 426, 439, 444, 476
 ნოვალისი 9
 ნოზაძე ვიკტორ 19, 31, 34-36, 43, 47, 50, 61-63, 85, 111, 146, 158, 191, 268, 298, 316, 347-348, 473
 ნორაკიძე ვლადიმერ 84-85, 89, 92

ნუცუბიძე შალვა 390

მ

ოგარიოვი 115
ოლინგტონი 16
ონიანი შერმადინ 30
ონსორი 161, 180, 312, 370
ორბელიანი გრიგოლ 236
ორბელიანი სულხან 98, 294-
295

პ

პეტრარკა 166
პეტრიაშვილი გურამ 68, 70
პეტრიწი იოანე 82
პიეტერი ვალტერ 16
პლატონი 41, 123-124, 161
პლოტინი 145
პლუტარქე 174
პუსენი 17
პუშკინი ალ. 81, 445

რ

რატიანი ირმა 460, 462, 465
რატიანი პროკოფი 301
რაფაელი 16
რესენი 16
რობინსონი ედვინ არლინგ-
ტონი 12, 14-15
როსეტი 15
რუდაქი 370

ს

საპანისძე იოანე 402
სარაჯიშვილი ალ. 220, 241,
257, 272
სენდბერგი კარლ 12, 13
სიგუა სოსო 373
სოსლანი დავით 62, 304, 310,
378-382, 388, 393, 428
სტალინი იოსებ 240-241, 370
სტივენსონი რ. 19
სულავა ნესტან 427, 470

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 12, 20,
45, 121, 148, 274, 447
ტაბიძე ტიციან 475
ტიპო-ბრაჟე 146
ტოლსტოი ლ. ნ. 445

უ

უაილდი ოსკარ 17, 18
უზნაძე დიმიტრი 292
უიტმანი უოლტ 12
უსეინბეგ ბეჟან ოლლი 78

ფ

ფავსტუს ბუზანდაცი 395-
419, 444
ფანჯიკიძე თ. 22
ფეროხი 370
ფირდოუსი 120, 134, 173,

175, 180, 249, 267, 279,
307-308, 344, 371, 375-
378, 384-385, 409, 411,
421, 428, 430, 447-448

ფიცჟერალდი 53

ფრაგონარი 17

ფრანგიშვილი არჩილ 286

ფროსტი რობერტ 12-14

ქ

ქვაჩახია (პროფესორი) 469

ქიქოძე გერონტი 4

ქობულაძე 192

ქორთუა 343

გ

გავთელი ო. 55, 124-126, 159,
163, 334, 340-341, 348,
376

გალამბერიძე ო. 20-21

გალვაშვილი ბელა 447-448

გალიტა წმინდანი 405

გამსედინი 378

განიძე აკაკი 26, 75, 80, 210,
218-219, 224, 241, 260,
272, 304, 320-325, 328

გატბერაშვილის ქალი 78

გეიკო ე. 108

გელი პერსი ბიში 8, 9

გემოქმედელი იაკობ 56, 159-
160, 340, 376

გექსპირი 17, 309, 440

შირვანშაჰები 385

შუშანიკ დედოფალი 396-404

ჩ

ჩაიკინი არკადი 250, 312

ჩარკვიანი ჯ. 20, 21

ჩახრუხაძე 55-56, 124-126,
334, 341, 371, 376

ჩივი მინივერი 15

ჩიქოვანი მიხეილ 254

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო 300

ჩხეიძე ოთარ 115

ც

ცაიშვილი სარგის 192, 262

ცეცხლაძე მამუკა 205

ციციშვილი ნანუჩა 300

ძ

ძიძიგური შოთა 83

წ

წერეთელი აკაკი 59, 79, 236,
239, 269, 272, 274, 425

წერეთელი გიორგი 224

წერეთელი ლია 473-474

წერეთელი მ. 27

ჭ

ჭავჭავაძე ილია 82, 113, 236,
274, 276, 308, 311, 315

- ჭალადიდელი გიორგი 351
ჭიაურელი მიხეილ 302
ჭილაძე თამაზ 64
ჭინჭარაული ალექსი 21, 126,
241, 244, 268, 272, 339
ჭიჭინაძე კონსტანტინე 30,
68, 71, 240-241, 260-261,
285-286
ჭოლოკავა ნოდარ 70
ჭულუხიძე ალ. 442-443
- ბ**
- ხაიამი ომარ 52-53
ხანძთელი გრიგოლ 83, 334,
348, 407
ხაყანი შირვანი 371-374, 385-
386
ხახანაშვილი ალ. 237, 239,
252
- ხინთიბიძე აკაკი 126
ხინთიბიძე ელგუჯა 117-169,
462
ხოდაშნელი შოთა 80
ხორავა აკაკი 370
- ჯ**
- ჯავახიშვილი მიხეილ 226,
240-241, 252, 267, 274,
285, 470
ჯგუბურია მურმან 14
ჯიბლაძე გიორგი 257
ჯორჯაძე ბარბარე 78
ჯოტო 16
- ჰ**
- ჰაბო ტფილელი 402, 404
ჰენეტი 15
ჰომეროსი 18, 408, 417-419
ჰორაციუსი 370

სარჩევი

1.	ზვიად გამსახურდია – რუსთველოლოგი	3
2.	ერთი საგულისხმო არგუმენტიც	68
3.	პედაგოგიური პოემა	76
4.	წმინდანის სისხლზე წმინდა	113
5.	ფოლიანტის ღირსება და ნაკლი	117
6.	კონიექტურის კატეგორიული მტრის კომენტარი	171
7.	ქართული რუსთველოლოგის ფიასკო	174
8.	უჩემოდ რად იმდერეთა?!	188
9.	კონიექტურას არ საჭიროებს	206
10.	ჩავარდნილი კლავიში	209
11.	როგორ გაძარცვეს ვეფხისტყაოსანი	220
12.	ვაჟა-ფშაველა როგორც რუსთველოლოგი	236
13.	ვეფხისტყაოსანი, პირველი სრული გამოცემის გა- მო	259
14.	აღსრულდა!	269
15.	სწავლა-აღზრდის საკითხები ვეფხისტყაოსანში ..	288
16.	დაბნეული „ქარავანი“	299
17.	ძველი მეტყველების კულტურის (უზუსის) ელემენტები ვეფხისტყაოსანში	318
18.	ნააზრევი მესხი მკვლევრისა	333
19.	ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა პორტრეტების დაზუსტებისათვის	351
20.	ხელისუფლებისა და შემოქმედის ურთიერთობა „ვეფხისტყაოსანში“	369

21.	ფავსტუს ბუზანდაცი და ქართული კულტურა	395
22.	ერთი ტელეგადაცემის 9 შეცდომა	420
23.	საკითხის დაყენების უფლებაც კი არა გვაქვს!	442
24.	ფრენოლოგები რუსთველოლოგიაში	454
25.	პირთა საძიებელი	477



რუსთველი. მეგობრული შარჟი მურმან თავდიშვილის
დაკვეთითა და რუსთველის თანხმობით შეასრულა
ზალიკო სულაკაურმა



2011
Zalike.com

მურმან თავდიშვილი.
მეგობრული შარჟი.
მხატვარი ზალიკო სულაკაური

Тавдишвили Мурман Мелитонович

**РУССКОЛОГИЧЕСКАЯ КРИТИКА
II
(на грузинском языке)**

Тбилиси
2023

დამკაბადონებელი
ნანა ღუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „გენერალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საძის №4. ტე: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com